კვირის პალ

138 (223) 16/IX.-22/IX.2004. ფასი 60 თ.

1168
2004

...თემა — როგორ ალმოვაჩინოთ ნიჭი?

„ალბათ გაგსოვთ 12-წლის ვუნდერკინდი“

გზავნილები — ხერხი სჯობია ლონესა ანუ ქალური ეშ-მა-კო-ბე-ბი

ჯანმრთელობა — სკოლიოზი და მოკლე ფეხის სინდრომი

ფეხშიშველა და ჭუჭყიანმა ქალმა გიო ყიფშიძეს კინაღამ კუჭის წვენი ამოუღო...

პირველი პაემანი — ხათუნა ჟორდანია: „...თურმე მას სიკვდილამდე ვყვარებივარ“

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

სექტემბრის ნომერში იხილეთ:

3 პოსტერი

არსენალი

„კვირის ანალიზი“. სამხედრო-ანალიზიური ჟურნალი. №2. სექტემბერი. 2004. ფასი 1,5 ლარი

ქართული არმიის მთავარი დამრტყმელი ძალა

ბრძოლა ცხინვალისა და ოსეთისათვის ჯერ კიდევ წინაა

ვინ აიარაღებს ოს სეპარატისტებს

"ლომეზრ მეფე, მტერს სისხლ მიძეფე..."

კოსმოსური დაზვერვა

როგორ გვითვალთვალებენ რუსები

ვინ არის სნაიპერი

ნადირობის მოყვარულთათვის

პარტიზანული ბრძოლის ჩეჩნური გამოცდილება

გერმანული ნაგაზის ლეკვის შერჩევის ექსკლუზიური მეთოდი

ვინ აიარაღებს ოს სეპარატისტებს

ვინ არის სნაიპერი

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

ნინძები — ჯოჯოხეთური აჩრდილები

ქვიშის კარიერის გენერალი

Mercedes G class

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

№38 (223)
16 - 22 სექტემბერი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ცხელი შემოდგომის დასაწყისი ანუ „კაბიანი ხელისუფლება და „კოლგოტკიანი“ ოპოზიცია“ 3
ერთი კითხვა 4
პოლიტიკა
„...საქართველო ძალზე მკვეთრ მოქმედებებზე უნდა გადავიდეს“ 6
განათლება
„ეტალონს“ შეგვიძლია, მომავლის პროექტიც ვუწოდოთ“ 7
პირველი პაემანი
ხათუნა ქორდანია: „თურმე, მას სიკვდილამდე ვუყვარდი...“ 8
სასიძო
დაბალი და თმახუჭუჭა გოგონები – არა! დანარჩენები – ჰო! ოდონდ, 5 წლის შემდეგ 10
საპატარძლო
„...რა არ ვცადე შენი კოორდინატების დასადგენად“ 12
კრიმინალი
● „ჭიჭიაშვილი ბანდიტი არასოდეს ყოფილა“, – აცხადებს ადვოკატი 14
● „სოფიკოს მოკვლა არ მინდოდა... ყველაფერი შემთხვევით მოხდა“ 16
თამადა
ორი ქორწილი ერთ დღეში, არაყგარეული ღვინო და... მეტოქის ჩამოშორების ტექნიკური ილეთები 18
დეკლარანტები
მგზითვიანი მინისტრი ერთ დროს ფეხსაცმელს კერავდა და შიმშილის შიშით ნამცხვარს აცხობდა... 22
თემა
როგორ აღმოვაჩინოთ ნიჭი? 24
გზავნილები
ხერხი სXობია ღონესა 27
ჯანმრთელობა
● გული რომ არ დაიღალოს 30
● მედიცინის სიახლეები 30
● სკოლიოზი და მოკლე ფეხის სინდრომი 31
ეგზოტიკა
წუთი 3 ლარი ანუ გადაიხადე და მიდი ისრიალეეე!.. 32
ტაძარი
რა უნდა ვიცოდეთ მეორე მცნებასთან დაკავშირებით? 34

როგორ აღმოვაჩინოთ ნიჭი?



რა ასაკში ავლენენ ბავშვები თავიანთ შესაძლებლობებს? რა უნდა გავაკეთოთ თუ ბავშვი ინტერესს არ იჩენს არც ერთი საგნის მიმართ და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს უნიჭოა? ამ კითხვებზე პასუხების გაცემა თურმე, არცთუ ისე მარტივი ყოფილა...

24

ფეხშიშველა და ჭუჭყიანმა ქალმა გიო ყიფშიძეს კინაღამ კუჭის წვენი ამოუღო...

„...აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ძალაუნებურად რაღაცის კეთება გიწევს, მეც მეტ-ნაკლებად კერძების მზადებაში წვლილი შემაქვს ხოლმე... ამას დედაჩემი რომ წაიკითხავს, ალბათ სიცილით მოკვდება და მეტყვის: შე უსინდისო, აბა, რას ამბობო?!.“

54

„სოფიკოს მოკვლა არ მინდოდა... ყველაფერი შემთხვევით მოხდა“

10 სექტემბერი გუმბერიძეების ოჯახისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იმ დღეს მათ 17 წლის ულამაზესი ქალიშვილი დაკარგეს. გოგონა, რომელიც თანატოლებთან გართობის მიზნით, ცოტა ხნით მეზობლის სახლში გადავიდა, საოცრად ხალისიანი და ლაღი ჩანდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა...

16

ხათუნა ქორდანია: „თურმე მას სიკვდილამდე ვუყვარდი...“

„თუ სადმე სტუმრად მივიდოდა და ჩემს სურათს ნახავდა, იპარავდა... საკმაოდ დიდხანს ვუყვარდი, მერვე კლასიდან – ინსტიტუტის დამთავრებამდე. სანამ გავთხოვდებოდი, ტელეფონზე მირეკავდა ხოლმე. როგორც აღმოჩნდა, გათხოვების შემდეგაც ვყვარებივარ“.

8

დღესასწაული

როგორ იშვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი? 35

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36

ნამდვილი ამბავი

ალალი სვანები 36

მწვრთნელი

ოლიმპიური ჩემპიონობის ვანო გრიქურიოვისეული ფორმულა 38

ტესტი

ერთგული მკითხველი 40

ავტო 41

რომანი

რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42

მოგონება

პოლონელი დიდგვაროვნისა და განკულაკებული გლეხის შთამომავალი მსახიობი სცენაზე კინაღამ ნამდვილ ტყვიას შეეწირა... 46

ბომონდი 49

მოგზაურის დღიურები

გზა ვაშინგტონიდან მაიამი-ბიჩამდე მოხუცი ბოუერების თანხლებით 50

გატაცება

კაცი, რომელმაც ფრინველების ენა იცის 52

როგორ ვისვენებთ

ფეხშიშველა და ჭუჭყიანმა ქალმა გიო ყიფშიძეს კინაღამ კუჭის წვენი ამოუღო... 54

საფეხბურთო მინდვრებზე 58

სპორტული მოზაიკა 59

ჰოროსკოპი

კვირის (20-26 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

რამდენად მიდრეკილი ხართ სტრესისკენ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

კაცი, რომელმაც ფრინველების ენა იცის

„მხოლოდ ოცამდე პატარა ჩიტის წამოყვანა მოვახერხე, 2 დღე ვატარე ზურგით დიდი გალია, მაგრამ მეტი ვეღარ შევძელი; გავუღე გალიის კარი და ვუთხარი – როგორც თქვენ ბრუნდებით ახლა სოხუმში, ნეტავ, ასე მეც დამაბრუნა-მეთქი!.. ასე ჩამოვედი თბილისში და ყველაფერი თავიდან დავიწყე...“

52

პოლონელი დიდგვაროვნის შთამომავალი მსახიობი სცენაზე კინაღამ ნამდვილ ტყვიას შეეწირა...



„ძალიან ახლოს იყო ჟორა შავგულიძესთან და სინანულით აღნიშნავდა, მე რომ ეს გაპარვა არ მცოდნოდა, შეიძლება, ჟორა ცოცხალი ყოფილიყო: იმ საღამოს, როცა შავგულიძე ტროლეიბუსმა გაიტანა, მამა ჟორას წაუყვანია საქეიფოდ და...“

46

სარა-ჯესიკა პარკერი ჯონ კერის შჭერს მხარს

ფილმის „სექსი დიდ ქალაქში“ ვარსკვლავი სარა-ჯესიკა პარკერი ამერიკის დემოკრატიული პარტიის მოდური სახე გახდა და ამით რესპუბლიკელთა მომხრე მსახიობ-მომღერლები გადაიმტერა... მსახიობი ჯონ კერის საარჩევნო კამპანიის ცენტრში აღმოჩნდა. დემოკრატები ამას კარგად გათვლილ წინასაარჩევნო ნაბიჯად თვლიან...

49

მცოცავლის ინსტინქტი



– სამწუხაროდ, არა... – დანანებით ჩაილაპარაკა მეგიმ.

– მერე ამაზე ნერვიულობ?.. – თვალი პატარა გოგონასავით ეშმაკურად ჩაუკრა ქალმა. – დღეს ბავშვის გაჩენას რა უნდა?.. ძველი დრო ხომ აღარ არის!..

42

ცხელი შემოდგომის დასაწყისი ანუ „ყაბარდინი ხელისუფლება და „ყოლგოტკაანი" ოპოზიცია"

როგორც იქნა, დასრულდა კატაკლიზმებით სავსე, კლიმატურად ცვალებადი, მაგრამ საქართველოსთვის პოლიტიკურად არაფრისმომცემი ზაფხული; დასვენებული „ძლიერნი ამა ქვეყნისانი" მოზღვავებული ენერგიით დაუბრუნდნენ მონატრებულ საქმიანობას და შენობას... დიახ! ამიტომ მიყვარს შემოდგომა – საუკეთესო სეზონი პროვოკატორობისთვის, ამ დროს ხომ სულ ერთიანად მწიფდება ხილიცა და პოლიტიკოსების უმწიფარი აზრებიც. ჰოდა, ჩემი ვარაუდი ამჯერადაც გამართლდა: პარლამენტმაც დაიწყო მუშაობა და რა სამწუხაროა, რომ განათლების სამინისტრომ მხოლოდ სკოლის მოსწავლეებისთვის მოამზადა ჩანთები და სახელმძღვანელოები საჩუქრად. არადა, დეპუტატ „ბავშვებსაც" ხომ გაუხარდებოდათ, „მერხებზე" რომ დახვედროდათ სპეციალური ჩანთები და სადეპუტატო სახელმძღვანელოები?!. სპეციალური ჩანთები, პირდაპირი მოვალეობის გარდა, გასაბერი ბალიშის ფუნციასაც შეასრულებდა და დეპუტატებიც ხალხზე ფიქრისგან გასივებულ თავებს რბილად ჩამოდებდნენ „მერხებზე", ხოლო სპეციალურ სახელმძღვანელოებში შეტანილი იქნებოდა ეთიკის ნორმები და ლოცვები ძილის წინ და ძილის შემდეგ (ეს დარბაზი ხომ ზედგამოჭრილია კოლექტიური გამოძინებისთვის).

მაგრამ ვაი, რომ იმ ავბედით პირველივე დღეს, გასაბერი ჩანთებიც რომ ჰქონოდათ, გამოძინება არავის ეწერა, რადგან მემარჯვენე ოპოზიციისა და უმრავლესობის წევრებმა უტყემლოდ დაჭამეს ერთმანეთი. რა თქმა უნდა, არაფრის გამო, მხოლოდ საჩვენებელი სახალხოდ დაჭ(და არა ჯ)მის გამო. რას იზამ?.. ზღვაზე დაისვენეს და ხომ იცით, წყალმა მოშივება იცის...

არც სახელმწიფო კანცელარიაში იდგა ნამეტნავად მშვიდი ამინდი. ამის მიზეზი ისევ და ისევ მოუსვენარი ოპოზიციონერი და ამავე დროს მედგარი ლეიბორისტი გახდა, რომელმაც ხელისუფლების წევრთა დიზაინერობა იკისრა: გადაწყვიტა, მათ ჩაცმულობაზე ეზრუნა და მამა-მარჩენალს – ფარჩის კაბა, პარლამენტის თავმჯდომარეს კი – შაჰიდის ქამარი შესთავაზა.

თუმცა, მოდელიერობის არანაკლები პოტენციალი გამოამჟღავნა მძიმეწონოსანმა სახელმწიფო მინისტრმა (შერიგების დარგში), რომელმაც საპასუხო პრესკონფერენცია გამართა. და... აუ, ტელევიზორი რომ ჩავრთე, მართლა გასაბერი ლეიბის რეკლამა მეგონა, მაგრამ მერე ვიცანი, რომ ეს სწორედ ის ზორბტანიანი სახ-მინისტრი იყო და დაჟინებით იძახდა: ბატონ შალვას ლიკრის „კოლგოტკა" უნდა ჩავაცვა, ძალიან მოუხდებაო...

სანამ ჩვენი პოლიტბომონდი საშემოდგომო კოლექციის ჩვენებისათვის ემზადება, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა პირი აიქაფა – არ ვიცით, სადაა ტერორისტების ბუდე, თორემ ეგრევე დავბომბავდითო... ვერ გეტყვით, მისტერ რიჩარდ მაილსი აშშ-ის ელჩია თუ რუსეთის, რადგან ეტყობა, კომპასი დაეკარგა და ყველასათვის მოულოდნელად განაცხადა, პანკისში არიან ტერორისტებიო – „ნაკოლის" მიცემაც ასეთი უნდა... მაგრამ რუსეთმა პანკისს კოდორი არჩია. იფ... ვენაცვალე სულში! ჩვენ ვასწავლით რუსეთს, სად უფრო აძლევს ხელს, რომ ტერორისტების ბუდე გვქონდეს?!. ამიტომ რამდენიმე ვერტმფრენმა შემოგვიფრინა და ზემოდან დაგვხედა – ემანდ წყალს ხომ არ მიმღვრევთო?..

ჩვენ კი პანიკა ავტეხეთ – როგორ გაბედა და საზღვარი გადმოლახაო!.. სასაცილოა, პირდაპირ: სად ნახეს ცაში საზღვარი?! სასაზღვრო ბოძია დარჭობილი თუ მავთულხლართია გაბმული?.. თვითონ თავდაცვის მინისტრმა კი, თავი მოიწონა – ჩამოგდებაც კი შეგვეძლო, მაგრამ გადავიფიქრეთო...

თავი დაანებე, რა გეშარება, თუ ძმა ხარ?! თუნდაც ბომბი ჩამოაგდოს – რა მოხდა მერე?.. ის ბომბი სულ ნახევარი მეტრის სიგრძისაა და რომ ხედავ, თავში გეცემა, გაიწიე პაწა, ვითომ არც შეგიმჩნევია და ფეხებთან დაეცემა; ამოდენა ვერტმფრენს კი, რომ ჩამოაგდებ, რა გარანტია გაქვს, რომ მართლა თავში არ დაგეცემა?.. ჰოდა, გაუშვი, იფრინოს! რუსეთის ვერტმფრენი ხომ მშვიდობის მტრედადაა აღიარებული მსოფლიოში. ასე რომ, მთავარია, „წითელვარსკვლავა მტრედების" ჩვენს ტერიტორიაზე შემოფრენის ზუსტი დრო და რაოდენობა დავაფიქსიროთ ხოლმე... თუმცა, მალე ყველაფერი „გაიასნდება", რადგან ცხელი შემოდგომის უმთავრესი მოვლენა – „რთველი" ანუ დსთ-ის ქვეყნების სამიტი გაიხსნა ყაზახეთში, სადაც ჩვენი პრეზიდენტი „ბატოოს" მარტო გაშვებას აპირებდა, რადგან – თქვენ არ ხართ ჩემი ჩამოსვლის ღირსიო... – მაგრამ ბოლო მომენტში რატომღაც გადაიფიქრა და თავადაც გაფრინდა. ჩვენ კი დაველოდოთ, ვნახოთ, მისი ვიზიტი რთველი უფრო გამოვა თუ „სიყვარული ვენახში"...

P.S. რუსეთის ანტიტერორისტული სპეცრაზმის ათეული დაზვერვიდან ბრუნდება:

– *Товарищь капитан, ტერორისტების ბუდეს მივაკლიეთ!*

– *Молодцы! როგორ მოახერხეთ?*

– *Нашли зашифрованное письмо, რომელშიც ზუსტადაა მითითებული საეჭვო ადგილის მისამართი. უდავოდ ტერორისტების ბუდეა.*

– *Ану-ка, прочти!*

– *Пожалуйста: „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად, მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს..."*

– *Молодцы, молодцы, солдаты, ახლავე შევატყობინებ პუტინს...*

პროვოკატორი

„წალკელ სომხებს ქართველების ჩასახლება აშინებთ“

— რა მოტივით ეწინააღმდეგებიან ადგილობრივი სომხები აჭარისა და სვანეთის მაღალმთიანი სოფლებიდან წალკის რაიონში ქართული ოჯახების ჩასახლებას?

ვან ბაიბურთი, *პარლამენტის წევრი:*

— სომხური მოსახლეობა წალკის რაიონში „ეკოლოგიური მიგრანტების“ ჩასახლების წინააღმდეგი არ იქნება. მათ იციან ხელისუფლების გადაწყვეტილების შესახებ, რომლის შესაბამისადაც 600-მდე ქართული ოჯახი ამ რაიონში უნდა დასახლდეს. ამის გამო მათ პროტესტი არ გამოუთქვამთ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ წალკელ სომხებს გარკვეული შიში მაინც აქვთ. ეს არანაირად არ უკავშირდება ეროვნულ თუ ეთნიკურ ფაქტორს — მოტივი, კრიმინალური და სოციალური პრობლემებია: წალკაში სხვადასხვა დროს ჩასახლებული ქართველები თავს უფლებას აძლევენ, სომხურ მოსახლეობას მოჰპარონ საქონელი, საკვები და სხვა დანიშნულების საგნები. სომხები მსგავსი ინციდენტების შესაძლო გახშირების გამო გამოთქვამენ შიშს. თუ ხელისუფლება ქართულ მოსახლეობას ახალ საცხოვრებელ ადგილზე მეურნეობის მოწყობაში დაეხმარება, მაშინ კრიმინალის შემთხვევებიც შემცირდება და ქართველებსა და სომხებს შორის დაპირისპირების საფუძველი აღარ იარსებებს. ეთნიკურ-პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირებას არც წალკაში და არც სომხებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა რაიონებში ადგილი არა აქვს და არც ექნება, მით უმეტეს, რომ წალკა აჭარლებისთვისაც და სვანებისთვისაც სამშობლოს ნაწილია და მათ საკუთარ ტერიტორიაზე მიგრაციის უფლებას ვერავინ წაართმევს. ■

„რუხ კარდინალად“ გურამ ვარშალომიძე წარმოგვიდგება“

— როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, აჭარაში საკადრო პოლიტიკა კვლავ გვაროვნულ-ნათესაური პრინციპით ხორციელდება, ბიუჯეტის თანხების განკარგვა კი სრულიად მოკლებულია გამჭვირვალობას. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?

თამაზ დიასამიძე, *პარლამენტის წევრი:*

— აჭარის საკადრო პოლიტიკაში ის რეციდივები, რომლებიც გვაროვნულ-ნათესაური ნიშნით ხალხის დაწინაურებას უკავშირდება, კვლავ იჩენს თავს. ხელისუფლებაში არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნულია ის ხალხი, ვინც აბაშიძის რეჟიმის აქტიურ მხარდამჭერად მოიაზრებოდა. როგორც ჩანს, ეს ადამიანები უფრო ადვილი სამართავები არიან, იმ მებრძოლ ბიჭებთან შედარებით, რომლებმაც ასლან აბაშიძის რეჟიმი დაამხეს... ამ საქმეში „რუხ კარდინალად“ გურამ ვარშალომიძე წარმოგვიდგება, რომელიც 4 წლის მანძილზე, აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი იყო და დიდი როლი ითამაშა აბაშიძის რეჟიმის განმტკიცებაში. ბუნებრივია, მისი შვილი მამის საკადრო რესურსს ეყრდნობა და მასავით ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით განთქმულ ხალხს აწინაურებს. გარდა ამისა, აჭარაში არ არის გამჭვირვალე სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი. ვინ რას ყიდის, სრულიად გაურკვეველია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკებიდან ამოღებული თანხების განკარგვა აბსოლუტურად გაუმჭვირვალედ ხდება. არავინ იცის, ვის რამდენ ფულს ართმევენ და შემდეგ რას ხმარდება ეს თანხა. უმაღლესი საბჭოს წევრებს, გაზრდილი ჯამაგირის გამო, პროტესტის გამოთქმის სურვილი დაეკარგათ. მაშინ, როცა დახურული ინფორმაციის მიღმა, აშკარად კორუფციულ გარიგებებთან გვაქვს საქმე. ■

„უახლოეს მომავალში, ბაზარი სხვა ტერიტორიაზე გადავა“

— თბილისის მერია და საკრებულო დეზერტირების ბაზრის დაკეტვის ინიციატივით გამოდის. დადგება თუ არა ბაზრის გაყიდვის საკითხი?

ზაზა ბეგაშვილი, *თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე:*

— მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, დეზერტირების ბაზრის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა სანიტარული პირობების გაუმჯობესება. ის პროდუქტები, რომლებიც დღეს ბაზარში იყიდება, მომწამვლელია. თუ მოსახლეობამ იმ პროდუქტების შეძენა განაგრძო, რომლებითაც დღეს ვიკვებებით, კატასტროფა გარდაუვალი იქნება. ყველა მშვენივრად ვხედავთ, თუ ხორცი და სხვა მალფუჭებადი პროდუქტები, რომლებიც ბაზარში იყიდება, რა სანიტარულ პირობებში ინახება. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პროდუქტები XVIII საუკუნეში გამოშვებული მიკროსკოპით მოწმდება. ასე გაგრძელება შეუძლებელია. ჩვენ არ ვაპირებთ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე თვალის დახუჭვას. ამის უფლება არ გვაქვს. ამ ეტაპზე, ბაზრის დახურვა და მისი ძირფესვიანად შემოწმება უნდა განხორციელდეს. თუ დეზერტირების ბაზრის დირექცია ჩვენს მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, მაშინ გასხვისებასაც არ გამოვრიცხავთ. არსებობენ ინვესტორები, რომლებმაც „დეზერტირების“ შესყიდვის სურვილი უკვე გამოთქვეს. რაც შეეხება თავად ბაზარს — მოქმედი საინვესტიციო წესების თანახმად, ის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებიდან 100 მეტრის დაშორებით უნდა განთავსდეს, ამიტომ უახლოეს მომავალში, ბაზარი სხვა ტერიტორიაზე გადავა. შეირჩევა ისეთი ადგილი, რომ არც მოსახლეობა დაზარალდეს და არც მოვაჭრეები. ■

„ანტიეროვნული კანონის დამტკიცებას ვერავინ ეღირსება“

— განათლების რეფორმასთან დაკავშირებით შემუშავებულ კანონპროექტს საზოგადოებაში არაერთი ოპონენტი გამოუჩნდა. ზოგიერთმა ეს პროექტი უკვე ანტიეროვნულადაც კი მონათლა...

ნოდარ გრიგალაშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— ჩვენს კომიტეტს იმ კანონპროექტთან დაკავშირებით რომელიც დღეს არის შემუშავებული, ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი შენიშვნა აქვს. მაგრამ ის ქარიშხალი, რომელიც გარეთაა დატრიალებული, მეჩვენება, რომ ნაადრევია. კანონპროექტი ოფიციალურად პარლამენტში შემოტანილი არ არის, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ იმ წინადადებებს, რომლებიც კომიტეტის წევრებში ეჭვს იწვევს, საკანონმდებლო ორგანოში შემოტანამდე კანონპროექტიდან ამოიღებენ. განათლების სისტემაში სერიოზული რეფორმებია გასატარებელი. მაგრამ იმ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის მოსაწონი არ არის, კანონად ვერ ვაქცევთ. არ მინდა, კანონპროექტის პუნქტებზე კონკრეტულად საუბარი მანამ, სანამ ის პარლამენტში არ შემოვა. თუმცა ერთი რამ ფაქტია — ანტიეროვნული, ხალხის საწინააღმდეგო და განათლების შემაფერხებელი კანონის დამტკიცებას ვერავინ ეღირსება. ■

„გაზის ტარიფი შემცირდება“

— პარლამენტის ოპოზიციური ფრაქცია სემეკისგან, ლარის კურსის გამყარების პარალელურად, გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას მოითხოვს. იგეგმება თუ არა არსებული ტარიფის კორექტირება?

გიორგი თავაძე, *სემეკის თავმჯდომარე:*

— დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ითვლება დამოუკიდებელ სტრუქტურად და მის სატარიფო პოლიტიკაში ჩარევისა და

მასზე კონტროლის განხორციელების უფლება არავის აქვს. სემეკი პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ჩვენ, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ვადგენთ ტარიფს და ვთავაზობთ მომხმარებელს. ლარის კურსის გამყარება სატარიფო ნიშნულზე თავის გავლენას მოახდენს, მაგრამ ეს მხოლოდ კურსის სტაბილურობის მიღწევის შემდეგ მოხდება. დღეს ტარიფის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია, თელასმა იმპორტი აღარ განახორციელოს და ზამთრის წინ, ჩვენი მოსახლეობა ელექტროენერგიის შეწყვეტის საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს. გარდა ამისა, კანონში არ არსებობს მოთხოვნა — ვალუტის კურსის ცვლილება ელექტროენერგიის ტარიფზე უნდა აისახოსო. ასეთი ჩანაწერი მხოლოდ „გაზის შესახებ კანონში“ გვხვდება. ამიტომ სემეკმა ბუნებრივი აირის ტარიფის გადახედვა დაიწყო და უახლოეს ხანში მოხდება ბუნებრივი აირის ტარიფის კორექტირება, რაც 2 ან 3 თვითრით შემცირებაში გამოიხატება. ამ ეტაპზე მეტის გაკეთება შეუძლებელია. ■

კონფლიქტის ზონაში საჯარისო კონტინგენტის როტაცია იგეგმება

— გავრცელებული ინფორმაციით, კონფლიქტის ზონაში შინაგანი ჯარის შეყვანა იგეგმება. თქვენი აზრით, რას უკავშირდება ეს გადაწყვეტილება და როგორ მიიღებენ ამას დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები?

მიხეილ ძარელი, *პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში:*

— კონფლიქტის ზონაში თავდაცვის სამინისტროს ჯარის, შინაგანი ჯარით ჩანაცვლება შესაძლებელია, მართლაც განხორციელდეს. მსგავსი როტაცია, ჩემი აზრით, არანაირ პრობლემას არ შექმნის. ამ ეტაპზე, შინაგანი ჯარი უფრო ორგანიზებულად და კოორდინირებულად იმოქმედებს, ვიდრე თავდაცვის უწყების ქვედანაყოფი. არა მგონია, ამან კონფლიქტის ზონაში დაძაბულობა შეიტანოს. თანაც, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა რეაქციაზე მეტად, ჩვენი მოსახლეობის ინტერესების დაცვა გვაინტერესებს, მით უმეტეს — იმ ფონზე, როცა კოკოითის მხრიდან პროვოკაციული ქმედებები არა და არ წყდება: მიმდინარეობს სანგრების გათხრა, მოხდა ადამიანის გატაცების რამდენიმე ფაქტი და ქართველი მძევლები საშინლად ნაცემები დააბრუნეს შინ. იმ ფონზე, როცა სიტუაცია კვლავ ფეთქებადსაშიშ ხასიათს იძენს, საჭიროა, კონფლიქტის ზონაში გამოცდილი და საკუთარი საქმის მცოდნე კონტინგენტი იმყოფებოდეს. თავის დროზე, ცხინვალის რეგიონში შინაგანი ჯარის შეყვანას გენერალი ნაბზდეროვი ეწინააღმდეგებოდა. ბუნებრივია, მისთვის საზიანო გადაწყვეტილება, ჩვენს ქვეყანას მომავალში სასიკეთოდ წაადგება. ■

რუსეთის ღია აგრესია, საჰაერო სივრცის ჩაკეტვის მცდელობა, ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო მიმოსვლის შეფერხება და პრევენციული დარტყმების შესახებ გაკეთებული განცხადებები ოფიციალურ თბილისს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის იმედს უკარგავს. დსთ-ის სამიტზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისას სააკაშვილი პუტინთან კონსტრუქციული დიალოგის წარმართვას აპირებს. თუმცა, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, ამ შეხვედრის დროს უნდა გაცხადდეს რუსეთთან მომავალი ურთიერთობის რეალური სტრატეგია. ან რუსეთი ადეკვატურად შეაფასებს შექმნილ სიტუაციას, ან საქართველო მკვეთრი გადაწყვეტილებებისთვის უნდა მოემზადოს — ასეთია პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ჯოტე გაბაშვილის პოზიცია, რომელიც ორ ქვეყანას შორის დაწყებული „ცივი ომის“ პირობებში რუსეთის მხრიდან მცირემასშტაბიან შეიარაღებულ პროვოკაციებსაც არ გამორიცხავს.

„...საქართველო ძალზე მკვეთრ მოქმედებებზე ველოდ-ბადავილდ“

ხათუნა მაღრაძე

— იმაზე უარესი, რაც დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის ხდება, მხოლოდ ხელჩართული ომი შეიძლება იყოს, მაგრამ წარმოუდგენელია, კრიზისი გამუდმებით ურთიერთობების ვარდნის გზით მიემართებოდეს. არავჯანსაღი პოლიტიკური ნაბიჯების შემდეგ, აუცილებლად უნდა დაიწყოს კონსტრუქციული ფონის შექმნა. მას შემდეგ, რაც რუსეთი უფრო რეალისტურად შეხედავს და შეაფასებს შექმნილ სიტუაციას, ანტიქართული ისტერიაც შესუსტდება.

— იმ ანტიდემოკრატიული რეფორმების ფონზე, რაც რუსეთში მიმდინარეობს, რეალისტური შეფასებები რამდენად მოსალოდნელია?

— რუსეთი საშინლად გაღიზიანებულია. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში, 4 ტერაქტი გადაიტანა, რომელმაც 1500-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. აღმოჩნდა, რომ რუსეთის ფედერაციას არც თავდაცვა უვარგა, არც მილიცია და უშიშროება. პუტინმა გამოსავლის ძიებისას გადაწყვიტა, დემოკრატიის დასამარების ხარჯზე სახელმწიფოებრივი სისტემა გააძლიეროს. ეს პროცესი ბუნებრივია, საქართველოსაც შეეხება. ჩვენს ინტერესებშიცაა, რუსეთში დემოკრატიული ძალების მომძლავრება ჯანსაღი სახელმწიფოებრივი მიდგომის საფუძველზე და არა იმ მარგინალური პოლიტიკური ინიციატივების განხორციელებაზე დაყდნობით, რომლებიც ცილისწამებასა და ძალადობაზეა აგებული.

— ტერორისტებზე საუბრისას, სერგეი ივანოვი აცხადებს, რომ მოსკოვი პრევენციულ დარტყმებს განახორციელებს ყველგან, სადაც კი ამას საჭიროდ ჩათვლის. ივანოვი ამ შემთხვევაში, ალბათ, საქართველოსაც გულისხმობდა, არა?

— მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ძალზე დაბნეულია, არა მგონია, ასეთ პროვოკაციაზე წავიდეს. მსოფლიო ახლა სხვა პრინციპებით ცხოვრობს. ერთი სიტყვაც კი უმალ გამოხმაურებას იწვევს ოკეანის გადაღმა. ასეთ პირობებში, საქართველოზე პრევენციული დარტყმების განხორციელება გამორიცხულია. შეიძლება რუსეთმა, შეურაცხყოფის მიზნით, კოდორის ხეობაში ხანდახან თვითმფრინავები „გამოასეირნოს“, პატარ-პატარა შეიარაღებული ინციდენტები მოხდეს, მაგრამ სერიოზულ კონფლიქტში ჩათრევას ვერ გაბედავს.

— დსთ-ის სამიტზე შეხვედრისას, რა უნდა შესთავაზოს მიხეილ სააკაშვილმა პუტინს?

— პირველ რიგში, უნდა შესთავაზოს პირდაპირი, ღია საუბარი და იმ ბრალდებებში გარკვევა, რომლებიც საქართველოს მისამართით გაჟღერდა. ხომ შეიძლება, ამ „მითებს“ პუტინის გარემოცვის წევრები იგონებდნენ და პრეზიდენტს არწმუნებდნენ უსაფუძვლო ბრალდებების ჭეშმარიტებაში?! სააკაშვილი უნდა ეცადოს, კონსტრუქციული დიალოგის პირობებში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. გარდა ამისა, დროა, შემუშავდეს რეალისტური სტრატეგია რუსეთთან ურთიერთობაში. ლოიალური დამოკიდებულება უფრო მკვეთრით უნდა შეიცვალოს. რუსეთი ან შეწყვეტს ახირებული ბავშვივით ნერვებზე თამაშს, ან საქართველო ძალზე მკვეთრ მოქმედებებზე უნდა გადავიდეს.

— მკვეთრ მოქმედებებში რას გულისხმობთ?

— გაართულოს სავიზო რეჟიმი, აღკვეთოს იმ თვითმფრინავების მიმოსვლა, რომლებიც საქართველოში რუსეთის ბაზების მიმართულებით მოძრაობენ, მოითხოვოს არა მხოლოდ ბაზების გაყვანა, არამედ არსებული დავალიანების დაფარვა რუსეთის მხრიდან. ჩვენ სიტუაციის გამწვავება არ გვინდა, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის იქით თავშეკავების ყველა რესურსი ამოწურულად ითვლება.

— ექსპერტთა აზრით, რუსეთი საქართველოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში გაერთიანებას მოსთხოვს. როგორ შეხვდება სააკაშვილი ამ წინადადებას?

— ოფიციალური თბილისი სამიტის დაწყებამდე ავიქსირებდა მკვეთრად უარყოფით პოზიციას ამ კოალიციაში გაერთიანებასთან დაკავშირებით. უკრაინისა და მოლდოვის მსგავსად, საქართველო ამ ნაბიჯის გადადგმას არ აპირებს. კოალიციური თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბება ჩვენ არ გვაინტერესებს. მისი წევრები არც ვყოფილვართ და არც გავხდებით. გამორიცხული არ არის, რომ პუტინმა საქართველოს, ულტიმატუმის სახით, დსთ-ის უსაფრთხოების სისტემაში გაერთიანება მოსთხოვოს. თუ პრეზიდენტების შეხვედრის დროს ან მოგვიანებით ეს საკითხი წამოიჭრა, მაშინ ორ ქვეყანას შორის საუბარი საკმაოდ მძიმედ წარიმართება. მაგრამ რუსეთის მხრიდან აგრესიის კიდევ უფრო გამძაფრების შემთხვევაშიც კი, საქართველო პოზიციის შეცვლას არ აპირებს. ■

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
ძარ-შანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადახურვები
ფასს: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 03; 92 14 95.

„ეტალონს“

შეგვიძლია, მომავლის პროექტიც ვუნოდოთ“

დიანა ჭანკოტაძე

ტელეკომპანია „მზისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივი ყოველკვირეული გადაცემა „ეტალონის“ ეთერში გამოჩენას უკვე უამრავი ბავშვი ელოდება. ყველა მათგანს სურს გადაცემაში მონაწილეობის მიღება, რადგან მათ იციან, რომ პროექტის ავტორებისა და პარტნიორებისგან მრავალი ჯილდო ელით. მთავარი პრიზი კი, მაინც 50-ლარიანი სტიპენდიაა, თუმცა, განათლების რეფორმის პროექტის — „ილია ჭავჭავაძის“ დირექტორი გიგი თევზაძე, „ეტალონში“ გამარჯვების მიღწევას, ყველაზე უფრო საამაყოდ მიიჩნევს. პროექტი „ილია ჭავჭავაძე“, ისევე, როგორც განათლების სამინისტრო (ასევე თბილისის საკრებულო და მერია) „ეტალონის“ პარტნიორები არიან. მინისტრმა კახა ლომაიამ უკვე გამოყო შესაბამისი ჯგუფი, რომელიც პროექტის ავტორებთან ითანამშრომლებს, ცხადია — მისი მეთვალყურეობით. რაც შეეხება ბატონ გიგი თევზაძეს — იგი საფუძვლიანად გაეცნო პროექტის შინაარსს და საკუთარი შეხედულებანი გაუჩნდა.

— ბატონო გიგი, რა რეფორმებს ახორციელებს თქვენი პროექტი — „ილია ჭავჭავაძე“?

— ეს არის პროექტი, რომელსაც ადრე, საკმაოდ გრძელი და მოუხერხებელი სახელი — „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და ცვლილებების პროექტი“ — ერქვა. ჩვენ მას შევუცვალეთ არა მხოლოდ სახელი, არამედ შინაარსიც. იგი გახდა ორიენტირებული რეალურ რეფორმასა და ცვლილებებზე. ეს შეეხება, როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ საკითხებსაც. გამომდინარე იქიდან, რომ ყველაფერს სწორად ვგეგმავთ, დღესდღეობით, ძალზე ბევრი სამუშაო გვაქვს. უფრო ადვილი გასაგები რომ გახდეს, მაგალითს მოვიყვან. ვთქვათ, შეუძლებელია მისაღები გამოცდების შეცვლა, თუ არ დაიწყე უმაღლესი განათლების რეფორმაზე ზრუნვა და ა.შ.

— რა ცვლილებები განახორციელა განათლების სამინისტრომ ამ სასწავლო წლის დასაწყისისთვის?

— პირველი, რაც მისალოცია, როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის, ის გახლავთ, რომ მათ აღარ ექნებათ მძიმე დატვირთვა. ბავშვებს აღარ მოუწევთ 8-9 საათის განმავლობაში გაკვეთილებზე ჯდომა, ხოლო მასწავლებლებს კვირაში 30 საათის ჩატარება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვები მიიღებენ იმაზე ნაკლებ ცოდნას, ვიდრე აქამდე — უბრალოდ, ჩვენ გავზარდეთ სასწავლო კვირების რაოდენობა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მასწავლებლებს მეტი დრო დარჩეთ საკუთარ თავზე სამუშაოდ, ხოლო ბავშვებმა თავიდან აიცილონ სკოლიოზი, რაც მერხთან უამრავი საათის გატარებით იყო გამოწვეული.

— საგნების შემცირება ან დამატება თუ მოხდა?

— წელს არანაირი ახალი საგნის დამატება არ არის მოსალოდნელი. აგორდა ჭორი, თითქოს განათლების სამინისტრომ სასწავლო პროგრამიდან ამოიღო რაღაც საგნები. ეს ნამდვილად არ მომხდარა. ჩვენ გავამარტივეთ ადრინდელი სისტემა — ანუ სკოლებს არჩევანის გაკეთების საშუალება მივეცით. არსებობს მინიმალური და აუცილებელი საგნები. ვთქვათ, რელიგიის ისტორია თუ მითოლოგია არასდროს ყოფილა აუცილებელი საგანი. ყველა სკოლას დღეს აქვს საშუალება, თვითონ დაუმატოს პროგრამას ესა თუ ის საგანი; თუ სურვილი აქვს, შეუძლია ბავშვებს ასწავლოს ყველაფერი ის, რისი სახელმძღვანელოც კი მოეპოვება. ჩვენ მათ ასევე მივეცით იმის საშუალება, რომ ვთქვათ, ქართულის ხარჯზე, ასწავლონ უფრო მეტი ქიმია ან პირიქით, ქიმიის ხარჯზე — ქართული. ერთი სიტყვით, სკოლა მაქსიმალურად თავისუფალია, რაც პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ განათლების სისტემაში რეფორმა განხორციელდეს. სამინისტრო აღარ ერევა სკოლების სასწავლო პროგრამაში — მხოლოდ შეამოწმებს მათ ხარისხს.

— განათლების სისტემაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებთ ტელეკომპანია „მზისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივ პროექტ „ეტალონს“?

— ჩვენ ისევე, როგორც განათლების სამინისტრო და პირველ რიგში, მინისტრი კახა ლომაია, პროექტ „ეტალონის“ პარტნიორები გახლავართ. უნდა გითხრათ, რომ როგორც კი პროექტის ავტორები დაგვიკავშირდნენ, მინისტრმა მაშინვე დაუჭირა მას მხარი. ხოლო რაც შეეხება მე — როცა ყველაფერს გადავხედე, რაღაც შეკითხვები გამიჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის ფორმა ძალზე ახალია, მომეჩვენა, თითქოს კითხვების დასმის სისტემა მექანიკურ დამახსოვრებაზე იყო აგებული — ანუ ბავშვმა უნდა ჩაიბეჭდოს თავში რაღაც თარიღები თუ წესები, იმისათვის, რომ გადაცემაში გაიმარჯვოს. როდესაც პროექტის ავტორებს დაველაპარაკე, სულ სხვანაირი სურათი გადამეშალა. მათ გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი, რაზეც ცხადია, სიხარულით დავთანხმდით და დავახმარეთ ჩვენი კონსულტანტები, რომლებმაც იციან, თუ თანამედროვე მოზარდისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის რა კითხვების დასმაა საჭირო. ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოვახერხებთ ისეთი კითხვების სისტემის შემუშავებას, რომელიც განუვითარებს მოზარდებს ანალიზის უნარს, რათა მათ შეძლონ, პასუხი გასცენ არა მარტო ცოდნასა და ინფორმირებულობაზე, არამედ ფაქტისა თუ მოვლენის შეფასებაზე დაყრდნობით.

— თუ სწორად მივხვდი, „ეტალონი“ გახდება მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს კითხვა-პასუხის თანამედროვე სტანდარტი?

— მართალი ხართ. ეს გადაცემა იქნება თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იმსჯელოს ბავშვმა ამა თუ იმ კითხვაზე პასუხის გაცემისას: მაგალითად, არ შემოიფარგლოს მის მეხსიერებაში ჩაბეჭდილი თარიღით ან რაღაც სხვა ციფრით. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ პროექტის ავტორები მოვიდნენ ჩვენთან, ამით შესანიშნავი შანსი მოგვეცა იმისა, რომ დავნერგოთ გარკვეული პრინციპები ტელევიზიის და კონკრეტული გადაცემის საშუ-

ალებით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა ძალიან წარმატებული იქნება და სულ ცოტა ხანში მივიღებთ ისეთ „ეტალონს“, რომელიც ძალიან თანამედროვე და მართლაც მისაბაძი იქნება.

— ეი. თქვენი აზრით, ეს პროექტი გაამართლებს იმედებს?

— ამ პროექტში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რამაა ჩადებული. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ 50-ლარიანი სტიპენდიით ავკილდოებს, როგორც გამარჯვებულ მოსწავლეს, ისე მის კლასის დამრიგებელს. მეორე და ძალზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოხდება ცოდნის ძალის დემონსტრირება. ამ გადაცემაში დადებითი ისიცაა, რომ ექნება აღმზრდელობითი ხასიათი — ის მნიშვნელოვან ღირებულებათა დანერგვასაც მოემსახურება.

— თქვენი ვარაუდით, რამდენად აქტიურად ჩაებმებიან ამ კონკურსში ბავშვები?

— ვფიქრობ, რომ თამაშში ყველა ჩაებმება, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს არის ძალიან კარგი შეჯიბრი, სადაც თავიანთი ცოდნის გამოვლენას შეეცდებიან. ამ შეჯიბრის დადებითი მხარე ისიცაა, რომ წაგების შემთხვევაში, შეეძლებათ თავიდან ითამაშონ და გაიმარჯვონ... დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი, ჩვენ მივიღებთ კიდევ უფრო სახალისო კითხვებს, რომლებიც ბავშვებს ნამდვილად მოეწონებათ.

— რას ნიშნავს ამ პროექტთან განათლების სამინისტროსა და თქვენ პროექტის პარტნიორობა?

— მე მგონი, ეს პარტნორობაზე გაცილებით მეტია — ანუ შეიძლება ითქვას, რომ მისი ავტორებისა და ჩვენი ერთობლივი პროექტია. მთავარი აზრი კი ჩვენთვის ის არის, რომ მოვახდენთ იმ თანამედროვე იდეების გავრცელებას, რომლებიც მაქსიმალურად ავითარებს ადამიანს. მიმაჩნია, რომ ბავშვისთვის ძალზე საამაყო იქნება „ეტალონში“ გამარჯვების მიაღწევა — იმდენად, რომ სხვა შეღავათებსა თუ პრივილეგიებზე საუბარი ზედმეტიც კია... თუმცა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და შემდგომში, შესაძლოა, უკვე დადგენილ ჯილდოებს, ჩვენი მხრიდანაც დაემატოს რაიმე... მისასალმებელია ისიც, რომ ეს პროექტი ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით და განათლების სრულყოფას ემსახურება. ჩვენ ყოველკვირეულად მივადევნებთ თვალს გადაცემა „ეტალონს“ და თანამშრომლობის გზით შევუწყობთ ხელს მის წინსვლას. მიმაჩნია, რომ ეს არის შესაძლებლობების გამოცდის თამაში, რომელშიც ყველა მოსწავლე უნდა ჩაებას, თუ რა თქმა უნდა, ისინი ფიქრობენ თავიანთ მომავალზე — რადგან „ეტალონს“ შეგვიძლია, მომავლის პროექტიც ვუწოდოთ. ■

დღეს ბევრი გოგონა საკუთარ თავს ხშირად უსვამს კითხვას: რა ჯობია — გარიგებით გავთხოვდე თუ სიყვარულითო? სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე ხშირად, სიყვარულით შექმნილი ოჯახები ინგრევა. „ასე ალბათ იმიტომ ხდება, რომ შეყვარებული ვაჟის ცუდ მხარეებს ველარ ხედავ, შენს რჩეულს ილუზიებში წარმოდგენილ პრინცს ადარებ და გგონია, მას რომ არ გაჰყვე ცოლად, უბედური იქნები“, — მითხრა ხათუნა ჟორდანიამ, რომელიც სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ, სიყვარულით გათხოვდა...

ხათუნა ჟორდანია: შუაგზიდან ვუყვარდი...

მერი კობიაშვილი

— ხათუნა, შეყვარებული ბევრჯერ ყოფილხარ?

— ბავშვობიდან მერაბის (ჩემი ძმის) შიში და მორიდება მქონდა. ის კი, საკმაოდ დიდი ხანი ფიქრობდა, რომ სიყვარულისთვის პატარა ვიყავი. ამიტომ შეყვარებული არ მყავდა არც საბავშვო ბაღში და არც სკოლაში. თაყვანისმცემლებისგან განებივრებული კი ნამდვილად ვიყავი. ყველაზე „გამოკვეთილად“ ერთ პლეხანოველ ბიჭს ვუყვარდი (მაშინ ჩვენც პლეხანოვზე ვცხოვრობდით). მისი შიშით უბანში ზედმეტად ხმას ვერავინ მცემდა. სულ მაკონტროლებდა, თუ სად მივდიოდი. ერთხელ სახლამდე ჩემი ძმის ძმაკაცმა, ფეხბურთელმა ვაჟა ყვანიამ მომაცილა, ჩვენივე მანქანით. ვაჟას იმ პერიოდში წვერი ჰქონდა მოშვებული. ჩემმა თაყვანისმცემელმა ეტყობა, ვერ იცნო და ძმაკაცებთან ერთად, საცემრად გაეკიდა. მერე ვაჟა ჰყვებოდა — ძლივს დავუსხლტი ხელიდან, რა კარგია, ფეხბურთელი რომ ვარ და სწრაფად სირბილი შემიძლიაო... იმ ბიჭის სიყვარული იმაშიც გამოიხატებოდა, რომ თუ სადმე სტუმრად მივიდოდა და ჩემს სურათს ნახავდა, იპარავდა... საკმაოდ დიდხანს ვუყვარდი, მერვე კლასიდან — ინსტიტუტის დამთავრებამდე. სანამ გავთხოვდებოდი, ტელეფონზე მირეკავდა ხოლმე. როგორც აღმოჩნდა, გათხოვების შემდეგაც ვყვარებივარ. სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ამბობენ, ელენთა გაუსკდა; გადარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ ექიმების შეცდომის გამო გარდაიცვალაო. მისი სიკვდილის შემდეგ, ოთახში უამრავი ჩემი სურათი აღმოუჩენიათ... ვერ გეტყვით, ის ბიჭი რატომ არ შემიყვარდა. რაღაც სიმპათია ნამდვილად მქონდა, რადგან ტელეფონით ვესაუბრებოდი ხოლმე, მაგრამ არ მიყვარდა. ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ, გარეგნულად არ მომწონდა. ჩემს ცხოვრებში პირველად ვინც გარეგნულად მომეწონა, ჩემი მომავალი მეუღლე თეკუჩი ქარსელაძე იყო.

...ზუსტად ერთი წლის მერე გაჩნდა ნინი

— მომავალი მეუღლე როგორ გაიცანით?

— 15-16 წლის წინ, მერაბს „ბე-ემ-ვეს“ მარკის მანქანა ჰყავდა (მაშინ თბილისში საზღვარგარეთული მანქანით არავინ დადიოდა). საჭესთან მე რომ ვჯდებოდი, ყველას ყურადღებას ვიქცევდი. ერთხელ, ჩემი მშობლები მერაბთან ერთად საზღვარგარეთ წავიდნენ. მათ რომ ვაცილებდი, ვარაზისხევში, შუქნიშანთან რამდენიმე წამით შევჩერდი. გვერდით მანქანა გაჩერდა. ფანჯრიდან ბიჭმა ინ-

ნინი ქარსელაძე მამასთან, თეკუჩისთან ერთად

ტერესით გამომხედა და წავიდა. მე კი დიდხანს გაშტერებული ვიდექი შუქნიშანთან — წითელი, მწვანე და ყვითელი ფერები ერთმანეთს ცვლიდა, მე კი გარე სამყაროსგან გამოთიშული ვიმეორებდი: ეს ბიჭი ვინ იყო-მეთქი?.. მოგვიანებით, თეკუჩი მიყვებოდა, რომ დავინახე, საზღვარგარეთული მანქანის საჭესთან იჯექი, რომელსაც რუსული ნომრები ჰქონდა, ვიფიქრე — ვიღაც რუსი ნაშა იყავიო... მე მისით დანახვისთანავე მოვიხიბლე. ასეთი კარგი გარეგნობის ბიჭი თბილისში არ მენახა. მასზე ამბობდნენ კიდეც, გრეგორი პეკს ჰგავსო... ახლა, რა თქმა უნდა, ის სილამაზე სანახევროდაც აღარ შემორჩა, მაგრამ თუ კარგად დააკვირდები, მიხვდები, რომ ერთ დროს, მართლაც, ლამაზი ბიჭი იყო.

— მისი გაცნობა როგორ მოახერხე?

— ჩემი მშობლები საზღვარგარეთ რომ მიდიოდნენ, სახლი ჩემი მეგობრებით ივსებოდა. გვიანობამდე არ ვიძინებდით, ბევრს ვხალისობდით. თეკუჩი პირველად რომ დავინახე, ზუსტად იმ დღეს, ჩემი მშობლები გავაცილე. საღამოს სახლი ჩვეულებისამებრ, მეგობრებით გაივსო. იმ დროს თბილისში ტელეფონომანია იყო გავრცელებული. ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა გადაწყვიტა, თეკუჩის ძმასთან გიასთან დაერეკა (თბილისში ორივე ძმა კარგი გარეგნობის ბიჭებად იყვნენ ცნობილი), მაგრამ ყურმილი თეკუჩიმ აიღო. ცნობილი იყო, რომ მე ტელეფონით საუბრის გაბმა არ მეხერხებოდა, ამიტომ საუბრის დაწყებას არ მანდობდნენ ხოლმე. მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი თეკუჩის 4 საათი მაინც ელაპარაკა, ყურმილი მე მომაწოდა. დაწყებული საუბრის გაგრძელება ადვილი აღმოჩნდა. თეკუჩი ჩემით დაინტერესდა. ერთმანეთს რომ დავემშვიდობეთ, დავპირდი, დაგირეკავ-მეთქი. მეორედ რომ დავურეკე, თეკუჩიმ მთხოვა, ერთმანეთს შევხვედროდით. ქუჩაში შეხვედრა არ მინდოდა, მეშინოდა, ვინმეს არ დავენახეთ, ამიტომ შეხვედრა ჩემს სახლში დავუთქვი. მაშინაც უამრავი მეგობარი იყო ჩემთან. თეკუჩის სხვადასხვა მუსიკას ვასმენინებდით (მაშინ თბილისში რუსული ესტრადა იყო მოდაში). თავიდან ვერც კი ხვდებოდა, ვის ელაპარაკა ტელეფონზე. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ყველაფერში გაერკვა. იმ დღიდან, ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. მივდიოდით „ლაღიძეში“, მის მეგობრებთან, ოღონდ, მარტო არასდროს წავსულვარ. ერთხელ მკითხა კიდეც — პაემანზე „დეკი სადთან“ ერთად მოდიხარო?..

— პაემანზე მარტო წასვლა როდის გაბედე?

— გაცნობიდან 6-7 თვის შემდეგ. პაემნისთვის მომზადებას ჩემთვის ბევრი დრო არ წაურთმევია. სულ რაღაც 20 წუთში მზად ვიყავი. მახსოვს, მეგონა, შიშისგან გული გამისკდებოდა. იმ დღეს, თბილისის ქუჩებში მანქანით ვისეირნეთ, ბოლოს, სახლთან რომ მიმიყვანა, დასამშვიდობებლად ჩემი კოცნა დააპირა. მე კი, მანქანიდან ისეთი შეშინებული გადმოვხტი!.. სახლში რომ მივედი, თეკუჩიმ დამირეკა და მითხრა: შენ ცოტა ავადმყოფი ხომ არ ხარ? რა გიჟივით გადმოხტი მანქანიდანო?..

— დაოჯახება მალევე გადაწყვიტეთ?

— ჩემი ოჯახის წევრები ჩვენი შეუღლების საშინელი წინააღმდეგები იყვნენ. მერაბი გამებუტა, კიდეც მასთან რომ დავდიოდი. თეკუჩი კარგი გარეგნობის ბიჭი კი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, მარტო ეს არ არის საკმარისი დედისთვის და მამისთვის, რომ ბიჭი სასიძოდ მოეწონოთ. ამიტომ მე და თეკუჩიმ გადავწყვიტეთ, გავპარულიყავით. თუმცა, გაპარვის გადადება მოგვიხდა, რადგან 1989 წლის 11 აპრილს თეკუჩის ძმა — გია კომენდანტის საათის დროს მოკლეს... ზუსტად ერთი წლის შემდეგ გაჩნდა ნინი. ასე რომ, ჩემი ყოფილი დედამთილისთვის ნინის დაბადების დღე დიდად საყვარელი არ არის, რადგან ეს დღე, მისი შვილის გარდაცვალების დღეცაა...

— გაპარვა როგორ მოახერხეთ?

— მერაბი იმ პერიოდში ლანჩხუთის „გურიაში“ თამაშობდა. სეზონი მთავრდებოდა. მერაბი წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, „გურია“ უმაღლეს ლიგაში გადავიდა. ამ ყველაფრის გამო, ლანჩხუთში დიდი ბანკეტი იმართებოდა, სადაც მთელი ოჯახი ვიყავით დაპატიჟებული. მე განვაცხადე: რადგან მერაბი არ მელაპარაკება, ბანკეტზე არ წამოვალ-მეთქი. დედამ თავის ბიძაშვილ ციცო ნიშნიანიძესთან დამტოვა. სანამ მასთან წავიდოდი, წინადღეს ჩემოდნებით მთელი ჩემი ტანსაცმელი გამოვაპარე სახლიდან. მეორე დღეს, ციცო დეიდას ვუთხარი — ინსტიტუტში მივდივარ-მეთქი, — და თეკუჩისთან ერთად გავიპარე. ამის გამო ციცო დეიდამ ისე ინერვიულა, რომ ავად გახდა. დედაჩემს იქით მოუხდა მისი დაწყნარება... რამდენიმე თვე წყნეთში თეკუჩის ძმაკაცთან ვცხოვრობდით. პირველად, მამაჩემი შეგვირიგდა — ვერ გაძლო უჩემოდ. მაგრამ ეს დედაჩემისგან და ჩემი ძმისგან დამალულად მოხდა. ძალიან ვნერვიულობდი, ჩემი ძმა რომ არ მელაპარაკებოდა და მასთან ურთიერთობა თეკუჩიმ მოაგვარა. დედაჩემს კი, სხვა გზა აღარ დარჩა — უნდა შეგვრიგებოდა. ოღონდ, შემოგვითვალა, ჯერ ციცო დეიდასთვის მოგვეხადა ბოდიში.

— შენი და თეკუჩის გაყრის მიზეზი რა იყო?

— საერთოდ, ვფიქრობ, რომ ოჯახი ადამიანმა 30 წლის მიღწევის შემდეგ უნდა შექმნას. მანამდე მას ადამიანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება უგროვდება. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა არ გავთხოვილვარ (23 წლის ვიყავი), მაინც ბევრი პრობლემა გაჩნდა, რომლის მოგვარებაც ვერ შევძელი. როცა ურთიერთობები მეუღლეებს შორის გაფუჭდება, ჯობს, გაიყარონ.

— მას შემდეგ, არავინ გყვარებია?

— ჩემი აზრით, უსიყვარულოდ ცხოვრება ძალიან ძნელია. თეკუჩისთან დაშორების შემდეგაც მიყვარდა და ახლაც მიყვარს, ოღონდ — მისი ვინაობის გამხელისგან ამჯერად თავს შევიკავებ. ჯერჯერობით — მეორე ოჯახის შექმნას არ ვჩქარობ.

— იმ გოგონებს რა რჩევას მისცემდი, ვინც პირველ პაემანზე წასვლას გეგმავს?

— მათ ვურჩევდი, რომ ნურსად წასვლას ნუ იჩქარებენ. ცხოვრება წინ აქვთ, პაემანზე წასვლას და ბიჭთან სერიოზული ურთიერთობის დაწყებას ყოველთვის მოახერხებენ, მაგრამ მანამდე, ბიჭი კარგად უნდა გაიცნონ. იმავეს ვეუბნები ხოლმე ნინისაც. მისთვის პირველ რიგში, მეგობარი ვარ და შემდეგ უკვე — დედა. ყოველთვის ვურჩევ, არ იჩქაროს. თუ დამივჯერებს, მინდა, ოჯახი რაც შეიძლება გვიან შექმნას...

■

ქალთა საყურადღებოდ!!!

ვამზადებ უნიკალურ სახის მკვებავ კრემს.
ავსებს ფორებს, წმენდს სახეს,
უბრუნებს ახალგაზრდულ იერს.
გთავაზობთ წინასწარი გასინჯვით.
ეფექტი გარდაუვალია!
გასინჯეთ და დარწმუნდით.

იყავით მუდამ ლამაზი!!!

☎ 31-43-03; 8(99) 25-35-05



როდესაც გიორგი ერგემლიძესთან ინტერვიუს ჩასაწერად მივედი და ოჯახის წევრებმა შეიტყვეს, რომ ის ჩვენი „სასიძო“ უნდა ყოფილიყო, მამამ — ბატონმა ნუგზარმა გააფრთხილა: არ დაგავიწყდეს, რომ 5 წელი უნდა ისწავლო და ცოლის მოყვანაზე მერე იფიქროო... თუმცა, გიორგი ასე სულაც არ ფიქრობს და ბატონმა ნუგზარმაც შვილისთვის სხვა რჩევა-დარიგებებიც არ დაიშურა. მაგრამ ამის შესახებ — ბოლოს. ახლა კი, სიტყვა გიორგის მივცეთ:

დაბალი და თმახყჭყჭა ვოგონები – არა!

დანარჩენები – ჰო! ოღონდ, 5 წლის შემდეგ

მარი ჯაფარიძე

— გიო, გაგვაცანი შენი ოჯახი.

— მყავს მამა, ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორი ნუგზარ ერგემლიძე, დედა, 6 წლის ძმა ნიკუშა და ბებია, დედის მხრიდან. ყველანი ერთად და მეგობრულად ვცხოვრობთ. ჩემი ძმა უზომოდ ნიჭიერი ბავშვია. გაცილებით მეტი იცის, ვიდრე მე ვიცოდი მის ასაკში.

— დაგვიხასიათე საკუთარი თავი...

— არ ვარ ბოროტი და ბოღმიანი ადამიანი, არ ვიხვევ წყენას გულში. ვარ ძალზე ჯიუტი. რაც მინდა, იმას მაინც გავაკეთებ; შეიძლება ვიცოდე, რომ ეს ცუდია, მაგრამ მაინც მივაღწევ ჩემსას. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მე სადმე მინდოდა წასვლა, ამ დროს კი ჩემი მშობლები წვეულებაზე მიდიოდნენ და უნდოდათ, რომ მათთან ერთად წავსულიყავი; უთქვამთ — თუ ჩვენთან ერთად არ წამოხვალ, დაგსჯითო, — მაგრამ მე მაინც იქ წავსულვარ, სადაც მინდოდა, დასჯით კი, არასოდეს დავსჯილვარ. ყოფილა შემთხვევა, რომ „ტუსოვკიდან“ დილის 4 საათზე დავბრუნებულვარ, მაგრამ ამის გამო მშობლებთან უთანხმოება არ მქონია.

— წყენას იოლად ივიწყებ?

— გაჩნია, ვინ მაწყენინებს: თუ ადამიანი ჩემთვის არაფერს წარმოადგენს და მის მიმართ არანაირი გრძნობა არ გამაჩნია, ასეთი ადამიანი ვერაფერს მაწყენინებს; მაგრამ თუ ადამიანი ჩემთვის ძვირფასია, მისგან სულ მცირედიც მწყინს, თუმცა არ ვიმჩნევ ხოლმე, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, „ნამიოკებით“ ვეტყვი და მორჩა.

— ოჯახის წევრები უფრო ხშირად, რის გამო გსაყვედურობენ?

— იმის გამო, რომ გარშემო მყოფებისგან ძალზე ბევრს მოვითხოვ. მე მათთვის ვაკეთებ მინიმუმს, მაგრამ ვითხოვ — მაქსიმუმს. ცოტა ეგოისტიც ვარ და ხანდახან ამის გამოც ვღებულობ საყვედურს.

— მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— თუ ცუდ ხასიათზე ვარ, მიყვარს ოთახში მარტო ყოფნა; ამ დროს, ჩემს გემოზე ვაადგილებ ავეჯს, მივათრევ და მოვათრევ აქეთ-იქით, ადგილს ვუნაცვლებ კედელზე სურათებს და ყველაფერს მივალაგ-მოვალაგებ ხოლმე, მაგრამ ასეთი რამ არცთუ ისე ხშირად ხდება.

— მშობლებთან პირადი ცხოვრების შესახებ თუ საუბრობ?

— არა, არასოდეს ვუყვები მათ, ვინ მიყვარს, ვინ მომწონს... ვფიქრობ, ეს საჭირო სულაც არ არის.

— როგორც ვიცი, წელს სტუდენტი გახდი...

— დიახ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავბარე...

— და როგორც მამამ გითხრა, ვიდრე ინსტიტუტს არ დაამთავრებ, არ დაოჯახდები, ხომ?

— მე ასე ვიტყოდი: მთავარია, სიყვარული, თორემ, ცოლის მოყვანა ნაადრევი არასოდესაა. თუ მამაკაცს შეუძლია ოჯახის რჩენა და მატერიალურად უზრუნველყოფა, ასევე შვილის აღზრდა, შეუძლია, ნებისმიერ ასაკში დაქორწინდეს... მე ჯერ არ მიფიქრია ცოლის მოყვანაზე, მაგრამ თუ შემიყვარდება, ვფიქრობ, უკან არ დავიხევ.

— მერე, ოჯახის რჩენა შეგიძლია?

— მე მაქვს საკუთარი შემოსავალი. ვაკეთებ სიმღერების არანჟირებას და ვიღებ შესაბამის ანაზღაურებას. ამიტომ დღესვე შემიძლია, ბინა ვიქირაო და საცხოვრებლად ცალკე გადავიდე, მაგრამ ოჯახთან ერთად ცხოვრება მირჩევნია...

— როგორი გოგონები მოგწონს?

— მირჩევნია გითხრათ, როგორი გოგონები არ მომწონს. გოგონა არ უნდა იყოს დაბალი, რადგან მე მაღალი ვარ და დაბალი ცოლი არ მომიხდება... არ მომწონს ხუჭუჭთმიანი გოგონები. დანარჩენს — სახეს, თვალებისა და თმის ფერს მნიშვნელობას არ ვანიჭებ. საერთოდ, გარეგნობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს — მთავარია, გოგო განათლებული იყოს, რომ მასთან საუბარი არ მოგწყინდეს... მე არასოდეს ვიჩენ ინიციატივას გოგონებთან ურთიერთობისას. თუ პირველი ბიჭი მისგან ვიგრძენი, თუნდაც გამოხედვით ან რაიმე ჟესტით, მერე მე ვიაქტიურებ. თუ არა და, მაშინ ყურადღებასაც არ მივაქცევ.

მთავარია, სიყვარული, თორემ, ცოლის მოყვანა ნაადრევი არასოდესაა

— ბევრი გოგონა გეპრანჭება?

— კი, ბევრი. 14 წლის ვიყავი, როდესაც ერთი გოგონა მირეკავდა და სიყვარულს მიხსნიდა ხოლმე. მაგრამ ამას დღემდე არასერიოზულად ვუყურებ. 2 წლის წინ კი, კონცერტი ჩავატარეთ ლაგოდეხში. იმის შემდეგ, დღემდე უამრავი ლაგოდეხელი გოგონა მირეკავს. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ზოგიერთი მათგანი მირეკავს და თემო ხვიბლიანის ტელეფონის ნომერს მთხოვს, თან იმუქრება — თუ არ მეტყვი, თავს მოვიკლავო... ასე შესაძლოა, შეგიყვარდეს ვინმე უცხოელი, ძალზე დიდი ვარსკვლავი. ჩემი ასე შეყვარება როგორ შეიძლება?! მე ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ: დავდივარ მაღაზიაში, მეგობრებთან, ვსეირნობ, ვჭამ, მძინავს და ა.შ.

— გარკვეული დროით უკაცრიელ კუნძულზე რომ გაემგზავრო და თან ერთი ადამიანის წაყვანის უფლება მოგცენ, ვის წაიყვანდი?



სასურველია, რომ კაცი ფეხზე მყარად იდგეს, როცა ცოლი მოჰყავს. ჩემთვის თუ მოჰყავს, მითხრას...

— ო-ო, ეს ძალზე რთული კითხვაა, არ ვიცი, არ ვიცი... ასეთი ადამიანი ძალზე ბევრია. ცოტ-ცოტა ხნით ყველას წავიყვანდი.

— **სასმელთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?**

— ძალზე მიყვარს ლუდი. ისე კი, არ დამავიწყდება ჩემი პირველი სიმთვრალე. თანაკლასელის დაბადების დღეზე ვიყავი. საკმაოდ ბევრი დავლიე. უზომოდ მთვრალი, მეგობრებმა „ჰომიტანეს“ შინ. ისეთ სახლში ვცხოვრობდით, სადაც ეზოს ჭიშკარი იკეტებოდა. ზარი უნდა დამერეკა და გასაღები ფანჯრიდან გადმოეგდოთ. ზარი დავრეკე, მაგრამ ფეხზე ვერ ვდგები, მეგობრებს ვეყრდნობი, რომ არ წავიქცე. ფანჯრიდან დედამ გადმოიხედა და ძლივს გავაგებინე, რომ გასაღები გადმოეგდო. კიბეზე ფორთხვით ავედი და ოჯახის წევრებს ვუმტკიცებდი: მთვრალი არა ვარ, ერთი ბოთლი „ბორჯომი“ მაქვს დალეული-მეთქი.

— **შიმშილის დროს, ხასიათი ხომ არ გიფუჭდება ხოლმე?**

— აუჰ, ეს ძალზე ცუდი რამ გახლავთ. როდესაც მშია, ჯობს, არავინ გამცეს ხმა, რადგან ძალზე გაღიზიანებული ვარ. თანაც, კერძების მომზადება არ მეხერხება და თუ მარტო ვარ შინ და კერძი არ მხვდება, შესაძლოა, გავგიჟდე და ამის გამო კედლებზე ვიარო. კვერცხის შეწვაც კი, მხოლოდ თეორიულად ვიცი — ტაფა უნდა გააცხელო, ზეთი დაასხა, კვერცხი გატეხო და ტაფაზე დაახალო, მზად იქნება 3-5 წუთში. ვიცი, მაგრამ პრაქტიკულად არასოდეს განმიხორციელებია. ჭამა ძალიან მიყვარს. ეს ჩემი მეორე ჰობია. პირველი — მუსიკა, მეორე — ჭამა. თანაც, „კანიბალი“ ვარ — უზომოდ მიყვარს ხორცისგან დამზადებული კერძები — მწვადი, ქაბაბი, კატლეტი და რა ვიცი... მოკლედ, ხორცზე ვგიჟდები.

— **როგორ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება 10 წლის შემდეგ?**

— წინასწარ არ მიყვარს რაიმის დაგეგმვა, რადგან არავინ იცის, ცხოვრება რას მოიტანს. მაგრამ ვფიქრობ, მეყოლება ცოლი, შვილები და მექნება ჩემი საქმე, რომელსაც წარმატებით გავართმევ თავს.

ჩვენს საუბარს ბატონი ***ნუგზარ ერგემლიძე*** *შემოუერთდა და რამდენიმე კითხვაზე ხალისით გავცა პასუხი:*

— **ბატონო ნუგზარ, ორიოდე სიტყვით დაგვიხასიათეთ თქვენი შვილი.**

— გიორგი ძალზე წესიერი ბავშვია, უფრო სწორად — წესიერი ჭაბუკია. ადამიანის ფუნქცია ის გახლავთ, რომ შექმნას რაღაც ისეთი, რაც სხვასაც გამოადგება. ვფიქრობ, გიორგი მომავალში ამას აუცილებლად შეძლებს. რეალიზებული ადამიანი ბედნიერია და პატარ-პატარა ცხოვრებისეულ დარტყმებს იოლად იტანს. ამის გამო, ალარ უჩნდება კითხვები — რატომ გავჩნდი ამქვეყნად, რა ფუნქცია მაკისრიაო?..

— **რის გამო საყვედურობთ ხოლმე მას?**

— მინდა, რომ გაიფართოოს ცოდნის არეალი ყველა სფეროში, ბევრი იკითხოს და სწორედ ამის გამო ვსაყვედურობ ხოლმე, თორემ, სხვაზე რაზე უნდა ვუსაყვედურო?.. დადის, შრომობს, ჭკვიანად იქცევა...

— **წელან მკაცრად გააფრთხილეთ — ჯერ უნდა ისწავლო, ოჯახის შექმნაზე კი, შემდეგ იფიქროო. მანამდე რომ მოინდომოს ცოლის მოყვანა, შეეწინააღმდეგებით?**

— სასურველია, რომ კაცი ფეხზე მყარად იდგეს, როცა ცოლი მოჰყავს. ჩემთვის თუ მოჰყავს, მითხრას... ის გოგონაც, ვისაც ჩემი შვილი მოსწონს, ცოდვაა, რომ ჯერ ჩამოუყალიბებელ პიროვნებას გაჰყვეს ცოლად. საერთოდ, ნამდვილი სიყვარული ცოტა მოგვიანებით იჩენს ხოლმე თავს... ჩვენ ვამბობთ ხოლმე: ცოლი, ცოლიო... შესაძლოა, ისეთი მეგობარი გაიჩინოს, რომელიც თვითონაც ხელოვანი იქნება, ფინანსურად ძლიერი და გიორგის აქეთ დაეხმარება... ათასნაირი ვარიანტი არსებობს. ხომ იცით, მოდილიანი უნიჭიერესი მხატვარი იყო და რომ გარდაიცვალა, მისი ცოლი აივნიდან გადახტა. ქართველმა ქალებმა ასეთი სიყვარული არ იციან, ტყუილად ნუ დაიტრაბახებენ. რომ დავთვრებით, გვიყვარს ცაში ფრენა, მაგრამ დილით ისევ ლუდზე და პახმელიაზე ვფიქრობთ... საერთოდ, გოგონები თუ თავისზე უფროს მამაკაცებს გაჰყვებიან ცოლად, უკეთესი იქნება, რადგან ქმრებს ნაკლებად დაარიგებენ ჭკუას... დამიჯერეთ, რომ მამაკაცს ორი დედა არ სჭირდება. ჯერ დედა რომ გიჩიჩინებს, ის წარმოიდგინე და მერე, ცოლი რომ დაგიწყებს ჭკუის სწავლებას...

— **გამოდის, გიორგიმ რომ უფროსი ასაკის გოგონაზე დაქორწინება გადაწყვიტოს, თქვენ ამას არ დაუშვებთ?**

— მე მის თანატოლ გოგონას ვგულისხმობდი, როცა ვთქვი, — ორი დედა არ სჭირდება-მეთქი. მასზე უფროსი გოგო კი, მისთვის უკვე ბებია იქნება. თანატოლი ქალი არასოდეს უნდა მოიყვანოს კაცმა ცოლად. მით უმეტეს — უფროსი ასაკის. თუ გიორგის ორი დედა უნდა — კი, ბატონო, მოიყვანოს.

— **თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის რამდენი წელია ასაკობრივი სხვაობა?**

— რვა-ნახევარი წელი. მაგრამ, სჯობდა, ცხრა-ნახევარი ყოფილიყო...

გიორგისთან დაკავშირების მსურველებს შეუძლიათ დამმესიჯონ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ერგემლიძეების ოჯახი, მთელი შემადგენლობით განიხილავს თქვენს მესიჯებს და მერე ვნახოთ... ■

კბილების გასწორება ნებისმიერ ასაკში ბრეკეტ-სისტემით



სტომატოლოგიური კლინიკა „გეოდენტი“

გამსახურდიას გამზ. №33
☎ 37-60-16

დიანა ჯოჯუას თამამად შეუძლია თქვას, რომ მასზე ფიქრში ბევრ მამაკაცს გაუტეხავს ღამე... ზოგი მათგანი ისეთი შეუპოვარია, რომ დღეში ათჯერ მაინც მირეკავდა და დიანასთან შეხვედრას მთხოვდა. ზოგი იმასაც ვერ არჩევდა, სტატიის ბოლოს მითითებული ნომერი ჩემი იყო თუ „საპატარძლოსი“ და მესიჯს მესიჯზე „უგზავნიდა მას“. ჯერ სთხოვდა — პასუხი გამეცი, — მერე მუქარაზეც გადავიდა; ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ისლა მოახერხა, რომ დამიმესიჯა: 7-საათიან „ქრონიკაში“ „ვაფშე“ არ მომეწონეო... სამაგიეროდ, უამრავი თაყვანისმცემელი ცდილობს დიკოს გულის მოგებას და ამაში თავად დარწმუნდებით, როდესაც მათ გზავნილებს გაეცნობით.

„...ჩა ხარ ჯერ შენი კოორდინატების დასადგენად“

მარი ხაფარიძე

„დიკო, ტელევიზიით გიცნობ, მაგრამ კარგი იქნებოდა, ახლოს გაგვეცნო ერთმანეთი. ბათუმი“.

„დიკო, ძალიან მიყვარხარ და „ქრონიკასაც“ მაშინ ვუყურებ, როცა შენ ხარ ეთერში. გარეგნობით ანგელოზი ხარ და ბუნებით ხომ სულ ღვთაება ყოფილხარ. ლუკა“.

„დიკო, შენ ყველაზე მაგარი და სასიამოვნო ტელეწამყვანი ხარ. თანაც, იცოდე, რომ მეგრელი ქალები სულაც არ არიან კაპასები. მიდი, დიკო, მაგარი გოგო ხარ. კობა“.

„წლების მანძილზე, შეყვარებული ვარ დიკოზე. ის ნიჭიერი ჟურნალისტია. გთხოვ, დამირეკე. ვარ დიპლომატი, 36 წლის, 181/86. პატივისცემით, გოგა. იმასაც გეტყვით, რომ დიანა თუ გამიცნობს, არ ინანებს. ოქროს ხასიათი მაქვს“.

„დიკო, არ დაგიმალავ და „იმედის“ ინფორმაციებს უფრო შენი გულისთვის ვუყურებ. მშვენიერი მანდილოსანი და დახვეწილი ადამიანი ჩანხარ. თაყვანისმცემელი ქუთაისიდან“.

„დიანა, ძალიან მიყვარხარ. შენზე ამომდის მზე და მთვარე. გაღმერთებ. სულ შენზე ვფიქრობ და ძალიან მინდა შენი გაცნობა. სოსო, 18 წლის.“

„ძალიან მომეწონა „საპატარძლო“. დიკო, ძალზე ლამაზი და სიცოცხლე ხარ. ახლა საზღვარგარეთ მივდივარ, დიდი სიამოვნებით ვიმოგზაურებდი შენთან ერთად. ვფიქრობ, მაგარი პარტნიორები ვიქნებით. მრავალ ბედნიერ დღეს გაჩუქებ, სიცოცხლევ! ჯეი-ჯეი“.

„ცანცარა ბიჭი არ ვარ, ამიტომ დიკოს ბევრს ვერაფერს მივწერ. მხოლოდ ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს, გიორგი“.

„დიკო, ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვე ჩემზე. უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ ძალიან ლამაზი ხარ და ძალიან სასიამოვნო ხმა გაქვს. შენ შეუდარებელი ხარ. წარმატებებს გისურვებ. გოჩა“.

„ოცნებად მყავდი, ოცნებად მრჩები, თუმც არ მინათებ ყოველთვის ცისკარს. რა ვუყო, მთვარეც არ არის ჩემი, ჩემი არ არის და მაინც მიყვარს. დიკო, ძალიან მომწონხარ და ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ერთმანეთი გავიცნოთ. ველი შენს გამოხმაურებას. მამუკა ქუთაისიდან“.

„მარი, ეს რა ლამაზი „საპატარძლო“ შეგირჩევია. დიკო, ძალიან მომწონხარ. როდესაც ტელევიზორში გხედავ, ტანში მაჟრიალებს ხოლმე. შენ მეგრელი ხარ, მე — იმერელი. ალბათ კარგად შეეწყობით ერთმანეთს. რაც შეეხება შენს მზითვს... ჩემი მზითვი შენ იქნები. ილია“.

„საოცარი დამთხვევაა: დაახლოებით 10 დღის წინ, მეგობართან ერთად ტელევიზორს ვუყურებდი. სწორედ შენზე ვიკითხე — ეს გოგო რა გვარია-მეთქი? გვარი მითხრეს, მაგრამ სახელი ვერ გაიხსენეს. ცოტა ხნის შემდეგ, მეგობარმა მითხრა: შენ ტყუილად არ იკითხავდი ამ გოგოს ვინაობას, არ არსებობსო... ჩემ შესახებ გეტყვი, რომ ვარ შენზე 5 წლით უფროსი. დანარჩენს შემდეგ გიამბობ. ახლა ბათუმში ვარ. 4 დღეში შინ ვიქნები. თუ სურვილი გაქვს, შემეხმიანე. დიკო კარგი სახელია. თუ საიდუმლო არ არის, რომელი სკოლა დაამთავრე? კ.ო.“.

„დღესვე უნდა მნახო, იცოდე, უნდა განმიახლო სიცოცხლე. ახლა მენატრება შენი ხმა, ახლა უნდა მითხრა — ჩემი ხარ! შენთან ახლა მინდა, ვიწვოდე, უნდა მომეფერო, იცოდე. დიკო, დიდი ხანია მომწონხარ და სულ მაინტერესებდა, გათხოვილი იყავი თუ არა. რადგან ქმარი არ გყავს, იქნებ, შენს გულში ჩემთვის ადგილი მოიძებნოს?..“

„დიკო, ვერ წარმოიდგენ, რამდენი ხანია, მინდა შენთან შეხვედრა. ჩვენ „ზემლიაკები“ ვართ. მამიდაჩემსაც ვთხოვე, რომ დამხმარებოდა: ის დედაშენს, ქალბატონ ნელის ძალიან კარგად იცნობს. დახმარებას შემპირდა, მაგრამ თქვენი მისამართი არ სცოდნია. მისამართების ბიუროშიც ვიყავი, გაგრის მერიაშიც, მაგრამ უშედეგოდ. ტელევიზიაშიც ვცადე შემოსვლა, მაგრამ არ შემომიშვეს. მოკლედ, რა არ ვცადე შენი კოორდინატების დასადგენად. უკვე გაწბილებული ვიყავი, მაგრამ ხუთშაბათს სასწაული მოხდა. დღე ძალზე ცუდად დაიწყო. „ქრონიკას“ ვუყურებდი და შენს თითზე ბეჭედი შევნიშნე, მომეჩვენა, რომ საქორწინო რგოლი იყო. რომ გითხრა, გული დამწყდა-მეთქი, გამოდის, ამით არაფერს გეტყვი... სრულიად უხალისოდ დავდიოდი. ამ დროს, ჯიხურში „გზას“ მოვკარი თვალი და რუბრიკა „საპატარძლოში“ შენი სურათი დავინახე. გულგატეხილობა დიდმა სიხარულმა შეცვ-

ფრაზები

ქალები ძალზე იშვიათად ცდებიან ერთიმეორეზე მსჯელობისას.

აგატა კრისტი

გენიალური

ლა. დიდი ხანია, ასე ძლიერ არაფერი გამხარებია. უკვე რამდენიმე თვეა, მთელი ჩემი ოჯახი „ქრონიკის“ ყურებას შეუდგა. ასეთი რამ ჯერ არავის მიმართ არ განმიცდია. უსაზღვროდ მინდა შენი გაცნობა და იმედი მაქვს, ამის შანსს მომცემ. დათო“.

„დიკო, შენისთანა ქალი არ არსებობს. „საქორწინო ტერაქტი“ ერთად მოვაწყოთ, ჩემი „ალ-ქაიდა“. ბილი“.

„დიკო, ვგიჟდები შენზე. დილის 10 საათიდან ინფორმაციას იცი, როგორ ვუყურებ?.. ჯიმ კერის რომ ემართება „ნიღაბში“ – თვალებდაჭყეტილი და ენაგადმოგდებული რომაა... მამაჩემი მეკითხება ხოლმე: რა ხდება, რას აცხადებენო? მე კიდევ, ვერაფერს ვეუბნები, არაფერი მახსოვს. – ვაი, შენს პატრონსო – იტყვი ალბათ შენც, მამაჩემივით, მაგრამ ვაი-ქართველ ვაჟკაცებს, შენ რომ კიდევ საპატარძლო გქვია. MEN-4-YOU“.

„ვარ 30 წლის, სიმპათიური მამაკაცი. სწორედ ისეთი, როგორიც შენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს... დათო“.

„დიკო, ძალზე მომწონდი. რაც ინტერვიუ წავიკითხე, უფრო მომეწონე. ვეცდები, გაგიცნო. ახლა მივლინებაში ვარ. ლაშა“.

„საინფორმაციოს დამთავრებისას, მკერდს ოღნავ შეარხევ, ცალი ყბით გაიღიმებ, ხმას გაინაზებ და დაგვემშვიდობები ხოლმე... მაგარი ხარ!“

„საიდან გამოკრთის ის შუქი, დიაცს რომ აცისკროვნებს და გამოარჩევს მრავალთა შორის?.. ეს სიტყვები შენ გეკუთვნის, ჩოხელისგან“.

„დიკო, მე მინდა, ვიყო შენი აქსესუარი. მაგრად მომწონხარ. რატი“.

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას. თუ არ მოგეწონები და მისთხოვდები სხვას, მივატოვებ გაზაფხულზე თოხნასა და ხვნას, გადმოვლახავ ადიდებულ რიონსა და მტკვარს, ცეცხლს გავატან შენს სიყვარულს, კარ-მიდამოს – ქარს და მოგიკლავ, მოღალატევ, შენს ნაფერებ ქმარს, თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას“.

„შენი სურათი მე მაქვს სახსოვრად და იგი მიყვარს, რადგან შენია, ან კი რა გზა მაქვს, რომ არ მიყვარდეს? შენს მეტი მე სხვა რა დამრჩენია“.

„დიკო, ანგელოზი ხარ. იცი, მაგრად მიყვარხარ. მერწმუნე, შენისთანა სიცოცხლით სავსე და სიმპათიური გოგონა მარტო არ უნდა დაიარებოდეს! აუცილებლად შეხვდები შენს პრინცს. უარი აღარ უნდა თქვა. უკვე დროა, ოჯახი შექმნა. ბედნიერია ის, ვინც მეგრელ ქალს შეირთავს. მაგრად მიყვარხარ. ბათუმი“.

„დიკო, მეც შენსავით ჯიუტი ვარ. 29 წლის, პერსპექტიული ახალგაზრდა. ვფიქრობ, ხასიათით შევეწყობით. „ოსამა ბინ ლადენი“.

„ვარ 24 წლის. შეუხედავი, უფულო, მაგრამ განათლებული, პერსპექტიული. დიკო, შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ. ძნელია შენისთანა ქალის გულის მოგება, მაგრამ მაინც ვცდი...“

„ინტერვიუ რომ წავიკითხე, გამიკვირდა. უკვე დაწყვილებული მეგონა. სიმართლე რომ გითხრათ, პირველად მიწევს ასეთი ხერხით გოგონას გაცნობა, მაგრამ იმდენად დიდი სურვილი გამიჩნდა შენთან დაკავშირების, რომ გადაწყვიტე, მესიჯი გამომეგზავნა. ვარ 32 წლის, ქერა, ცისფერთვალება, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. სპეციალობით ექიმი, ეპიდემიოლოგ-ინფექციონისტი. ვმუშაობ საზღვრის დაცვის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციაში. ვცხოვრობ მშობლებთან ერთად. ვარ სიცოცხლით სავსე, ცხოვრებაზე შეყვარებული ადამიანი. არ მაქვს მძიმე ხასიათი. იმედი მაქვს, არ გიხუმრიათ... ვახო“.

„ნამდვილად ბედნიერ ვარსკვლავზე იქნება დაბადებული ის, ვისიც გახდები. ისე, ახლანდელი მამაკაცების შემყურე, გათხოვებას სჯობს, შინ იჯდე, შენს გემოზე. დიკო, ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი. გკოცნი. ფოთი“.

■

„ჭიჭიაშვილი ბანდიტი არასდროს ყოფილა“, – აცხადებს ადვოკატი

დაზარალებული ესპანელი ბიზნესმენები საქართველოში ჩამოსვლაზე უარს აცხადებენ

ესპანელი ბიზნესმენების გატაცებაში, ბანდიტიზმში, ყაჩაღურ თავდასხმებსა და არაერთ მკვლელობაში ბრალდებული, 29 წლის მევლუდ ჭიჭიაშვილი უზენაესი სასამართლოს წინაშე წარდგა. განსასჯელის სკამზე მასთან ერთად 26 წლის თენგიზ ფარეულიძეც ზის. პროკურატურა მას ჭიჭიაშვილისა და ბანდის სხვა წევრების თანამზრახველად და ჩადენილი დანაშაულების თანამონაწილედ ასახელებს. არც ერთი მათგანი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

მევლუდ ჭიჭიაშვილი

ჭიჭიაშვილი, რომელიც შარშან, 23 ივლისს მოსკოვში ცოლისდის ბინაში დააკავეს, ესპანელი ბიზნესმენების, ისევე, როგორც სხვა პირების – საქართველოს მოქალაქეების გატაცებისა და ფულის გამოძალვის ფაქტებს კატეგორიულად უარყოფს. აღსანიშნავია, რომ მისი სახელი უკავშირდება პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილისა და მისი მეუღლის ანა სურმავას, ასევე პიტერ შოუს გატაცების ფაქტებს. მისი დაკავების შემდეგ, სამართალდამცავები იმედოვნებდნენ, რომ კახა კალაძის ძმის – ლევან კალაძის გატაცების საქმეს გახსნიდნენ, მაგრამ გამოძიებამ მისგან ამ მხრივ (ისევე, როგორც უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის, ამჟამად პატიმრის – ლევან კენჭაძის, ადამიანთა გატაცებებთან რაიმე კავშირის შესახებ) ვერაფერი შეიტყო.

ბრალდების მხარის მტკიცებით, 1997 წლიდან მოყოლებული, ჭიჭიაშვილი სხვადასხვა მძიმე დანაშაულს სჩადიოდა. ჭიჭიაშვილისა და ფარეულიძის მიმართ აღძრული, გაერთიანებული საქმის მასალები 24 ტომს შეადგენს; ბრალდების ფორმულირება მრავალეპიზოდიანია, დაზარალებულად კი, საქმეში 38 პირია ცნობილი. ჭიჭიაშვილის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული, რომლის შესახებაც პროკურატურისთვის გახდა ცნობილი, ბრალდების თანახმად, 1997 წელს 5 აგვისტოს მოხდა. პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნულ დღეს, დაახლოებით საღამოს 10-ის ნახევრისთვის, ჭიჭიაშვილი, წინასწარი შეთანხმებით, ორ ჩეჩენთან – ვინმე ზამბიევსა და სიზაევთან ერთად, მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით, პისტოლეტითა და ავტომატით შეიარაღებული თავს დაესხა თბილისში ზაქარიაძის ქუჩაზე მცხოვრებ რუსეიშვილების ოჯახს. ბინაში მყოფი თამაზ რუსეიშვილი, მისი მეუღლე ნუნუ ნათაძე და ვაჟიშვილი ირაკლი რუსეიშვილი გაკოჭეს, ძალადობითა და მოკვლის მუქარით მათ წაართვეს 3.700 ლარი, 62 დოლარი და ძვირფასეულობა. ამის შემდეგ, ჭიჭიაშვილმა ოჯახის დიასახლისი აიძულა, დაერეკა ტელეფონით თავისი ქალიშვილისთვის და ავადმყოფობის მომიზეზებით ეთხოვა მისთვის სახლში მისვლა. ნუნუ ნათაძის ქალიშვილი ნათია რუსეიშვილი და სიძე მიხეილ დათიკაშვილი მართლაც, მივიდნენ რუსეიშვილების ბინაში. ბოროტმოქმედებმა ისინიც გაძარცვეს, მაგრამ ესეც არ იკმარეს და დათიკაშვილის გატაცება განიზრახეს. ის და მისი მეუღლე, იარაღის მუქარით აიძულეს, ძირს ჩასულიყვნენ, ბინაში მყოფ გათოკილ თამაზ რუსეიშვილს, ნუნუ ნათაძეს, და ირაკლი რუსეიშვილს კი, პირზე პლასტირი ააკრეს და ისე დატოვეს.

რაც შეეხება დათიკაშვილსა და მის ცოლს, ბოროტმოქმედებმა ისინი დათიკაშვილის ძმის კუთვნილ ავტომანქანა „ჰონდაში“ ჩასვეს, საჭესთანაც თავად გატაცებული დასვეს, რათა ქალაქში მოძრაობისას რაიმე არავის ეეჭვა და კახეთის მიმართულებით ააღებინეს გეზი. გომბორის პოსტის გავლის შემდეგ, დათიკაშვილი უკანა სავარძელზე გადასვეს.

გატაცებულები ახმეტის რაიონში მდებარე, ცხრაკარის ტყეში მიიყვანეს. იქ მათ დანარჩენი ბოროტმოქმედები დახვდნენ. ორი დღის შემდეგ, მძევლები სოფელ დუისში გადაიყვანეს. იქ დათიკაშვილს ძალით დააწერინეს წერილი ძმის სახელზე, სადაც ის გამოსასყიდი თანხის – 250 ათასი დოლარის გადახდას სთხოვდა მას.

1997 წლის 8 აგვისტოს, ბოროტმოქმედებმა გაუშვეს ნათია რუსეიშვილი, რათა მას მაზლისთვის ზემოთ აღნიშნული წერილი მიეტანა. გამტაცებლებმა მიზანს მიაღწიეს: 13 აგვისტოს მათ, გამოსასყიდის სახით, 50 ათასი დოლარი მიიღეს და ეს თანხა საკმარისი აღმოჩნდა დატყვევებული დათიკაშვილის გასათავისუფლებლად.

ამის შემდეგ, ჭიჭიაშვილზე ოფიციალური ძებნა გამოცხადდა. ბრალდების თანახმად, მიმალვაში მყოფმა ჭიჭიაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა – თამაზ გაბროშვილმა, დიმიტრი აბრამიშვილმა, აწ გარდაცვლილმა გაიოზ სეხნიაშვილმა და გამოძიებით დაუდგენელმა სხვა პირებმა ჩამოაყალიბეს შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გასატაცებლად. ბანდა აღჭურვილი იყო მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით, „მაკაროვის“ პისტოლეტებით, ავტომატებით, ასაფეთქებელი ნივთიერებით, ხელყუმბარებით, საბრძოლო მასალითა და გადამცემი საშუალებებით, ე.წ. რაციებით.

მორიგი დანაშაული, რომელშიც პროკურატურა ჭიჭიაშვილსა და ბანდის სხვა წევრებს სდებს ბრალს, 1998 წელს მოხდა. იანვარში ბანდამ საგარეჯოში მცხოვრებ პეტრიაშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა განიზრახა. მანამდე მათ თბილისელი, გლდანის დასახლებაში მცხოვრები მოქალაქის ავტომანქანა „ნივა“ გაიტაცეს ავტოფარეხიდან, შავი საიზოლაციო ლენტით შეუცვალეს სახელმწიფო ნომრები და პანკისში წაიყვანეს. ორი დღის შემდეგ, სწორედ ამ ავტომანქანით გაემგზავრნენ საგარეჯოში, თუმცა მიზნის მიღწევა ვერ მოახერხეს, რადგან გზაში ისინი, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცავებმა გააჩერეს. ბრალდების თანახმად, ჭიჭიაშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას: მათ ცეცხლი გაუხსნეს სამართალდამცავებს, რის შედეგადაც ერთ-ერთი პოლიციელი – ქურხული ადგილზე გარდაიცვალა. ბოროტმოქმედთა მიერ ხელყუმბარის აფეთქებისას, სხვა პოლიციელებმაც მიიღეს სხეულის დაზიანებები, თუმცა – მსუბუქი. საპასუხო სროლებისას სამართალდამცავებმა ბანდის ერთ-ერთი წევრის – სეხნიაშვილის ლიკვიდირება მოახდინეს. ასევე დაიჭრნენ დობაძიშვილი და გაბროშვილი. მიღებულმა ჭრილობამ დობაძიშვილს ხელი შეუშალა გაქცევაში და ის პოლიციელებმა დააკავეს. მსუბუქად დაჭრილმა გაბროშვილმა, აბრამიშვილმა და ჭიჭიაშვილმა კი გაქცევა და მიმალვა მოახერხეს. ჭიჭიაშვილი საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურში მიიმალა.

1999 წლის 23 იანვარს, იგი დაუკავ-

შირდა თავის მეგობარს – გიორგი ანდღულაძეს და ავტომანქანით ახმეტაში წაყვანა სთხოვა. ანდღულაძე დათანხმდა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ჭიჭიაშვილი სოფელ დუისში ჩაიყვანა. გზაში მათ პოლიციელებისგან თავის დაღწევა, ჭიჭიაშვილის მიერ ცეცხლის გახსნის შედეგად მოახერხეს. ამის შემდეგ, ჭიჭიაშვილი, გაბროშვილი და მათი დანარჩენი თანამზრახველები პერიოდულად, ქისტი ეროვნების ოჯახებს აფარებდნენ თავს და ადგილსამყოფელსაც ხშირად იცვლიდნენ.

1999 წლის 12 ივნისს, მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს ტერიტორიაზე, ზედაზნის ასახვევთან, სახეზე ნიღაბაფარებული და შეიარაღებული ბანდის წევრები ნიკოლოზ კაჯიევს დაესხნენ თავს, წაართვეს მას ავტომანქანა „ნივა“ და მცხეთის რაიონში მცხოვრები ფირუზ ხოშაბაევის გასატაცებლად გაემართნენ. ბოროტმოქმედებს, რომელთა შორისაც, პროკურატურის ინფორმაციით, ჭიჭიაშვილიც გახლდათ, ხოშაბაევის ოჯახის წევრებისგან სოლიდური თანხის გამოძალვა ჰქონდათ განზრახული. იცოდნენ, რომ ხოშაბაევი პერიოდულად მიდიოდა სოფელში საგარაკო სახლის მოსანახულებლად და ამიტომაც, მას სოფლის მახლობლად ჩაუსაფრდნენ. იქვე ტყეში კარავი გაშალეს და მის გამოჩენას დაელოდნენ.

შეიტყვეს, რომ ხოშაბაევი ოჯახის წევრებთან ერთად იქ ჩასვლას 9 ივლისს აპირებდა. სწორედ იმ დღეს, ბოროტმოქმედებმა მის სახლში შეაღწიეს. იქ მყოფთ ხელ-ფეხი შეუკრეს, ხოშაბაევი ავტომანქანაში ჩასვეს და თიანეთის რაიონის მიმართულებით გაიტაცეს. რაც შეეხება ოჯახის დანარჩენ წევრებს, ბოროტმოქმედებმა ისინი სახლის სააბაზანოში ჩაკეტეს. ხოშაბაევი პანკისის ხეობაში გადაიყვანეს, იქ მას პერიოდულად, სხვადასხვა ოჯახში, ხანაც – ტყეში წინასწარ შერჩეულ ადგილებზე ამყოფებდნენ. ბანდიტები დროდადრო ტელეფონით უკავშირდებოდნენ ხოშაბაევის შვილს – ირაკლი წიკლაურს და მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ, მას ჯერ 7 მილიონ დოლარს, მოგვიანებით კი – 5 მილიონ დოლარს სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მამის მოკვლითა და დასახიჩრებით ემუქრებოდნენ. პროკურატურას მიაჩნია, რომ მუქარის განხორციელების საფრთხე რეალური იყო. 1999 წლის 19 ოქტომბერს – ე.ი. ხოშაბაევის გატაცებიდან 3 თვისა და 10 დღის შემდეგ, წიკლაურმა ბანდიტებს 200 ათასი დოლარი გადაუხადა. ამის შედეგად მათ ფირუზ ხოშაბაევი გაათავისუფლეს.

2000 წლის 3 აპრილს, დღის 23 საათზე, პანკისიდან ახმეტის მიმართულებით მიემგზავრებოდნენ საქართველოს უშიშროების სამინისტროს ახმეტის რაიგანყოფილების თანამშრომლები – დავით ლორთქიფანიძე და გიორგი ახმეტელი. სოფელ ქორეთის გადასახვევთან მათ ავტომანქანას ნიღბიანი და შეიარაღებული ბოროტმოქმედები, პროკურატურის ინფორმაციით – მევლუდ ჭიჭიაშვილი, მუსლიმ ხანგოშვილი და გამოძიებით დაუდგენელი კიდევ 5 პირი გადაუდგა წინ. ბრალდების თანახმად, ზემოთ ხსენებულმა პირებმა უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს განზრახ მოკვლის მიზნით ავტომატებიდან ცეცხლი გაუხსნეს. ლორთქიფანიძემ და ახმეტელმა მანქანის სალონში ჩაწოლა მოასწრეს და ამით ტყვიები აიცილეს. მაგრამ ბოროტმოქმედებმა ისინი ავტომანქანიდან ძალით გადაიყვანეს, ორივე გაჩხრიკეს, გაძარცვეს, შემდეგ თავად ჩასხდნენ მანქანაში და დუისის მიმართულებით გაემგზავრნენ. ლორთქიფანიძის კუთვნილი, გატაცებული ავტომანქანა მათ დუისის შესასვლელში დატოვეს, თავად კი მიიმალნენ.

ბრალდების თანახმად, 2000 წლის ნოემბერში, მევლუდ ჭიჭიაშვილმა, მუსლიმ ხანგოშვილმა, თემურ ქავთარაშვილმა, თენგიზ ფარეულიძემ და ბანდის სხვა წევრებმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გამოძალვის მიზნით ესპანელი ბიზნესმენების – ხოსე ანტონიო ტრიმინიო გომესისა და ფრანსისკო როდრიგეს კაბალის გატაცება განიზრახეს. ამ მიზნით 2000 წლის 30 ნოემბერს, ღამის 4-ის 15 წუთზე, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე შეიარაღებული ბანდიტები, როგორც პროკურატურა აცხადებს, ჭიჭიაშვილის თაოსნობით, ჩაუსაფრდნენ კაბალის კუთვნილ „მერსედესის“ მიკროავტობუსს. ავტომანქანას სოლომონ კობიაშვილი მართავდა, მანქანაში, გომესისა და კაბალის გარდა, კობიაშვილის შვილი – გიორგიც იჯდა. ბრალდების თანახმად, ბოროტმოქმედებმა მამა-შვილ კობიაშვილებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ესპანელები კი, იარაღის მუქარით, გაძარცვეს, მათ ტანსაცმლისა და სხვა პირადი ნივთების გარდა, კომპიუტერები და ვიდეოკამერაც წაართვეს. ყოველივე ამის შემდეგ, ბანდიტებმა ორივე ესპანელი, დაუდგენელი მიმართულებით წაიყვანეს. გატაცებულები იმავე ღამით, ძიებით დაუდგენელ ბინაში მიიყვანეს, იქვე დააბეს რკინის ჯაჭვებით, აუხვიეს თვალები და ასეთ მდგომარეობაში ამყოფებდნენ თვეების მანძილზე – 2001 წლის 23 ივლისამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, გამტაცებლები მძევლებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ითხოვდნენ, რომ მათი ოჯახის წევრებს გამოსასყიდი თანხის სახით 7 მილიონი დოლარი გადაეხადათ.

2001 წლის 23 ივლისს, მევლუდ ჭიჭიაშვილმა და მუსლიმ ხანგოშვილმა მძევლებს თვალები აუხსნეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ფეხით 15-წუთიანი გზის გავლის შემდეგ, ისინი მიკროავტობუსში ჩასვეს. ავტომანქანაში ბანდის დანარჩენი წევრები (ბრალდების თანახმად, ფარეულიძეც) ისხდნენ. ამის შემდეგ, ბანდიტები მძევლებს ხშირად უცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ამასობაში, გამტაცებლებმა გამოსასყიდი თანხა 2 მილიონ დოლარამდე შეამცირეს. აღნიშნული თანხა ბოროტმოქმედებმა 2001 წლის 8 დეკემბერს მიიღეს და მძევლებიც გათავისუფლდნენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა, პროკურატურა ჭიჭიაშვილს საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე ყაჩაღურ თავდასხმებში ადანაშაულებს. ბრალდება ეხება შპს „საქართველოს ფოსტის“ ახმეტის ფილიალის დაყაჩაღებასა და იქიდან პანკისის ხეობის პენსიონერთათვის განკუთვნილი თანხის გატაცებას.

სასამართლო პროცესზე განასჯელებმა ჩვენებების მიცემაზე უარი განაცხადეს და აღნიშნეს, რომ წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობენ. მევლუდ ჭიჭიაშვილმა დუმილის უფლება გამოიყენა, თენგიზ ფარეულიძემ კი, ამ ეტაპზე, თავი შეიკავა ჩვენების მიცემისგან. მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები პატიმრების უფლებების დარღვევებსა და გამოძიების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობენ. ჭიჭიაშვილის ადვოკატის – **მაკა ჩიჩელაშვილის** თქმით, პროკურატურამ მისი დაცვის ქვეშ მყოფს უსაფუძვლოდ წაუყენა ბრალდება. *„ჭიჭიაშვილი ბანდიტი არასდროს ყოფილა“*, – აღნიშნავს ის. რაც შეეხება ფარეულიძის ადვოკატს – ნატო ჭკადუას, მან სასამართლო პროცესზე დაზარალებულების – ესპანელი ბიზნესმენების გამოცხადების საკითხი დასვა. მოსამართლე იური ტაბუცაძის განცხადებით, ესპანელებს პროცესის თაობაზე ეცნობათ, მაგრამ მათ საქართველოში ჩამოსვლაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

„საქმის მასალებში დევს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, დაზარალებულები – გომესი და კაბალი სასამართლოს სთხოვს, ისარგებლოს მათ მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებებით. მას შემდეგ, რაც მათ საქართველოში გადაიტანეს, ვგულისხმობ, როგორც მორალურ ზიანს, ასევე უდიდეს ფსიქოლოგიურ ტრავმას, ჩვენი ქვეყნის დანახვაც აღარ სურთ“, – განაცხადა პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა **ზაზა გრიგოლიამ**.

სასამართლო ბრალდების მტკიცებულებების გამოკვლევას, კერძოდ, დაზარალებულების დაკითხვას ამ კვირაში დაიწყებს.

■

„სოფიკოს მოკვლა არ მინდოდა... ყველაფერი შემთხვევით მოხდა“ – აცხადებს არასრულწლოვანი განსასჯელი

დაზარალებული მას 17 წლის გოგონას განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებს

2003 წლის 10 სექტემბერი ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში მცხოვრები გუმბერიძეების ოჯახისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იმ დღეს მათ 17 წლის ულამაზესი ქალიშვილი დაკარგეს. გოგონა, რომელიც თანატოლებთან გართობის მიზნით, ცოტა ხნით მეზობლის სახლში გადავიდა, საოცრად ხალისიანი და ლაღი ჩანდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა... უეცრად, სანადირო თოფიდან გასროლის ხმა გაისმა და სოფიკო იქვე, თანატოლების თვალწინ უსულოდ დაეცა...

იარაღი იმავე სოფელში მცხოვრებ, 16 წლის გიგო გოგსაძეს ეჭირა ხელში. როგორც მისმა ადვოკატმა გვითხრა, შემთხვევის შემდეგ იქვე, ეზოში იმ თოფით მან თავის მოკვლაც სცადა, მაგრამ მეზობლებმა და აწ გარდაცვლილის მამამ დროულად მიუსწრეს და იარაღი ხელიდან გამოსტაცეს. ერთ-ერთმა მეზობელმა თოფი მიწას დაანარცხა და შუაზე გადატეხა. ამის შემდეგ, გიგომ მარტომ დატოვა შემთხვევის ადგილი და იქიდან პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში წავიდა.

იმ დღიდან მოყოლებული, ის პატიმრობაში იმყოფება. ჩატარებული გამოძიების შედეგად ბევრი ვერაფერი გაირკვა. პროკურატურამ გოგსაძე განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა, თუმცა დანაშულის მოტივი ვერ დაასახელა. გამოძიების მასალებში არაფერია ნათქვამი იმ მიზეზის შესახებ, რის გამოც 16 წლის ბიჭს თანასოფლელი მეგობარი გოგონა უნდა მოეკლა. წითელხევის მცხოვრებლები და გოგსაძის ახლობლები ერთხმად ადასტურებენ, რომ სოფიკო გუმბერიძესა და გიგო გოგსაძეს შორის არასდროს ყოფილა სერიოზული უთანხმოება და კონფლიქტი. დაზარალებული – მოკლულის დედა ეჭვობს, რომ ახალგაზრდებს შორის რაღაც უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ მათ იცოდნენ. ის დარწმუნებულია ბრალდებულის დანაშაულში და აცხადებს, რომ გოგსაძემ მას ქალიშვილი განზრახ მოუკლა.

სოფიკო გუმბერიძე

თავად პატიმარი კატეგორიულად უარყოფს ამას. მისი თქმით, თოფიდან გასროლა გაუფრთხილებლობით მოხდა და არა წინასწარი განზრახვით. ფაქტის თვითმხილველების ჩვენებების მიხედვით, მომხდარიდან შესაძლებელია, როგორც ერთი, ასევე მეორე დასკვნის გამოტანა. ასე რომ, დღემდე გაურკვეველია, თუ რა მოხდა სინამდვილეში – ვერაგული მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა? ამ კითხვას სასამართლომ უნდა გასცეს პასუხი. სავარაუდოდ, ეს მომავალ კვირას მოხდება, მაშინ, როცა გოგსაძეს განაჩენს გამოუტანენ. მანამდე კი, გამოძიებისა და პროცესის მონაწილე დანარჩენი მხარეების ვერსიებს გაგაცნობთ:

როგორც მისმა ადვოკატმა გვითხრა, შემთხვევის შემდეგ იქვე, ეზოში იმ თოფით მან თავის მოკვლაც სცადა, მაგრამ მეზობლებმა და აწ გარდაცვლილის მამამ დროულად მიუსწრეს...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, შემთხვევა საღამოს 7 საათისთვის მოხდა. რამდენიმე საათით ადრე, გიგო გოგსაძე მეზობლის – თემურ კოტორეიშვილის კუთვნილი, „ტეზის“ ორლულიანი სანადირო თოფით ტყეში, საქონლის მოსარეკად გახლდათ წასული. პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული თოფი მან პატრონის დაუკითხავად წაიღო და იარაღში კუსტარულად დამზადებული ორი ვაზნაც მოათავსა. პირუტყვის ძებნის დროს, გოგსაძე შემთხვევით, მეზობლებს – ერეკლე სამხარაძესა და ზურაბ ლომიძეს შეხვდა. სამხარაძემ ორივენი შინ მიიპატიჟა, გაუშალა მათ სუფრა და გოგსაძემაც რამდენიმე ჭიქა ღვინო შესვა.

„ჯზის“ აწ. №36-ში „კრიმინალის“ რუბრიკით გამოქვეყნდა წერილი – „ტრაგედია ოჯახში – სამინებელში ჩაცხრილული ბავშვების და მათი შმობლების გვამები იპოვეს“. ჩვენდა სამწუხაროდ, ერთ-ერთი მოწმის – ეკატერინე თეთრაულის მერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების ხელნაწერზე დაყრდნობით მასალის მზადებისას, გაიპარა შეცდომა, კერძოდ: სიტყვების – „აწ გარდაცვლილის მეზობლის, ეკატერინე თეთრაულის...“ ნაცვლად წერია – „აწ გარდაცვლილი მეზობლის, ეკატერინე თეთრაულის...“ ვწუხვართ ამ უნებლიე შეცდომის გამო და ქალბატონ ეკატერინე თეთრაულს დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

რედაქციისაგან

ფრაზა გენიალური

ყველამ იცის, რომ ამა თუ იმ ამოცანის ამოხსნა შეუძლებელია; მაგრამ უეცრად, გამოჩნდება ვიღაც უცოდინარი, რომელმაც ამის შესახებ არაფერი უწყის — აი, სწორედ ის აკეთებს აღმოჩენას...

ალბერტ აინშტაინი

„...სამხარაძის მამას თოფი მოეწონა და თვალიერება დაუწყო. გამახსენდა, რომ დატენილი იყო და ამიტომაც, უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, მას იარაღი გამოვართვი და იქიდან ვაზნები ამოვიღე“, – აღნიშნავს ჩვენებისას გოგსაძე. გამოძიების ინფორმაციით, როცა სუფრიდან წამოიშალნენ, გოგსაძემ თოფი ისევ დატენა და შინისკენ გასწია. იარაღი სახლში უნდა შეენახა, შემდეგ კი თანატოლებთან ერთად ფეხბურთის სათამაშოდ აპირებდა წასვლას.

შინისკენ მიმავალს, კოხოძეების სახლთან უნდა ჩაევლო. როცა მათ ჭიშკარს მიუახლოვდა, შენიშნა, რომ აივანზე დაბალ მაგიდას თანატოლები – სოფიკო გუმბერიძე და გიორგი, თემურ და თეონა კოხოძეები შემოსხდომოდნენ. ახალგაზრდები „ჯოკერს“ თამაშობდნენ. გოგსაძემ ჭიშკარი შეაღო, თოფი მაგიდასთან მსხდომთ დაუმიზნა და შესძახა: ხელები მაღლაო! ახალგაზრდებმა უპასუხეს: თოფი გასწიე, რაიმე უბედურება არ მოხდესო. გოგსაძე ეზოში შევიდა, მოთამაშეებს მიუახლოვდა და იკითხა: „ჯოკერს“ მე არ მათამაშებთო? შემდეგ თოფი სოფიკო გუმბერიძეს დაუმიზნა და უთხრა: შენ მოსაკლავი ხარო. იქვე მყოფ გიორგი კოხოძეს შეეშინდა და კიდევ ერთხელ ურჩია: თოფი დატენილი არ გქონდეს, მოაშორე აქედან, რაიმე უბედურება არ მოხდესო. გოგსაძემაც იარაღი გახსნა – როგორც თავად ამბობს, ვაზნების ამოღების მიზნით. თოფის გახსნის ფაქტს პროკურატურაც ადასტურებს საბრალდებო დასკვნაში, თუმცა ტყვიების ამოღების მცდელობაზე არ მიუთითებს. *„გოგსაძემ არ გაითვალისწინა თოფის გადახსნის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგი, მაინც გადახსნა ის, თან ისე, რომ აივანზე მსხდომთათვის დამიზნებულ ლულას მიმართულება არ შეუცვალა და იარაღის ჩაკეტვის დროს ერთხელ გაისროლა“*, – წერია საბრალდებო დასკვნაში. ტყვია მაგიდასთან მჯდომ სოფიკო გუმბერიძეს თავის არეში მოხვდა. გოგონა მაგიდაზე სახით დაემხო და მაშინვე გარდაიცვალა. პროკურატურის ბრალდების თანახმად, ამ დროს გიორგი, თემურ და თეონა კოხოძეების სიცოცხლესაც შეექმნა საფრთხე.

თავად გიგო გოგსაძე და მისი ადვოკატი საბრალდებო დასკვნაში მოყვანილ ფაქტებს არ ადასტურებენ. განსასჯელის ადვოკატის – შოთა ფირცხალავას თქმით, ბრალდება დაუდასტურებელი და უსაფუძვლოა.

შოთა ფირცხალავა:

„წარმოუდგენელია, გიგო გოგსაძეს სოფიკო გუმბერიძის მკვლელობა ჰქონოდა ჩაფიქრებული. ამ გოგონასთან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა, ერთად იზრდებოდნენ, ბავშვობიდან ერთად თამაშობდნენ, არც არასდროს უჩხუბიათ და საამისოდ არანაირი საბაბი არ ჰქონიათ.

ამას გარდა, თავისი პიროვნებიდან გამომდინარე, გიგო გოგსაძეს არათუ მკვლელობის განზრახვის განხორციელება, არამედ ამის გულში გავლებაც კი არ შეეძლო. სიტყვები – „ხელები მაღლა!“ მან ხუმრობით დაიძახა, ასევე თოფი იქიდან ტყვიების ამოსაღებად გადახსნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იარაღს არც გადახსნიდა; თუკი სროლა უნდოდა, პირდაპირ ისროდა. აღსანიშნავია, რომ თოფი გაფუჭებული იყო, ტყვიები შიგ ხან იჭედებოდა, ხან – არა. მაშინაც ასე მოხდა. გიგომ იარაღი გადახსნა, მაგრამ ვაზნები გაიჭედა, ვერ ამოიღო. ამიტომაც დაკეტა, რათა ისევ გადაეხსნა და კიდევ ერთხელ ეცადა იარაღიდან ტყვიების ამოღება. სწორედ ამ დროს, ტყვია მოულოდნელად გავარდა... შედეგს გოგსაძე დღემდე ძლიერ განიცდის, თავს იდანაშაულებს გაუფრთხილებლობაში, მაგრამ იმ შემზარავ ბრალს, რაზეც პროკურატურა და დაზარალებული მხარე საუბრობს, ასე უსამართლოდ საკუთარ თავზე ვერ აიღებს. ამ ბრალის დასადასტურებლად პროკურატურას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. თავდაპირველად საქმე გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მუხლით აღიძრა, მაგრამ მოგვიანებით, დაზარალებული მხარის ზეწოლის შედეგად, დანაშაულს ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცა“.

ნინი გუმგერიძე, მოკლულის დედა:

„იმ დროს, როცა ეს უბედურება მოხდა, ჩემი სახლის ეზოში ვიდექი. იქიდან ძალიან კარგად ჩანს სოფლის გზაც და კოხოძეების სახლის ჭიშკარიც. დავინახე გზაზე მომავალი გიგო გოგსაძე, რომელსაც მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული. ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო. კოხოძეების სახლს ოდნავ გამოსცდა, მერე შეჩერდა, თოფი გადახსნა, ჯიბიდან ვაზნები ამოიღო და იარაღში ჩადო. ამის შემდეგ კოხოძეების სახლის ჭიშკართან მიბრუნდა. ყველაფერი კარგად დავინახე, მაგრამ ცუდი არაფერი მიფიქრია. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ტრაგედია შეიძლებოდა დატრიალებულიყო. რამდენიმე წუთში, გასროლის ხმაც გაისმა. ამას ქალების კივილი მოჰყვა. იქითკენ გავიქეცი, თუმცა, ვიდრე კოხოძეების აივანამდე მივაღწევდი, იმ ეზოში ჩემმა ქმარმა და დანარჩენმა შვილებმა შემასწრეს. ღობესთან თავად გიგო შემომხვდა. ვკითხე: რა მოხდა-მეთქი? – სოფიკო მოვკალი და ახლა პოლიციაში მივდივარო, – აუღელვებლად მითხრა. – ხომ არ გავიჟდი? რა სისულელეებს ლაპარაკობ-მეთქი?! – მივუგე და კოხოძეების სახლისკენ გზა განვაგრძე. მაშინ მისი სიტყვები თითქოს არაფრად ჩავაგდე. რას წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი სიმართლე იყო... გიგო გოგსაძისგან აგრესია და თავხედური საქციელი არავის უკვირდა, ის ავარდნილ ბიჭებთან მეგობრობდა და ასეთ წრეში იზრდებოდა კიდეც. სამწუხაროდ, არ ვიცი, რა უთანხმოება მოუხდა ჩემს შვილთან, რომ არ დაინდო და სასიკვდილოდ გაიმეტა. ის ხომ ძალზე ახალგაზრდა გახლდათ, მაშინ იწყებდა ცხოვრებას, შეყვარებულიც იყო და რამდენიმე თვეში გათხოვებას აპირებდა... ჯერ კიდევ ჭიშკრიდან დაუწყო მუქარა – ხელები ასწიეთ, უნდა გესროლოთო. თუმცა, მაგიდასთან მსხდომი კოხოძეები ვერ იხსენებენ ზუსტად – „გესროლო“ თქვა თუ „გესროლოთ“. შემდეგ განზრახვა განახორციელა კიდეც. ვერსია მაქვს, რის გამოც შეიძლებოდა, ეს უბედურება მომხდარიყო, თუმცა ვერ ვამტკიცებ: მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე, ოჯახში ოქროს სამკაულები დაგვეკარგა. ცხადი იყო, მოიპარეს, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა, თუ ვის შეეძლო ამის გაკეთება. ამ ამბიდან რაღაც პერიოდი გავიდა და სრულიად მოულოდნელად, სოფიკომ შინ მოპარული სამკაულების ნაწილი მოიტანა. თქვა: იმას დავაბრუნებინე, ვინც წაიღოო, – თუმცა მისი სახელი არ გაუმხელია. დასაბრუნებელი დარჩა ერთი ოქროს რგოლი და მეორე, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, თუმცა ვერ მოასწრო. ცოტა ხანში ეს ტრაგედიაც მოხდა. ვეჭვობ, რომ სამკაულების ამბავთან გოგსაძეს ჰქონდა კავშირი, მაგრამ ამის დადასტურება მხოლოდ სოფიკოს შეეძლო...“

დაზარალებული მხარის ვერსიას განსასჯელი და მისი ადვოკატი გამორიცხავენ. შოთა ფირცხალავას თქმით, მოკლულის მშობლები მომხდარით გაღიზიანებულები არიან და ცდილობენ, გოგსაძეს როგორმე ბრალი დაუმძიმონ. მომავალ სასამართლო სხდომაზე სიტყვის თქმას პროკურორი აპირებს. განსასჯელის ადვოკატი კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ 109-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასა და მისთვის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას მოითხოვს.

■

წარსულში ცნობილი ანსამბლების — „ციცინათელასა“ და „რეროს“ სოლისტი და პოპულარული მომღერლის მამუკა ონაშვილის მამა, ბატონი გენო ონაშვილი გამორჩეული თამადაა. უყვარს კარგი ქართული სუფრა და ქეიფი. ბატონ გენოს მიაჩნია, რომ თამადა ლიბერალი უნდა იყოს და არა დესპოტი. დანარჩენს თამადობის ოსტატობასა და საკუთარ გამოცდილებაზე თავად მოგვითხრობს.

ორი ქორწილი ერთ ღღეში, არაყგარეული ღვინო და...

მეცოლის ხემოშორების ტექნიკური იდეალები

ეკა მინდაძე

— ბატონო გენო, პირველად რა ასაკში ითამადეთ?

— პირველად, სკოლის ასაკში — მე-8 კლასში ვითამადე. ისე ღვინოს გემო სოფელში 7 წლისამ გავუსინჯე, სუფრისადმი სიყვარული და პატივისცემა მამამ მასწავლა. მამას უახლოესი მეგობარი ცნობილი თამადა სიმონიკა სხირტლაძე ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო და აქედან გამომდინარე, მე მათი ქეიფი ბევრჯერ მინახავს და უდიდესი სიამოვნებაც მიმიღია. ეს არა მარტო ქეიფი, არამედ საინტერესო სანახაობაც იყო. ისინი სუფრას ლექსით, სიმღერით და ცეკვით ამშვენებდნენ. მახსოვს, ბატონი სიმონიკა, როგორც თამადა სადღეგრძელოს თქმის დროს, ორკაციან სუფრაზეც ფეხზე დგებოდა.

— მაინც, როგორი უნდა იყოს თამადა?

— თამადა უნდა იყოს ლიბერალი და დამთმობი. ყოვლად დაუშვებელია, სუფრასთან დესპოტი და მკაცრი იყო. ჩემზე ვერავინ იტყვის, რომ სუფრის რომელიმე წევრისათვის ხმამაღალი სიტყვა მეთქვას და გამეჩუმებინოს. თამადამ ისე უნდა ითამადოს, რომ გინდ 20-კაციანი სუფრა იყოს და გინდ 800-კაციანი, მას არ უნდა დასჭირდეს სუფრის წევრების გაჩუმება. მე რომ ვთამადობ, ვქეიფობ და მინდა, რომ ჩემ გარშემო ყველას ასეთი განწყობა ჰქონდეს.

— საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვთ?

— უღალატობა. კაცმა მეგობარს არ უნდა უღალატოს. არ არსებობს კაცი, რომელსაც მეგობარი არ ჰყავს. ყველა ყაჩაღს და გაიძვერასაც ჰყავს მეგობარი. ადამიანმა შეიძლება იყაჩაღოს, მაგრამ მეგობარს არასოდეს უღალატებს. აქედან გამომდინარე, მე ვდგები და ვამბობ — უღალატობას გაუმარჯოს!.. — ხოლო შემდეგ, კახურად ვაყოლებ — მოღალატე კაცის...

— რამდენკაციან სუფრაზე გითამადიათ?

— 10 კაცით დაწყებული 100-ით დამთავრებული.

— თუ ყოფილხართ თამადა საქართველოს ფარგლებს გარეთ?

— მოსკოვში, თურქეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში.

— საყვარელი სასმელი?

— კახური ღვინო, ევროპულად დამზადებული.

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სუფრაზე დიდი სასმისების გამოყენება?

— სულაც არ არის საჭირო სუფრაზე ვაზის ან ყანწის ხმარება. ჩემი აზრით, 10 კაციდან ერთს რომ ადღეგრძელებ ვაზით, ეს დანარჩენების შეურაცხყოფაა. მახსოვს, მამაჩემმა დამარიგა, თუ როდის უნდა გამოვიყენო განსხვავებული სასმისი: შვილო, როცა ხედავ, კაცი სუფრას გირევს, სწორედ მაშინ მოითხოვე განსხვავებული სასმისი და ადღეგრძელე ის, ვინც შენ გკბენს; ამის შემდეგ, სანამ ამ სადღეგრძელოს სუფრის ყველა მონაწილე დალევს, შენ დაჯექი და დაისვენე, ეცადე, ჭამო კიდეც; ამასობაში დროც გავა და როცა ის კაცი სამადლობელს გადაიხდის, გამოართვი განსხვავებული სასმისი, კვლავ შეავსე, სუფრის სხვა მონაწილის სადღეგრძელო შესვი და პირდაპირ იმ კაცთან გადადი ალავერდს, რომელმაც იმწუთას დალია სამადლობელი; მას ერთდროულად 2 განსხვავებული სასმისის დალევა გამოუვა; აი, სწორედ ეს იქნება ტექნიკური მოშორება არამკითხე მოამბესიო... ისე, მე დიდი სასმისით დალევა არ მიყვარს, ეს უფრო მთვრალი კაცის ახირებაა.

— ისე, რამდენის დალევა შეგიძლიათ?

— ადრე შემეძლო 8 ბოთლი ღვინო დამელია. ახლა ცოტა თავს ვიკავებ, რადგანაც ჯანმრთელობის მდგომარეობა ცოტა ხელს მიშლის...

— სიმთვრალეში ჩადენილ საქციელზე არასოდეს გაგცინებიათ?

— როგორ არა?! გავიხსენებ იმ პერიოდს, როცა დაოჯახებული არ ვიყავი. მაშინ, სრულიად ახალგაზრდას, ერთი გოგო მევასებოდა. სიმთვრალეში გადავწყვიტე, რესტორნიდან პირდაპირ იმ გოგოს სახლთან მივსულიყავი, მუსიკოსებთან ერთად. ამრიგად, ღამის 4 საათზე მის ფანჯრებთან სიმღერა დავაკვრევინე. იქვე გარშემო ფანჯრებში სინათლეც აინთო: ბუნებრივია, მეზობლებიც გავაღვიძე. ამ დროს გამოვიდა ერთი კაცი და დაიყვირა: გამოდი, გოგო, შენი დედა ვატირე, დაგვაძინე ხალხიო!.. ერთხელ კარგად ნაქეიფარი მე და ჩემი ძმაკაცები ჩემს მანქანაში ვისხედით და გავიძახოდით: აუ, ახლა რა კარგია სოხუმში და რა კარგია გაგრაში!.. გარკვეული დროის შემდეგ, როცა მათ დაიძინეს, გაგრისკენ ავიღე გეზი. დილ-

ის 6 საათზე, რომ გამოიღვიძეს, უკვე იქ ვიყავით. აი, ასეთი სიურპრიზი გავუკეთე ჩემს მეგობრებს... მახსოვს, ქორწილის სუფრიდან 10 საათზე ავდექი და ქუთაისში ჩემი ახლობლის, გიგლა ჩხეიძის დაბადების დღეზე წავედი. იქ ორსაათნახევარში ჩავედი, ვიქეიფე და დილით უკან დავბრუნდი. შინ რომ ვთქვი, ქუთაისში ვიყავი-მეთქი, არ დამიჯერეს...

— ქეიფის დროს ალბათ კურიოზებიც გადაგხდენიათ?

— ყოფილა შემთხვევა, რომ ქეიფი 3 დღე გადამიბია. მახსოვს, პლეხანოვზე, რესტორან „რუსთავში“ მე, გივი ლომიძე (პლეხანოველი, მეტსახელად სიფათა) და კიდევ ორი კაცი 5 მარტს ჩავედით და იქიდან 7 მარტს ამოვედით. ქეიფის დროს, რამდენჯერაც გავიხედე, იმდენჯერ დღე იყო და ვიფიქრე — ჯერ ადრეა-მეთქი. თურმე, ფანჯრებთან „დღის სინათლე“ (ნეონის ნათურები) ანათებდა... მახსოვს, იმერეთში, ნათლობაში 300-კაციანი სუფრის თამადა ვიყავი. ჩემთვის კახური ღვინის შემდეგ იმერული ღვინო ძალიან ადვილი დასალევი იყო. დავსხედით 11 საათზე და დილის 7 საათზე, კვლავ ფხიზელი ვიყავი, ფიალა მოვითხოვე. მასპინძელმა გამომიტანა ფიალა, ოღონდ — სავსე.

დავსხედით 11 საათზე და დილის 7 საათზე, კვლავ ფხიზელი ვიყავი, ფიალა მოვითხოვე (გუჯა ცინცაძესა და ვასიკო გიყოცაძესთან ერთად)

გამოვართვი, ვადღეგრძელე კიდევ ერთხელ ოჯახი, ისე, როგორც სიმონიკა სხირტლაძე იტყოდა — ჭიქაზე ბულბული დავისვიო... ამრიგად, მოვსვი თუ არა, შევამჩნიე, რომ შიგ არაყი იყო შერეული. არაფერი მითქვამს, მხოლოდ პური მოვითხოვე; შევსვი და პური დავყნოსე. მასპინძელი მომიბრუნდა და მითხრა: ვეღარ დაგათვრე, ძმაო და რა გიყოო?..

— ჭირის სუფრაზე თუ გითამადიათ?

— მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვცდილობ ჭირის სუფრის თამადობაზე უარი ვთქვა, მაინც მიწევს ხოლმე. ხუმრობით მითქვამს მე უფრო ლხინის თამადობა შემიძლია, აქედან გამომდინარე ნუ დამნიშნავთ, თორემ, შეიძლება ჭირის სუფრა ლხინის სუფრად გადავაქციო-

გაიხსნა სარეპეტიტორო სკოლა სტს

(სპეციალიზებული ტესტირების სკოლა)

2005 წლიდან, ახალი კანონის შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ჩატარდება ცენტრალიზებულად, ტესტირების წესით. ტესტირება ჩატარდება ძმობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, უცხო ენასა და ზოგად უნარ-ჩვევებში. მოსწავლეებს სერიოზული და დიდი დატვირთვით მეცადინეობა მოუწევთ, რომ გზა გაიკვალონ ტესტირების ახალ სამყაროში. სწორედ მათთვის შეიქმნა სპეციალიზებული ტესტირების სკოლა. გვესაუბრება კიოტოს (იაპონია) უნივერსიტეტის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მათემატიკოსი **ალბერ ალრაძე:**

— თბილისში პირველი სარეპეტიტორო სკოლა გაიხსნა, სადაც ბავშვები სკოლის პარალელურად ისწავლიან. მეცადინეობები ჩატარდება რეპეტიტორებთან შინ ან პრესტიჟული სასწავლებლების აუდიტორიებში. ჩვენი სკოლა თითქმის მთელ თბილისს მოიცავს. მშობლებს ექნებათ არჩევანის საშუალება: შევთავაზებთ რამდენიმე მასწავლებელს, რომელიც მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს ცხოვრობს.

— მათ შვილებს ტესტირებისთვის მაღალკვალიფიციური პედაგოგები მოამზადებენ?

— ჩვენი მასწავლებლების უმეტესობა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და დოცენტები არიან, აგრეთვე სკოლის პედაგოგები, რომლებსაც აქვთ მრავალწლიანი სარეპეტიტორო გამოცდილება. სტს-ში საგნების სწავლებას კურირებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში — თსუ პროფესორი თინათინ ბოლქვაძე; თსუ დოცენტი მაკა ელბაქიძე; უცხო ენას — თსუ უცხო ენების კათედრის გამგე მანანა ქეთელია, 55-ე სპეციალიზებული სკოლის პედაგოგი მარიკა დავლაძე.

— რამდენი ბავშვი იქნება ჯგუფში?

— თითოეულ ჯგუფში იქნება 3-5 მოსწავლე. IX-X კლასის მოსწავლეებს მეცადინეობები ჩაუტარდებათ კვირაში ორჯერ, ხოლო აბიტურიენტებს — კვირაში სამჯერ. ბავშვებს წინასწარ ჩავუტარებთ ტესტირებას, რათა ჯგუფში დაახლოებით ერთი დონის მოსწავლეები მოხვდნენ. მასწავლებლის გარდა, მათთან იმუშავებენ კურატორები, რომლებიც მეცადინეობებს დაესწრებიან და დიდ ყურადღებას მიაქცევენ მოზარდთა ფსიქოლოგიურ მომზადებას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გამოცდებზე თავდაჯერებულად და თავისუფლად იგრძნონ თავი. თვეში ორჯერ ჩავუტარებთ ტესტირებას ისეთივე პრინციპით და ფორმით, როგორც მერე ამას განათლების სამინისტრო ჩაატარებს.

— რა ტარიფებია დაწესებული სარეპეტიტორო სკოლაში?

— მნიშვნელოვანია ის, რომ ქართულისა და მათემატიკის პედაგოგები, თავიანთი საგნების პარალელურად, დამატებითი გადასახადის გარეშე მოამზადებენ ბავშვებს ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტის ჩასაბარებლად. ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტი ხომ, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიური ტესტია. ასე რომ, მშობლებს აღარ მოუხდებათ იმაზე ფიქრი, თუ სად და როგორ მოამზადონ თავიანთი შვილები, რათა წარმატებით ჩააბარონ ინტელექტის კოეფიციენტის დასადგენი ტესტი, რომელშიც მაღალი შეფასება დამოკიდებულია ბავშვის გონიერებასა და მიხვედრილობაზე. ვინც სწავლობს 3 წელიწადს (IX-X-XI კლასები), მათთვის ერთი საგნის ღირებულება IX-X კლასში იქნება თვეში $30, XI კლასში — $40. ვინც 2 წელიწადს სწავლობს (X-XI კლასები), ერთი საგნის ღირებულება X კლასში იქნება თვეში $40, ხოლო XI-ში $50. ვინც 1 წელიწადს სწავლობს (XI კლასი), მისთვის ერთი საგნის ღირებულება იქნება თვეში $60-დან $80-მდე.

ჩვენი მისამართია: თბილისი 0162, მოსაშვილის 28/მიშველაძის 3. ტელ: +(99532) 913162, +(99532) 226915

საყურიანმა ბიჭმა რესტორანში ისე მოილხინა და ისეთი მშვენიერი „მრავალჟამიერი“ დააგუგუნა, მე და ჩემს მეგობრებს გაგვიკვირდა კიდეც... (დემურ ყიფიანთან ერთად)

მეთქი. მახსოვს ერთხელ, 80 წლის მოხუცებულის ქელეხში თამადად დამნიშნეს. გავუძეხი სუფრას და ნელ-ნელა, იუმორიც შევაპარე. ჭირისუფალმა მაშინვე თქვა: მხიარულება უყვარდა ცხონებულსო, ამიტომაც იუმორში სანათესავოც ამყვა. ისე ჭირის სუფრა უფრო საპასუხისმგებლოა. როცა თამადად გაყენებენ, ე.ი. ოჯახი გენდობა. ადრე ქელეხზე ცოცხლების სადღეგრძელოს არასოდეს სვამდნენ. ქელეხის სუფრა იწყებოდა მიცვალებულის მოხსენიებით, მერე იხსენებდნენ მიცვალებულებს და ბოლოს, ისევ იმ ადამიანის გახსენებით ამთავრებდნენ, ვისი ქელეხიც იყო. ცოცხლების და ნათესავების სადღეგრძელოებს მხოლოდ 40-ზე სვამდნენ. წლისთავზე კი „ჭერს ხდიდნენ“, „მრავალჟამიერს“ წაიმღერებდნენ და განსვენებულის ოჯახს გაამხნევებდნენ – ღმერთმა ჭირი გაკმაროთო!..

— დღევანდელმა ახალგაზრდობამ თუ იცის ნამდვილი ქეიფი და დროს ტარება?

– ქეიფი და თამადობის ინსტიტუტი ჩვენი ტრადიციაა და ვფიქრობ, არ უნდა დავივიწყოთ. მაგრამ ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს. დღეს სულ სხვანაირი ცხოვრების სტილია. ამას წინათ, საყურიანმა ბიჭმა რესტორანში ისე მოილხინა და ისეთი მშვენიერი „მრავალჟამიერი“ დააგუგუნა, მე და ჩემს მეგობრებს გაგვიკვირდა კიდეც. საყურიანი კაცი ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ადრე რომ გვენახა ქალაქში, მთელი ქუჩა ავედევნებოდით... ახალგაზრდობა ნელ-ნელა სუფრას და ნამდვილ ქეიფს ივიწყებს და დადის ბარებსა და დისკოთეკებზე. ამას წინათ, დისკოთეკაზე მოვხვდი და თმა ყალყზე დამიდგა ეს რა ვნახე?.. ერთ ადგილას გაბინძურებული შპრიცები ეყარა, აქეთ მთვრალი გოგონები, იქით კი – მთვრალი ბიჭები... მოვიდა ბიჭი, წაავლო კისერში ხელი გოგოს და აცეკვა. ისიც ადგა და ყოველგვარი მორიდების გარეშე ჩაეხუტა... მე რომ ქალი საცეკვაოდ გამეწვია, ჯერ 5 ბოთლი ღვინო უნდა დამელია... ჩვენ სხვანაირად ვიზრდებოდით. ჩვენს დროს, თითოეულ მამაკაცს გათავისებული გვქონდა, რომ ქალი ნაზი არსებაა და მისი დაფასებაც სხვანაირად ხდებოდა. არაა საჭირო, ევროპიდან ყველაფრის გადმოღება. ისინი ვერც სვამენ – მოწრუპავენ კოქტეილს და მერე ათასგვარ საზიზღრობას სჩადიან...

— სუფრაზე მისვლის წინ, გაქვთ თუ არა რაიმე რეცეპტი, რასაც საიდუმლოდ აკეთებთ?

– არავითარი რეცეპტი არ ვიცი. ხშირად, 2 ქორწილს ერთ დღეს გავძღოლივარ. ერთ დღეს ქორწილის სუფრა 4 საათზე დავიწყე და 6-ზე დავამთავრე, ისეთი ჩქარი ტემპით წავიყვანე. აი, მაშინ კი, ნამდვილად განსხვავებული სასმისით ვსვით. 2 საათში ყველა საღღეგრძელო ნათქვამი იყო და ხალხიც დათვრა. ამის შემდეგ, წავედი მეორე ქორწილში; შუაღამისას კი, ჩემი ახლობლის დაბადების დღეზე წავედი და დილამდე იქ ვითამადე. სუფრიდან, როგორც თამადა, ბოლოს ვდგები, არასოდეს შუა ქეიფის დროს არ გავსულვარ...

— როგორი სიმთვრალე იცით?

– ძალიან კარგი. შინ ღიღინით მივდივარ, ჩუმად ვწვები და ვიძინებ.

— მამუკას თუ შეუძლია თამადობა?

– ხშირად მეუბნებიან ჩემი მეგობრები: გენო, მამუკა შენი „კოპიოა“, თვალები რომ დახუჭო და მოუსმინო, ზუსტად შენი ასლია, შენსავით ხუმარაა, ანეკდოტებს ჰყვება, ცეკვავს და უკრავსო. ეს ამბავი მიხარია და თან, არც მიხარია, იმიტომ, რომ როგორც ყველა მამას, მეც არ მინდა, ჩემმა შვილმა მომეტებული სმით ორგანიზმი დაიზიანოს.

— სუფრაზე რა სიმღერას მღერით ხშირად?

– თავდაპირველად კახურს, ხოლო შემდეგ, გიტარაზე იმერულ სიმღერებს ვმღერი. არ არსებობს სუფრა, მე რომ რომანსი არ შევასრულო.

— დღესდღეობით ვინ არის კარგი თამადა?

– ძალიან კარგი თამადაა გივი სიხარულიძე, კიდევ – ვახო ცხადაძე. განსაკუთრებით მინდა გამოვყო გიზო ნიშნიანიძე. მე ასეთი „სუფრის კაცი“ არ მეგულება, როგორიც არის ბატონი გიზო. მთელ დუნიას მოგატარებს. ის რომ ლაპარაკობს, ვზივარ და ვფიქრობ – როგორ მინდა, ეს ყველაფერი შევისრუტო, მაგრამ არ მინდა, რომ გავიმეორო გიზო ნიშნიანიძის რეპერტუარი, ამიტომ, როგორც თამადას, ჩემეული სადღეგრძელოები მაქვს.

— ვის მიიჩნევთ ღირსეულ მეტოქედ?

– არავის. თუ ვინმე მთვლის მეტოქედ, ძალიან შემცდარა. ისე მჯობნის მჯობნი არ დაილევა. ■

მე რომ ქალი საცეკვაოდ გამეწვია, ჯერ 5 ბოთლი ღვინო უნდა დამელია...

უძრავი ქონების სეზონი დაიწყო

ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელს — ქალბატონ თამარ ლებანიძეს შეუძლია დაიტრაბახოს, რომ მას მშობლებმა მზითვი მისცეს. მინისტრის თქმით, სხვებთან საკმაოდ ხელგაშლილია, მაგრამ საკუთარი თავისთვის ვერაფერს იმეტებს. ის მოუცლელობას უჩივის, რის გამოც წიგნებს ვერ კითხულობს და ზღვაზე დასასვენებლადაც ვერ მიდის. სამაგიეროდ, კმაყოფილია იმ შემოსავლით, რომელსაც მისთვის სახელმწიფო იმეტებს.

ეგზოთვიანი მინისტრი ეკთ დროს ფეხსაცმელს კეკავდა და შიშვილის შიშით ნაძაცხვარს აპცოვდა...

ლიკა ქაჯაია

მინდოს�d: *დაიბადა 1963 წელს, ქალაქ თბილისში. ჰყავს მეუღლე — თეიმურაზ ბუცხრიკიძე, პროფესიით ინჟინერი; შვილები — რევაზი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი); ვახტანგი (ოსუ-ის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი); 1991 წელს დაბადებული დავითი და 1998 წელს დაბადებული ლევანი (სკოლის მოსწავლეები).*

თამარ ლებანიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში; პარალელურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ამერიკულ ორგანიზაციასთან „ვადავარჩინოთ ბავშვები“. მისი მონაწილეობით დაფუძნდა ორგანიზაცია „კონსტანტა“, — რომელშიც 1998 წლიდან მინისტრის პოსტის დაკავებამდე, ქალბატონი თამარი აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა.

„სასადილო გარნიტური დეკლარაციაში არ შემატანინეს“

— ვინ არიან თქვენი მშობლები?

— დედაჩემი ქეთევან ჩხეიძე პროფესიით ქიმიკოსია; მამა — ჯემალ ლებანიძე ეკონომისტი გახლდათ. წლების განმავლობაში მუშაობდა რუსთავში, ბოლოს კი — თბილისში, ვაჭრობის სამმართველოში.

— სად ცხოვრობს ამჟამად დედა-თქვენი?

— საერთოდ, დედა ჩემს ერთადერთ ძმასთან ცხოვრობს, მაგრამ ამჯერად ჩემს სახლშია.

— რა მოგყვათ მზითევში?

— ძალიან ბევრი რამ...

— კერძოდ?

— რაც დღეს სახლში მაქვს — ავეჯი, ჭურჭელი და ა.შ. — მთლიანად ჩემი ოჯახიდან მოდის.

— რა არის ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი თქვენს ოჯახში?

— სასადილო გარნიტური, რომელიც მეგონა, რომ ძვირად ღირებული იყო, მაგრამ დეკლარაციაში არ შემატანინეს *(დეკლარაციაში დასახლებული ნივთის ღირებულება უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის 50 ოდენობას. — ავტ.)*

— თქვენს ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ თბილისში გაქვთ 2 საცხოვრებელი ბინა, რომელთაგან ერთ-ერთი გაფორმებულია თქვენი მეუღლის სახელზე. მეორე?

— ერთ-ერთი ბინა, რომელიც უზნაძის ქუჩაზე მდებარეობს *(შეფასებული 70.000 ლარად. — ავტ.)* ჩემი მეუღლის სახელზეა გაფორმებული. მეორე კი — ჩემი ერთ-ერთი შვილის სახელზე *(შეფასებულია 25.000 ლარად. — ავტ.)*

— ეს ბინაც თქვენ ხომ არ მოგყვათ მზითევში?

— ის სახლი, რომელიც მზითევში მერგო, გაიყიდა და სწორედ ამის შედეგად შევიძინეთ ბინა, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ *(აღსანიშნავია, რომ დეკლარაციაში შეტანილია 10.000 ლარად შეფასებული მიწის ნაკვეთი დიღომში და 20.000 ლარად შეფასებული აგარაკი მუხათწყაროში. — ავტ.)*

უფლებისა და დროის გარეშე დარჩენილი მინისტრი

— რამდენს შეადგენს თქვენი ოჯახის წლიური შემოსავალი?

— ჩემს შვილებს შემოსავლის წყარო ჯერ არა აქვთ, მე წლიურად, დაახლოებით 14.400 დოლარსა და 4.390 ლარს ვიღებ, ჩემი მეუღლე — 2.400 ლარს.

— სად მუშაობს თქვენი მეუღლე?

— საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილეა.

— სხვა, დამატებითი შემოსავლები ხომ არ აქვს თქვენს ოჯახს?

— არა, არავითარი!..

— მინისტრობამდე, ფონდ „კონსტანტაში“ გეკავათ აღამსრულებელი დირექტორის ადგილი. რამდენი იყო იმ დროს თქვენი წლიური შემოსავალი?

— 24.000 დოლარი.

— ეი. ახლა ნაკლები შემოსავალი გაქვთ. აქედან გამომდინარე, ხომ არ სჯობდა, ძველ თანამდებობაზე გემუშავათ?

— არა. ის, რასაც სახელმწიფო მიხდის, ნორმალურია. წუწუნი რომ დავიწყო, მართალი არ ვიქნები. თუმცა, სხვაგან მუშაობის უფლება და დრო რომ მქონდეს, პარალელურად იქაც ვიმუშავებდი.

— თქვენს საბანკო ანგარიშებში ვერ ჩაგვახედებთ?

— ანგარიში „ქართუ ბანკში“ მაქვს გახსნილი. თანხის რაოდენობა 14.000 დოლარს შეადგენს *(დეკლარაციაში აღნიშნული 16.000 დოლარიდან ქალბატონ თამარს 2.000 უკვე დახარჯვია. — ავტ.)* „ვიზა-ბარათზე“ 100 დოლარი მაქვს, ლარებში კი — 700 ლარი.

— რაც შეეხება თქვენი მეუღლის საბანკო ანგარიშებს?

— მას ბანკ „რესპუბლიკის“ ვადიანი ანაბარი აქვს, რომელზეც 20.000 დოლარი ირიცხება.

— თუ ბანკებს ამდენ თანხას ანდობთ, ფულს შინ რატომღა ინახავთ? (დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ქალბატონ თამარს 3.000 ლარი, მის მეუღლეს კი — 1.000 დოლარი ნაღდი ფული ჰქონდათ. — ავტ.)

— ალბათ, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელფასები ახალი აღებული გვქონდა...

რატომ არ მოხვდა დეკლარაციაში 2 ავტომანქანა?

— რამდენი მსუბუქი ავტომანქანა გყავთ?

— ორი: „ფოლკსვაგენ გოლფი“, რომელიც ჩემი საკუთრებაა და ჩემი მეუღლის „მერსედესი“.

— რატომ არ გაქვთ შეტანილი

ქონებრივ დეკლარაციაში ეს ავტომანქანები?

— ეს მანქანები იმდენად ძველია, რომ არც ისინი შემატანინეს — ისევ და ისევ ფასის გამო.

— დაახლოებით, რამდენი ლარის საწვავი გჭირდებათ თვეში?

— მიუხედავად იმისა, რომ მანქანა მყავს, ჩემი „გოლფით" ქალაქში ძალზე იშვიათად გავდივარ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამინისტროში ვმუშაობ — მსოფლიო ბანკის წყალობით გვყავს სამსახურებრივი ავტომობილი და იგივე ბანკი უზრუნველგვყოფს საწვავით.

— ხართ თუ არა მხარჯველი?

— მხარჯველი ვარ. ფულს სიამოვნებით ვხარჯავ ყველაფერში, გარდა ჩემთვის საჭირო ნივთებისა. მიყვარს, როცა შვილებისთვის საჩუქარს ვყიდულობ ან მეგობრებს ვეპატიჟები სადმე.

— სად ეპატიჟები ხოლმე მეგობრებს?

— ძირითადად, კაფე-ბარებში.

მინისტრს აქსესუარები არ უყვარს და მოდას ფეხს ვერ უწყობს

— სად აახლებთ გარდერობს?

— ძირითადად, საზღვარგარეთ.

— რა არის თქვენს გარდერობში ყველაზე ძვირად ღირებული?

— კოსტიუმი, რომელიც შარშან, ამერიკაში შევიძინე 250 დოლარად.

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად რა მოგწონთ?

— აქსესუარები საერთოდ არ მომწონს...

— და მაინც, დამისახელეთ ყველაზე ძვირად ღირებული აქსესუარი, რომელიც გაქვთ?

— დედისაგან შთამომავლობით მივიღე სამკაული, მაგრამ სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ დავკარგე *(მინისტრის ბინა გაიძარცვა. — ავტ.)*. ახლა მაქვს ერთი საყურე, რომელიც დაახლოებით 200-300 დოლარი ღირს.

— მაკიაჟზე რას იტყვით?

— ძალიან მომწონს, როცა სხვა „შეღებილია", მაგრამ მე, კრემის გარდა, არაფერს ვხმარობ, ისიც იმიტომ, რომ მშრალი სახის კანი მაქვს. მაქვს სურვილი, გავიკეთო მაკიაჟი. სულ ვამბობ — მომავალი კვირიდან დავიწყებ კოსმეტიკის სერიოზულ ხმარებას-მეთქი, მაგრამ...

— რას ნიშნავს თქვენთვის მოდა?

— ვერ ვიტყვი, რომ მოდას ვუწყობ ფეხს, მაგრამ არ მიყვარს, როცა ცუდად გამოვიყურები. თუმცა, ამისთვის დიდ დროს ვერ დავხარჯავ...

— გიგრძნიათ თუ არა, რას ნიშნავს უფულობა?

— ძალიან ხშირად. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მთელ საზოგადოებას საშინლად უჭირდა. ამ დროს ვაკეთებდი ყველაფერს — ვკერავდი (მათ შორის ფეხსაცმელსაც) მეგობართან ერთად, ვაცხობდი ნამცხვარს და მუდმივად მქონდა იმის შიში, რომ შვილებს საჭმელი არ მოჰკლებოდათ.

— ეი. კარგი კულინარი ხართ?

— ყველაფერი მართლაც, გემრიელი გამომდის. მაგრამ ახლა ვერაფრის კეთებას ვეღარ ვახერხებ.

— ახლა ვინ ამზადებს კერძებს თქვენს ოჯახში?

— ქალი, რომელიც საოჯახო საქმეების მოგვარებაში მეხმარება.

— თქვენს მეუღლეს თუ აქვს კულინარიული ნიჭი?

— არა. სამაგიეროდ, ჩემი უფროსი შვილი — რევაზია მშვენიერი კულინარი.

„მეუღლემ გაფუჭებული ფენი მაჩუქა"...

— საჩუქრების მირთმევა თუ გიყვართ?

— როგორ არა?! სიამოვნებით ვუძღვნი საჩუქრებს მეგობრებს, ჩემს შვილებს, მეუღლეს...

— ბოლოს ვის და რა საჩუქარი მიართვით?

— ბოლოს, ჩემს შვილს ჰქონდა დაბადების დღე და სპეციალურად მისთვის პარიზში შევიძინე „რეინჯერის" ჩანთა.

— ალბათ, თქვენც გიძღვნიან ხოლმე საჩუქრებს...

— დღეს არავის აქვს იმის საშუალება, რომ ძვირად ღირებული ნივთი გაჩუქოს. მაგრამ ყველანი ვცდილობთ, ერთმანეთს ვასიამოვნოთ — ეს იქნება სუნამო, საოჯახო ინვენტარი თუ სხვა რაიმე — მნიშვნელობა არა აქვს.

— მეუღლე თუ გიძღვნით რაიმეს?

— ჩემს მეუღლეს თუ არ შეახსენე ესა თუ ის დღე, ისე საჩუქრის მირთმევა ავიწყდება. ბოლოს მაჩუქა „როტო პრო სტაილერის" ფენი, რომელიც არ მუშაობს — არ ვარცხნის...

— რამდენად ენდობით მეუღლის გემოვნებას?

— არ ვენდობი...

— ის თუ ენდობა თქვენსას?

— რა თქმა უნდა. ხშირად ითვალისწინებს ჩემს აზრს...

— ყოველთვის კლასიკურად გაცვიათ?

— გაჩნია, სად მივდივარ. სპორტულ ტანსაცმელსაც ხშირად ვიცვამ.

— როგორი მუსიკა მოგწონთ და რაიმე ნივთების კოლექცია ხომ არ გაქვთ?

— მიყვარს კლასიკური მუსიკა, ჯაზი. რაც შეეხება კოლექციონერობას — ეს საქმე არ მიზიდავს.

— როგორი ბიბლიოთეკა გაქვთ ოჯახში?

— ბიბლიოთეკა ძირითადად, ჩემი ძმის ოჯახში ინახება, გარდა ჩემი საყვარელი წიგნებისა. ლიტერატურა ძალიან მიყვარს, თუმცა ბოლო დროს, კითხვისთვის დრო არ მრჩება.

— გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, შინ ბევრი მცენარე ან ქოთნის ყვავილები თუ გაქვთ?

— ჩემი შვილების გადამკიდე, ყვავილებს შინ ვერ ვაჩერებ, მაგრამ აივანზე, რა თქმა უნდა, მაქვს ქოთნის ყვავილები.

რატომ ყრის მინისტრი ხურდა ფულს მანქანაში?..

— რა თანხა ჯდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ თქვენი ერთი გამგზავრება?

— ბოლოს მივლინებით პარიზში ვიყავი წასული. მქონდა ერთი თავისუფალი დღე და 220 ევრო, რომელიც სულ დავხარჯე.

— მობილური ტელეფონი არ გაქვთ?

— მაქვს — „სონი-ერიქსონი".

— დაახლოებით რამდენი მონობარათი გჭირდებათ თვეში?

სანდრა რულოვსთან და უმცროს ვაჟიშვილთან ლევანთან ერთად

— საშუალოდ, 5-6 მონო მჭირდება.

— დღეში სახარჯოდ, რა თანხა გჭირდებათ?

— ზუსტად ვერ გეტყვით...

— ამწუთას რამდენი ლარი გაქვთ?

— 20 ლარი.

— ხურდა ფული არ გაქვთ?

— „ხურდებს" მანქანაში ვყრი ხოლმე: ხურდა ფულს მე და ჩემი მძღოლი მათხოვრებისთვის ვინახავთ.

— რამდენი თეთრით ისტუმრებთ სამათხოვროდ მოსულ ადამიანს?

— არ ვიცი. რაც უცებ მომყვება ხელში, იმას ვაძლევ ხოლმე.

P.S. კითხვაზე — თუ რა სჭირდება მინისტრს ამჟამად ყველაზე მეტად, ქალბატონმა თამარმა მიპასუხა: — დასვენება. კარგი დასვენება კი, მისთვის ზღვაზე ყოფნას და კიდევ იმას ნიშნავს, რომ დანამდვილებით იცოდეს — მისი ოჯახის წევრები კარგად არიან. ■



როგორ უნდა დავადგინოთ, თუ რისი ნიჭი აქვს მომადლებული პატარას? რა ასაკში ავლენენ ბავშვები თავიანთ შესაძლებლობებს? რა უნდა გავაკეთოთ თუ ბავშვი ინტერესს არ იჩენს არც ერთი საგნის მიმართ და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს უნიჭოა? საერთოდ, არსებობენ კი უნიჭო ბავშვები? ამ კითხვებზე პასუხების გაცემა თურმე, არცთუ ისე მარტივი ყოფილა. უფრო მეტიც — პედაგოგებსაც კი განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

რამაგვიანებია ნიჭი?

პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და წარმატებული ადამიანების რეცეპტები და რჩევები

ლელა ჭანკოტაძე

მანანა ჯმუხაძე, *რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი:*

— თბილისელებს, ალბათ, კარგად ახსოვთ 12 წლის ვუნდერკინდი. მის შესახებ ჟურნალ-გაზეთებში ბევრს წერდნენ, ტელევიზიამაც კი აჩვენა თუ როგორ უპრობლემოდ ამრავლებდა პატარა ბიჭი სამნიშნა რიცხვებს. ის ჩემი მოსწავლე იყო და ძალიან მეამაყებოდა. მეგონა, მეცნიერების მწვერვალებს დაიპყრობდა და ჩემი სახელიც ისტორიაში შევიდოდა. დღე და ღამე მასზე ვფიქრობდი, თითქოს მის გარდა, სხვა მოსწავლე არც მყავდა. სკოლაში ყოველდღე, განათლების სამინისტროდან სტუმრები მოდიოდნენ, გაკვეთილზე გვესწრებოდნენ და აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ 12 წლის ბიჭის მათემატიკური ნიჭის გამო, მაგრამ ბრწყინვალე კარიერა მხოლოდ ჩემი ოცნების ნაყოფი აღმოჩნდა. ცხადია, მისი მშობლებისაც...

— **ბავშვს პირობითად ნიკა დავარქვათ. პირველად ვინ აღმოაჩინა ნიკას ნიჭი?**

— ნიკას უფროსი და ჰყავდა, მეოთხეკლასელი გოგონა, მათემატიკის ამოცანას ვერ ხსნიდა. ერთხელ მოულოდნელად, მას უმცროსი ძმა მიუახლოვდა, წიგნში ჩაიხედა და სწორი პასუხი უთხრა. ასეთი რამ ბევრჯერ რომ გამეორდა, 5 წლის ნიკას მშობლებმა მე მომმართეს. ძალიან დავინტერესდი. ნიკამ კომპეტენტური კომისიის წინაშე თავისი ნიჭი გამოამჟღავნა და ის პირდაპირ მესამე კლასში დასვეს. პრობლემები სწორედ მაშინ დაწყებულა. თურმე, უფროსები ამას ვერ ვხვდებოდით, ბავშვს კი სულ ჰქონდა იმის შეგრძნება, რომ სხვებისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. თავს ყოველთვის გარიყულად გრძნობდა. მერე ნიკა პოპულარული გახდა და თანაკლასელებთანაც ურთიერთობა ძალიან გაურთულდა. ერთ დღეს კი მშობლებს სთხოვა, სხვა სკოლაში გადამიყვანეთო. მისი სურვილი უმალ დააკმაყოფილეს და ის მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში გადაიყვანეს... ჩემი მოსწავლეების გაცნობა ხელახლა მომიხდა. საოცარი ინტერესით ვეპყრობოდი ყველა ბავშვს, თითქოს მათში რაღაც განსაკუთრებული ნიჭის აღმოჩენა მინდოდა...

— **ნუთუ კლასში სხვა ნიჭიერი მოსწავლე არ იყო?**

— ნიკას ნიჭმა ყველა დაჩრდილა, მოსწავლეები დაკომპლექსდნენ. იმის გაცნობიერებამ, რომ 3 წლით უმცროსი ბიჭი მათზე უკეთ ითვისებდა ყველაფერს, რამდენიმე ბავშვს საკუთარი თავის რწმენაც კი დაეკარგვინა, მაგრამ მალე ყველაფერი თავ-თავის ადგილებზე დადგა. მერე ისე მოხდა, რომ ოთხმა მოსწავლემ ოქროს მედლისთვის ბრძოლა დაიწყო. იმ კლასში უძლიერესი მოსწავლეები იყვნენ, განსაკუთრებით ლალი დამამახსოვრდა, რომელიც თურმე ლექსებს წერდა, ამის შესახებ კი არავინ ვიცოდით. როგორც კი ბავშვები ნიკას გარეშე დარჩნენ, თანდათან გააქტიურდნენ და აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი ძალზე ნიჭიერი და პერსპექტიული ყოფილა. სამი მათგანი სამედიცინო ინსტიტუტში პირველ წელსვე ჩაირიცხა, რაც იმ დროს ნამდვილი სენსაცია იყო.

— **ნიკას რა ბედი ეწია?**

— რომელიღაც უცხოურ კომპანიაში მუშაობს. სამწუხაროდ, მეცნიერების გზას არ გაჰყვა, უფრო მეტიც, როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მან რიცხვებზე, მათემატიკურ სიდიდეებსა და გეომეტრიულ თეორემებზე უარი თქვა, და პროფესიად ფსიქიატრია აირჩია. ახლა ინგლისში ცხოვრობს. არადა, მეგონა, დიდ მათემატიკოსს ვზრდიდი. მისი მშობლებიც შვილის გადაწყვეტილებით გულდაწყვეტილები დარჩნენ. ეს მათთვის ნამდვილი შოკი აღმოჩნდა.

— **ეი. შეიძლება ადამიანს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდეს, მაგრამ ის არ გამოიყენოს?**

— ნამდვილად ასეა. ამის დამადასტურებელი ბევრი შემთხვევა ვიცი. უბრალოდ, ვუნდერკინდი მოსწავლე მხოლოდ ერთი მყავდა.

მარინა ჯაფარიძე, *დაწყებითი კლასების პედაგოგი, სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“:*

— ჩემი დაკვირვებით, როცა ბავშვი ლაპარაკს იწყებს, მაშინვე ემჩნევა, ნიჭიერია იგი თუ არა. რაც უფრო ადრე ალაპარაკდება პატარა, მით უფრო მეტად აქვს განვითარებული აზროვნების უნარი და შესაბამისად, ნიჭიერიცაა. თუმცა ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ბავშვებს გონება 3-4 წლიდან ეხსნებათ. ბავშვის ნიჭიერებას მე განვსაზღვრავ პირველივე დღიდან, იმის მიხედვით, თუ რამდენი ლექსი იცის, როგორ მეტყველებს და ა.შ. მაგრამ ზოგ ბავშვს სკოლაში მისვლისას ისეთი ფსიქოლოგიური ბარიერი ექმნება, რომ შეიძლება კალმის დაჭერაც კი გაუჭირდეს. ეს არ ნიშნავს, რომ ის უნიჭოა.

— **ამბობენ, ნიჭიერი ბავშვები ზარმაცები არიანო...**

— მეც მსმენია ამის შესახებ, მაგრამ არ ვეთანხმები. მყავს კლასში ძალიან ნიჭიერი ბავშვი. პირველ კლასში კარგად სწავლობდა, მეორე კლასში უყურადღებო გახდა, მაგრამ როგორც კი ახალ მასალას ვხსნი, გულდასმით მისმენს. თუ სხვა ბავშვები ერთი კვირა ანდომე-

ბენ სიახლის ათვისებას, ის წუთში ითვისებს და მერე აღარ აინტერესებს. თუ მშობელმა და მასწავლებელმა ასეთ ბავშვთან სერიოზულად არ იმუშავა, ალბათ, გაზარმაცდება.

— ყველა ბავშვს აქვს ნიჭი თუ უნიჭო ბავშვებიც არსებობენ?

— მიმაჩნია, რომ ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური ნიჭი, უბრალოდ, ზოგჯერ უფროსებს ამ ნიჭის აღმოჩენა გვიჭირს. ზოგს სწავლა საერთოდ არ სურს, მაგრამ ვთქვათ, იუმორის კარგი გრძნობა აქვს და ამ მიმართულებით შეიძლება განვითარდეს... ბავშვს თუ ჯანმრთელობის პრობლემა არა აქვს, აუცილებლად ექნება დაფარული ნიჭი. შარშან ჩემს კლასში მოვიდა ბიჭუნა, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ანგარიში ვერ ასწავლეს. ორ კვირაში შეძლო ორი წლის პროგრამის ათვისება!.. ბავშვს სწორი მიდგომა უნდა, რომ გაიხსნას. პირველივე შეხვედრიდან, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, მოუხსნას პირველკლასელს შიში, კომპლექსები და დაძაბულობა. მყავდა მოსწავლე, რომელსაც ნახევარი წლის განმავლობაში, ერთი სიტყვაც ვერ ვათქმევინე. ვერც ერთ შეკითხვას ვერ პასუხობდა. თავის ნებაზე მივუშვი. მოდიოდა, უსმენდა ყველა ბავშვს და მიდიოდა... მეორე სემესტრში ისე გააქტიურდა, რომ ყველას აჯობა. თურმე, ყველაფერს კარგად ითვისებდა, მაგრამ შინაგანი კომპლექსების გამო ამას ვერ ამჟღავნებდა.

ლიანა ხომერიკი, *სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“:*

— 5 წლის წინ, ჩემს კლასში შემთხვევით აღმოვაჩინე ძველი ნაცნობის შვილი. ეს ბავშვი ვერაფერს ითვისებდა და მის გამო ძალიან ვღელავდი. ამიტომაც მშობლებთან შეხვედრა მოვინდომე. მამამისი რომ დავინახე, გავოცდი: ის თავის დროზე თბილისის უნიჭიერეს მოსწავლედ იყო მიჩნეული, როგორ შეიძლებოდა, მისი შვილი უნიჭო ყოფილიყო?! მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა... მერე ინგლისური ენის სწავლა დაიწყეს. მეგონა, ის ბიჭუნა თავს ვერაფრით გამოიჩენდა, მაგრამ ინგლისურის პედაგოგმა მითხრა: გაოცებული ვარ, ყველა სიტყვას უმალ იმახსოვრებს, ამიტომ დამატებით ვამეცადინებ, ზოგჯერ სასწავლად 80-100 სიტყვას ვაძლევ, მეორე დღეს მოდის და ყველა ახალი სიტყვა იცის, მისგან ნამდვილი პოლიგლოტი გამოვაო!.. ეს ბიჭუნა ახლა მეხუთე კლასშია. მან უკვე ორჯერ გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში და აშშ-ში ექვსთვიანი სწავლების გრანტი ორჯერ მოიგო. დარწმუნებული ვარ, დიდი მომავალი ელოდება, თუმცა ბავშვის მომავალზე პროგნოზის გაკეთება ძნელია. ბავშვები ხომ უამრავ სიურპრიზს გვიმზადებენ!..

მერი დავითაშვილი, *კომპოზიტორი:*

— ნიჭის აღმოჩენის მზა რეცეპტი არ არსებობს. მთელი ცხოვრება ბავშვებთან ვიმუშავე. გამოცდილება მაძლევს იმის უფლებას, რომ გარკვეული დასკვნებიც გავაკეთო. ვფიქრობ, რომ ყველა ბავშვს აქვს სმენა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ასევე იშვიათი გამონაკლისია ძალიან ნიჭიერი ბავშვი. ახლა ხშირად გაისმის — ნიჭიერიაო, მაგრამ ეს ხშირად სიმართლეს არ შეეფერება. მე მიმაჩნია, რომ ნიჭი არის ის, რასაც ადამიანი საქმეში გამოაჩენს. თორემ, ვიცნობ რამდენიმე ადამიანს, რომლებზეც ამბობენ, ნიჭიერები არიანო, წლები გადის, მათ კი თავიანთი ნიჭი ვერაფერში გამოუმჟღავნებიათ. არადა, მართლა ველოდები, რომ რაიმე ღირებულს შექმნიან...

— ალბათ, გქონიათ შემთხვევა, როცა ნიჭიერს შედარებით სუსტმა ბავშვმა აჯობა?

— ვაჟა-ფშაველას მაგალითი საკმარისია იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რა ძალა აქვს ნიჭს: რა შეაძლებინა კაცს, რომელიც საშინელ პირობებში ცხოვრობდა. მუსიკოსებიდან რუს კომპოზიტორს სერგეი პროკოფიევს გამოვყოფდი. 13 წლის იყო, კონსერვატორიაში რომ ჩაირიცხა!.. მაგრამ ის მხოლოდ თავისი ნიჭის იმედად არ დარჩენილა — ტიტანურ შრომას ეწეოდა, რომ შედეგი მიეღო და ნიჭი რაციონალურად გამოეყენებინა. ჩვენში ბევრი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ სამწუხაროდ, მცირედით კმაყოფილდებიან. თუ ბავშვი ნიჭიერია, მშობელი უკვე იმდენად კმაყოფილია, რომ აღარ ცდილობს, შვილს ამ ნიჭის გამოყენებაში დაეხმაროს. უნიჭიერესი მოსწავლე მყავდა, მან ვერაფერი გააკეთა. არადა, მეგონა, მისგან უძლიერესი პიანისტი დადგებოდა. მეორე მოსწავლე ისეთი ნიჭიერი იყო, 3 წლის ასაკიდან უკრავდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

რას ფიქრობენ ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი და პოპულარული დედები? რა ხერხებს მიმართავენ შვილების გონებრივი შესაძლებლობების გამოსავლენად? ვის რჩევებს ითვალისწინებენ და რა პარალელებს ავლებენ საკუთარ ბავშვობასა და შვილების ცხოვრებას შორის?

თამარ ჭოხონელიძე:

— ჩემი შვილები ჯერ მეცხრეკლასელები არიან და ამიტომ მიჭირს, ზუსტად განვსაზღვრო, თუ რომელს რისი ნიჭი აქვს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ IV–V კლასში უკვე უნდა გამოჩნდეს, ბავშვს ჰუმანიტარული საგნებისკენ აქვს მიდრეკილება თუ ტექნიკურშია უფრო ძლიერი. თუ გამოკვეთილი ნიჭი არ აღმოაჩნდა, მაშინ მშობელი მობილიზებული უნდა იყოს, რათა არ შეეშალოს შვილის არსებაში მიძინებული დაფარული ნიჭის აღმოჩენა. მასთან საჭიროა დიალოგი: შვილს ხშირად უნდა ესაუბრო, რათა მიეხმარო, თავისი მონაცემები გამოავლინოს. დიალოგით შეიძლება მიხვედრა, თუ რომელ საგანში აქვს ღრმა აზროვნების და განსჯის უნარი. მარიამს უკვე აქვს გამოკვეთილი ნიჭი — ის კარგად მღერის. თუმცა, ვერ გეტყვით, რომ ბოლომდე ამ გზას გაჰყვება, რადგან გაორებულია: ძალიან უნდა ექიმობა. სხვათა შორის, ბავშვობაში მეც ექიმობაზე ვოცნებობდი. მაგრამ სურვილი ერთია, მონაცემები კი — მეორე. ტექნიკურ საგნებს ისე კარგად ნამდვილად არ ვსწავლობდი, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ჩამებარებინა. თან ჩემი მშობლები იმდენად ორიენტირებულები იყვნენ მუსიკაზე, რომ შემრცხვა და ვერც ვთქვი, ექიმობა მსურს-მეთქი. ასე რომ, არ ვიცი, მარიამი როგორ არჩევანს გააკეთებს.

— მშობელმა შეიძლება ვერ შენიშნოს, თუ რისი ნიჭი აქვს მის შვილს, არა?

— ჩემმა დამ სოფიკომ IX-X კლასში გამოაცხადა, რომ სამსახიობო ფაკულტეტზე უნდოდა ჩაბარება. მშობლები ამას ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მან მაინც ჩააბარა. ყველა გვეკითხებოდა: აქამდე როგორ ვერ შეამჩნიეთ მისი სამსახიობო მონაცემებიო?!. უბრალოდ, ჩვენს მშობლებს არ უნდოდათ, რომ ეს შეემჩნიათ, თორემ, სოფიკო მსახიობის ნიჭს ბავშვობიდან ძალიან ნათლად ავლენდა... მეორე დამ თინიკომ კი, მართლა შოკში ჩაგვაგდო, როცა თქვა — მეც მსახიობობა მინდაო. ის კარგად სწავლობდა ისტორიას და ქართულ ლიტერატურას. ამ ორ საგანზე იმდენად იყო შეყვარებული, ეჭვიც არ გვეპარებოდა იმაში, რომ რომელიმეს პროფესიად აირჩევდა. თეატრალურ ინსტიტუტშიც უპრობლემოდ ჩააბარა. ალბათ, მასში მსახიობის ნიჭი

სარეპეტიტორო სკოლა

ს ო ს

მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი ტესტებისათვის
ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net

ყველამ, ვინც ბავშვის აღზრდაში მონაწილეობს, უნდა შეძლოს, დაეხმაროს მას...

დამალული იყო და ვერ შევნიშნეთ.

ლიზა ბაგრატიონი:

— მე ვფიქრობ, რომ ბავშვი ჩამოყალიბებულ პიროვნებად იბადება. ღმერთისგან აქვს ყველაფრი ბოძებული და საკუთარ თავს თვითონ გამოავლენს. თუმცა, მშობელმა უნდა სცადოს და შეძლოს მისი დადებითი თვისებების განვითარება. ბავშვი თავად უნდა მიხვდეს, რა სურს, რისი გაკეთება შეუძლია. მშობელმა კი ხელი უნდა შეუწყოს იმაში, რომ ეს სურვილი რეალობად აქციოს.

— რისი ნიჭი გქონდა ბავშვობაში და თუ შეძელი მისი რეალიზება?

— ყოველთვის მუსიკალური ბავშვი ვიყავი და ენებისადმი მიდრეკილება მქონდა. ასევე ვფიქრობ, რომ ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდა. არანაირი ტექნიკური და სპორტული ნიჭი არ მქონია. მშობლები არასდროს მაძალებდნენ იმის გაკეთებას, რაც არ მინდოდა. დედას მიაჩნდა, რომ მის შვილებს საუკეთესო ზოგადი განათლება უნდა მივეცეო. ამიტომ რელიგიის ისტორიასაც ვსწავლობდით, უცხო ენებსაც და კულტურასაც. სპეციალობად ინგლისური ენა და ლიტერატურა ავირჩიე. სამსახიობო ჟინს მეგობრებთან ვიკლავ, სიმღერა კი მთელი ჩემი ცხოვრებაა.

ლილიკო ნემსაძე:

— ბავშვს უნდა შეეძლოს მელოდიის დამოუკიდებლად გამეორება, ღიღინი — მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას მუსიკალური ნიჭი აქვს. რეაქციებიც უნდა ჰქონდეს: მუსიკის გამო ჩვილმა შეიძლება იტიროს. ასეთი რამ თავადაც მინახავს — სევდიანი მუსიკა, ნაღვლიანი სიმღერა, მაგალითად, „იავნანა“ პატარებში, რომლებმაც ლაპარაკიც არ იციან, იწვევს ემოციას, რომელიც ტირილში ვლინდება... ასეთ ბავშვს, ცხადია, კარგი სმენაც ექნება და მუსიკალური ნიჭიც... მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბავშვი აღვზარდოთ კარგ მსმენელად. შეიძლება, მას მუსიკის ნიჭი არ ჰქონდეს, მაგრამ მისგან კარგი მსმენელი ჩამოაყალიბოს მშობელმა. ასე რომ, თუ ბავშვს კარგი სმენა არა აქვს, ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ...

— თქვენ როდის აღმოგაჩნდათ მუსიკალური ნიჭი?

— ძალიან პატარა ვიყავი, როცა პიანინოზე ორ ხელში დაკვრა დავიწყე. ჩემთვის ეს არავის უსწავლებია — მე თვითონ შევძელი. არც მე დამიძალებია ჩემი უფროსი შვილისთვის სიმღერა. რადგან ვთვლი, რომ ის ისეთ მუსიკალურ გარემოში იზრდება, შეუძლებელია, რომ სმენა არ ჰქონდეს. მუსიკალურობა ხომ გენეტიკური თვისებაა. ძალიან იშვიათია გენის „გადაწვა“ — როცა ყველანი მუსიკალურები არიან, ბავშვს კი სიმღერის ნიჭი არ აღმოაჩნდება.

როგორია ფსიქოლოგების აზრი ამ პრობლემაზე? როგორ უნდა დავადგინოთ, თუ რისი ნიჭი აქვს ბავშვს?

მიხეილ კაკაბაძე, *ფსიქოლოგი:*

— საკმაოდ რთულია კონკრეტული პასუხის მოძებნა კითხვაზე — როგორ აღმოვაჩინოთ, თუ რისი ნიჭი აქვს ბავშვს? რადგან ნებისმიერი ადამიანი ინდივიდია, თავისი განუმეორებელი პიროვნული თვისებებით, გენეტიკური, სულიერი და ინტელექტუალური წყობით, ე.ი. თითოეულ მათგანთან განსხვავებული მიდგომა და მუშაობაა საჭირო. ყველას გექნებათ გაგონილი ბებიებისგან ფრაზა: ბავშვი იმ ცომს ჰგავს, რომლისგანაც პურსაც გამოაცხობ და ხმიადსაცო — მთავარია, რამდენად ხელმარჯვეა ხაბაზი. უნიჭო ბავშვი პირადად მე, არ შემხვედრია. სამაგიეროდ, ხშირად მინახავს მშობელი, რომელიც უძლურია შვილის ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის საქმეში. ყველამ, ვინც ბავშვის აღზრდაში მონაწილეობს, უნდა შეძლოს, დაეხმაროს მას, სრულად მოახდინოს საკუთარი ნიჭის რეალიზება.

— მაინც, რით უნდა დავიწყოთ ბავშვში ნიჭის გამოვლენა? ხომ არ არსებობს რაიმე ზოგადი ხერხები?

— უპირველესია, არ გადავღალოთ ბავშვი. არ შეიძლება, მას მივაწოდოთ იმდენი ინფორმაცია, რამდენსაც ის ასაკის, გონებრივი განვითარების დონისა და განათლების ხარისხის გამო ვერ აღიქვამს და ვერ გააანალიზებს, რათა ამით არ შევუშალოთ ხელი ბავშვის პოტენციალის გამოვლენას. მშობლებს ხშირად მოუწონებიათ თავი საკუთარი შვილებით და უთქვამთ: ჯერ 7-8 წლისაა და მეცნიერივით საუბრობსო. მქონია ურთიერთობა ბავშვებთან, რომლებიც 10 წლის ასაკში მიამბობდნენ ნაწყვეტებს სოკრატესა და სოფისტ ჰიპიას დიალოგიდან. მიმაჩნია, რომ ეს ბავშვის გონების ზედმეტი გადატვირთვაა. მას აქვს ათვისების საოცარი უნარი, მაგრამ სულ სხვაა ათვისებული მასალის გააზრება, გათავისება, შესისხლხორცება. როცა პატარა ამბობს — ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისიაო, — ის თუთიყუშს ჰგავს, რომელიც დაზეპირებულ ფრაზებს იმეორებს...

— რომელ ასაკში ავლენს ბავშვი ყველაზე უკეთ საკუთარ შესაძლებლობებს?

— ყურადღებიანმა მშობელმა შეიძლება ზუსტად განსაზღვროს შვილის შესაძლებლობები. ზოგ ბავშვს ღვთივმომადლებული ნიჭი აქვს და მშობლებს ასეთ შემთხვევაში, ზედმეტი ძალისხმევა არ სჭირდებათ, მაგრამ უფრო ხშირად, ბავშვი ისე იზრდება, რომ არ ავლენს გამოკვეთილ ნიჭს, არა იმიტომ, რომ არა აქვს — უბრალოდ, ამგვარად ვითარდება. განგაშის ატეხა საჭირო არ არის. ნიჭი ხომ ინდივიდუალურია — მათ შორის, მისი გამოვლენის თვალსაზრისითაც.

— 5-6 წლის ბავშვები უკვე სხვადასხვა წრეში არიან გაერთიანებულები. როგორ გავიგოთ, რომელ წრეზე უნდა ვატაროთ ბავშვი?

— თუ 3 წლის ბავშვი გამუდმებით ფანქრებს ითხოვს, რომ დახატოს, ნუ ჩათვლით, თითქოს ოჯახში მხატვარი გეზრდებათ. თუ ფორტეპიანოზე დაკვრას ცდილობს ან ჭადრაკის ფიგურებს სწორად ალაგებს დაფაზე, არც ეს ნიშნავს, რომ მისი ნიჭი სრულიად გამოვლინდა. ბავშვის სამყარო მრავალფეროვანია, ის ყოველ წუთს ახალი აღმოჩენების მოლოდინშია. დააცადეთ, ხატვის გარდა, სპორტითაც დაინტერესდეს, მუსიკითაც და მერე არჩევანი რამდენიმედან ერთზე შეაჩეროს. მისი ინტერესების სფერო მწირი არ უნდა იყოს. ყველაზე საუკეთესო გამოსავალია, მასში გაღვივდეს შემეცნების წყურვილი. ის უნდა აღზარდოთ იმ შეგნებით, რომ ყველა და ყველაფერი რაღაცას გვასწავლის — სამყარო „გველაპარაკება“. მოზარდისთვის უმნიშვნელოვანესია მსჯელობის ფიქრის, აზროვნების სწავლება. ეს არის ერთადერთი სწორი გზა. ■

ხერხი სჯობია ღონესა

„ხერხი სჯობია ღონესა, თუკი გაანძრევ გონებას“ — ასე გადააკეთა ცნობილი ანდაზა ერთ-ერთმა მკითხველმა. მართლაც, ხშირად ხდება ისე, რომ სადაც ძალით ვერაფერს გააწყობ, შესაძლოა, მოხერხებულობამ გიხსნათ... ხომ წარმოუდგენელია, რომ არსებობდეს ძალა, რომელიც დედამიწას ძვრას უზამს?!. საკმაოდ ჩია ტანის ნიუტონი კი ამბობდა: მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას გადავაბრუნებო, — და დაამტკიცა, რომ თეორიულად ეს ნამდვილად შესაძლებელია...

მარი ჯაფარიძე

„...დიდი სიყვარულის გამო მოვიქეცი ასე“

ცნობილია, რომ თითქმის ყველა ომის დროს, ქართველები ბრძოლის ველზე გაცილებით ცოტანი იყვნენ, ვიდრე მტრის ჯარი, მაგრამ სწორედ მოხერხებულობისა და სწორი სტრატეგიის შედეგად აღწევდნენ გამარჯვებას. სამეგრელოს ერთ-ერთი მთავარი კი, იმისათვის, რომ თავისი სამთავრო, თურქების ინტერესების არეალში არ მოხვედრილიყო და აოხრებას გადარჩენოდა, ასეთ ხერხს მიმართავდა: სულთნის მიერ გამოგზავნილ ელჩებს საზღვართან თავის ხალხს ახვედრებდა; ისინი სტუმრებს მუვალი გზებით მოატარებდნენ, ღამის გასათევად ყველაზე ღარიბი გლეხის ოჯახში შეიყვანდნენ და მხოლოდ ხმელი პურითა და წყლით გაუმასპინძლდებოდნენ. მთავარი მათ თავის სასახლეში კი არ ღებულობდა, არამედ უბადრუკ ქოხში, სადაც ქვეშაგებად, თივით გატენილ ლეიბს უგებდნენ. თავად მთავარი საკმაოდ შელახული ტანისამოსით გამოეცხადებოდა და თან, სტუმრებს ბოდიშს უხდიდა, ღარიბულად დახვედრის გამო. ელჩებს ერთი სული ჰქონდათ, როდის დატოვებდნენ მასპინძელს და მშობლიურ ქვეყანაში აჩქარებული ნაბიჯით, ისევ ოღროჩოღრო გზებით მიიჩქაროდნენ. შემდეგ კი სულთანს, ქართველების გაჭირვებული ცხოვრების შესახებ უამბობდნენ. მთავრის მოხერხებულობამ კარგა ხნის მანძილზე გადაარჩინა სამეგრელო აოხრებას...

ახლა ვნახოთ, რამდენად მოხერხებული არიან ჩვენი თანამედროვენი. ყველამ იცის, რომ ერთს მივუმატოთ ერთი არის... პასუხის გაცემა ძალზე იოლია, მაგრამ დამიჯერეთ, ხანდახან ის პასუხი სულაც არ არის სწორი, რომელიც ენაზე მოგადგათ. ჩვენი მკითხველი ირწმუნება, რომ ერთს მივუმატოთ ერთი, არის ხუთი... მოვუსმინოთ 35 წლის ლექსოს.

„გონზე რომ მომეყვანა, სახეში შემოვარტყი“...

„ეს ქართული ანდაზა სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს, თუმცა, როგორც ჩანს, მე დიდი მოხერხებულობით ვერ გამოვირჩევი. ამიტომ მინდა მოგიყვეთ ჩემი მეუღლის მოხერხებულობის შესახებ, რომელმაც ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. 30 წლის ვიყავი, როცა ასაკით ჩემზე 3 წლით უფროსი ქალი შემიყვარდა. ეს იყო ნამდვილი, ძლიერი სიყვარული, რომლის მსგავსიც წინათ არასოდეს განმიცდია. მთელი არსებით მიყვარდა და ბედნიერი ვიყავი, რადგან გარეგნობით მშვენიერი გოგო იყო, ისეთი მოკრძალებული და მორცხვი, რომლის მსგავსიც ჯერ არ მენახა. ლელა სრულიად შემთხვევით გავიცანი. ფოსტაში ტელეფონის დავალიანების დასაფარად მივედი. რიგი დამხვდა. ლელამ ჩემ შემდეგ დაიკავა რიგი. გამოველაპარაკე, რიგი დავუთმე და როდესაც მოლარეს თავისი ტელეფონის ნომერი უთხრა, დავიმახსოვრე. იმავე საღამოს დავურეკე, მაგრამ ჩემი ვინაობა არ გამიმხელია. შემდეგ პაემანი დავუნიშნე, შევხვდი და იმ დღიდან დაიწყო ჩემი აღმაფრენა. ძალზე ბევრი კარგი თვისება აღმოვაჩინე ამ ქალში. კარგად მსჯელობდა, საღად აზროვნებდა, მოკრძალებულად იქცეოდა და ტანზეც საკმაოდ სადად ეცვა. მასში სწორედ ის ქალი დავინახე, რომელზეც ვოცნებობდი. თავის შესახებ კი მიამბო, რომ გასათხოვარი იყო, არ მუშაობდა, დედა საზღვარგარეთ ჰყავდა და ის უგზავნიდა ფულს, რომ თავი შეენახა. მისი ქცევით აღფრთოვანებული, ხშირად ვეკითხებოდი: ამდენ ხანს გაუთხოვრად ვინ დაგტოვა? ნუთუ, ვერავინ შეგნიშნა, რომ ასეთი კარგი ხარმეთქი?.. ამ დროს, მორცხვად გაიღიმებდა ხოლმე... მის გარშემო არავის ვიცნობდი. ვთხოვდი ხოლმე — მეგობრები გამაცანი-მეთქი, — მაგრამ უარს მეუბნებოდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ თურმე, მე ისეთი კარგი ვიყავი, რომ მისი მეგობრები ჩემს დანახვაზე გადაირეოდნენ და შებმას დამიწყებდნენ... ის კი ჩემს ყველა მეგობარს იცნობდა და ყველა აღფრთოვანებული იყო მისით. მთელი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ მისთვის თითიც არ დამიკარებია. ერთ დღეს კი, ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე წავედით. დავთვერი და... დილით თვალი რომ გავახილე, ჩემს საწოლში თვალცრემლიანი ლელა აღმოვაჩინე. მისმა ცრემლებმა გამაგიჟა. თვალები დავუკოცნე და სამუდამო ერთგულება შევფიცე. სულ მალე კი, ქორწილიც გადავიხადეთ და დავიწყეთ ოჯახური ცხოვრება. ლელა ხშირად მიდიოდა სოფელში, დეიდასთან და 2-3 დღე რჩებოდა. ვეუბნებოდი — წამოვალ, შენს ნათესავებს გავიცნობ-მეთქი, — მაგრამ ყოველთვის რაღაც მიზეზს პოულობდა იმისთვის, რომ არ წავეყვანე. ამის გამო დიდად არ ვნერვიულობდი. მაგრამ ერთხელ, როცა ლელა ცოტა ხნით მეზობელთან გავიდა, მის ტელეფონზე მესიჯი მოვიდა: „ბავშვს სიცხე აქვს, უკვე ორი დღეა. ვერაფერს ვშველით. სასწრაფოდ სჭირდება...“ — და ჩამოთვლილი იყო 5-6 პრეპარატი. ეჭვიც არაფერში შემპარვია. ვიფიქრე, რომ მის დეიდაშვილს ჰყავდა შვილი ავად. მა-

გრამ ლელა რომ დაბრუნდა და ვუთხარი, ბავშვს სიცხე ჰქონია და წამლები სჭირდება-მეთქი, – შეშინებული სახე მიიღო, თვალები გაუფართოვდა, ნიკაპი აუკანკალდა და ენა ისე დაება, რომ გამიკვირდა. ჩავეკითხე, ჩავეძიე, მაგრამ კრუნჩხვა დაემართა, ტიროდა, სახეზე ხელებს იფარებდა... გონზე რომ მომეყვანა, სახეში შემოვარტყი. მართლაც, უცებ დაწყნარდა. მე კი მეორე ოთახში გავედი, დივანზე დავჯექი და მისი უცნაური ქცევის ახსნა ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ცოტა ხანში კი, თვითონ გამოვიდა, მუხლებში ჩამივარდა და – მაპატიეო, – მევედრებოდა. სულ მთლად დავიბენი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ბავშვი მისი შვილი ყოფილა... თანაც – უმცროსი... მასზე უფროსი კი ორი ჰყოლია... წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა? ცოლად მოვიყვანე ქალი, რომელიც გაუთხოვარი მეგონა, ის კი 3 შვილის დედა ყოფილა... მე კი ამას ქორწინებიდან 1 წლის შემდეგ ვიგებ... შინიდან გავიქეცი და ერთი კვირის შემდეგ, უკან მტკიცე გადაწყვეტილებით დავბრუნდი... მისი შვილები საცხოვრებლად ჩვენთან გადმოვიყვანე. ამის შემდეგ, ისიც გაირკვა, რომ ჩემი ცოლი დეიდასთან კი არა, სოფელში დედასთან და შვილებთან მიდიოდა ხოლმე. მოკლედ, უცებ გავხდი სამი შვილის მამა. ხშირად მიფიქრია – წინასწარ რომ ეთქვა ლელას ამის შესახებ, მაინც დავქორწინდებოდი მასზე?.. პასუხი ერთია – ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებდა ამას!.. ჰოდა, ლელამაც ძალა კი არა, ხერხი გამოიყენა და დღეს უზომოდ ბედნიერად ვგრძნობ თავს“.

ერთხელ მე და შალვა ნათელაშვილმა „ვიჭორავეთ“ და სწორედ მაშინ გამიმხილა „საშინელი“ საიდუმლო: თურმე უშიშროებას ჰქონია სპეციალური სამსახური, რომელიც ჭორებს იგონებს და ავრცელებს. ტყუილი ამბების შეთხზვა კი, როგორც წესი, ძირითადად, ამა თუ იმ ადამიანის რეპუტაციის შესალახად ხდება. ჰოდა, ჩვენმა მომდევნო რესპონდენტმა ისე პროფესიულად გაართვა თავი ამ საქმეს, რომ ვფიქრობ, უშიშროების „ჭორების მოგონებისა და გავრცელების“ განყოფილების უფროსი თუ არა, რიგითი თანამშრომელი მაინც იქნება.

„ჩემი გულისთვის ის უნდა გაეკეთებინა, რასაც ვთხოვდი...“

„გამარჯობა. მე ნინო ვარ. მინდა ჩემი მოხერხებულობის შესახებ გიამბოთ, მაგრამ არ იფიქროთ, ამით ვამაყობდე. ამ ამბიდან მთელი 9 წელი გავიდა და დღესაც მრცხვენია ჩემი საქციელის. მაშინ 22 წლის გოგო ვიყავი და ჩემი მეზობელი, 3 წლით უფროსი ბიჭი შემიყვარდა. ერთად გავიზარდეთ. მე მე-5 სართულზე ვცხოვრობდი, ის ჩემ ქვევით, მე-4-ზე. რაც თავი მახსოვს, იმის შემდეგ მახსოვს ვახოც. აზრადაც არასოდეს მომსვლია მისი შეყვარება, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, სულ სხვა თვალით შევხედე და იმ დღიდან, ჭკუა გადამეკეტა მასზე. ჩვენი მშობლები განსაკუთრებულად მეგობრობდნენ. ოჯახებით ვურთიერთობდით. ამიტომ შემეძლო, ნებისმიერ დროს მივსულიყავი სტუმრად. თუმცა, იმ ოჯახში სტუმრად არავინ მთვლიდა. ვახოს დასთან ვდაქალობდი, ხშირად ღამითაც ვრჩებოდი მათთან. პატარაობისას კი, თუ ჩემი მშობლები სოფელში ან სადმე სხვაგან წავიდოდნენ, კვირაობით მიცხოვრია მათ ოჯახში. დასასვენებლადაც კი ერთად მივდიოდით ხოლმე. ჰოდა, აი, ასეთი ოჯახის შვილი შემიყვარდა. მაშინ ვახო 25 წლის იყო. ოჯახი ცდილობდა, რომ დაექორწინებინა. ხან ვის ურიგებდნენ, ხან – ვის... მე ვიბოღმებოდი, ყველა გოგოს ვიწუნებდი და ჩემს აზრს დაუფარავად გამოვთქვამდი ხოლმე. მალე ნინო (ვახოს და) გათხოვდა. მე ძველებურად ვსტუმრობდი მათ ოჯახს. ერთხელ, გვიანობამდე ვუყურებდით ტელევიზორს; ვახოს მშობლები დასაძინებლად დაწვნენ, ჩვენ ფილმის ყურება განვაგრძეთ. ვახომ გული გადამიშალა და მითხრა, რომ თურმე, ვიღაც თამუნაზე ყოფილა შეყვარებული. თვალთ დამიბნელდა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. მხოლოდ ვთხოვე, ჩემთვის გაეცნო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, ვახომ თამუნა გამაცნო. ვისეირნეთ, კაფეში ყავა დავლიეთ, ზოოპარკი ფეხით შემოვიარეთ. თან ფოტოაპარატი მქონდა და სურათებიც გადავიღეთ. გულს ის მიკლავდა, რომ თამუნა მართლაც, მშვენიერი გოგო იყო და გულითაც რომ მოგენდომებინა, მასზე ცუდს ვერაფერს იტყოდი. წარბიც არ შემიხრია, ისე გულმოდგინედ ვაქე ეს გოგონა, თითქოს მისით ძალზე აღფრთოვანებული ვიყავი. შემდეგ ისე დავუახლოვდი, რომ ჩემთან სტუმრად მოდიოდა ხოლმე, მირეკავდა, მეჭორავებოდა... ამგვარად, ყოველთვის საქმის კურსში ვიყავი, თუ რა ხდებოდა მათ შორის. ცოტ-ცოტა „ვჩორტაობდი“ კიდეც, ვცდილობდი, ისეთი რამ მეთქვა, რაც მათ ერთმანეთზე გაანაწყენებდა. გარეგნულად კი მამა აბრამის ბატკანი და უმანკო კრავი ვიყავი. ამ დროს, სამედიცინო ინსტიტუტის მე-4 კურსზე ვსწავლობდი. გამოცდები ახლოვდებოდა და ჯგუფელმა ბიჭმა დახმარება მთხოვა. საგნის „ჩაწყობა“ უნდოდა, ლექტორი ჩემი ახლობელი იყო. ვიცოდი, ამ ბიჭს ძალზე ვჭირდებოდი და ეს საჩემოდ გამოვიყენე. დახმარებას შევპირდი, ოღონდ – ერთი პირობით: ჩემი გულისთვის ის უნდა გაეკეთებინა, რასაც ვთხოვდი. დათო წინასწარ დავარიგე, რა უნდა გაეკეთებინა და შეთანხმებისამებრ, ერთ მშვენიერ დღეს, მეგობარ ბიჭთან ერთად შინ მეწვია. სუფრა გავაწყვე და ვახოც დავპატიჟე. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ დათომ მაგიდაზე დადებული ალბომი აიღო და დათვალიერებას შეუდგა. ხან ვისზე მეკითხებოდა – ეს ვინ არისო? – ხან – ვისზე. უცებ, თამუნას სურათი რომ ნახა (წინასწარ მქონდა ეს სურათი მისთვის ნაჩვენები), ძმაკაცს ხელი გაკრა, – ამას უყურეო, – უთხრა და მე მომიბრუნდა: – ამ გოგოს საიდან იცნობო? – რატომ მეკითხები-მეთქი? – შევუბრუნე კითხვა. – ეს თამუნა ა-ძე არ არისო? – თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად. – ასეთ მეძავებთან სურათს რომ იღებ, ვინმემ რომ ნახოს და შენც გაგიტყდეს სახელი, არ გეშინიაო? – დავინახე, როგორ აუჭარხლდა სახე ვახოს. მერე ფრთხილად დაუწყო გამოკითხვა. დათომაც „აღიარა,“ რომ ეს გოგო ძმაკაცის ნაშამ მოიყვანა მასთან. ბევრი დალიეს, მერე ოთხივე ერთ ოთახში დაწვნენ, სექსი გააჩაღეს, მერე პარტნიორები გაცვალეს და ა.შ. მე ვითომ ავღელდი და დათოს ვუთხარი: ახლავე წადით ჩემი სახლიდან-მეთქი! ბიჭები წავიდნენ, მე კი ვახოს ვამშვიდებდი, ვეუბნებოდი – იქნებ, შეეშალათ-მეთქი?.. – როგორ შეეშალათ? – სახელი და გვარი თქვეს, მისი საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონის ნომერიც კი იცოდნენო!.. მოკლედ, ვახო და თამუნა ერთმანეთს ისე დაშორდნენ, რომ გოგონამ მიზეზიც კი ვერ გაიგო. მირეკავდა, ტიროდა, ახსნას ჩემგან მოელოდა. მე კი ცეცხლზე ნავთს ვასხამდი და ვეუბნებოდი – ვახო გატყუებდა, არ უყვარდი, მაგრამ მაფრთხილებდა, შენთან არაფერი მეთქვა-მეთქი. ამის შემდეგ სულ მალე, ვახო საზღვარგარეთ წავიდა. წელიწადში ერთხელ ჩამოდის. მე ისევ ისე ძლიერ მიყვარს. შარშან მითხრა – შენ გაუთხოვარი ხარ, მე უცოლო, მოდი, დავქორწინდეთო. უარი ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ სიხარულით ლამის გული გამისკდა. ასეთი ტყუილით ვერ ვიცხოვრებ მასთან. ახლა, თუ გამოაქვეყნებთ ჩემს მესიჯს, ვახოს წავაკითხებ. თუ მაპატიებს, სიხარულით დავთანხმდები ცოლობაზე, თუ არა და... ღმერთმა შემინდოს. მე ხომ დიდი სიყვარულის გამო მოვიქეცი ასე...“

ჩვენი მომდევნო მკითხველის მესიჯმა სულხან-საბა ორბელიანის — „ნალბანდი მგელი“ გამახსენა და ორიოდე სიტყვით მის შინაარსს შეგახსენებთ: გზაზე სახედარი მიდიოდა. წინ მგელი გადაუდგა და უთხრა: — უნდა შეგჭამოო. — საწყალი ვირი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ გამოსავალი მაინც მოძებნა: მგელს სთხოვა, უკანა ფეხში ნალის ლურსმანი მაწუხებს და სიკვდილის წინ, ის ლურსმანი ამოიღე, დარდად ნუ გამაყოლებო. მგელი დათანხმდა, ვირს უკნიდან მოუარა, ვირმა ტყუპი წიხლი ჰკრა და მგელს კბილები ჩაუმსხვრია... ასე იხსნა ჭკვიანმა სახედარმა თავი განსაცდელისგან... როგორც მგლისგან ვერ შედგა ნალბანდი, ისე ყაჩაღებისგან — ბებია ქალი...

„...ვაიმე, მგონი, დამეწყო!..“

„ზამთრის პერიოდი იყო. ძალზე ციოდა. მოგეხსენებათ, ამ დროს ძალზე ადრე ღამდება. ამიტომ, მეგობართან შემორჩენილი, აჩქარებული ნაბიჯით შინისკენ მივიჩქაროდი. თან სახეს „დუბლიონკის“ საყელოში ვმალავდი. ცენტრალური გზიდან რომ გადავუხვიე, სამი ახალგაზრდა მამაკაცი შევნიშნე. ფეხს ავუჩქარე, მაგრამ სად გავექცეოდი?! — წინ გადამიდგნენ. სიტყვის თქმა არ დავაცადე, მე თვითონ მივვარდი მათთან და შევეხვეწე: — ბიჭებო, მიშველეთ, მშობიარობა დამეწყო, შინ მარტო ვიყავი, ტაქსი გააჩერეთ და სამშობიაროდან მიმიყვანეთ-მეთქი. საკმაოდ განიერი „დუბლიონკა“ მეცვა და ეჭვიც არ შეჰპარვიათ, რომ მართლა ფეხმძიმედ ვიყავი. თან მუცელზე ხელს ვიკიდებდი, ვიმანჭებოდი, შველას ვითხოვდი... ყაჩაღები დაფაცურდნენ, ერთ-ერთი, ტაქსის გასაჩერებლად გაიქცა. მე ბორდიურზე ჩამოვჯექი და ვკვნესოდი. ორნი თავს დამტრიალებდნენ, თავზე ხელს მისვამდნენ, გაყინულ ხელებს ორთქლით მითბობდნენ... — ნუ გეშინია, თუ დაგჭირდება, ჩვენ გიშველით, გამშობიარებთო, — მამშვიდებდნენ. ტაქსიც მოვიდა. — ვაიმე, მგონი, დამეწყო-მეთქი!.. — ვიყვირე. ხელში ამიყვანეს და მანქანაში ჩამსვეს. ტაქსის მძღოლს აჩქარებდნენ, მე ხელებს მიზელდნენ, სახეზე მინიავებდნენ... როგორც იქნა, თემქაზე, სამშობიაროში მიმიყვანეს. ბუნებრივია, ისინი შიგნით არ შემოუშვეს. მორიგე ექიმს დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი და ისე გულიანად იცინა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ბიჭები ადგილიდან არ იძვროდნენ და ჩემს ამბავს წარა-მარა კითხულობდნენ. ერთი საათის შემდეგ, ექიმი მათთან ჩავიდა და ბიჭის შეძენა „ახარა“. წერილი შემომიგზავნეს, მომილოცეს და მთხოვეს — კახა დაარქვი შენს ვაჟკაცსო... გვიან ღამით, მორიგე ექიმმა მიმიყვანა შინ და თავის ქნევით დამემშვიდობა. აი, ასე გადავრჩი დაყაჩაღებას ჩემი მოხერხებულობის წყალობით. თუ ის ბიჭები ამ მესიჯს წაიკითხავენ, იოლად მიხვდებიან, რომ ამბის მთავარი გმირები თვითონ არიან. მე კი, მართლა მყავს 7 თვის ბიჭი და ამ ამბის მოსაგონებლად მართლაც, კახა დავარქვი. ნახვამდის“.

ოდესმე თუ გიფიქრიათ, როგორ და რა პირობებში მუშაობენ კანონპროექტებზე?.. ყოველ შემთხვევაში, ისეთ სურათს კი ნამდვილად ვერ წარმოიდგენთ, როგორიც ერთმა ქალბატონმა თავის მესიჯში გადმოგვცა...

„გაოგნებული უნიტაზზე ჩამოვჯექი...“

„წლები გავიდა და მე დღემდე აღტაცებული ვარ საკუთარი სიმარჯვით, რომლის მეშვეობითაც, ერთი საკმაოდ უხერხული სიტუაციიდან თავის დაღწევა მოვახერხე. იურისტი ვარ. ეს ამბავი მაშინ გადამხდა თავს, როდესაც ერთ-ერთ სამინისტროში ვმუშაობდი. რამდენიმე უწყების წარმომადგენელთან ერთად კანონპროექტზე ვმუშაობდი. საგარეო საქმეთა სამინისტროში ვიკრიბებოდით ხოლმე, რადგან ჯგუფის ხელმძღვანელი ამ უწყების თანამშრომელი გახლდათ. ეს შაბათობით ხდებოდა, რადგან სხვა დღეებში ყველანი დაკავებული ვიყავით. ერთხელ, მე და ჯგუფის ხელმძღვანელი დაცარიელებულ სამინისტროში მარტონი ვიყავით და კანონპროექტს „თავს ვურტყამდით“. უცებ, ამ კაცს ვუთხარი: ახლავე მოვალ, საქმე მაქვს-მეთქი, — და ოთახიდან გავედი. საპირფარეშოში წავედი. იქიდან გამოსვლა რომ დავაპირე, თავზარდაცემულმა შევნიშნე, რომ კარი არ იღებოდა: თურმე, შიგნიდან სახელური არ ჰქონია ამ ჩემი ცოდვით სავსე კარს და მისი გაღება ყოვლად შეუძლებელი იყო. გაოგნებული, უნიტაზზე ჩამოვჯექი და ვფიქრობდი, რა მეღონა. სამინისტროში არც ერთი თანამშრომელი არ იყო. ჯგუფის ხელმძღვანელს კი ისეთი ტონით ვუთხარი — საქმე მაქვს-მეთქი, — რომ უეჭველად იფიქრებდა, სადღაც გარეთ გავედი. ტუალეტში ჩემი მოძებნა თავშიც არ მოუვიდოდა, თანაც — ის მამაკაცი იყო და ქალების ტუალეტში ხომ არ შემოვიდოდა... მაშინ მობილურები არ არსებობდა, რომ დამერეკა და მეთქვა: არიქა, მიშველეთ-მეთქი, — და რომც ყოფილიყო, მობილურით ვინ დადის საპირფარეშოში?.. მოკლედ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ორშაბათამდე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ტუალეტში უნდა მეყურყუტა, მაგრამ უეცრად თავში ბრწყინვალე აზრი მომივიდა: ჩემდა ბედად, საპირფარეშოს კაბინები ერთმანეთისგან ტიხრებით იყო გამიჯნული; უნიტაზზე შევდექი და იმდენი მოვახერხე, რომ ტიხარზე ავბობღდი და ამხელა ქალი, ცოტაოდენი ფიზიკულტურული ილეთების მოშველიებით, მეორე კაბინაში აღმოვჩნდი და იქიდან გამოვედი... სამუშაო ოთახში დავბრუნდი და ისე განვაგრძე მუშაობა, ვითომც არაფერი მომხდარა. ხომ სჯობია ხერხი ღონეს? აი, ასეთი თავგადასავლების ინტერვალებში იწერება კანონპროექტები საქართველოში“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

„7 წელი დამელოდე და გამოგყვები-მეთქი!“

„ორი კვირის წინ გავიცანი ბიჭი, რომელმაც სიყვარული ამიხსნა. მერე დაქალს დავუმესიჯე: ნიკამ სიყვარული ამიხსნა-მეთქი და... ნიკას ნომერზე გავგზავნე. მაგრად „გამიტყდა“. ხომ ვარ ბოთე? თამუნა“.

„ერთ ჩემს თაყვანისმცემელს ჩემს მოტაცებაზე რომ არ ეფიქრა, მოვატყუე: 7 წელი დამელოდე და გამოგყვები-მეთქი. ის დამთანხმდა და მიცდის. მე კი მალე სხვას გავყვები. ლანკა“.

„ერთ ბიჭს შევუყვარდი. ის ბიზნემენობს. სიგიჟემდე ვუყვარვარ. ჩემი გულის მოსაგებად, აღარ იცის, რა ქნას. თითქმის ყოველდღე მიგზავნის საჩუქარს. მე არც ჰოს ვეუბნები, არც — არას. არ ვიცი, რა ვქნა... ლულუ“.

„ჩემს მეგობარ ილიას ნარდის თამაში ვასწავლე. იმის შემდეგ, თუ როგორმე მომიხელთა, სულ ნარდს მეთამაშება. ჰოდა, ერთხელ თამაშისას იმდენი ვქენი, რომ ვაღიარებინე, რომ ჩემი დაქალი უყვარდა. მე ჯერ იმდენი „ვუჩიჩხინე“, რომ მისთვის სიყვარული ავახსნევინე. ახლა ისინი დაქორწინებას აპირებენ, მადლობას კი მე მეუბნებიან. ასე ვაჯობე ხერხით იმხელა ბიჭს. ნათია“.

„ხერხი რომ ღონეს სჯობია, „ვარდების რევოლუციამ“ მშვენივრად დაამტკიცა. ახლა ვნახოთ, როგორ ააშენებენ სოფელს.“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომავალი ნომრის თემა კი იქნება — შურისძიება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, როდის და რისთვის იძიეთ შური. გემშვიდობებით, მომავალ ხუთშაბათამდე.

■

გული რომ არ დაიღალოს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მოზარდის გულს ყველაზე მეტად ხორცი, რძე და მოძრაობა ესაჭიროება. რატომ?

მოზარდები, განსაკუთრებით ვაჟები, სწრაფი ზრდის პერიოდში ხშირად გრძნობენ კუნთების სისუსტეს. ზოგჯერ ისინი იოლად იღლებიან სპორტული ვარჯიშის შემდეგ, ეწყებათ ტკივილი გულის არეში... უფროსებს კი მათ ჩივილზე მხოლოდ ერთი პასუხი აქვთ: „შენს ორგანიზმში ახლა ყველაფერი არათანაბრად იზრდება. გული და სისხლძარღვები ერთმანეთს ზრდაში ჩამორჩება. ასე რომ, გეყოფა წოლა, ადექი და იმეცადინე“.

მაგრამ კარდიოლოგები თანამედროვე აპარატურის მეშვეობით დააკვირდნენ მოზარდის გულსა და სისხლძარღვებს და დაადგინეს, რომ მის ორგანიზმში ყველაფერი ზომიერად და პროპორციულად ვითარდება. ბუნებამ იმაზეც კი იზრუნა, რომ მაგალითად, გულის მიტრალური სარქველი სიბერემდე იზრდება და თავისი მთავარი ფუნქციის კორექტირებას ახდენს: მჭიდროდ კეტავს გულის პარკუჭსა და წინაგულს შორის არსებულ ხვრელს, რათა შეკუმშვისას სისხლი უკუმიმართულებით არ „გაიპაროს“.

ასე რომ, ყველაფერს ორგანიზმის ზრდას ნუ დააბრალებთ. მოზარდი სისუსტეს გრძნობს კარნიტინის ნაკლებობის გამო. ესაა ნივთიერება, რომელიც უჯრედთა ენერგეტიკულ სისტემებში „საწვავის“ მიწოდებას უზრუნველყოფს. მოზარდებში სწრაფად მზარდი ქსოვილების მოთხოვნილება კარნიტინზე მატულობს, გამომუშავება კი ვერ ხდება საკმაო რაოდენობით. შედეგად ვითარდება დაღლილობა, ქვეითდება შრომისუნარიანობა.

კარნიტინს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს წითელი ხორცი – ძროხისა და ხბოსი. ბევრია კარნიტინი რძეშიც, რომლის ნაცვლადაც დღევანდელი მოზარდები „კოკა-კოლას“ სვამენ. თუ მოზარდი საკმარისი რაოდენობით ჭამს ხორცს, გულიც წესრიგში ექნება და თავადაც მხნე და ენერგიული იქნება.

მოზარდი გულისთვის მავნებელია ჰიპოდინამია. თუ გული არ იტვირთება, იგი ამტანი ვერ გახდება. გულის კუნთისთვის ვარჯიშია საჭირო. ადამიანი, მით უმეტეს მოზარდი, დღეების განმავლობაში მერხთან, ტელევიზორთან თუ კომპიუტერთან კი არ უნდა იჯდეს, არამედ ბევრს უნდა მოძრაობდეს. დღეს ბავშვთა კარდიოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ გულის მანკიანი ბავშვებისთვისაც კი აუცილებელია ფიზკულტურა, ზომიერი დოზირებული ფიზიკური დატვირთვა მათაც სჭირდებათ. მაშ, რაღა უნდა ვთქვათ ჯანმრთელ ბავშვებზე? მათ ხომ მით უმეტეს აქტიური ცხოვრებით უნდა იცხოვრონ.

მჯდომარე ცხოვრების წესმა და არასრულფასოვანმა კვებამ მოზარდობის ასაკში შეიძლება ნაადრევი გულის იშემიური დაავადების განვითარება გამოიწვიოს. უწინ, 45 წლის ასაკში გულის იშემიური დაავადება იშვიათობა იყო, ახლა კი უკვე 30 და ზოგჯერ 25 წლის ასაკშიც კი ადამიანს შეიძლება მისი ყველა ნიშანი ჰქონდეს: სტენოკარდია, ქოშინი, ტკივილი და გულის არეში მოჭერის შეგრძნება (განსაკუთრებით სირბილისა და დატვირთვის დროს), ცუდი თვითშეგრძნება. განა, ვინმე უსურვებს საკუთარ შვილს ასეთ მომავალს?

ორი სერიოზული მიზეზი

ბავშვი აუცილებლად უნდა აჩვენოთ კარდიოლოგს, თუ:

- აქვს ხშირი თავის ტკივილი. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს თავის ტვინის სტრუქტურებში სისხლის ცირკულაციის მოშლასთან და არტერიული წნევის მატებასთან.
- ბავშვი იოლად იღლება, კუნთების დატვირთვისა და ფიზიკური აქტიურობის დროს. ■

მედიცინის სიახლეები

მათ სხვადასხვაგვარად ეშინიათ

მამაკაცებსა და ქალებს სხვადასხვა მიზეზის გამო ეშინიათ თვითმფრინავის – მიიჩნევს ჰოლანდიელი ფიზიოლოგი ლუკას ვან ჰერვენი, რომელმაც ავიახაზების 5 ათასამდე მგზავრი გამოჰკითხა. ქალებს თვითმფრინავის ჩამოვარდნისა და საკუთარ ემოციებზე კონტროლის დაკარგვის ეშინიათ. 35 წლამდე ახალგაზრდა ქალებს აშინებთ აგრეთვე, ტერორისტების მიერ თვითმფრინავის გატაცების შესაძლებლობა, შედარებით უფროსი ასაკისებს კი – დახურული სივრცის შიში აქვთ და თვითმფრინავის სალონში პანიკა ეწყებათ. მამაკაცები, ასაკისდა მიუხედავად, მოუსვენრობას იმის გამო გრძნობენ, რომ თვითონ ვერ აკონტროლებენ თვითმფრინავს; მათ აგრეთვე სიმაღლის შიში აქვთ.

გამოკვლევათა შედეგების გამოყენებით შესაძლებელია შეირჩეს სპეციალური თერაპია, როგორც მამაკაცების, ისე ქალებისთვის. ცნობილია, რომ ერთ-ერთი იშვიათი ფობია – აეროფობია მთლიანად იკურნება ფსიქოთერაპიის მეშვეობით. ■

ნუ უყურებ, ვიდრე ახალგაზრდა ხარ!..

მოზარდებში, რომლებიც ხანგრძლივად უყურებენ ტელევიზორს, ნაკლები რაოდენობით გამომუშავდება „ძილის ჰორმონი“ – მელატონინი, რომელიც ასევე არეგულირებს სქესობრივი სიმწიფის დადგომის დროს. ფლორენციის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ მოზარდს არ მივცემთ საშუალებას, უყუროს ტელევიზორს, იჯდეს კომპიუტერთან და ითამაშოს ვიდეოთამაშები, მელატონინის დონე მის ორგანიზმში მინიმუმ 30%-ით მოიმატებს. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების მეშვეობით კი დადგინდა, რომ მელატონინის დაბალი დონე დიდ როლს თამაშობს ნაადრევი სქესობრივი მომწიფების უზრუნველყოფაში. მელატონინის გამომუშავების მექანიზმი ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის. ითვლება, რომ ხელოვნური განათების ხანგრძლივი ზემოქმედება აქვეითებს ამ ჰორმონის გამომუშავებას, ხოლო ბუნებრივი განათებისა და სიბნელის პერიოდული მონაცვლეობა – ასტიმულირებს მას. ■

სკოლიოზი და მოკლე ფეხის სინდრომი

ალბათ გინახავთ ბავშვი, რომელიც მეცადინეობის თუ ხატვის დროს, განუწყვეტლივ წრიალებს სკამზე, ზოგჯერ მოკეცილ ფეხზე ჯდება... მშობლები აიძულებენ მას, გასწორდეს, მოისვენოს, მაგრამ — ამაოდ... აღმზრდელობითი მეთოდებით ვერ აიძულებთ თქვენს შვილს, ზურგი გაასწოროს და სწორად დაჯდეს. მაშ, რა ვქნათ?

მოდით, ჯერ რაღაცები დავაზუსტოთ და მცირე ტესტი ჩავატაროთ.

● როცა თქვენი შვილი პატარა (1-2 წლის) იყო, ხომ არ ერჩივნა ხელში ყოფნა დამოუკიდებლად სიარულს და ჯდომა – მოძრაობას?

● ხომ არ ჰქონია მას რაქიტის ნიშნები?

● დაბადებისას ექიმმა ბარძაყის ნაოჭების ასიმეტრია ხომ არ დაუდგინა და ხომ არ მკურნალობდით მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიას?

● ჩვილობისას მუხლებში მოხრილი ფეხების განზე გადაწევა შეზღუდული ან ასიმეტრიული ხომ არ იყო?

● სიარულისას ბავშვს ფეხსაცმლის გვერდები და ცხვირი ხომ არ უცვდება?

● თქვენ ხომ არ გაქვთ ზურგის ტკივილი? ხომ არ გაწუხებთ ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები ან ბავშვობაში ხომ არ დაუსვამთ თქვენთვის სკოლიოზის დიაგნოზი?

თუ კითხვების ნახევარს მაინც უპასუხეთ „დიახ“, აუცილებლად აჩვენეთ ბავშვი ორთოპედს. სავარაუდოა, რომ მას მენჯის დეფორმაცია აქვს და ერთი ფეხი დამოკლებულია.

რატომ არ იზრდება ფეხი

ეს პრობლემა შეიძლება გამოიწვიოს მემკვიდრულმა ფაქტორმა: თუ მშობლებს აქვთ ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები, შემთხვევათა 99%-ში ისინი შვილებსაც ექნება. მიზეზი შეიძლება გახდეს სამშობიარო ტრავმა, ძლიერი დაცემა კუდუსუნზე (მაგალითად, ცოგიდან გადმოვარდნისას) – მენჯის გამრუდების გამო ერთი ფეხი მოკლდება და ხერხემალიც მრუდდება. თავიდან ფეხების სიგრძეთა შორის განსხვავება უმნიშვნელოა – 1 სმ-ს არ აღემატება. წლების განმავლობაში კი, მენჯის დაქანება მატულობს და ხერხემალიც სულ უფრო მეტად მრუდდება. ამიტომაა, რომ თქვენი პატარა სწავლის დროს მოკეცილ ფეხზე ჯდება – ამით იგი მენჯის დაქანების კომპენსირებას ახდენს.

რა მოხდება, თუკი პრობლემას უყურადღებოდ დავტოვებთ? მშობლები ხომ ცხოვრობენ გამრუდებული ზურგით, რა მოხდა მერე?.. სამწუხაროდ, ახლო წარსულში, ექიმები არ ანიჭებდნენ ასეთ მნიშვნელობას სწორ ტანადობას, თუმცა იმ თაობის ბავშვების უმრავლესობას ზურგიც სწორი ჰქონდა: ბავშვები მეტს დარბოდნენ და თამაშობდნენ ეზოში, ნაკლებად ისხდნენ უმოძრაოდ, მათ უკეთ ჰქონდათ განვითარებული კუნთოვანი კორსეტი... წლების მატებისას კიდურების სიგრძეთა შორის სხვაობა თანდათანობით მოიმატებს, რადგან მოკლე ფეხზე დატვირთვა მატულობს, რაც მის ზრდას უშლის ხელს.

3 წლის ასეთი ბავშვი სასწორის სხვადასხვა პინაზე რომ დავაყენოთ, მოკლე ფეხზე დატვირთვა 2 კგ-ით მეტი იქნება, ვიდრე გრძელზე. 7 წლის ასაკში კი, სხვაობა 5კგ-ს აღწევს. ამ დროს ბავშვი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს ტკივილს და არაფერს უჩივის. სამაგიეროდ, ჩივიან მისი მასწავლებლები – რომ იგი გაკვეთილებზე განუწყვეტლივ წრიალებს, ხან მარცხენა მხარს ეყრდნობა და ხან – მარჯვენას. ტკივილი ზურგში უფრო მოგვიანებით, 16-17 წლის ასაკში იწყება, მაგრამ მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში რაიმის გამოსწორება უკვე აღარ შეიძლება. მოკლე ფეხს ვეღარ დავაგრძელებთ.

ბავშვებში კი ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს. მოკლე ფეხს საკმარისია, მოვუხსნათ ზედმეტი წონა, რომ იგი დაეწიოს სიგრძეში – მეორე კიდურს. მაშინ მენჯიცა და ხერხემალიც გასწორდება.

წამალი – ცურვა და ცხენოსნობა

თქვენ გელით მკურნალობა, რომელიც მარტივი და სასიამოვნოც კია.

ექიმი შეგირჩევთ საქუსლეს, რომელიც უნდა ჩადოთ ფეხსაცმელში და ასე იაროთ. თითქოს მარტივი მეთოდია, მაგრამ ეს მეტისმეტად მოქნილი საშუალებაა დარღვეული ბიომექანიკის აღსადგენად.

ექიმი ასევე გამოგიწერთ დღეში ორჯერ თითო წუთის განმავლობაში ძელზე დაკიდებას, სპეციალურ ვარჯიშებს, მასაჟს. გირჩევთ ცურვას – წყალში ხერხემალი იჭიმება და სწორდება. და კიდევ – გირჩევთ იპოთერაპიას – ჯირითით მკურნალობას. ცხენზე ირიბად ჯდომა შეუძლებელია – თუ სიმძიმის ცენტრი წანაცვლებულია, უბრალოდ, ჩამოვარდები; თავი რომ შეიკავო, სწორად ჯდომაა საჭირო. ცხენის ნაბიჯი ადამიანის ნაბიჯის იმიტირებას იწვევს და მხედარს სწორად ჯდომის ჩვევა უმუშავდება. ტვინი იმახსოვრებს ამ ჩვევას და შემდეგ, ადამიანი სიარულის დროსაც ტანს სწორად იჭერს. ბავშვებისთვის, რომელთაც ირიბი მენჯი აქვთ, იპოთერაპიისას სხვადასხვა სიგრძის უზანგს აკეთებენ და ეს ხელს უწყობს მენჯის გათანაბრებას.

თუ მკურნალობა დროულად დაიწყება და სიმრუდე ფუნქციურია, მისი გამოსწორება სწრაფად – 3 თვეშია შესაძლებელი; თუ პათოლოგია თანდაყოლილი და ორგანულია, მას უფრო ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება, მაგრამ საკითხისადმი სერიოზული მიდგომის შემთხვევაში, პრობლემა ერთ წელიწადში შეიძლება გამოსწორდეს.

ამერიკაში სტატისტიკა არსებობს...

მოკლე ფეხის სინდრომი ჩვენში ბევრი მედიკოსისთვისაც კი სიახლეა და მისი დიაგნოსტირების სტატისტიკა, რაღა თქმა უნდა, არ არსებობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი გამოთვალეს, რომ ჯარისკაცებში, რომლებიც სამედიცინო შემოწმებას გადიან და კარგი ჯანმრთელობით გამოირჩევიან, 4%-ს ერთი ფეხი მეორესთან შედარებით 1,1 სმ-ით მოკლე აქვს, 33%-ს – 0,5 სმ-ით. საკონტროლო ჯგუფში ახალგაზრდა ადამიანთა 7%-ს აღმოაჩნდა კიდურების სიგრძეთა შორის სხვაობა 1,3 სმ-ით. როგორც ხედავთ, სინდრომი საკმაოდ ხშირია. ■

ფული 3 ლარი ან გაღმისაკენ და ამიღი ისრიალეთ!...

კარგა ხანია, რაც თბილისის ზღვაზე „იახტ-კლუბში“ და წყალსათხილამურო კლუბ „დაიკირში“ წყლის თხილამურებზე სრიალს ასწავლიან. მეხუთე წელია, ამ საქმეს ფოთელი რომან ჩაჩიბაია ემსახურება და ამ ხნის მანძილზე ათასამდე ადამიანს შეასწავლა სპორტის ეს ლამაზი სახეობა. ცნობილი მოთხილამურე და ამავე დროს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი 20 წელია, რაც სპორტის ამ სახეობაში საქმიანობს და უჩვეულო შედეგსაც მიაღწია: ის ერთადერთი ადამიანია საქართველოში, ვინც თხილამურების გარეშე, ფეხისგულებით სრიალი შეძლო...

ირინა შტარაშვილი

— 14 წლის ვიყავი, ამ სპორტით რომ დავინტერესდი. მაშინ ჩვენს სკოლაში შერჩევა მოხდა და ეძებდნენ პერსპექტიულ ახალგაზრდებს. კლასიდან მხოლოდ 3 ბავშვი შეგვარჩიეს. მართალია, 14 წლის ვიყავი და ეს ჩემთვის უკვე დაგვიანებული იყო, მაგრამ მაინც ამიყვანეს.

— რომელი ასაკიდან უნდა დაიწყო ამ სპორტში ვარჯიში?

— თუ გინდა, რომ სერიოზულ შედეგს მიაღწიო, მაშინ 7-8 წლიდან უნდა დაიწყო ვარჯიში. მოყვარულთათვის ასაკს ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ამ დროს შენ მხოლოდ სიამოვნებას იღებ... მიუხედავად დაგვიანებული ასაკისა, ჩვენ 3-4 წელიწადში კარგ შედეგებს მივაღწიეთ.

— რამდენად პერსპექტიულია სპორტის ეს სახეობა საქართველოში?

— პერსპექტივა ნამდვილად აქვს. სპორტის ყველა სახეობის განვითარება დაფინანსებას საჭიროებს. მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენ ვცდილობთ, სპორტის ეს სახეობა განვავითაროთ და თავისი ადგილი დავუმკვიდროთ. სპორტული კონტინგენტი ძირითადად მაინც, ფოთიდან მოდის და ამ სახეობის ცენტრი ვფიქრობ, ყოველთვის ფოთი იქნება. მალთაყვაში გვაქვს წყალსათხილამურო სკოლა, რომელიც სააქციო საზოგადოება „არგოს“ ბაზაზეა ჩამოყალიბებული. იქ ყველანაირი პირობაა იმისათვის, რომ წელიწადში 10 თვე მაინც ივარჯიშო, რასაც თბილისში ვერ შეძლებ. გვაქვს სპეციალური ჰიდროკოსტიუმები, რომლებიც გაცივებისგან გიცავს და ასევე საუნა — ვარჯიშის შემდეგ გასათბობად. ადრე თბილისსა და რუსთავშიც მუშაობდა წყალსათხილამურო სკოლები, მაგრამ ცოტა ხანში დაიხურა, რადგან, ამ სპორტისთვის არავის ეცალა. ფოთში კი, ვარჯიშისთვის თავი არ დაგვინებებია და კარგ შედეგებსაც მივაღწიეთ: გვყავდა ევროპის 12 ჩემპიონი და მრავალი პრიზიორი.

— რომა, როგორც ვიცი, თხილამურების გარეშეც შეგიძლიათ წყლის ზედაპირზე სრიალი...

— დიახ. უკვე 15 წელია, რაც წყლის ზედაპირზე ფეხისგულებით ვსრიალებ. საქართველოში ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც ეს შეძლო. თავიდან 2 ასეთი მოსკოველი მოთხილამურე ვნახე და მეც გამიჩნდა სურვილი, მეცადა. მაშინ სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვიყავი და ძალიან მოვინდომე. ზუსტად 2-კვირიანი ვარჯიში მეყო.

— ეს, ალბათ, საკმაოდ რთულია, არა?

— რა თქმა უნდა. ამას სჭირდება პირველ რიგში, ძლიერი გული. თავიდან მოდიხარ ერთი თხილამურით, მეორე ფეხს დგამ წყალში და იხსნი თხილამურს; შემდეგ, ორივე ფეხისგულით მისრიალებ წყლის ზედაპირზე... ამ შემთხვევაში, თუ წაიქეცი — მხოლოდ წინ, პირქვე — ეი. სახით წაიქცევი. წარმოიდგინეთ — გინდ ასფალტზე წაქცეულხარ სახით და გინდა, ამ სისწრაფით, წყლის ზედაპირზე. ნამდვილად არასასიამოვნო და ძალზე მტკივნეულია.

რომან ჩაჩიბაია (მარცხნივ) და დათო დოლიძე

სამხედრო ფორმის მაგალითი	სასის გამომეტყველება	ნ. ბარათაშვილის იგივე ...	ისტორია	გულუბრყვილო	ტარგანის მაიმუნი	იტა დედა
ცხვრების ერთობლიობა	შეკრების შედეგი არითმეტიკაში	ბამბის ნიტი	შინაური მტაცებელი ცხოველი	პომიდორის საწებელი	სისხლნაკლებობა	იუგოსლავიელი „ინდიელი“ გოიკო ...	სიმინდის ნაყური



აქ მთავარი, მონდომებაა. — ვინც მოინდომებს, ის აუცილებლად დადგება

— რამდენი ხანია, რაც ამ სპორტს ასწავლით თბილისის ზღვაზე?

— უკვე მეხუთე წელია, რაც „იახტ-კლუბში" წყლის თხილამურების სწავლება დაიწყეს და მეც მომიწვიეს, როგორც პროფესიონალი. ზაფხულობით, 3-4 თვით ჩამოვდივარ ფოთიდან და თითქმის სექტემბრის ბოლომდე თბილისში ვრჩები. თბილისის ზღვაზე ამ სპორტის მოყვარულთათვის მართლაც, კარგი პირობებია. მოთხოვნილებაც ძალიან დიდია — ყველა ასაკის ადამიანები ცდილობენ თხილამურებზე დადგომას, განსაკუთრებით — პოლიტიკოსები.

— ე.ი. თბილისელებს არ უძნელდებათ თხილამურებზე სრიალის სწავლა?

— სხვათა შორის, არა, პირიქით — ძალიან სიამოვნებთ. წელს თბილისიდან 5 ბავშვი წავიყვანეთ სავარჯიშოდ. ჩატარდა „ოქროს ტბის" პირველობა. ისინი შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ და კარგი შედეგებიც უჩვენეს. ერთმა ბავშვმა მეორე ადგილი დაიკავა. წელს თბილისში სპორტული სკოლა გავხსენი და მომავალი წლიდან დაფინანსებაც გვექნება. ვეცდებით, მეტი ბავშვი ჩავაბათ სპორტის ამ სახეობაში და წყლის თხილამურები ისევ ისეთ მაღალ დონეზე ავიყვანოთ, როგორც ეს 1991 წელს, ევროპის ჩემპიონატისა და 1998 წელს, საერთაშორისო ტურნირების დროს იყო.

— ალბათ, ცურვის ცოდნა აუცილებელია, ხომ?

— სავალდებულო ნამდვილად არ არის, რადგან ამ დროს დამცავ ჟილეტს იცვამ, ამიტომ დახრჩობის საშიშროება გამორიცხულია. იმ ბავშვებს შორის, რომლებიც თავიდან იწყებენ ჩვენთან სიარულს, ნახევარზე მეტმა თითქმის არ იცის ცურვა, მაგრამ 2 კვირაში, უკვე ყველა სწავლობს.

— გოგონები თუ ცდილობენ თხილამურებზე დადგომას?

— კი. თანაც, ძალიან კარგადაც გამოსდით. აქ მთავარი, მონდომებაა. — ვინც მოინდომებს, ის აუცილებლად დადგება.

რუსთაველი, 23 წლის **დათო დოლიძე** *წყალსათხილამურო კლუბ „დაიკორში" ასწავლის წყლის თხილამურებზე სრიალს. ის რომან ჩაჩიბაიას ყოფილი მოსწავლე და საქართველოს ნაკრების წევრია.*

— დათო, რამდენი წელი უნდა ივარჯიშო, რომ კარგი მოთხილამურე გახდე?

— ეს ძირითადად დამოკიდებულია ადამიანის ნიჭზე, ათვისების უნარზე, მაგრამ ხანგრძლივი დროა საჭირო, რომ პროფესიონალი გახდე.

— როდის დაიწყე აქ მუშაობა?

— აქ მუშაობა ივნისში დავიწყე. ჩემს მოსვლამდე, სხვა მუშაობდა, მაგრამ იმ დონეზე ვერ ასწავლიდა, როგორც საჭიროა. სპორტის ყველა სახეობას თავისი წესები აქვს, ამიტომ აუცილებელია, ჯერ თეორიული სწავლება და შემდეგ, ამ თეორიის პრაქტიკაში გადატანა.

— შენ რომელი ასაკიდან ვარჯიშობ?

— 7 წლიდან. თავიდან, რუსთავში დავიწყე ვარჯიში, ხოლო როდესაც იქ წყალსათხილამურო სკოლა დაიხურა, გადავედი ფოთში და 1999 წლიდან, საქართველოს ნაკრების წევრი ვარ.

— ამინდი თუ გიშლით ხოლმე ხელს სწავლების დროს?

— კი. თბილისის ზღვაზე ქარიან და წვიმიან ამინდში ვერ ისრიალებ, ხოლო მალთაყვაში ოქროს ტბაზე, წვიმის დროსაც ისრიალებ, რადგან იქ ტალღები საერთოდ არ იცის.

— დათო, მოყვარულთათვის რა ღირს ეს სიამოვნება?

— ერთი წუთი 3 ლარი ღირს. საერთოდ, ძალიან ძვირად ღირებული სპორტია.

■



რა უნდა ვიცოდეთ მეორე მცნებასთან დაკავშირებით?

მეორე მცნება იკითხება ასე: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა-ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა-ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ“. ეს მცნება ერთ-ერთია იმ ოთხიდან, რომელიც განგვიწესებს ღმერთის სიყვარულს — ე.ი. განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას ღმერთის წინაშე. ჭეშმარიტი ქრისტიანი ვალდებულია, აღასრულოს ნებისმიერი საღმრთო მცნება, რადგან ღვთისგან მოცემული ათი მცნება ის მინიმუმია, რომელზეც ადამიანმა სულიერი ცხოვრება უნდა დააშენოს.

მორენა მერკვილაძე

როგორ უნდა ესმოდეს ადამიანს მეორე მცნება?

მეორე მცნების თანახმად, ადამიანი არათუ არ უნდა ეთაყვანებოდეს ცრუღმერთებს, არამედ არც რაიმე ქანდაკებას უნდა ქმნიდეს მათ პატივსაცემად, არ აღუვლენდეს კერპებს საღმრთო მსახურებას და არ სწირავდეს მსხვერპლს (კერპი არის ქანდაკება, გამოსახულება რომელიმე ქმნილების — ადამიანის, ცხოველის, ფრინველის ან ცის მნათობის, რომელსაც თაყვანს სცემენ და ემსახურებიან, როგორც ღმერთს).

„ამ მცნებით ღმერთმა გააფრთხილა ადამიანები, რომ თავის მიერ „მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვევით“ შექმნილი არანაირი საგნის საშუალებით არ გამოესახათ შემოქმედი და არ მიეგოთ მისთვის პატივი“ („ანბანი მართლმადიდებლობისა“). ე.ი. მეორე მცნების თანახმად, ღმერთმა აგვიკრძალა კერპთა შექმნა და მათი თაყვანისცემა, რაც დამახასიათებელია წარმართული რელიგიებისთვის: „ყოველნი ღმერთნი წარმართთანი ეშმაკ არიან“ — ბრძანებს დავით ფსალმუნთა მგალობელი, 95-ე ფსალმუნის მეხუთე მუხლი. 134-ე ფსალმუნში კი ამბობს: „კერპნი წარმართთანი ოქროსანი და ვერცხლისანი, ქმნული ხელთა კაცთანი. პირი ათქვეს და არა იტყვიან, თვალ ასხენ და არა ჰხედვენ, ყურ ასხენ და არა ყურად იღებენ, რამეთუ არცა არა სული პირსა მათსა. ემსგავსენ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი რომელნი ესვიდენ მათ“ (ფსალმუნი 134, 15-18).

კიდევ რა შემთხვევაში ირღვევა მეორე მცნება?

„კერპია ასევე ყოველივე ის, რასაც ადამიანი მისდევს თავგამოდებით და ამით ივიწყებს თავის მოვალეობას ღმერთის მიმართ. მაგალითად, ზოგი მისდევს და ესწრაფვის მხოლოდ სიმდიდრის შეძენას, მისი კერპი არის ფული. ზოგი მთელს სიცოცხლეს ანდომებს თავის თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას, ზოგი სხვა სიამოვნებას ეძებს და აკერპებს. მეორე მცნება კრძალავს ამგვარს კერპთაყვანისცემასაც“ („სახელმძღვანელო მართლმადიდებლური კატეხიზმოს შესასწავლად“). ადამიანს კერპთმსახურებად ეთვლება ასევე: სიძვა, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ყოველგვარი უწმინდურება, რასაც მოწმობს წმინდა პავლე მოციქული კოლასელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში: „მოაკვდინეთ მიწიერი ასოები: სიძვა, უწმინდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება, რაც კერპთმსახურებაა“ (კოლ. 3, 5). იგივე პავლე მოციქული გვამცნობს, რომ ამ საქმეთა გამო, ადამიანზე ღვთის რისხვა მოიწევა: „რომელთათვისაც ღმერთის რისხვა მოდის“ (კოლ. 3, 6).

მეორე მცნებას ასევე არღვევენ მემთვრალენი, აზარტული თამაშის მოტრფიალენი თუ სხვა ხორციელ სიამოვნებათა მოყვარულები (მაგალითად, ნაყროვანების ცოდვაში მყოფნი), რადგან ეს ადამინები აღმერთებენ (აკერპებენ) ხორციელ სიამოვნებებს და უფლის ნაცვლად, მათ ემსახურებიან.

მეორე მცნება კრძალავს, ჯვრის ნაცვლად სხვადასხვა თილისმის ტარებას და მათზე სასოების დამყარებას (მაგალითად, ზოდიაქოს ნიშნების, გიშრის თუ სხვა ქვისგან დამზადებული თვლების ტარებას, რომელთაც თითქოსდა ადამიანის ბოროტი ძალისგან და განსაცდელისგან დახსნა შეუძლია). ქრისტიანული სწავლებით, მსგავსი საგნები ადამიანს მხოლოდ ზიანს მოუტანს და სულს წარუწყმედს.

რას უნდა სცეს თაყვანი ქრისტიანმა?

ქრისტიანმა უპირველესად თაყვანი უნდა სცეს ჭეშმარიტ ღმერთს, რომელსაც ქადაგებს მართლმადიდებლური სარწმუნოება. ასევე თაყვანი უნდა ვცეთ წმინდა ჯვარს და წმინდა ხატებს, რადგან ქრისტიანული მოძღვრებით, ამ დროს ჩვენ პატივს მივაგებთ არა იმ მასალას, რომლისგანაც წმინდა ხატებია დამზადებული, არამედ უფალს, ან მის წმინდანებს, ან წმინდა მოვლენას, რომელიც ხატზეა გამოსახული: „წმინდა ხატების თაყვანისცემა, რასაც წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია აღასრულებს, არ არღვევს ამ საღმრთო მცნებას, რამეთუ იგი არ არის თანაბარი ღირსებისა იმ თაყვანისცემისა, რომელსაც ღმერთს მივაგებთ. ამასთან მართლმადიდებელნი ფერწერას კი არ ვეთაყვანებით, არამედ იმ წმინდანთა სახეებს, ან წმინდა მოვლენას, რომლებიც ხატებზე არიან წარმოდგენილნი“ — განმარტებულია „სარწმუნოების მართლმადიდებლურ აღსარებაში“. წმინდა ხატების გარდა, ქრისტიანმა თაყვანი უნდა სცეს წმინდანთა წმინდა ნაწილებსა თუ სხვა სიწმინდეებს, რომლებსაც მართლმადიდებლური ეკლესია იწყნარებს და მიაგებს პატივს.

როგორია იმ ადამიანთა მისაგებელი, რომლებიც არღვევენ მეორე მცნებას?

ეკლესიური სწავლებით, ღმერთის მცნებათა დარღვევა დიდ ცოდვად ითვლება. ცოდვების გამო კი, ადამიანი ისჯება, როგორც ამქვეყნად (ღვთის მიერ მოვლენილი ამ თუ იმ განსაცდელით — მაგალითად, ავადმყოფობით) ასევე ამა ქვეყნიდან გასვლის შემდეგაც, რადგან ადამიანს, ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროს მოეკითხება მიწიერი ცხოვრების დროს ჩადენილი უკლებლივ ყველა ცოდვა, რომლის გამოც მის სულს შესაძლოა, ღვთისგან საუკუნო სატანჯველი მიემადლოს. ეს არ ეხება იმ ადამიანებს, რომლებმაც აღსარების საიდუმლოთი განიწმინდეს სული და გულწრფელად მოინანიეს ცოდვები — საღვთო მცნებათა დარღვევა იქნება ეს თუ სხვა, რადგან ადამიანს მოეკითხება მხოლოდ მოუნანიებელი ცოდვები, რომლებიც ამა სოფლიდან გასვლის შემდეგ გაჰყვება თან — ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად ჩადენილი.

■

რიგიერ იშვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი?

21 სექტემბერს, მართლმადიდებლური სამყარო უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს — ღვთისმშობლობას დღესასწაულობს, რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარად ქალწული მარიამის შობის აღსანიშნავადაა დაწესებული. ღვთისმშობლობის დღესასწაული უძრავია და ყოველწლიურად 21 სექტემბერს აღინიშნება.

მორენა მერკვილაძე

როგორ იშვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი?

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იშვა მართალი მშობლების — იოაკიმესა და ანასაგან. ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობ მოციქულის აპოკრიფული თხზულება — „შობა მარიამისა“, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მარიამი: წმინდა მარიამის მშობლები — იოაკიმე და ანა, ძალზე მდიდარი და ამავე დროს, ღვთისმოშიში ადამიანები იყვნენ. მათ დიდი სადარდებელი ჰქონდათ — შვილი არ ეძლეოდათ, რადგან ანა ბერწი იყო. იოაკიმე დიდ დღესასწაულებზე, ყოველთვის ორმაგ მსხვერპლს სწირავდა: ერთ ნაწილს — ღმერთის სახელზე, მეორეს კი — ღარიბ-ღატაკთათვის. ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლშეწირვის დროს, იოაკიმემ პირველმა გადასცა რაბინს თავისი შესაწირავი. ზოგიერთმა ებრაელმა, რომელიც იმ დროს მსხვერპლის შესაწირად იყო მისული, იუკადრისა, რომ იოაკიმემ პირველმა შესწირა მსხვერპლი და უთხრა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, პირველს შეეწირა მსხვერპლი, ამის მიზეზად კი, მისი უშვილობა დაასახელა (ებრაელ ხალხში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა. იოაკიმე თანამემამულეებმა არაკეთილმორწმუნედ მიიჩნიეს, რადგან უნაყოფოდ დატოვა ღმერთმა).

მოხუცი იოაკიმე მომხდარმა ძალზე დაამწუხრა. გადაწყვიტა, მოევლო ისრაელის თორმეტივე ტომი, რათა გაეგო იყო თუ არა რომელიმე მართალი, მის გარდა უშვილო. მან ვერც ერთი მართალი ვერ იპოვა, რომელსაც შვილი არ ჰყავდა. დამწუხრებულმა იოაკიმემ, ისე, რომ შინაც არ შეუვლია, უდაბნოს მიაშურა, სადაც ორმოცი დღე-ღამე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.

მართალმა ანამ მეუღლის ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი იცოდა და უშვილობასთან ერთად იოაკიმეს დაკარგვასაც გლოვობდა.

კვლავ დადგა უფლისთვის მსხვერპლის შეწირვის დღე, ანასთან მხევალი იუთინე მივიდა და ურჩია, შეეწყვიტა გლოვა და ტირილი და სხვებთან ერთად დღესასწაულზე წასულიყო. ანამ იუთინეს უარი განუცხადა. იუთინემ ამის გამო უშვილობა დააყვედრა. ანამ სამგლოვიარო სამოსი გაიხადა, სადღესასწაულოდ შეიმოსა, დაფნის ხის ქვეშ ჩამოვდა და ღმერთს მხურვალედ ევედრებოდა, რომ მისთვის ნაყოფი მიენიჭებინა. იგი მწარედ მოთქვამდა: — „ვერ ვემსგავსები მიწასაც კი, რადგან მიწაც გამოიღებს ნაყოფს ჟამსა თვისსა და ისიც შენ გაკურთხებს, უფალო“. ამ დროს, ანას მთავარი ანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდდებოდა. ამ უწყებით გახარებულმა ანამ აღთქმა დადო, რომ ვაჟი შეეძინებოდა თუ ასული, აუცილებლად უფალს შესწირავდა, რათა მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე. უფლის ანგელოზი, უდაბნოში მყოფ იოაკიმესაც გამოეცხადა და მასაც ახარა, რომ მალე შვილი მიემადლებოდა. ეს მოხდა იოაკიმეს მარხვის მეორმოცე დღეს. იოაკიმემ მადლობა შესწირა ღმერთს და შინისაკენ წამოვიდა. სახლის წინ მას ანა შეეგება და სასიხარულო ამბავი ამცნო.

იოაკიმემ უხვი საბოძვარი შესწირა ტაძარს: ათი უმანკო კრავი ღვთის სახელზე. თორმეტი ჩვილი ხბო მღვდელმსახურთათვის და პატივსაცემი მოხუცებისთვის და ასი ვაცი მთელი ხალხისთვის.

ცხრა თვის შემდეგ, მართალმა ანამ იმშობიარა. მას ასული შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს: „სახელი მარიამი მას ღმერთის ბრძანებით მიეცა და ნიშნავს ქალბატონს“ — გვამცნობს წმინდა მღვდელმთავარი ეგნატე ბრიანჩანინოვი.

ამგვარად იშვა ყოვლადწმინდა მარიამი, მომავალი მშობელი განკაცებული ღმერთისა, რომელიც მის მშობლებს ხანდაზმულობის ასაკში შეეძინათ: „იგი იყო ღმრთივ-მონიჭებული ნაყოფი ცრემლიანი ლოცვებისა და მარხვისა. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — ყოვლადწმინდა მარიამის შობას განადიდებს სადღესასწაულოდ 21 სექტემბერს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის დროსაც აღევლინება საგანგებო საგალობლები, სადაც განდიდებულია წმინდა ქალწული, რომელმაც ცა და მიწა შეაერთა, ხორციელად შვა რა უფალი“ („ამით სძლიე“).

რა მნიშვნელობა აქვს ღვთისმშობლის შობას — ანუ რაში მდგომარეობს წმინდა მარიამის შობის არსი?

„შობამან შენმან, ღმრთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმობრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩუენი, დახსნა წყევაი და მოგუმადლა კურთხევაი და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო“ — ეს არის ღვთისმშობლის შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი „ტროპარი“, სადაც ნათლადაა გამოხატული, თუ რა მნიშვნელობა აქვს წმინდა მარიამის შობას. ამ მოვლენის მნიშვნელობას კარგად ხსნის წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვიც: „წმინდა მშობლებისგან დაბადებული ქალწული ღვთივგამორჩეული და ღვთივკურთხეული ჭურჭელი გახდა, რომელშიც სიტყვა — „ღმერთი“ — მამის კეთილი ნებითა და სულიწმიდის თანამოქმედებით დაემკვიდრა. თესლის ნაცვლად შემოქმედებითი ძალით, სწორედ ამ ჭურჭელში განხორციელდა სიტყვა, შემოქმედი ხილულისა და უხილავისა“.

ამრიგად, განუზომელია ღვთისმშობლის შობის მნიშვნელობა, რასაც ერთხმად აღიარებს ყველა წმინდა მამა. მათი მოძღვრებით, ღვთისმშობლის შობა — ეს ის დღეა, როდესაც შემოქმედმა მამა-ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყნად მოავლინა „ევას ცოდვისა დამხსნელი“ — წმინდა მარიამი, რომელსაც უნდა აღესრულებინა ღვთის უდიდესი საიდუმლო — ევშა ცოდვით დაცემული ადამის მოდგმის ღმერთთან შემრიგებელი და სოფლის მხსნელი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამიტომაც აღნიშნავს წმინდა მარიამის შობას სადღესასწაულოდ წმინდა ეკლესია და ამიტომაც წარმოადგენს შობა ყოვლადწმინდა ქალწულისა მარიამისა უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს კაცობრიობის ისტორიაში.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. დიდ როდინს ჯავაზი ჰქვია.
2. იოანე უმიწაწყლო ინგლისის მეფე იყო.
3. ლოს-ანჯელესს უდარდელთა ქალაქს ეძახიან.
4. გაგარინის პირველი ფრენა 108 წუთი გაგრძელდა.
5. ცრემლის უხვად დენას დაკრიორეა ეწოდება.
6. ნარა იაპონიის პირველი დედაქალაქი იყო.
7. თეთრ დათვს 60 მილის მანძილზე ცურვა შეუძლია.
8. ზრდასრული სპილო ყოველდღე დაახლოებით 270 ლიტრ წყალს სვამს.
9. კენტავრის პროქსიმა უახლოესი ვარსკვლავია დედამიწიდან.
10. დიდი ნისლის დროს, საზღვაო შუქურებზე სირენებს რთავენ.
11. გიგანტური პერჩერონი ყველაზე მაღალი ცხენია მსოფლიოში.

12. ბაიკალის ტბა დედამიწის მტკნარი წყლის ერთ მეხუთედს იტევს.
13. პენტაგონი მსოფლიოში ყველაზე დიდი ადმინისტრაციული შენობაა.
14. შატლის მომზადებას კოსმოსში გასაფრენად 30000 ადამიანის შრომა სჭირდება.
15. „სპარსთა ენისა სიტკბომან, მასურვა მუსიკობანი“, – წერდა საქართველოს მეფე თეიმურაზ I.
16. ჩინეთის უკანასკნელმა იმპერატორმა ცხოვრების უკანასკნელი წლები პეკინში გაატარა, სადაც მებაღედ მუშაობდა.
17. ავიამზიდი „ჰარი ტრუმენი“ ჩვენი სამყაროს ყველაზე დიდი ხომალდია. მის აგებას 5 წელი და 4,5 მილიარდი დოლარი დასჭირდა.
18. ბოლო 200 წლის განმავლობაში, აშშ-ის კონგრესმა ოფიციალურად მხოლოდ ხუთჯერ გამოაცხადა ომი. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს, 1898 წელს – ესპანეთთან, 1846 წელს – მექსიკასთან და 1812 წელს – ნაპოლეონთან.
19. ერთხელ ჩაპლინს ჰკითხეს: სიკვდილის შემდეგ სად ისურვებდი მოხვედრას – სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში? „ერთი მხრივ, სამოთხეში, რად-

ალალი სვანები

ინგა ჯაყელი

როგორც იქნა, მივხვდი საიდან იღებს სათავეს ანეკდოტები სვანებზე და რამ გამოიწვია ამდენი კურიოზული სიტუაცია მათ გამო და მათ ირგვლივ: უბრალოდ, მათ სისხლში აქვთ გამჯდარი პატიოსნება და სიალალე, არ უყვართ ტყუილი და ნებისმიერ ხუმრობას სიმართლედ იღებენ, ვერც წარმოუდგენიათ, თუ სრულიად უწყინარ ტყუილსაც კი იკადრებ და რომ ეტყვი – გეხუმრე, შე კაცო, რა მოხდაო?.. – სავსებით სერიოზულად გიპასუხებენ: არ ყოფილხარ შენ სანდო კაციო!..

მოკლედ, სვანეთში ანეკდოტის მოყოლას აზრი რომ არა აქვს და სიცილის მაგივრად რომ შეიძლება, ცრემლიც გადმოყარონ სვანებმა, ამაში თავად დავრწმუნდი გასულ ზაფხულს, როცა მასალის მოსაპოვებლად, ამ მხარეში მოგზაურობისას სრულიად უცხო ოჯახებში ერთი-ორი ღამის გათევა მომიხდა.

მესტიის რაიონში შუა აგვისტოში ავედი, ჩემს შეუცვლელ „კავალერთან“ გოჩასთან ერთად, რომელიც დაცვის ფუნქციას, მძღოლის მოვალეობასაც უთავსებს... რომ დაგვაღამდა, პირველსავე სოფელში პირველსავე ოჯახს მივუსიგნალეთ ჭიშკარზე და 70-ს გადაცილებულ სვან მამაკაცს ღამის გასათევი ვთხოვეთ, თან საჩქაროდ დავაყოლეთ – ტყუილად კი არ გვინდა, ფულს გადავიხდით-თქო!..

– რაში გადაიხდით ფულს?! – წარბი ზე აზიდა გაკვირვებულმა სვანმა.

– ღამის გათევაში..

– მე სასტუმრო კი არ მაქ აქ!.. ფულით ვერ მიგიღებთ და ისე თუ გინდათ, მობრძანდით! – გვითხრა და ფართოდ გაგვიღო კარი. როცა მანქანიდან გადმოვედით, სადაურობა გვკითხა. გოჩამ – იმერელი ვარ, ჩემო ბატონო! – თეატრალურად დაუხარა თავი და კვლავ „რისხვა“ დაიმსახურა – იმიტომ იქცევი არტისტივით და ლაპარაკობ დაუფიქრებლადო!.. – უთხრა.

მერე მე მოვახსენე ჩემი რაჭული ფესვების შესახებ და დაინტერესდა: რაჭველები ჩვენსავით დინჯი ხალხია და ამ იმერელს სად გადაეყარე? რა ხართ ერთმანეთისო?!. როცა ვუპასუხე, რომ მეგობრობის და საერთო საქმიანობის გარდა, არაფერი გვაკავშირებდა, ახლა მე დამატეხა რისხვა: მერე, პატრონი არ გყავს, უცხო კაცთან ერთად რომ წამოსულხარ ცხრა მთას იქით, ხალხს სალაპარაკოს აძლევ, ვინღა გითხოვსო?! – როგორ გეკადრებათ, ბიძია, მაგფერი გლახა აზრები, ჩვენ იმფერი ახლობლები ვართ, ინგა ძმა უფრო მგონია ჩემი, ვიდრე ქალიო! – აღშფოთდა გოჩა – შენ რა გგონია, არ ვიცი?.. მაგრამ ხალხს რაც ეგონება, უკვე გითხარითო! – მოუჭრა მოკლედ ბერიკაცმა.

...მოვლენებს წინ გავუსწრებ და გეტყვით, რომ ჩვენმა მასპინძელმა, ძია ომეხმა, გოჩა სახლის მეორე სართულზე მოათავსა, მე პირველ სართულზე მომასვენა, თავისი საძინებლის გვერდით და ჩემი საბრალო მეგობარი მკაცრად გააფრთხილა:

– ტუალეტშიც არ გაბედო დაუკითხავად გამოსვლა, მით უმეტეს, ამ გოგოსკენ არ გამოიხედო გლახათ, თორემ აგხანჯლავ და შენს უნამუსო ხორცს ჩემს ძაღლებს მივუყრი!..

– გლახა თუ მინდა, ჩემო ბიძია, შენს სახლს რომ გავცილდები, მერე ვერ მოვახერხებ?! – შეკამათება სცდა გოჩამ.

– მე ჩემი სახლის პატიოსნებაზე ვარ პასუხისმგებელი! – მოგვიჭრა მოკლედ ძია ომეხმა.

...მანამდე კი მეზობლის კაცებს დაუძახა — ქალაქელი სტუმრები მყავსო! — და ქალები დაატრიალა — არ შემარცხვინოთ, სუფრას არაფერი დააკლდესო!..

გოჩას ჩემი ინტერესი არც მანამდე ჰქონია და სვანეთში რაღა გააგიჟებდა?.. მაგრამ ძია ომეხის ოციოდე წლის შვილიშვილის მიმართულებით კი მოებრიცა თვალები: აგერ არ ყოფილა ის მზეთუნახავი, რომლის ძებნაშიც უცოლოდ დავრჩიო! — გადაულაპარაკა იქვე „მოტრიალე“ ახალგაზრდას და ხმას დაუწია: ოღონდ ის გოგო გამაცანი და მე ვიცი შენი პატივისცემაო!..

— ჩემს ცოლთან რა ხელი გაქვს?! აგხანჯლავ, მე შენიო!.. — გაიქაჩა ბიჭი და ძლივს გააკავა ორმა კაცმა.

გოჩა ლამის მუხლებში ჩაუვარდა:

— რა ვიცოდი შენი ცოლი თუ იყო? ეგ ბავშვი მეგონა!..

— ბოვში სამი გვყავს, მარა, რა შენი საქმეა? თუ სტუმარი ხარ, სტუმარივით მოიქეცი, თუ არა — შემომაკვდები!

...ამის შემდეგ გოჩამ ყველაფრის ხალისი დაკარგა და სუფრასთანაც აღარ უნდოდა მისვლა: დაღლილი ვარ, გამიშვით, დავიძინებო! — მაგრამ არც ეს აპატიეს სვანებმა: სტუმარმა სუფრაზე წიხლი გვიკრა, საქმე გავურჩიოთო!..

მოკლედ, ნაცემი, დასჯილი ბავშვებივით ვისხედით სუფრასთან და თვალებში შევციცინებდით მასპინძლებს, წინასწარ რომ გამოგვეცნო, რა ესიამოვნებოდათ და რა ეწყინებოდათ...

ორმა-სამმა ჭიქა არაყმა თავისი ქნა: გოჩამ ისევ ამოიდგა ენა და „აჭიკჭიკდა“, ხან ამ მთისა თქვა, ხანაც — იმ ბარის. სვანები განსაკუთრებული ხალხი რომ იყავით, ვიცოდი, მაგრამ ასეთ სიმკაცრეს არ მოველოდი; აწი მეცოდინება, რომ ზედმეტად გვერდზე გახედვაც არ შეიძლებაო... — თქვა.

— მაგის სწავლას სვანეთში ამოსვლა რად უნდა?.. ქართველი კაცი არ ხარ?! — მოკლედ მოუჭრა ძია ომეხმა და ჰკითხა: — რა ამბავია ქალაქში? რას ამბობენ? ახალი პრეზიდენტი გყოლიათ, მართლა ძველზე ჭკვიანია?

— რატომ — გვყოლია? სვანები არ აღიარებთ სააკაშვილს თუ?.. — მაინც ვერ დააჭირა გოჩამ ენას კბილი.

— სვანეთის პრეზიდენტი და პატრონი ღმერთია, კაცის არც სამართალი გვჭირდება და არც კანონი! — შეუვალი იყო სვანი „ტრადიციონალისტი“.

— მაშაყირებთ თუ მართლა ითხოვთ ავტონომიას? — პირი ღია დარჩა გოჩას.

— შენი სათხოვარი სვან კაცს რა მჭირს?.. სანამ ცოცხალი ვარ და მარჯვენა მერჩის, — მოკვდები და ღმერთი მომხედავს; ვერ ხედავ, რა ახლოსაა ჩვენი სოფელი ცასთან — ღმერთის სამყოფელთან?.. აქ კაცის სამართალი ვერასოდეს იბატონებს! — კატეგორიული იყო ძია ომეხი.

— ერთი ამის თავის ქალაში ჩამახედა და ტვინის წონა და ნაოჭების რაოდენობა დამათვლევინა! — ჩამჩურჩულა გოჩამ და სვანებზე ნათქვამი ანეკდოტი კახელებს დააბრალა:

— ცოტა გავმხიარულდეთ, ანეკდოტს გეტყვით. კახელმა თავი გაიტეხა და ქალა ახადეს. ექიმებმა თქვეს — ტვინიც დაზიანებული არ ჰქონდესო! ჰოდა, ტვინის ადგილზე, მხოლოდ თეთრი რეზინა დახვდათ გაბმული, რომლის ბოლოებიც ყურებს იჭერდა. გადაჭრეს ექიმებმა რეზინა და საწყალს ყურებიც დასცვივდა...

— საწყალს, ტვინი არ ჰქონდა და, ყურებიც დააყრევინეს, რა უფლება ჰქონდათ?! — ისეთი სერიოზული სახით იკითხა ომეხ ძიამ, უცებ ისიც მოგვეჩვენა, რომ ჩვენ აგვიგდო სასაცილოდ — არადა, როცა 80-ს გადაცილებულმა ერთერთმა სტუმარმა მკაცრად დააყოლა — მოსახსნელები არიან ყველანიო! — ისეთი კამათი ატყდა — უნდა მოეხსნათ ის ექიმები, დაეჭირათ თუ სულაც „აეხანჯლათ“ — ვახმეო! — იყვირა გოჩამ, მუცელზე ხელმოჭერილი გარეთ გავარდა, მიწაზე გაგორდა და ახარხარდა...

— რა მოუვიდა?! — ეჭვით შემომხედა ომეხ ძიამ და ისე საეჭვოდ დაადო მოკლე ხანჯალს მარჯვენა, შიშისგან „ცხელ-ცხელი“ ტყუილი გამოვაცხვე: ალბათ, სოკომ აწყინა, ბევრი ჭამა და ის აცინებს, ასე იცის ხოლმე, აცალეთ, გაუვლის-მეთქი!..

— რომ არ გაუაროს, კარგი ვეტექიმი გვყავს სოფელში, მოვიყვანთ, კუჭს გამოურეცხავს ჩემი ხარიც ბევრჯერ გადამირჩინაო! — თქვა ჩვენმა შეშფოთებულმა მასპინძელმა და ფიცხლად წამოახტუნა „ავადმყოფი“ ფეხზე: — არა, ასე როცა მემართება, თბილი ლოგინი მშველის; ოღონდ დამაწვინეთ და დილამდე ჩემს ხმას ვერ გაიგონებთო! — ლამის ატირდა ბიჭი...

მეორე დღეს კი, ლამის მე „ამხანჯლა“ მანქანაში, როცა სამშვიდობოს დაიგულა თავი:

— ეს სად წამომიყვანე? ან მე რას მერჩოდი ან — საკუთარ თავს?.. ძლივს გამოვასწარით ცოცხლებმა!.. — და არაფრით აღარ მიმიყვანა დანიშნულების ადგილზე... ასე რომ, სვანეთში წასვლა უახლოეს მომავალში მარტოს მომიწევს და უკვე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე — არავითარი ანეკდოტები, მით უმეტეს — ტყუილი და ორპირობა, არ უყვარს იმ პატიოსან ხალხს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი და სხვის სათქმელსაც პირდაპირ გებულობს...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

გან იქ კარგი კლიმატია, მაგრამ მეორე მხრივ — ჯოჯოხეთში, რადგან იქ უკეთესი პუბლიკაა“, — უპასუხა ჩაპლინმა.

20. შუა საუკუნეების ინგლისში არსებობდა ადათი, რომლის მიხედვითაც ჯვრის დასაწერად ეკლესიაში მიყვანილ პატარძალს დიდი სკივრის მძიმე თავსახური ცალი ხელით უნდა აეხადა და ამით დაემტკიცებინა, რომ მზად იყო გასძღოლოდა მძიმე ოჯახურ საქმეებს. უშედეგო ცდის შემთხვევაში, საქმროს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა ქორწინებაზე.

21. როდესაც გუსტავ კირხგორფმა სპექტრალური ანალიზის გზით მზის შემადგენლობაშო ოქრო აღმოაჩინა, იგი მასხრად აიგდეს. ეს აღმოჩენა მართლაც, ყოვლად უსარგებლო იყო. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, კირხგორფმა განაცხადა, რომ მაინც შეძლო მზიდან ოქროს მოპოვება: ამ აღმოჩენისთვის ხომ იგი ოქროს მედლით დააჯილდოეს.

22. 1992 წელს, ჟენევაში იძულებული გახდნენ, სახელგანთქმული ყვავილების საათი სკვერის სიღრმეში გადაეტანათ. „რათა თავიდან ავიცილოთ დიპლომატიური ურთიერთობის გართულება იაპონიასთან“ — ხუმრობდა ჟენევის მერი. საქმე ის გახლდათ, რომ იაპონელი ტურისტები ყველაზე ხშირად მოგზაურობენ ფოტო და ვიდეოკამერებით. ყვავილების საათის გადასაღებად ისინი რამდენიმე ნაბიჯს დგამდნენ უკან, რის შედეგადაც გზატკეცილზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

23. ქათმების დანიურ ფერმებში მამლებს პლასტიკურ სათვალეს უკეთებენ, რათა მათ ცუდად დაინახონ სხვა მამლები და ნაკლები იჩხუბონ.

24. ბირმაში ჩასული ტურისტები ადგილობრივ მეფრინველეებს ფულს უხდიან იმაში, რათა მათ გალიიდან ბელურის გამოშვების უფლება დართონ. ტურისტებმა არ იციან, რომ ბელურები გაწვრთნილი არიან და სულ მალე ისევ გალიაში დაბრუნდებიან.

25. სიცილიაში მოგზაურობის დროს, კალიგულა დიდხანს დასცინოდა ადგილობრივ სალოცავებს, სანამ ერთ ღამეს, გრუხუნითა და გრიალით გულგახეთქილს, მესანადან გაქცევამ არ მოუწია. იმ ღამით ვულკანმა ეტნამ ამოხეთქა.



...ასეთი სპორტსმენი განდიდების მანიით არ დაავადდება

საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა სიას თუ გადავხედავთ, გამარჯვებულთა შორის ივანე გრიქუროვის სახელსა და გვარს ვერ ვიპოვით, მაგრამ ბატონი ვანო მაინც ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონად შეგვიძლია ვაღიაროთ. პირველად საქართველოს ჰიმნი მისი შეგირდის — კახი კახიაშვილის გამარჯვების აღსანიშნავად, 1992 წელს ბარსელონაში აჟღერდა, ხოლო მეორედ — გიორგი ასანიძესთან ერთად, ათენში „ხარობდა“ ზეაღმართული, ახალი ქართული დროშით.

ოლიმპიური ჩემპიონობის ვანო გრიქუროვისეული ფორმულა

გოგი ფრანგიშვილი

— ბატონო ვანო, საქართველოს ძალოსნების ოლიმპიურ თამაშებში ნახევარი საუკუნის განმავლობაში 3 ოქროს ჯილდო აქვთ მოპოვებული, ორი მათგანის თანაავტორი თქვენ ბრძანდებით. როგორც ჩანს, ძალოსნობის ყველა ნიუანსი იცით...

— ძალოსნობა დღეს მართლაც, სპორტის ერთ-ერთი ურთულესი სახეობაა. გამარჯვების მოსაპოვებლად აქ დიდი ერუდიცია და გამოცდილებაა საჭირო. მე ეს 30-წლიანი გარჯით შევიძინე. თავად, ვარჯიში ცხინვალში დავიწყე და მინდა გითხრათ, რომ სპორტში რთული გზა მქონდა. ბავშვობაში ძალიან სუსტი ვიყავი, გული მაწუხებდა. ექიმებს ჩემი გადარჩენა ეეჭვებოდათ. ამის გამო სკოლა ისე დავამთავრე, ფიზკულტურის გაკვეთილებზე არც მივლია... 17 წლის ვიყავი, ძალოსანთა დარბაზში რომ მოვხვდი. ყველას გასაოცრად ცარიელი ღერძის აწევა რომ შემომთავაზეს, ისიც კი ვერ დავძლიე. შერცხვენილი და აცრემლებული წამოვედი. ვფიქრობდი, ასე როგორ უნდა ვიცხოვრო-მეთქი?!. გადავწყვიტე, ავადმყოფობისა და ჩემი თავისთვის მეჯობნა. ჯართის შესაგროვებელი პუნქტიდან ტრაქტორის ორი ბორბალი მოვიპარე, ხის ღერძი დავუყენე და იმით დავიწყე ვარჯიში. ვვარჯიშობდი დამოუკიდებლად, თავად ვეძებდი, როგორი დატვირთვები გამომეყენებინა და დოზები შემერჩია. ვფიქრობ, მაშინ გაიღვიძა ჩემში მწვრთნელმა, სწორედ მაშინ დავიწყე აზროვნება, თუმცა, მწვრთნელობაზე სულაც არ ვოცნებობდი. არჩევანი შემთხვევით და იძულებით გავაკეთე. ნადირობის დროს კლდიდან ჩამოვვარდი და საკუთარი თოფით მძიმედ დავიჭერი გულის არეში. სიკვდილს კი გადავურჩი, მაგრამ სპორტსმენის კარიერაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. აი, ეს იყო იმის მიზეზი, რომ 1973 წელს მწვრთნელობა დავიწყე. ჩემი პირველი შეგირდები ცხინვალის ბავშვთა სპორტული სკოლის მოზარდები იყვნენ.

— როგორც ვხედავ, სპორტული კარიერის დასაწყისი სახარბიელო არ გქონიათ. მაგრამ შემთხვევის წყალობით, საბოლოოდ ორჯერ მიხვედით ოლიმპიურ კვარცხლბეკამდე, რომელი გამარჯვება იყო უფრო მნიშვნელოვანი თქვენთვის? — კახი კახიაშვილის თუ გიორგი ასანიძის?

— იცით, ორივე, დიდი შრომის ფასადაა მოპოვებული. კახიც და გიორგიც ჩემი მოწაფეები არიან და ორივე დიდი სპორტსმენი გახდა. მართალია, კახის მიღწევები უფრო სოლიდურია, მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი მათი წესიერებაა. დიდი სპორტსმენი არაფერს ნიშნავს, თუ კაცი არა ხარ. მე ყოველთვის ვმუშაობდი მხოლოდ იმ ადამიანებთან, რომლებშიც პატიოსნებას დავინახავდი. ამიტომაც, ვიდრე ხელს მოვკიდებ რომელიმე სპორტსმენს, ჯერ უნდა გავერკვე მის პიროვნებაში. დიდი სპორტის საფუძველი წესიერებაა. ჯერ პატიოსანი უნდა იყოს ადამიანი და თუ ამას დაემატება ტალანტი, აი, მაშინ ველი მისგან გამარჯვებებს. მე ფეხზე უნდა დავაყენო ადამიანი. უნდა აღვზარდო, როგორც ათლეტი და როგორც პიროვნება. ჩემს შეგირდებს ხშირად ვაძალებ წიგნების კითხვას. მინდა, განათლებულები, ინტელექტუალურები იყვნენ, მინდა, საერთო სასაუბრო თემები გვქონდეს. ასეთი სპორტსმენი განდიდების მანიით არ დაავადდება. ზოგს ჰგონია, გამარჯვებისათვის ძალოსანს მხოლოდ სპორტული ჟინი სჭირდება: ასწიე ეს რკინა და ეგ არისო. მცდარი აზრია. ჩემი მეთოდის 80% ადამიანის ფსიქოლოგიას ეყრდნობა. სპორტსმენი და მწვრთნელი — ეს ერთგვარი ტანდემია. რაც გიორგის აწუხებს, ის მეც მტკივა, მისი სიხარული — ჩემი ბედნიერებაა. ეს მთელი ცხოვრებაა. ძალოსნობაში სოლიდური შედეგების მისაღწევად წლობით შრომაა საჭირო. მე ჩემს გარჯას ვაფასებ. ასე რომ, ესა თუ ის ათლეტი კარგი პიროვნება თუ არ არის, მასთან დროს არ დავკარგავ. ამ მხრივ, კახიც და გიორგიც ჩინებული ადამიანები არიან და მე ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად მივაღწიე წარმატებებს.

— მათ შორის, ალბათ განსხვავებაც არის, არა?

— მართალი ბრძანდებით, ხასიათი აბსოლუტურად სხვადასხვანაირი აქვთ: კახი ფლეგმატიკია, ყველაფერს დიდი დაფიქრებით და ძალზე დინჯად აკეთებს, ყოველ ნაბიჯს ზომავს, ზედმეტს არ გადადგამს, არც ნერვებს დახარჯავს ტყუილუბრალოდ; სწორედ ეს ხასიათი დაეხმარა მას, რომ ბოლო 20 წელი, დიდ სპორტში იყო. რაც შეეხება გიორგი ასანიძეს — ის ცეცხლია, მუდამ მოსპარეზეა, ყოველთვის მზადაა შეჯიბრებისათვის. იგი ცხოვრებაშიც ასპარეზობს. ერთი მხრივ, ასეთი ხასიათით გიორგი სწრაფად აღწევს საუკეთესო შედეგებს, მაგრამ მეორე მხრივ, ასევე სწრაფად იწვის. სხვათა შორის, ხშირ ტრავმას სწორედ მის ასეთ ხასიათს ვაბრალებ. კაცი, რომელიც გამუდმებით ჩქარობს, ზოგჯერ ზღვარს გადადის წვრთნის პროცესშიც და ეს სახიფათო ხდება. კახიაშვილს ყოველთვის ვუბიძგებდი

იმისკენ, რომ უფრო სწრაფად, უფრო მეტი გაეკეთებინა, ასანიძეს კი, პირიქით, მუდმივად ვაჩერებდი, ვეუბნებოდი — გეყოფა, ამდენი არ არის საჭირო-მეთქი. ადამიანები მოგეხსენებათ, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და თითოეულ მათგანს თავისებური მიდგომა სჭირდება. ის, რაც კახისათვის აუცილებელი იყო, გიორგის არ გამოადგებოდა და მასთან წვრთნის სხვა მეთოდიკას ვირჩევდი.

— მკითხველი ალბათ უკვე დარწმუნდა, რომ მოაზროვნე კაცი ბრძანდებით, წმინდა სპორტული მიღწევების გარდა, ადამიანის ბედიღბალზეც ფიქრობთ. ამიტომაც საინტერესო იქნება თქვენი აზრი სამაჩაბლოში შექმნილი სიტუაციის შესახებ. ცხინვალში დაბადებულგაზრდილ კაცს, მთელი საქართველოს მსგავსად, თქვენც გაწუხებთ ასეთი მდგომარეობა. როგორ ფიქრობთ — ჩვენს ვეტერან თუ მოქმედ ათლეტებს, საერთოდ სპორტის სამყაროს წარმომადგენელთა ჩარევას თუ შეუძლია კონფლიქტის მოგვარებაში წვლილის შეტანა?

— მე ყოველთვის შორს ვიყავი პოლიტიკისაგან. დღეისათვის ეს პროცესი მთიდან დაგორებულ გუნდას მაგონებს, რომელიც თანდათან იზრდება და უკვე აღარ აქვს აზრი იმის ძიებას, თუ ვინ დააგორა ეს გუნდა — მთავარია, მისი შეჩერება... რა თქმა უნდა, სიტუაცია რთულია. იმდენი ძალაა ჩართული — როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნიდან, ასევე მის გარედანაც, — რომ გამოსავლის მოძებნა ადვილი არაა. მე პოლიტიკოსი არა ვარ, თუმცა, ერთი რამ გულახდილად შემიძლია გითხრათ — სპორტი ცხოვრების ნაწილია და საკმაოდ მნიშვნელოვანი. სპორტი მარტო შეჯიბრებას არ ნიშნავს, აქ ადამიანები სამუდამოდ ხდებიან მეგობრები და ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ამიტომ ჩვენც შეგვიძლია, წვლილი შევიტანოთ მდგომარეობის გაჯანსაღებაში. მე მწვრთნელი ვარ და ამით ვემსახურები ჩემს ქვეყანას. ვფიქრობ, დღემდე რაღაცა მეც გამიკეთებია და შემდგომშიც მექნება შესაძლებლობა, ერთი აგური დავდო ახალი ცხოვრების მშენებლობაზე.

— მოდით, ისევ სპორტს დავუბრუნდეთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ხანია, უკვე დოპინგს იყენებენ. ალბათ ამიტომაც, ათლეტები ფანტასტიკურ შედეგებს აჩვენებდნენ. მაგრამ ათენის ოლიმპიადაზე გაცილებით დაბალი შედეგები იყო: ძალოსნობაში სულ ერთი მსოფლიო რეკორდი დაფიქსირდა. თუნდაც ასანიძის წონითი კატეგორია — 85 კგ-მდე ავიღოთ. 4 წლის წინ, სიდნეიში სამივე პრიზიორმა: ბერძენმა დიმასმა, გერმანელმა ჰუსტერმა და ჩვენმა გიორგიმ, ორჭიდში 390-390 კგ მოაგროვეს. ახლა კი, ათენში ასანიძეს 382,5 კგ ეყო გამარჯვებისათვის. როგორ ახსნით ამას?

— მართალი ბრძანდებით. დოპინგი დიდი ხანია, შემოვიდა სპორტში და კერძოდ, ძალოსნობაში. ამის გამო წესიერი ათლეტები ხშირად იჩაგრებოდნენ კიდეც, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ჩვენი დროც დადგა. ეს სხვათა შორის, კახიაშვილმაც აღნიშნა. ძალოსნობა თანდათან „სუფთავდება“. ამიერიდან ყველაფერი დამოკიდებული იქნება: წვრთნის მეთოდიკაზე, კვებაზე, ფსიქოლოგიურ მომზადებაზე. დოპინგი ნელ-ნელა კვდება. ეს ხელს აძლევს ისეთი მწირი ფინანსური შესაძლებლობების ქვეყანას, როგორიც საქართველოა.

— ქართველი ათლეტების, მათ შორის გიორგი ასანიძის გამარჯვებამ ათენის ოლიმპიადაზე ძალზე გაახარა ჩვენი გულშემატკივრები. გახსოვთ ალბათ, თუ რა დიდებული დახვედრა მოუწყვეს ჩვენს ოლიმპიელებს თბილისში, თავისუფლების მოედანზე. ქვეყნის პრეზიდენტმა კი ბრძანა, რომ საქართველოს ლეგიონერებს ყველა პირობა უნდა შევუქმნათ საიმისოდ, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ. თქვენ თუ აპირებთ ჩამოსვლას?

— უკვე 9 წელია, რაც ოჯახთან ერთად წავედი საქართველოდან და პოლონეთში ვავარჯიშებ ძალოსნებს. თუ დამიჯერებთ, ისე დღე არ გასულა, რომ საქართველოზე და ჩვენს სპოტსმენებზე არ მეფიქრა. ვეხმარებოდი კიდეც მათ და ვფიქრობ, არცთუ ისე ურიგოდ. შესაძლოა, სხვა მწვრთნელებზე მეტის გაკეთებაც შევძელი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ პოლონეთში, მუშაობის უკეთესი პირობები მქონდა. მე ყოველთვის ვფიქრობდი დაბრუნებაზე, მაგრამ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა პირობები მექნება აქ, რის გაკეთებას შევძლებ. გულწრფელად მჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი დანაპირებს შეასრულებს და მეც მექნება საშუალება, კვლავაც ვემსახურო ქართულ სპორტს.

— თქვენ რა პირობები დაგაკმაყოფილებდათ?

— აქ მარტო ჩემს საყოფაცხოვრებო პირობებზე არ არის საუბარი. საქართველოში ძალოსნობის სოლიდური სკოლის შესაქმნელად აუცილებელია ორი-სამი საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბება: ერთის — თბილისში, ორის კი — რაიონებში. სავარჯიშო დარბაზების გარდა, სასტუმრო და კვების ბლოკიც უნდა გვქონდეს. მაგალითად, პოლონეთში, სადაც მე ვმუშაობ, დიდი კომპლექსი სულაც არ არის, მაგრამ ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი. რეგიონებიდან ვიღებთ პერსპექტიულ სპორსტმენებს, რომლებიც იქვე ცხოვრობენ, ვარჯიშობენ და სწავლობენ კიდეც. გარდა ამისა, კიდევ სამი სპორტული ბაზა გვაქვს, სადაც საწვრთნელ შეკრებებს ვაწყობთ. ყველამ იცის,

ხასიათი აბსოლუტურად სხვადასხვანაირი აქვთ: კახი ფლეგმატიკია... რაც შეეხება გიორგი ასანიძეს — ის ცეცხლია, მუდამ მოასპარეზეა, ყოველთვის მზადაა შეჯიბრებისათვის.

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ეწოდება მწყემსის ცხოვრების ამსახველ ჟანრს მხატვრობაში?

ა) რეალიზმი;
ბ) რომანტიზმი;
გ) პასტორალი.

2. მხ/ფ-ის „მიმინოს“ გმირის რუბენ ხაჩიკიანის ვაჟიშვილს ალგერტიკა ერქვა. რა ერქვა მის ძალიშვილს:

ა) ალა;
ბ) სუსანა;
გ) შაირაზა.

3. ვისი კაგინეტის ფანჯრიდან გადმოხტა გალაკტიონ ტაბიძე?

ა) საავადმყოფოს ექიმის;
ბ) საავადმყოფოს დარაჯის;
გ) საავადმყოფოს მეხანძრის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რომ დღეს, მთელ მსოფლიოში დიდი თანხები იხარჯება სპორტში. საქართველოში სამწუხაროდ, ასე არაა. სპორტსმენს მხოლოდ მას შემდეგ აქცევენ ყურადღებას, როდესაც რაიმე შედეგს მიაღწევს, მანამდე კი ბევრი პერსპექტიული ჭაბუკი იკარგება. აწყობილი სისტემა უნდა გვქონდეს, რომ ნიჭიერი ბავშვებიდან საუკეთესოები შევარჩიოთ.

— 2 წლის წინ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ოლიმპიური ფონდი შეიქმნა, რომლის პრეზიდენტმა ცნობილმა ქველმოქმედმა და ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა ჩვენი ათლეტების მოსამზადებლად 5 მილიონ ლარი გაიღო, ხოლო წლეულს, ოლიმპიური ჩემპიონები 400-400 ათასი ლარით დააჯილდოვა. რამდენად მნიშვნელოვანია, თქვენი აზრით, ამ ფონდის საქმიანობა?

— ეს ფონდი და ასეთი წამახალისებელი პრემიები აუცილებელია. ათლეტებისათვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც სპორტსმენებს ეცოდინებათ, რომ მომდევნო ოლიმპიურ ციკლში მსგავსი მხარდაჭერა ექნებათ, მერწმუნეთ, მიგრაცია შეწყდება და ლეგიონერებიც აღარ გვეყოლება. რა თქმა უნდა, ჩვენს ათლეტებს სავარჯიშო პირობებიც უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არის ერთი მომენტიც, თავად სპორტსმენი უნდა იყოს ფსიქოლოგიურად მომზადებული, რათა ამ სოლიდურმა წამახალისებელმა პრემიამ არ შებოჭოს. გიორგი ასანიძე არც შეჯიბრების წინ და არც ფიცარნაგზე გამოსვლის დროს, ჩემპიონობისათვის დაწესებულ ჯილდოზე არ ფიქრობდა. ჩვენ მხოლოდ მოგება გვინდოდა, ვოცნებობდით მხოლოდ ოლიმპიურ ოქროს მედალზე და გავიმარჯვეთ კიდეც. რა თქმა უნდა, მან იცოდა პრემიის შესახებ, მაგრამ ჩემი აზრით, წამახალისებელი ჯილდო გიორგის უფრო ადრე დაეხმარა — მაშინ, როდესაც მძიმე ტრავმის შემდეგ, ვარჯიშის განახლება გადაწყვიტა, რადგან იცოდა — გამარჯვების შემთხვევაში, ხელს გაუმართავდნენ. მიხარია, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს შრომა ღირსეულად დაუფასდა.

— ალბათ დამეთანხმებით — არც სოლიდური პრემია, არც სპორტსმენის ტალანტი საკმარისი არ იქნება, თუ კარგი მწვრთნელი არ ხელმძღვანელობს საწვრთნელ პროცესს, მით უმეტეს, ძალოსნობაში, სადაც ვარჯიში პრაქტიკულად, მეცნიერების დონეზეა აყვანილი. საინტერესოა, თანამედროვე სპორტში როგორია სპორტსმენისა და მისი მწვრთნელის წვლილი დიდ გამარჯვებაში?

— ეს ცოტა რთული კითხვაა. საკუთარი წვლილის შეფასება ჩემთვის უხერხულია. ეს ალბათ, თავად ჩვენს ჩემპიონებს უნდა ჰკითხოთ. სპორტსმენიც და მწვრთნელიც, ორივე უდიდეს შრომას დებს წლების განმავლობაში. კახი კახიაშვილთან ერთად 13 წელი ვივარჯიშეთ, ვიდრე ბარსელონის ოლიმპიური თამაშების უმაღლეს კვარცხლბეკამდე მივაღწევდით. შემდეგ გიორგი ასანიძე ავიყვანე და მასთან ერთადაც 13 წელი დამჭირდა ოლიმპიური ოქროს მედლის მოსაპოვებლად. ახლა, თავად განსაზღვრეთ, ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში ვის რა წვლილი მიუძღვის... ახლა კიდევ ერთი შეგირდი მყავს: 3 წელია, ვმუშაობ კასაბიევთან და იმედი მაქვს, მასაც დიდ გამარჯვებამდე მივიყვან.

— თქვენ ბრძანეთ, რომ კახიაშვილისა და ასანიძის ოლიმპიური ოქროს მედლების მოსაპოვებლად 13-13-წლიანი შრომა დაგჭირდათ, კასაბიევს კი სულ სამი წელია ავარჯიშებთ. გამოდის — მომდევნო ოლიმპიადაზე გამარჯვებას არ უნდა ველოდოთ?

— მთლად ასე არ არის. 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებზე ფიქრი მე ჯერ კიდევ სიდნეის შემდეგ დავიწყე. კასაბიევი ნიჭიერი და პერსპექტიული ათლეტია. ამასთანავე, როგორც გითხარით, ძალოსნობა თანდათან „სუფთავდება“ დოპინგისაგან და პატიოსანი სპორტსმენების დროც დგება. გარანტიებს დღეს ვერავის მივცემ, მაგრამ ვფიქრობ, ოლიმპიური მედლებისათვის ჩვენც ვიბრძოლებთ. უფრო ზუსტ პასუხს 4 წლის შემდეგ გაგცემთ.

■



რა თქმა უნდა, ჩვენს ათლეტებს სავარჯიშო პირობებიც უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არის ერთი მომენტიც...

Peugeot 406 Coupe თაყვანისმცემლებს ეთხოვება

ფრანგული ავტოგიგანტი მოდელის – 406 Coupe – წარმოებას წყვეტს. სტანდარტული „პეჟო-406“-ის ბაზაზე შექმნილი ელეგანტური ორკარიანი ვერსია პირველად, 7 წლის წინ გამოჩნდა ავტობაზარზე. მალე მას ახალი, 407-ე ბაზაზე აგებული კუპე შეცვლის. Peugeot 406 Coupe-ს დიზაინი სახელგანთქმულ იტალიურ ატელიე Pininfarina-ში შემუშავდა. მან ძალზე მოკლე ხანში მოიხვეჭა სახელი ავტომოყვარულებს შორის: სერიული წარმოების პერიოდში, სულ 105 ათასი მანქანა გაიყიდა. ახლა კომპანიამ გამოაცხადა, რომ აღნიშნული მოდელის ბოლო სერიას, მოდელს – Ultima Edizione-ს გამოუშვებს. ის აღჭურვილი იქნება სამნაირი ძრავათი, მათ შორისაა: 2,2 ლ მოცულობის (4 ცილინდრი, 158 ცხ.ძ.), 3 ლ მოცულობის (6 ცილინდრი, 207 ცხ.ძ.) ბენზინის და 2,2 ლ-იანი – დიზელის (133 ცხ.ძ.). საერთოდ, დიზელის ვერსია ყველაზე პოპულარულია: მასზე ამ მოდელის რეალიზაციის 2/3 მოდის.

Ultima Edizione-ს სალონი ნატურალური ტყავითაა გაწყობილი და აღჭურვილია ძვირად ღირებული აუდიოსისტემითა და კლიმატკონტროლიანი კონდიციონერით. ამ სერიის გამოშვების მოცულობა 2000 ეგზემპლარითაა განსაზღვრული. ფასით ყველაზე ხელმისაწვდომი, დიზელის ვერსიაა, რომელსაც ევროპელ მომხმარებლებს 31.140 ევროდ შესთავაზებენ. ■

Ford Fusion მოგვიახლოვდა

ამ მოდელმა დსთ-ის სივრცემდე მოაღწია: ცოტა ხნის წინ, ის ოფიციალურად წარმოადგინეს რუსეთის ავტომოყვარულთა სამსჯავროზე. ამ მანქანას, ყველგანმავლის მსგავსად, მაღალი „დგომა“ აქვს და კარგი მანევრულობით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, მწარმოებლის აზრით, ის უპირველესად, ცხოვრების აქტიური სტილის მოყვარული, დიდი ქალაქის მცხოვრებთათვისაა განკუთვნილი. Fusion-ს ხალვათი და ფუნქციური სალონი აქვს: ერთ-ერთი სავარძელი იკეცება და იოლად გარდაიქმნება პატარა მაგიდად; სალონში უამრავი ჯიბე და წვრილმანების ჩასაწყობად გათვალისწინებული სხვა სათავსია.

მანქანა აღჭურვილია ორი – 1,4 და 1,6 ლ მოცულობის, 16-სარქველიანი ძრავათი, რომლების Duratec-ის ოჯახს განეკუთვნება. მას ასევე 2 გადაცემათა კოლოფი აქვს – მექანიკური და რობოტიზებული, რომელიც საუცხოოა ქალაქის პირობებში მოძრაობისას, რადგან ის მოჭიდვის სისტემის გარეშე მოქმედებს.

რუსეთის ბაზარზე ამ მოდელის ფასი – კომპლექტაციისდა მიხედვით – 14.060-დან 15.640 ევრომდე მერყეობს. ■

მეოთხე თაობის M5

გერმანულმა კომპანია BMW-მ გამოაცხადა, რომ 2005 წლის იანვრიდან, ყველაზე ჩქაროსნული სპორტული მოდელის – M5-ის წარმოებას დაიწყებს. ეს უკვე მეოთხე თაობა იქნება იმ მოდელისა, რომელიც 1985 წლიდან გამოდის ავტობაზარზე. მანქანა აღჭურვილია 10-ცილინდრიანი, V ტიპის ძრავათი, რომელიც 507 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ახალი 5 5 წმ-ში, 200 კმ/სთ-ს კი – 15 წმ-ში მიაღწევს. მისი მაქსიმალური სიჩქარეა 250 კმ/სთ. ამასთანავე, როგორც ცნობილია, BMW-მ, კლიენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით შეიძლება, მანქანას სიჩქარის ელექტროშემზღუდავიც არ დაურთოს თან. ამგვარად, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, M5-მა შესაძლოა, 300 კმ/სთ სიჩქარეც კი განავითაროს.

საკიდარი ელექტრონული სისტემის მეშვეობით იმართება და მძღოლს, სამი რეჟიმიდან ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობა აქვს. ეს რეჟიმებია: Komfort, Normal და Sport. ამისდა მიხედვით, საჭის გამაძლიერებლის მოქმედების რეჟიმიც იცვლება.

მანქანა 19-დუიმიანი სპორტული დისკებითა და, როგორც ეს სპორტულ ავტომობილს შეეფერება, ოთხი აირგამწოვით კომპლექტდება. სალონი ტყავის სავარძლებითა და მრგვალი შავი ხელსაწყოებით გამოირჩევა, რომლებსაც თეთრი ციფრები და წითელი ისრები ამშვენებს.

ახალი M5-ის მინიმალური ფასი ევროპაში 86.200 ევროს აღწევს. მისი აწყობა იმავე კონვეიერზე მოხდება, რომლიდანაც მე-5 სერიის BMW ჩამოდის. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1985 წლიდან, სულ 33 ათასი BMW M5-ია წარმოებული. ამ მოდელის გარდა, 2005 წლიდან, კონცერნს M6-ის (მე-6 სერიის კუპეს ბაზაზე) გამოშვებაც აქვს დაგეგმილი, 2006-იდან კი – მე-3 სერიის სპორტული ვერსიის – M3-ისა, რომელსაც 8-ცილინდრიანი ძრავა და 400 ცხ.ძ. სიმძლავრე ექნება. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-37)

მცვალებლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

რესტორანში მომხდარი სროლის დროს დაღუპული კაცის მკვლელობას ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს აბრალებენ. ამ ამბავში რაღაც იდუმალი როლი მის ბიზნესპარტნიორ შალვა ოშხერელს აკისრია. ანდროს თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე მის დაცვას თავის ყოფილ დაქალს, მეგი ლაღიძეს სთხოვს, რადგან მათი ფირმის ადვოკატი არჩილ ხომასურიძე მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. ანდროსთან პირველი შეხვედრიდან შინ დაბრუნებულ მეგის კარზე ყოფილი შეყვარებული კახა სუთიძე მიადგება, რომელიც მას, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს...

მეგი არჩილ ხომასურიძის სანახავად ბათუმში წასვლას გადაწყვეტს. ის შემთხვევით კახა სუთიძეს შეხვდება და სრულიად მოულოდნელად, მას სთხოვს, ბათუმში წამიყვანეო. მაგრამ იქ ჩასულებს, ადვოკატი საავადმყოფოში აღარ დახვდებათ, თუმცა, მის დატოვებულ საბუთებს მეგის სხვები გადასცემენ. სასტუმროში მეგის საბუთებს მოჰპარავენ. მეგი მაშინვე კახაზე მიიტანს ეჭვს. მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით, საბუთების ნაწილი მისი საწოლის ქვეშ აღმოჩნდება...

თბილისში დაბრუნებული მეგი დაქალის, ლიკას მეუღლის, ვახოს სანახავად გასწევს, რომელიც ასევე ურჩევს მას, თავი დაანებოს ანდროს დაცვას. თუმცა ამავე დროს, მისი წარსულის საინტერესო მომენტებზე უამბობს და იმასაც ეტყვის — ანდროს კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო არისო...

ერთ დღეს, მეგის კარზე კვლავ კახა მიადგება და ემუდარება — გთხოვ, შინ წამომყევი, ჩემს მომაკვდავ დედას შენთვის რაღაც სათქმელი აქვსო. ქალბატონი მარიკა მეგის აცნობებს, რომ თითქოსდა მშობიარობის დროს დაღუპული, მისი და კახას შვილი ცოცხალია და ანდრო სვანიძის ოჯახში იზრდება... მეგი მომზადებული ხვდება ამ ცნობას, რადგან ვახომ უკვე მიანიშნა ამ ამბავზე...

მათი საუბრის დასასრულს, კახა (რომლისთვისაც დედას ჯერაც არ გაუმხელია, რომ შვილი ჰყავს) მიაკითხავს მეგის და ციხეში ანდროსთან შესახვედრად მიჰყავს. უკანა გზაზე ისინი შეკამათდებიან, მეგი მას ოშხერელთან კავშირში დაადანაშაულებს, მაგრამ კახა ამ ბრალდებას უარყოფს. მაშინ გაბრაზებულ მეგის წამოსცდება, — თუ მართალი ხარ, შენი შვილი დაიფიცეო. კახა გაოგნდება — მან არ იცის, რომ შვილი ჰყავს. მაგრამ მეგი მასთან საუბარს აღარ გააგრძელებს, მანქანაში მიატოვებს და ფეხით განაგრძობს გზას.

ჩაფიქრებულ მეგის, ქუჩაზე გადასვლისას, კინაღამ მანქანა გაიტანს. გაცოფებულ მძღოლს, შემთხვევის ადგილზე მოულოდნელად გამოჩენილი კახა გამოჰგლეჯს ხელიდან ქალს...

გონს მოსული მეგი შინ წევს. მას კახა და დალი წამოსდგომიან თავზე. ისინი მეგის კიდევ ერთ თავზარდამცემ ცნობას მიაწვდიან: ანდრო სვანიძე ციხეში კრიმინალებმა დაჭრესო... საუბრის დროს, კახას მამამისი დაურეკავს და ეტყვის — სასწრაფოდ მოდი, დედა ძალიან ცუდადაა. მეგი და დალი ანდროს საქმეზე ბჭობენ და მის ცოლყოფილს — ლანას გადასწვდებიან. მეგი დაურეკავს ლანას და შეხვედრას სთხოვს. ლანა ჯერ უხალისოდ მიიღებს ამ იდეას, მაგრამ ბოლოს, შეხვედრაზე დათანხმდება. ამასობაში კი, კახა, რომელიც დაჰპირდა დაქალებს — შინ მისვლისთანავე შეგატყობინებთ დედაჩემის მდგომარეობასო, — არა და არ რეკავს, არც მათ ზარს პასუხობს. დალი გადაწყვეტს, ტაქსი აიყვანოს და თავად მიაკითხოს კახას ოჯახს.

დალის წასვლის შემდეგ, მეგიმ თავი მოიწესრიგა და დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ძილი კარგა ხანს არ მიჰკარებია. ბოლოს, როცა რის ვაი-ვაგლახით მაინც წათვლიმა, ტელეფონი აწკრიალდა.

— ჯანდაბა-ა!.. — ტუმბოზე მდგარი ტელეფონის ყურმილს უხეშად დასწვდა გაღიზიანებული მეგი: — ალო, გისმენთ!

— გაგაღვიძე, ხომ? — გაისმა ყურმილში კახას უცნაურად ჩამქრალი ხმა.

— კახა, შენ ხარ?

— ჰო, მე ვარ...

— რა ხმა გაქვს?.. დედაშენი ხომ არ...

— ჰო, გარდაიცვალა, — კითხვის დასრულება აღარ აცალა კახამ.

— როდის?

— ორი საათის წინ...

— ძალიან ვწუხვარ... — მართლა შეწუხდა მეგი. — იწვალა?

— კი... საშინლად...

— შენ როგორ ხარ? — საუბრის თემა ფრთხილად შეცვალა მეგიმ.

— ვარ, რა... როგორც დაობლებულ კაცს შეეფერება... — გული კინაღამ ამოუჯდა კახას.

— მამაშენი?

— მამაჩემს სძინავს...

— სძინავს?!. — გაუკვირდა მეგის.

— ჰო... დედაჩემი რომ აქეთ სულს ებრძოდა, ის იქით კედელს ურტყამდა თავს და სხვა რაღა გზა მქონდა?.. გავაკავე და

ექიმს დამაწყნარებელი გავაკეთებინე... მესამე საათია, ისე სძინავს, რომ გვერდიც კი არ უცვლია... უკვე იმის მეშინია, ეს კიდევ ძილში არ გაიპაროს-მეთქი!..

— ექიმი წავიდა?

— კი, უკვე ყველა წავიდ-წამოვიდა.

— გამოდის, რომ სულ მარტო ხარ...

— ჰო, ასე გამოდის... — ამოიოხრა კახამ.

— გინდა, მოვიდე? — საკუთარი კითხვის თავადვე გაუკვირდა მეგის. კახამ კი ყურებს საერთოდ არ დაუჯერა:

— სად?.. აქ, ჩემთან?..

— ჰო, რა იყო?!. — უკან აღარ დაიხია მეგიმ. — მანქანას გავაჩერებ და...

— არც იფიქრო! — გააწყვეტინა კახამ. — ახლა შენი ავადმყოფობაღა მაკლია!

— რომელი ავადმყოფობა?.. უკვე ისე გამოვკეთდი, რომ დალიც კი შინ გავუშვი..

— ესე იგი, შენც მარტო ხარ?

— ჰო, მეც მარტო ვარ...

— ხომ არ გახსოვს, დედა რომ მოგიკვდა, იმ ღამეს რაზე ფიქრობდი? — მოულოდნელად ჰკითხა კახამ.

— როგორ არ მახსოვს?!. — შეკრთა მეგი. — მარტო ის კი არა, დედაჩემის რომელ პანაშვიდზე ვინ როდის მოვიდა, რა ეცვა და როგორ მომისამძიმრა, ისიც კი მახსოვს... ეტყობა, დიდი ტკივილი ადამიანს ყველა შეგრძნებას უმძაფრებს... იმ ღამეს კი, მხოლოდ სიკვდილზე ვფიქრობდი...

— მართლა?!. — გააწყვეტინა კახამ. — რა დამთხვევაა! სულ რაღაც ორი საათია, რაც დედაჩემი აღარ არის, მე კი სიკვდილთან უკვე სულ სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს... რომ გითხრა, სიკვდილის აღარ მეშინია-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ის პანიკური, თითქმის ცხოველური შიში, რომელიც აქამდე მქონდა, სადღაც უკვალოდ გაქრა...

— ჰო-ო... — ამოიოხრა მეგიმ. — რაც დედაჩემი „იქ“ დავიგულე, სიკვდილზე მეც უფრო მშვიდად ვფიქრობ...

— ეტყობა, ყველა უბედური ადამიანი მართლა ერთმანეთს ჰგავს... — დაასკვნა კახამ და შემდეგ დააყოლა: — მაგრამ უკვე ძალიან დაგღალე!.. კარგი, დავდოთ ახლა ყურმილი და დაიძინე!..

— ნამდვილად აღარ მეძინება! — იუარა მეგიმ. — თუ გინდა, კიდევ მელაპარაკე!..

— არა! არც ამდენად ეგოისტი ვარ!.. ყველამ თავისი წილი ტკივილი თავადვე უნდა გადაიტანოს. შენ შენი წილი გადატანილი გაქვს, ახლა ჩემი ჯერი დადგა...

— ჰო, ალბათ, ასეა... — დაეთანხმა მეგი. — მე მხოლოდ იმით შემიძლია განუგეშო, რომ სიცოცხლე მაინც გრძელდება...

— ვიცი, — დაეთანხმა კახა. — ჩემი სიცოცხლე დღეიდან ჩვენი შვილია!.. გემუდარები, შემპირდი, რომ ბავშვს მაჩვენებ!

— გპირდები... — ყურმილი სწრაფად დადო გულამოვარდნილმა მეგიმ...

მეორე დილით, ციხის საავადმყოფოში მეგი ყველასთან და ყველაფერთან საომრად მომზადებული მივიდა, მაგრამ მისდა გასაკვირად, ანდროსთან თითქმის უპრობლემოდ შეუშვეს.

ანდრო პალატაში მარტო იწვა, უფრო სწორად კი — ლოგინზე ჩაცმული მიწოლილიყო და გაზეთს კითხულობდა. მეგის შესვლისთანავე წამოდგომა სცადა, მაგრამ ტკივილმა სახე დაუმანჭა.

— იწექით, იწექით!.. — შეაჩერა ანდრო მეგიმ. — გატყობთ, ჭრილობა ძალიან გაწუხებთ.

— არა, მე ვაწუხებ... — სიმწრით გაეღიმა ანდროს და საწოლზე მაინც წამოჯდა. — თქვენ როგორ ბრძანდებით?.. უნდა ვაღიარო, რომ რაც ერთმანეთი არ გვინახავს, კიდევ უფრო გალამაზებულხართ... — თვალი აშკარა ნდომით შეავლო მან ქალს.

— ბატონო ანდრო! — საწოლთან მდგარ სკამზე სწრაფად ჩამოჯდა სახეალანძული მეგი. — ახლა უადგილო კომპლიმენტების დრო არ არის!.. ჩემდა გასაოცრად, აქ თითქმის უპრობლემოდ მოვხვდი და სანამ დროა, მინდა, რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ.

— სმენად ვარ ქცეული! — ქვეშ-ქვეშ გაეღიმა ანდროს, მაგრამ მეგიმ არაფერი შეიმჩნია.

— ბატონო ანდრო, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა მითხრათ, ვინ და რატომ დაგჭრათ? — თვალები გამომცდელად შეანათა მან მამაკაცს.

— რა თქმა უნდა... — ღიმილი კვლავ ვერ შეიკავა ანდრომ. — ოღონდ მოდით, ჯერ ყველა კითხვა ჩამომითვალეთ და მერე ერთად გიპასუხებთ.

— როგორც გენებოთ!.. — ახლა კი ხმაში სიფიცხე შეეპარა მეგის. — მაგრამ თქვენს ადგილზე საქმეს ცოტა უფრო სერიოზულად მივუდგებოდი. ხომ იცით, რომ ბალისტიკური ექსპერტიზა თქვენს ბრალეულობას ამტკიცებს?.. თუმცა, საბედნიეროდ, მე მაქვს უტყუარი ნივთმტკიცება, რომ...

— მოიცა, რა!.. — უცბად, ხელი მბრძანებლურად აღმართა ანდრომ და მეგის სიტყვა პირზე შეაცივდა. — ჯერ ერთი, წინა შეხვედრისას მტკიცედ შევთანხმდით, რომ შენობით ვილაპარაკებდით და მეორე: არ შეიძლება, ცოტა უფრო გასაგებად ამიხსნა, რა გინდა?.. შენც სულიკო ჟვანია ხომ არ ხარ, იურიდიული ტერმინებით რომ მაბნევ?!.

— არ მესმის, რას ვერ ხვდებით, — მაინც თქვენობით განაგრძო მეგიმ, — ან სულიკო ჟვანია რამ გაგახსენათ?

— მე — არაფერმა, თვითონ გავახსენდი და კიდეც მინახულა.

— მორჩით, რა!.. — გაღიზიანდა მეგი. — სულიკო ჟვანია საავადმყოფოში წევს.

— ე-ეჰ, ჩემო გოგონი... — მოწყალედ გაეღიმა ანდროს. — შენ თუ ჩემს საქმესაც ასეთი ოპერატიულობით უძღვები, მართლა ცუდად მქონია საქმე!.. შენგან განსხვავებით, სულიკო ჟვანია გუშინვე გაჩნდა აქ და მორიგი „ჩისტკაც“ ჩამიტარა...

— მართლა?!. — ბავშვივით დასწყდა გული მეგის.

— მართლა, მართლა!.. სხვათა შორის, შემპირდა, რომ დღესაც მინახულებდა, მაგრამ რაღაც არ ჩანს. ეტყობა, ექიმთან გამოიარა — გუშინ ისე გამოვიყვანე წონასწორობიდან, რომ სულს ძლივს ითქვამდა... ერთხელაც იქნება, ჩემი დაკითხვისას სულსაც გააფრთხობს და ამასაც მე დამაბრალებენ!..

— ბატონო ანდრო!.. — გააწყვეტინა მეგიმ. — მე აქ ჟვანიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გასარკვევად ნამდვილად არ მოვსულვარ. ასე რომ, დამდეთ პატივი და მის გამოჩენამდე მაღირსეთ პასუხი: ვინ დაგჭრათ და რატომ? და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: რატომ დამიმალეთ, რომ კახეთში, თქვენს კუთვნილ მიწის ნაკვეთში ნავთობია აღმოჩენილი?

— რა თქვი?!. — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ანდროს. — რა ნავთობი? ეს სისულელე საიდანღა მოიტანე?!.

— სისულელე, ხომ?.. — თვალები ბრაზიანად დააკვესა მეგიმ. — ხვალ-ზეგ რომ თქვენი კონკურენტები იქ ჭაბურღილებს დადგამენ, ზოგი მაშინაც იძახეთ, სისულელეაო!..

— მომისმინე, გოგონი... — კვლავ ხელის აწევით სცადა მეგის შეჩერება ანდრომ, მაგრამ სწორედ იმწუთას კარი უსიამო ჭრიალით გაიღო და ქშენა-ქშენით, საგრძნობლად გამხდარი და ფერმიხდილი სულიკო ჟვანია შემოვიდა პალატაში:

— გამარჯობათ, ძვირფასებო! — კარშივე აქაქანდა იგი. — ძალიან ხომ არ დამაგვიანდა? მგონი, უჩემოდ დაიწყეთ ჭუკჭუკი, ხომ?

— გამარჯობათ, ბატონო სულიკო! — ფეხზე წამოდგა და გამომძიებელს ხელი ცივად გაუწოდა მეგიმ. — გამოჯანმრთელებას გილოცავთ და ისიც მინდა შეგახსენოთ, რომ მე აქ კი არ ვჭუკჭუკებ, არამედ ჩემს კლიენტს საქმეზე ველაპარაკები!

— რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, რა თქმა უნდა! — შორიახლოს მდგარ მეორე სკამს მთელი ძალით დაასკდა სულიკო და მაშინვე საქაღალდე გაშალა. — არც მე ვარ მთლად უსაქმოდ მოსული. მაშ ასე, ბატონო ანდრო... — ცხვირის წვერზე ჩამოცოცებული სათვალის ზემოდან გადმოხედა მან ანდროს. — გამახსენეთ ერთი, გუშინ

სად გავჩერდით.

— გამოდის, რომ საოპერაციოდან გამოყვანილი ჩემი კლიენტი პირდაპირ თქვენ ჩაგვარდნიათ ხელში?.. — საუბრისთვის ცოტა სხვა მიმართულების მიცემა სცადა მეგიმ.

— რა თქმა უნდა, ჩემო მეგი!.. — ცბიერი ღიმილით დაუდასტურა გამომძიებელმა. — ყველაფერი ხომ ცხელ კვალზე იყო გასარკვევი?! თუმცა, ბატონი ანდრო ძველებურად პირში წყალს იგუბებს... და ეს იმის ნაცვლად, რომ ახლა მაინც ითანამშრომლოს გამოძიებასთან და გვითხრას, სინამდვილეში რა მოხდა და ვინ და რატომ დაჭრა. ხომ გესმის, რომ ეს...

— ერთი წუთით, ბატონო გამომძიებელო! — გააწყვეტინა უცბად ანდრომ. — იცით, რომ გუშინდელს აქეთ ბევრი რამ შეიცვალა?..

— კერძოდ? — უნდოდ იკითხა სულიკომ.

— კერძოდ ის, რომ დუმილის დარღვევა გადავწყვიტე! — ლამის საზეიმოდ გამოუცხადა ანდრომ და თან, შეთქმულივით გადახედა მეგის.

— მართლა?.. — ცხვირის წვერზე ჩამოცოცებული სათვალე სასწრაფოდ მაღლა ასწია ჟვანიამ.

— აბა, რა! — დაუდასტურა ანდრომ.

— მაშინ გისმენთ, გვითხარით, რაშია საქმე?

— საქმე ისაა, რომ მე საერთოდ არავის არ დავუჭრივარ... — მშვიდად უპასუხა ანდრომ.

— როგორ თუ არ დაუჭრიხართ?.. — დაიბნა სულიკო. — აბა, ის... აბა, თქვენ... — ენაც დაება მას.

— დიახ, დიახ!.. სწორედ მე ვაპირებდი ერთ-ერთი პატიმრის დაჭრას, მაგრამ დანით რომ გავექანე, მოულოდნელად ფეხი დამიცდა და საკუთარ დანაზე თვითონ წამოვეგე.

— რ-რ-ა-ა-?.. — გაცოფებისგან ენა საბოლოოდ დაება სულიკოს.

— ანდრო!.. — გაოგნდა მეგიც. — გესმით, რას ამბობთ?!.

— რას ამბობს და მგონი, დამცინის ეს... ეს... — ამჯერად სათქმელი შეგნებულად აღარ დაასრულა სულიკომ.

— სულ ტყუილად ბრაზობთ, ბატონო გამომძიებელო! — საწოლზე არხეინად გადაწვა ანდრო. — თქვენი დაცინვა გულშიც კი არ გამივლია.

— აბა, შენს ნათქვამს სხვა რა უნდა დავარქვათ?! — ხმას აუწია სულიკომ. — იმ დანაზე, რომლითაც შენ თურმე, სხვების დაჭრას აპირებდი... — ნერვიულობისგან შენობით ლაპარაკზე გადავიდა ის შემდეგ. — შენ გარდა ხომ, ლამის ყველა პატიმრის თითების ანაბეჭდებია!..

— მერე რა პრობლემაა, ბატონო სულიკო?.. — წარბიც არ შეუხრია ანდროს. — თქვენი არ მიკვირს?.. მიცვალებულის სხეულიდან ამოღებული ტყვიის შეცვლა მოახერხეთ და დანაზე ერთი-ორი, თქვენთვის სასურველი თითის ანაბეჭდის გაჩალიჩებას რაღა უნდა?!.

— მართლა დამცინის ეს... ეს შ-შობელ...

— რაო, რა თქვი?!. — კბილები გაახრჭიალა ანდრომ და საწოლზე წამოვდა.

— არც არაფერი!.. — ინსტინქტურად უკან გადაქანდა დამფრთხალი გამომძიებელი.

— ბატონო სულიკო! — სიტუაციის სასწრაფოდ განმუხტვა სცადა მეგიმ. — ძალიან გთხოვთ, ჩემს კლიენტთან ცოტა ხნით მარტო დამტოვეთ.

— კი, გენაცვალე! — ფეხზე ისე სწრაფად წამოხტა სულიკო, რომ გაშლილი საქაღალდიდან სუფთა ფურცლების ნაწილი იატაკზე გადმოუცვივდა.

მეგი მაშინვე მათ ასაღებად დაიხარა, მაგრამ სულიკომ არ დაანება, ფურცლები ქშენა-ქშენით წამოკრიფა, შემდეგ რამდენიმე, სკამზე დადო და ანდროს ქვეშ-ქვეშ გახედა:

— აი, სუფთა ფურცლები. იმედია, იმას, რაც წელან „ნა ხადუ“ შეთხზე, წერილობითაც დამიდასტურებ!..

— არის, ბატონო გამომძიებელო! — „ჩესტი“ აუღო ანდრომ. — იმედი ხომ სულ ბოლოს კვდება!..

— სულ მთლად გაგიჟდით?.. — როგორც კი გამომძიებელმა პალატის კარი გაიხურა, მაშინვე ეცა ანდროს, მეგი. — გესმით, რას აკეთებთ?!.

— მესმის!.. — ხმას აუწია ანდრომაც. — და ისიც კარგად ვიცი, ამ ახვარს რა უნდა: საკმარისია ვუთხრა, სინამდვილეში რაც მოხდა, რომ მაშინვე მთელ ციხეს მოსდებს — სვანიძემ ქურდები „ჩაუშვაო“. მერე ისევ „კამერაში“ დამაბრუნებს და მეორე დილით, მართლა მუცელგამოფატრულს მნახავენ!.. შენ კი ისე მელაპარაკები, თითქოს არ იცი, ციხეში რა ხდება!.. ან იქნებ, მართლა არაფერი იცი... შე „ბელარუჩკა“ ადვოკატო?!. — გესლიანად დაუმატა მან ბოლოს.

— „ბელარუჩკები“ და ბედის ნებიერები თქვენკენ მოიკითხეთ! — გაცოფდა მეგი. — ციხეში რაც ხდება, ზეპირად ვიცი!.. ისიც მესმის, რომ ჟვანიას, სიმართლეს ვერ ეტყოდით. მაგრამ იქით ვაპირებდი ვიღაცის დაჭრასო, — ეს რაღა ეშმაკად დაიბრალეთ?!. ამას ვჯობდა, გეთქვათ, რომ მართლა შემთხვევით დაეცით ან რაღაც ამის მსგავსი სისულელე მოგეგონებინათ!.. ახლა ხომ, ჟვანიას სულ თავისუფლად შეუძლია, მეორე დანაშაულიც აგკიდოთ!.. თანაც, ისევ განზრახ მკვლელობის მუხლით!..

— რა თქმა უნდა, შეუძლია!.. — მეგის გაცოფება არად ჩააგდო ანდრომ. — მაგრამ ამის გაკეთება ამჯერად მის გეგმებში არ შედის. ჰოდა, მეც ავდექი და ბოლომდე გავაგიჟე!.. თანაც, ამის შემდეგ, ციხეში შედარებით მშვიდად დავბრუნდები და იქაურ ახვრებსაც იქით გავურჩევ საქმეს, თორემ უკვე...

— შემიძლია დაგამშვიდოთ, — გააწყვეტინა მეგიმ. — ქურდებთან საქმის გარჩევა აღარ დაგჭირდებათ.

— რატომ? შენ გაურჩიე?.. — ირონიულად ჰკითხა ანდრომ.

— არა, — არაფერი შეიმჩნია მეგიმ. — უბრალოდ, ამ დილით „აბშიაკში“ თქვენი წილი ფული უკვე შევიდოდა.

— რაო? — გაკვირვება ვერ დაფარა ანდრომ. — საინტერესოა, ჩემ მაგივრად ფული ვის უნდა შეეტანა?

— დალი ხაჩიძეს.

— კი, მაგრამ დალის ამდენი ფული ვინ მისცა?

— არ ვიცი. ეს თქვენ და დალიმ გაარკვიეთ...

შეფიქრიანებულ ანდროს კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ უცბად, ოთახის კარი სულიკო ჟვანიამ ისევ უცერემონიოდ შემოგლიჯა:

— რა ქენი? დაწერე? — მაშინვე ეცა ის ანდროს.

— არც მიფიქრია! — მშვიდად უპასუხა ანდრომ.

— რას ნიშნავს, არც გიფიქრია?! — თვალები ნერვიულად გადმოკარკლა სულიკომ, მაგრამ ანდროს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე განაგრძო:

— და საერთოდაც, ჩათვალეთ, რომ მე თქვენთვის არაფერი მითქვამს, ბატონო გამომძიებელო!.. ახლა კი, თუ შეიძლება, ორივემ დამტოვეთ, თორემ ვატყობ, გადავიღალე... თანაც, შეიძლება ჭრილობაც გამეხსნას და ექიმები ყველაფერს თქვენ დაგაბრალებენ... — კედლისკენ უცერემონიოდ შებრუნდა შემდეგ ივი...

ციხის საავადმყოფოდან გამოსული, ნირწამხდარი მეგი გაოცებულ ჟვანიას მალევე დაემშვიდობა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა.

— ქალბატონო მეგი! — მოულოდნელად დაადევნა მას სულიკომ. — ერთი წუთით, თუ შეიძლება!

— დიახ, რა თქმა უნდა, — გამომძიებელს უხალისოდ მიუბრუნდა მეგი. — კიდევ რაიმე ხომ არ მოხდა?

— ისეთი არაფერი... — მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა სულიკომ ქალს. — უბრალოდ, გამახსენდა, სვანიძის ცოლის დაკითხვას რომ ვაპირებ და ვიფიქრე, მეგისაც წინასწარ ჩავაყენებ-მეთქი საქმის კურსში, თორემ, სვანიძის ამბავი რომ ვიცი...

ამ ხმის გაგონებაზე, მეგიმ აშკარად იგრძნო, გული ყელში როგორ უცბად მიებჯინა და სუნთქვაც შეეკრა.

— ალო, გისმენთ!.. — კიდევ ერთხელ გაისმა ყურმილში ბავშვის ხმა და შემდეგ მას გაბმული „ტუ-ტუ“ მოჰყვა... დაზაფრულმა მეგიმ კი, გულზე ხელი იტაცა და რომ არ წაქცეულიყო, ტროტუარის პირას მდგარ ჭადრის ხეს ზურგით მიეყრდნო...

— ცუდად ხომ არ ხარ, შვილო? — მოესმა უცბად, თვალდახუჭულ მეგის ქალის სასიამოვნო ხმა. მან, უარის ნიშნად, ჯერ ხელი გააქნია, შემდეგ ტყვიასავით დამძიმებული ქუთუთოებიც ასწია და მის წინ მდგარი, კოპწიად გამოწყობილი ხანდაზმული ქალი რომ დაინახა, თავს ძალა დაატანა და ისე ამოთქვა:

— არა, ქალბატონო...

— რა ვიცი... ფერი კი აღარ გადევს და... — მაინც არ მოეშვა ქალი. — რას გეტყვი, იცი?.. — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დასძინა მან. — წამოდი ჩემთან, აქვე, ქუჩის კუთხეში ვცხოვრობ. ცოტას მოგასულიერებ და...

— დიდი მადლობა, ქალბატონო, — გააწყვეტინა მეგიმ, — მაგრამ ნამდვილად არ მცალია..

— მაშინ ვალიდოლს მაინც მოგცემ, — ძველებური ხელჩანთა სწრაფად გახსნა ქალმა, იქიდან ვალიდოლის შუშა ამოიღო და ერთი აბი ფრთხილად დაუდო მეგის ხელისგულზე: — ენის ქვეშ ამოიდე. შემთხვევით, ფეხმძიმედ ხომ არ ხარ? — დაინტერესდა ის შემდეგ.

— სამწუხაროდ, არა... — დანანებით ჩაილაპარაკა მეგიმ.

— მერე ამაზე ნერვიულობ?.. — თვალი პატარა გოგონასავით ეშმაკურად ჩაუკრა ქალმა. — დღეს ბავშვის გაჩენას რა უნდა?.. ძველი დრო ხომ აღარ არის!.. თუ შენც, ჩემი შვილიშვილივით, თეთრ ცხენზე ამხედრებულ რაინდს ელოდები?.. ეჰ, ჩემო კარგო, რაინდების დრო წავიდა! ახლა მთავარია, კაცი ლოთი და ნარკომანი არ იყოს და სხვას ვინღა ჩივის?! სხვა ყველაფერს, ასე თუ ისე, მოევლება...

— სულ-სულ ყველაფერს?.. — ფერმიხდილ სახეზე რაღაც ღიმილისმაგვარმა გადაურბინა მეგის.

— აბა, რა! — სწრაფად უპასუხა ქალმა, თუმცა მერე, მცირე ხნით დაფიქრდა და დაამატა: — მაგრამ რას გეტყვი, იცი?.. ერთადერთი, რის გარეშეც შვილის გაჩენასაც კი არ აქვს აზრი, სიყვარულია!..

— ვერ დაგეთანხმებით... — თავი უნდოდ გადააქნია მეგიმ. — განა, ერთ და ორ ქალს გაუჩენია შვილი უსიყვარულოდ, მაგრამ თან გადაჰგებია?!.

— კი... — გააწყვეტინა ქალმა, — სამწუხაროდ, ასეთი ქალი ერთი და ორი კი არა, ასი და ათასიც ყოფილა და კიდევ იქნება. მაგრამ დამიჯერე, სულ სხვაა, როცა ქალი ბავშვს სიყვარულით აჩენს!..

— ვიცი!.. — გააწყვეტინა მეგიმ. — მეც სიყვარულით გავაჩინე...

— აი, შე ეშმაკო, შენა! — თვალები თავადაც ეშმაკურად მოწკურა ქალმა. — აკი ბავშვი არ მყავსო?!.

— მე ეგ არ მითქვამს. მე გითხარით — ახლა არ ვარ ფეხმძიმედ-მეთქი, — ბავშვივით იმართლა თავი მეგიმ.

— მართალი ხარ!.. — სასწრაფოდ დაეთანხმა ქალი. — მაშინ, ახლა ისიც მითხარი, ბიჭი გყავს თუ გოგო?

— ბიჭი! — თვალი ამაყად გაუსწორა მას მეგიმ.

— რა ჰქვია?

— მიშიკო.

— მიშიკო... მიხეილი... — ჩაფიქრდა ქალი. — რამდენი წლისაა?

— ცხრის...

— ცხრის... — კვლავ ექოსავით გაიმეორა ქალმა მეგის ნათქვამი და უცბად, ჯიქურ ჰკითხა: — მამამისი ხომ გიყვარს?

— ახლა — აღარ...

— მაშინ თუ გიყვარდა?

— მაშინ — ძალიან...

— აბა, შენი ბიჭი ამ ქვეყანაზე აღარ დაიკარგება!..

— ღმერთმა გისმინოთ! — მადლიერი მზერა მიაპყრო მეგიმ ქალს.

— წეღანდელმა ელდამ თუ გაგიარა?

— კი, გამიარა, მაგრამ...

— ნუ გეშინია, შვილო... — მხარზე სიბერისაგან დამდნარი ხელი მზრუნველად მოუთათუნა ქალმა მეგის. — მალე ყველა შენი დარდი და ტკივილიც ასე გაივლის...

საიდანღაც დაბარებულივით გამოჩენილი ეს უცნაური ქალი მეგიმ ქუჩის კუთხემდე უკვე თავად მიაცილა და თავაზიანად დაემშვიდობა:

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო. თქვენ მე ძალიან დამეხმარეთ...

— კარგად იყავი, ჩემო მეგი... — გალეული ხელი კვლავ მზრუნველად გაუწოდა მას ქალმა. — აღარ ინერვიულო, შენს ბიჭს სულ მალე ჩაიკრავ გულში...

ამ სიტყვების შემდეგ, ქალი უმალ შებრუნდა და გზის პირას მდგარი სახლის პირველსავე სადარბაზოში, თავისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმკვირცხლით გაუჩინარდა.

მერე ამასაც კუდს გამოაბამს — ადვოკატის გარეშე ჩემი ცოლი სპეციალურად დაჰკითხაო...

— დიახ... ალბათ... — დაეთანხმა ოდნავ დაბნეული მეგი. — მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ უფრო ზუსტად მცოდნოდა, ლანა სვანიძის ნახვას როდის აპირებთ.

— ახლავე, ჩემო კარგო! — ძველმოდურ ბუდეში საგანგებოდ შენახული სათვალე სასწრაფოდ ისევ ცხვირზე დაიკოსა სულიკომ და საქაღალდე გაშალა: — მაშ ასე, ქალბატონი ლანა ამირეჯიბისვანიძისა ხვალ, 4 საათზე მყავს დაბარებული განყოფილებაში...

— კი, ბატონო!.. ხვალ, 4 საათზე, მეც განყოფილებაში გესტუმრებით... — გამომძიებელს თავი დაუკრა მეგიმ. — ახლა კი, ნახვამდის...

— ჰო, მართლა!.. კვლავ შეაჩერა მეგი სულიკომ. — სულ დამავიწყდა, რომ მანქანით ვარ და თუ გინდათ...

— არა, გმადლობ... — თავი შორს დაიჭირა მეგიმ. — ფეხით გავლა მირჩევნია. ცოტა აზრი უნდა მოვიკრიბო...

— თქვენც გაგანერვიულათ, ხომ, იმ შობელ...

— ბატონო სულიკო! — კბილებში გამოცრა გაღიზიანებულმა მეგიმ. — თქვენს ჭაღარას მაინც ეცით პატივი და წამდაუწუმ ნუ იგინებით.

— კარგი, კარგი. ბოდიშს გიხდით, — ახლა კი, მართლა დაიმორცხვა სულიკომ. — ამ საქმემ აღარც ნერვები შემარჩინა და აღარც ზრდილობა...

როგორც კი სულიკო ჟვანიას უცხოური მანქანა თვალს მიეფარა, მეგიმ მაშინვე მობილური ტელეფონი ამოიღო და ლანა სვანიძის ბინის ნომერი აკრიბა. ყურმილი კარგა ხანს არავინ აიღო და ის იყო, მეგის აპარატი უნდა გაეთიშა, რომ აქოშინებული პატარა ბიჭის ხმა გაისმა:

— გისმენთ!..

იაკობ ტრიპოლსკი თურმე მართლაც, კინაღამ შეეწირა ვიღაც არაკაცის ვერაგობას, რომელსაც მსახიობის სასცენო პარტნიორისთვის სერგო ზაქარიაძისთვის, ბუტაფორიულის ნაცვლად, ნამდვილი თოფი დაუდვია... ალბათ, ამასაც კურიოზი შეიძლება ვუწოდოთ, თუმცა, ეს სიტყვა მხიარულ ამბავთან უფრო ასოცირდება, რაც ასევე უხვად ყოფილა იაკობ ტრიპოლსკის მდიდარ შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ზოგიერთ მათგანს, მსახიობის ცხოვრების საინტერესო მომენტებთან ერთად, მისი ვაჟი — რეჟისორი ირაკლი ტრიპოლსკი იხსენებს.

კადრი ფილმიდან „მანანა“

პოლონელი დიდგვაროვნისა და განკულაკებული გლეხის შთამომავალი მსახიობი სცენაზე კინაღამ ნამდვილ ტყვიას შეეწირა...

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო ირაკლი, როგორია თქვენი გვარის წარმოშობა?

— მამაჩემის პაპის მამა, გზის ინჟინერი, საქართველოში პოლონეთიდან გადმოასახლეს. 1830 წელს პოლონეთში აჯანყება მოხდა. ამ აჯანყების დროს პოლონელი თავადების დასახმარებლად 50-52 ქართველი თავადიც წავიდა. ამბოხებულები დამარცხდნენ. მოთავეები მეფემ სიკვდილით დასაჯა, დანარჩენები კი, ქართველებთან ერთად, საქართველოში გადმოასახლეს. იმ, პირველი ტრიპოლსკის ცოლი არ ვიცით ვინ იყო, დანარჩენ ტრიპოლსკებს ცოლებად ქართველები ჰყავდათ... 1968 წელს ჩვენი ოპერის თეატრი პოლონეთში გასტროლებზე იმყოფებოდა. დასის წევრებს მუსიკის მოყვარული პოლონელი ქალბატონი დაუმეგობრდა. საუბრისას შეიტყო, რომ საქართველოში ცხოვრობდა მსახიობი ტრიპოლსკი და მამაჩემს წერილი გამოუგზავნა: „თქვენ ამტკიცებთ, რომ გვარად ტრიპოლსკი ხართ. თუ ეს ასეა, თქვენ ცნობილი, უძველესი გვარის შთამომავალი ხართ“, — აუწყებდა იგი. მეორე წერილით მამას პოლონეთში ეპატიჟებოდა და აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ის და მისი ხანდაზმული და დარჩნენ ამ გვარის წარმომადგენლები, თანაც ორივე მათგანი ქმრების გვარს ატარებდა. ჩამოდით და თქვენი საგვარეულო ნივთები, მათ შორის — ფერწერული ტილოები ჩაიბარეთო, — წერდა მამას ქალბატონი. კომუნისტური მმართველობის ხანა იყო და მამამ წასვლისგან თავი შეიკავა. წერილი მისწერა, სადაც დელიკატურად მადლობას უხდიდა, თან აღნიშნავდა: „სახარებაში“ წერია — ადამიანი ორი ბატონის მსახური ვერ გახდებაო... მამაჩემის მამა ფასანაურში საკმაოდ შეძლებული კაცი იყო. ჩვენი სახლის მშენებლობა ფასანაურში 1900 წელს დასრულდა.

ირაკლი ტრიპოლსკი (მარჯვნივ) მეგობართან, გია მაჩაბელთან ერთად

— იმ დროს შეძლებულ გლეხებს განაკულაკებდნენ და თქვენს ოჯახსაც ხომ არ შეხებია რეპრესიული მანქანა?

— მამაჩემის მამის ოჯახი 30-იან წლებში განაკულაკეს. ფასანაურის პირველი სკოლა ჩვენი სახლის პირველ სართულზე იყო განთავსებული. მეორე სართულზე განკულაკებული ბაბუაჩემი თავის შვილებთან — იაშასა და ოლიკოსთან (ტრიპოლსკი-ახმეტელი) ცხოვრობდა. ბაბუა სისტემას წინააღმდეგობას უწევდა და ებრძოდა, ამიტომ თავიდან მოიშორეს, მოკლეს. ვიღაც ყაჩაღი იყო ტყეში გასული, მთავრობასთან შერიგება უნდოდა და ბაბუაჩემის მოკვლა დაავალეს. რაოდენ ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს, იმ დროს არაგვის ხეობაში ბაბუას ველოსიპედი ჰყავდა. სწორედ ველოსიპედით რომ ბრუნდებოდა შინ, ჩასაფრებულმა ყაჩაღმა ესროლა, ღვიძლის არეში დაჭრა და ბაბუა ორ კვირაში გარდაიცვალა. მკვლელის გვარს განზრახ არ ვასახელებ: წლების შემდეგ ამ კაცის შვილიშვილი ჩვენს ოჯახში იზრდებოდა, რომელმაც ამ ამბის შესახებ არაფერი იცოდა.

— პატარა დაობლებულა ბატონი იაშა და ალბათ მძიმე ბავშვობა ჰქონდა...

— ეს ამბავი რომ მოხდა, მამა 3 წლის იყო, მამიდაჩემი კი — ერთის. ბებია, გვარად წიკლაური გახლდათ.

ნაზიკო, სოსო და იაკობ ტრიპოლსკები

გოდერძი ჩოხელი მამიდაშვილად მეკუთვნის. ბებიას არაფერი გააჩნდა, მამის ბიძა ვიტა იუნკერი იყო, აჯანყების დროს კოჯორში დაიჭრა, 49 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და ჩვენმა ფასანაურელმა მეზობელმა შერგილაშვილმა ზურგით კოჯრიდან „არამიანცის“ საავადმყოფომდე ჩამოიყვანა... მამაჩემი ფასანაურში სწავლობდა, სულ ხუთებზე; მაშინ მედალი არ იყო და წარჩინებულის ატესტატი აიღო. ოჯახს იმდენად უჭირდა, რომ უღარიბეს ბავშვთა სიაში შეიყვანეს. ერთხელ, სკოლაში რაღაც კომისია ჩასულა. მამაჩემისთვის უკითხავთ – როგორ ცხოვრობო? მამას თავისი ცხოვრების მოყოლა დაუწყია და როცა დაუმთავრებია, თურმე კომისიის ყველა წევრი ტიროდა.

— მისი პროფესიული არჩევანი რამ განაპირობა?

– მთელი ცხოვრება ცირკი უყვარდა. პირველად თბილისში პაპა იაგორმა ურმით ჩამოიყვანა. 3 დღე და ღამე მოდიოდნენ. თბილისში მამა ცირკთან ჩამოუსვამს, უთქვამს – აქ დამელოდეო, – და თავის საქმეებზე წასულა. ცირკის სალაროსთან რიგი იდგა, სადაც მანეთიან და სამმანეთიან ბილეთებს ყიდდნენ. მამას 1 მანეთი ჰქონდა. რიგმა რომ მოუწია, მანეთიანი ბილეთები გათავდა. რომ გაჩერდა რიგი, უკნიდან ვიღაც კაცს უკითხავს – რატომ არ ყიდულობო? – ფული არა მაქვსო, – უპასუხია. იმ კაცს უყიდია ბილეთი. წლების მერე, ცნობილი რომ გახდა, მამას ტელევიზიით რამდენჯერმე გაუხსენებია ეს ფაქტი და უთქვამს – თუ ეს კაცი მისმენს, გამომეხმაუროსო. არავინ გამოჩენილა... მაშინ ცირკმა მამაზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტზე უგამოცდოდ ჩაირიცხა. ბევრი თარგმანი ჰქონდა, მათ შორის – ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“. მისი სტუდენტობის დროს უნივერსიტეტში მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა ინგლისურ ენაზე სპექტაკლი დადგა, სადაც მამა თამაშობდა. ისე მოეწონათ მისი თამაში, რომ მარჯანიშვილის თეატრში მიიწვიეს. ომში არ მიუღია მონაწილეობა, რადგან სტალინის ბრძანებით, 1943 წლამდე, უცხოური წარმოშობის ადამიანები ომში არ მიჰყავდათ. როცა ეს ბრძანება მოიხსნა, მერე მარჯანიშვილის თეატრის ჯავშანმა დაიცვა.

— რომელმა სპექტაკლმა მოუტანა პირველი წარმატება?

– მამას საოცარი მეხსიერება ჰქონდა. ფსიქოლოგებმა ერთხელ ექსპერიმენტიც ჩაუტარეს: აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ერთი კარი წაუკითხეს, რომელიც სიტყვასიტყვით გაიმეორა. მარჯანიშვილის თეატრის მთელი სპექტაკლები ზეპირად იცოდა. ერთხელ მთავარი როლის შემსრულებელი ავად გახდა; იცოდნენ, რომ მამამ სხვისი როლებიც იცოდა, მის მაგივრად ათამაშეს. ასე დაიწყო მისი მსახიობობა. ყველაზე დიდი წარმატება კი, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილმა“ მოუტანა.

— ბატონ იაშას მარჯანიშვილის თეატრის დიდ კორიფეებთან ერთად მოუწია მოღვაწეობამ. ვისთან მეგობრობდა?

– ძალიან ახლოს იყო ვასო გოძიაშვილთან, რეზო თაბუკაშვილთან, გოგი გელოვანთან და ბევრ სხვასთან, მაგრამ ბავშვობიდან მახსოვს, სერგო ზაქარიაძესთან მისი განსაკუთრებული მეგობრობა. ბატონი სერგო ჩემი ძმის, სოსოს ნათლიაც იყო. იმ პერიოდში როდესაც სერგოს თეატრში პრობლემები ჰქონდა, იაშას გარდა, მასთან არავინ დადიოდა. ერიდებოდნენ – 1937 წლის ამბები იყო... თან, იმ პერიოდში საოცარი რამ მოხდა. ერთ-ერთ სპექტაკლში სერგო და მამა თამაშობდნენ სცენას, სადაც სერგო თოფით კლავდა იაშას. თოფი, რასაკვირველია, ბუტაფორია იყო. ერთ სპექტაკლზე, სერგომ თოფი მოიმარჯვა, გავარდა ტყვია, მაგრამ ნამდვილი აღმოჩნდა ტყვიაც და თოფიც. მოხვდა პროჟექტორს, ჩამოაგდო და ყველა მიხვდა, რაც მოხდა. მამა გადარჩა. სერგო ზაქარიაძე ამ ამბავს რომ იხსენებდა, სულ ამბობდა: იმ კაცის ფეხები და ფეხსაცმელი მახსოვს, ვინც ნამდვილი თოფი დამიდოო. სერგოს მოშორების მიზნით გააკეთეს ეს. ვინ დადო თოფი, ვერ გაიგეს.

— ბატონი იაშასა და მისი მეგობრების ცხოვრებიდან კიდევ ხომ არ გაიხსენებთ საინტერესო ამბავს?

– მარჯანიშვილის თეატრი იტალიაში კომუნისტების გაზეთმა „უნიტამ“ მიიწვია. „ჯიბეგაფხეკილი“ გაზეთი იყო – ჩაიყვანა თეატრი და ვერც ფული მისცა და ვერც ნორმალურ სასტუმროში დააბინავა. რომთან ახლოს სოფლის სასტუმროებში 4-4 მსახიობი გაანაწილეს, სადაც უფასოდ აჭმევდნენ და აძინებდნენ. რომში სპექტაკლებზე ავტობუსებით ჩაჰყავდათ. დასთან ერთად მედეა ჯაფარიძეც იყო. რეზო თაბუკაშვილისთვის იტალია მეორე სამშობლოდ ითვლებოდა... ერთ სასტუმროში მოხვდნენ გოგი გელოვანი, კუკური (ზურაბ) ლაფერაძე, ვახტანგ ნინუა და მამა. საღამოა, სუფრას უსხედან და სვამენ. ამ დროს სასტუმროს პატრონი იძახის – სინიორ ტრიპოლსკი, ტელეფონზე გთხოვენო. წარმოიდგინეთ იტალიაში, სადღაც სოფელში მამასთვის ვის უნდა დაერეკა?.. ყურმილიდან „დამტვრეული“ ქართულით ვიღაც ეუბნება: ბატონი იაშა ბრძანდებით?.. მე ერთი ქართველი ემიგრანტი ვარ, გაჭირვებულ დღეში ჩავარდნილი, ვიცი, რომ საქართველოში ცნობილი მსახიობი ხართ, დიდ პატივს გცემენ და უყვარხართ, შიმშილით ვკვდები და იქნებ, ცოტა ფულით დამეხმაროთო... მამა გაჩუმდა, ხანგრძლივი პაუზაა, თან ფიქრობს: მთელი თეატრია ჩამოსული, არავისთვის დაურეკავს; რადგან მე მომმართა, ე.ი. ჩემი იმედი აქვს... არადა, არ უნდა, უთხრას, რომ ფული არა აქვს... და უცებ, ესმის – რა შეგეშინდა, ბიჭო? რეზო ვარ თაბუკაშვილი, იმდენი ფული გიშოვეთ, თქვენ კი არა, მთელ ქართველ

ფასანაური, იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებითი საღამო (1979 წ. 22 მაისი)

ემიგრანტებს ეყოფათო. მართლა უშოვია ფული და ყველას დაურიგა.

— ქეიფის მოყვარული თუ იყო ბატონი იაშა?

— ქეიფი უყვარდა, მაგრამ ბევრს ვერ სვამდა, გარკვეული ხნის შემდეგ, სუფრა ბეზრდებოდა და იპარებოდა. საინტერესო ისაა, რომ ჩვენს ოჯახში რომ ქეიფობდნენ, ჩვენგანაც იპარებოდა და მამიდაჩემთან ოლიკოსთან მიდიოდა. მეგობრებს უყვარდათ მასთან ქეიფი, რას არ უკეთებდნენ, რომ არ წასულიყო — ფეხსაცმელს ხდიდნენ, პალტოს უმალავდნენ, უთვალთვალებდნენ, მაგრამ რაღაც მანქანებით მაინც ახერხებდა გაპარვას. ძალიან ახლოს იყო ჟორა შავგულიძესთან და სინანულით აღნიშნავდა, მე რომ ეს გაპარვა არ მცოდნოდა, შეიძლება, ჟორა ცოცხალი ყოფილიყოო: იმ საღამოს, როცა შავგულიძე ტროლეიბუსმა გაიტანა, მამა ჟორას წაუყვანია საქეიფოდ და იმ დღესაც ადრე წამოსულა სუფრიდან...

— როგორი მამა იყო ბატონი იაშა? მკაცრად გზრდიდათ?

— ძალიან მშვიდი იყო. ჩვენს ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია. გადაგებული იყო ოჯახზე. ყველაფერი მის კისერზე იყო. შვილიშვილებს თავს ევლებოდა. ჩემი აზრით, თუ პროფესიულ საქმიანობას რაიმე დააკლო, ამაში ოჯახისთვის თავდადებამ შეუშალა ხელი. შვილებს კი, ცხოვრებაში მწვანე გზა გაგვიხსნა: იმდენად პოპულარული იყო და ისე უყვარდა ხალხს, ერთად რომ მოვდიოდით, მრცხვენოდა ხოლმე...

— თავისი პროფესიის გარდა, რით იყო გატაცებული?

— თევზაობა უყვარდა ძალიან. რეზო თაბუკაშვილი, რეზო ლაღიძე და მამა მეგობრობდნენ, სამივე მეთევზე იყო. ერთხელ რეზო ლაღიძის „მოსკვიჩით" სათევზაოდ წავიდნენ. მახსოვს, რომ დააგვიანეს, დედა, აივანზე გადამდგარი, ნერვიულობდა. ღამის 3 საათზე მოვიდნენ და მამამ დაიძახა: ნაზიკო, ტაშტი ჩამოიტანე თევზისთვისო. ჩავიდა დედა, გააღეს საბარგული, თევზის გასანაწილებლად და სადაა თევზი?.. თურმე, სადაც ითევზავეს, ტალახში ჩავარდნილან; მანქანის ამოყვანისას საბარგული გაუთავისუფლებიათ და უამრავი თევზი იქ დარჩენიათ... მამას ანკესით უყვარდა თევზაობა, მაგრამ თევზს არ ჭამდა.

კადრი ფილმიდან „მიზნის არჩევა"

— საერთოდ მსახიობები მხიარული ხალხია და უყვართ ერთმანეთისთვის ოინების მოწყობა. თავისი მეგობრებიდან ყველაზე მეტად ვისთან იყო შეხუმრებული?

— არის ასეთი პიროვნება — ნესტორ ჭილაძე. მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრების დირექტორი იყო. ძალიან ხუმარა კაცია. კომუნისტების დროს, მოგეხსენებათ, არც ტანსაცმელი იშოვებოდა და არც ფეხსაცმელი. ერთხელ მამას ეუბნება: წამოდი ბაზაში, ფეხსაცმელი მიულიათ, შენ ყველა გიცნობს და მოგვცემენო... იყიდეს ერთნაირი ფეხსაცმელი. მამას 44 ზომა ჰქონდა, ნესტორს — 41. ერთ მშვენიერ დღეს, დაბრუნდა მამა შინ და ვხედავ — ცუდადაა, ძლივს დადის. ეტყობა, გული მაქვს ცუდად, ფეხები დამისივდაო, — თქვა. ატყდა ერთი ამბავი, დავახვიეთ ექიმები, გასინჯეს, ყველაფერი ნორმაში აქვს. თურმე, სცენაზე რომ გასულა, ნესტორს შეუცვლია ფეხსაცმელი და თავისი 41 ზომა დაუდვია. რაკი ყველამ იცოდა მისი ოინების ამბები, რომ არ მიხვედრილიყო, ფეხსაცმელში ბამბა ჩატენა. იაშამ ფეხი რომ ვერ ჩადგა, იფიქრა — ნესტორის ხუმრობააო, შეყო ხელი და ბამბა გამოიღო. ეჭვი ბამბამ გააქარწყლა და რომ აღარ ჩაეტია ფეხი, იფიქრა, ავად ვარო...

— თაყვანისმცემლებისგან თუ იყო განებივრებული?

— დედაჩემი ეჭვიანი ქალი არ არის. მშვიდი და წყნარია. მის ადგილზე სხვა ნამდვილად იეჭვიანებდა. მოსდიოდა წერილები, ნახატები, ნაქარგები, ისარგაყრილი გულები და ასეთი რაღაცები...

— მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— საოცარი ავადმყოფობა შეეყარა: დღეში 2-3 წუთით კარგავდა მეხსიერებას. ამას საშინლად განიცდიდა... თემურ ბაბლუანს თავის ფილმში მთავარ როლზე ჰყავდა მიწვეული. ერთხელ წაიყვანეს, მეორედ. მესამედ, როცა დაბრუნდა, მეუბნება: თემური ხომ შენი მეგობარია; უთხარი, რომ ვწვალობ და მასაც ვაწვალებ, თვითონ არაფერს მეუბნება. ვეღარ ვიმახსოვრებ ტექსტს და ვერ შევძლებო... არც ისე ხანდაზმული გარდაიცვალა — 68 წლის იყო (2004 წლის 31 დეკემბერს მას 85 წელი შეუსრულდებოდა). თუ არ ჩავთვლით ბავშვობის დროინდელ გაჭირვებასა და უბედურებას, ბედნიერი წავიდა. კიდევ კარგი, არ მოესწრო შვილიშვილის — ირაკლი ტრიპოლსკის ტრაგიკულ სიკვდილს, რასაც მართლა ვერ გადაიტანდა. ირაკლი პირველი შვილიშვილი იყო, საოცრად ჰგავდა მას და თითქმის მამაჩემის გაზრდილი იყო. ის, რაც მოხდა, ჩვენი ოჯახის უბედურებასთან ერთად, ქვეყნის მაშინდელი უბედურებაც იყო. სამწუხაროდ, მაშინდელ განუკითხაობას ბევრი კარგი ახალგაზრდა შეეწირა.

— დაბოლოს, ბატონო ირაკლი, არ შემიძლია, არ გკითხოთ „მე-9 არხზე" — თქვენ ხომ მისი გენერალური დირექტორი იყავით. ახლა სად მოღვაწეობთ?

— რა გითხრათ „მე-9 არხზე"?.. პირველი აგურიდან დაწყებული, ბოლო აგურამდე, ჩვენი აშენებულია. სინანულით შემიძლია აღვნიშნო, რომ საკმაოდ მზარდი ტელეკომპანია იყო და ყველაზე ეროვნული. შემეცნებით-განმანათლებელი პროგრამის „ნიშა" ჰქონდა დაკავებული. მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ განათლებისკენ რაღაც ნაბიჯებს დგამდა. პოლიტიზებასა და კომერციული ინტერესების გატარებაზე უარი გვქონდა ნათქვამი. ბევრი ტელევიზია ვერ აძლევს საკუთარ თავს იმის ფუფუნების უფლებას, რომ პოლიტიკა და კომერცია აიცილოს თავიდან. „მე-9 არხი" ამას წარმატებით ახერხებდა და თუ ვინმემ ეს ვერ გაიგო და ვერ დაინახა, მისი პრობლემაა. წმინდა წერილში ნათქვამია: არა არს რა დაფარული, ყველაფერი გამჟღავნდების. რაც შეეხება იმას, თუ ახლა რას ვსაქმიანობ — ტელეკომპანია „ზზეში" ვმუშაობ. ■

იაკობ ტრიპოლსკი და გიორგი შავგულიძე

მეიონსმა მემის სახელი უკვდავყო

პოპულარულმა მომღერალმა ბეიონს ნოულზმა და მისმა სტილისტმა დედიკომ, ტინა ნოულზმა ტანსაცმლის ახალი კოლექცია გამოუშვეს, რომელიც The House of Dereon-ის მარკით გაიყიდება. Dereon-ი ტინა ნოულზის დედის (შესაბამისად, ბეიონსის ბებიის) სახელია, რომელიც ახალგაზრდობაში მკერავად მუშაობდა. სწორედ მან ასწავლა თავის ქალიშვილს კერვის ანა-ბანა. როგორც ამჟამად ტინა აცხადებს, მისი ტანსაცმლის ახალი კოლექცია იმ სამი თაობის ქალების შრომის შედეგია, რომლებიც საქმეს მუდამ სიყვარულით აკეთებდნენ. კოლექცია გაყიდვაში 2005 წლის შემოდგომაზე გამოჩნდება. „ბებიის სახელობის ტანსაცმლის კოლექციის გამოშვება დიდი ხანია მსურდა, როგორც იქნა ახდა ის, რაზეც ჩვენს ოჯახში 10 წელია ოცნებობენ“. ■

რისი ეშინია დევიდ დუხოვნის ცოლს

ამერიკელი მსახიობის, დევიდ დუხოვნის ცოლმა, ასევე მსახიობმა თეა ლეონიმ, ცოტა ხნის წინ, ქმართან ერთად ითამაშა ფილმში „სახლი დ.“ გადაღებების შემდეგ, ქალი გამოტყდა: „ჩემს ქმართან მუშაობის პროცესში ცხოვრებაში ყველაზე მძიმე მომენტების გადატანა მომიხდა. გამუდმებით ერთსა და იმავეზე ვფიქრობდი, ვაითუ, ჩემზე დაკისრებულ ამოცანას თავი ვერ გავართვა, დევიდი გავანაწყენო და მან ჩემთან სარეცლის გაყოფა ალარ მოისურვოს-მეთქი. საბედნიეროდ, ამგვარი აზრები მხოლოდ მე მაწუხებდა, დევიდი კი, ძველებურად მექცეოდა და ისეთივე ალერსიანი იყო, როგორიც ყოველთვის. ჟურნალისტების შეკითხვაზე ფილმის სათაური „სახლი დ.“ ხომ არ ნიშნავს „დუხოვნის სახლს“, ლეონიმ მხოლოდ გაიცინა და თქვა, „რატომაც არა, შეიძლება, ასეც იყოს!“ როგორც ჟურნალისტებმა მოგვიანებით აღნიშნეს, დევიდის მეუღლეს მისთვის ჭარბად დამახასიათებელი იუმორის გრძნობა სულ მალე შეიძლება გამოადგეს კომედიის „დიკისა და ჯეინის თავგადასავლების“ რიმეიკის გადაღებისას, სადაც მან ჯიმ კერისთან ერთად უნდა ითამაშოს. წყვილს საკმაოდ რთული დავალება დაეკისრება. მათ 1977 წელს გადაღებულ „დიკისა და ჯეინის თავგადასავალში“ მონაწილე ცნობილი წყვილი – ჯეინ ფონდა და ჯორჯ სიგალი უნდა დაჩრდილონ. ■

ჯად ლოუ ყოფილ ცოლთან მეგობრობს

ბრიტანელმა მსახიობმა ჯად ლოუმ, როგორც იქნა, დაარღვია „სიჩუმის აღთქმა“ და ცოლთან, მსახიობ სედი ფროსტთან განშორებაზე ალაპარაკდა. მსახიობმა აღიარა, რომ ძალიან რთული წელიწადი ჰქონდა, მას მართლა შეუყვარდა ახალგაზრდა მსახიობი სეინა მილერი, როცა მასთან ერთად საკმაოდ გულახდილ სცენებში მონაწილეობდა ფილმ „ელფის“ რიმეიკის გადაღებებში. ლოუმ ისიც აღიარა, რომ თავიდან ძალიან გაუჭირდა ახალი რომანის გაბმა, რადგან ახალი გატაცების გამო, სამი შვილის მიტოვება მისთვის ძალზე ძნელი გახლდათ. „შვილებისთვის გულის ტკენა არ მინდოდა, მაგრამ ისინი პატარები არიან და ვერ გაიგებენ, ამ ნაბიჯის გადადგმისას, რა სულიერი ტკივილის დაძლევა მომიხდა. რაც მთავარია, მათ ის გავაგებინე, რომ ჩემთვის უსაყვარლესი არსებები არიან და მათთან ძველებურად ბევრ დროს გავატარებ“.

ჯად ლოუმ ისიც დაადასტურა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ყოფილ ცოლთან მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს და სედი ფროსტი მისი ფილმის – „ზეციური კაპიტანი და მომავალი სამყარო“ – პროდიუსერიცაა. „ჩვენ ხომ სამი შვილი გვყავს, და საერთო ბიზნესიც გვაკავშირებს, ასე რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მეგობრებად ვრჩებით! – აღნიშნა მსახიობმა. ■

სარა-ჯესიკა პარკერი ჯონ კერის უჭერს მხარს

ფილმის „სექსი დიდ ქალაქში“ ვარსკვლავი სარა-ჯესიკა პარკერი ამერიკის დემოკრატიული პარტიის მოდური სახე გახდა და ამით რესპუბლიკელთა მომხრე მსახიობ-მომღერლები გადაიმტერა. არავინ იცის, რატომ მოუნდა მსახიობს თავისი პოლიტიკური მისწრაფებების დაფიქსირება, რადგან ყველასათვის მოულოდნელად, მსახიობი ჯონ კერის საარჩევნო კამპანიის ცენტრში აღმოჩნდა. დემოკრატები ამას კარგად გათვლილ წინასაარჩევნო ნაბიჯად თვლიან და ვარაუდობენ, რომ ამერიკელი ქალებისთვის „სამაგალითო“ სარა-ჯესიკა პარკერის მხარდაჭერა, ჯონ კერის სუსტი სქესის წარმომადგნლების ურიცხ ხმას შემატებს. ■

კირსტენ დანსტს საკუთარი თავი ეზიზღება

ახალგაზრდა ამერიკელმა მსახიობმა კირსტენ დანსტმა ამას წინათ განაცხადა, რომ საკუთარი თავი ისე ეზიზღება, სარკეში ჩახედვაც არ უნდა, თუმცა ამაზე არ დარდობს. კირსტენი დანანებით აღნიშნავს, რომ ჰოლივუდელთა ახალგაზრდა თაობის სხვა წარმომადგენლები მასთან შედარებით შესანიშნავად გამოიყურებიან. „მართალია, ჯერ კიდევ ვერ მოვიშორე ეს საშინელი ნაკეცები ღაბაზე, მაგრამ ეს არ მაღელვებს. მთავარი ისაა, რომ სიმსუქნის პრობლემა დავძლიე, რადგან ბავშვობაში საკმაოდ პუტკუნა ვიყავი, იმედი მაქვს, სიმაღლეშიც მოვიმატებ ცოტას“.

გარეგნობაზე მეტად, ახალგაზრდა მსახიობს მისი და ვჯეკ გილეჰალის დაშორების შესახებ პრესაში ატეხილი სკანდალი აღელვებს. „ვცდილობ, პირი დავმუწო და ბევრი არ ვილაპარაკო, როცა საუბარი პირად ცხოვრებას ეხება, ადამიანები საოცრად ცნობისმოყვარენი ხდებიან, სხვისი ცხოვრებ-

ბის შესახებ უფრო და უფრო მეტის ცოდნა სურთ. საყვარელ ადამიანთან განშორების მიზეზის ახსნა კი ძალიან ძნელია. მე ჯერ ახალგაზრდა ვარ და შეცდომების დაშვების უფლებაც მაქვს. საუბედუროდ, ყველაფერ ამას, გამადიდებელი შუშის მეშვეობით აკვირდებიან და იმას არ ითვალისწინებენ, რომ ჯერ ცხოვრებისეული გამოცდილება საერთოდ არ გამაჩნია“. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“, №36

გზა ვაშინგტონიდან მაიამი-ბიჩამდე მოხუცი პოუერების თანხლებით

გურიაში სტუმრობაო...

აკაკი გეგენავა

ამ დღეებში, გურიაში ვიყავი სტუმრად. ჩემი ჩოხატაურელი მასპინძლები ჩვეული სტუმართმოყვარეობითა და გურული იუმორით მანებივრებდნენ. თუმცა, მალე მივხვდი, რომ მთლად ისე ვერ იყო საქმე, როგორც თავიდან მეგონა. ოჯახის უფროსი, ჭაღარათმიანი მოხუცი თითქმის არ ლაპარაკობდა, მაგრამ დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ რაღაც ჰქონდა სათქმელი და თანაც, მხოლოდ ჩემთვის.

ბოლოს, როცა საგანგებოდ უცხო სტუმრისთვის გადანახულმა ადესამ თავისი ქნა, მოხუცმა ვეღარ მოითმინა, გაგულისებულმა გამომხედა და პირდაპირ მომახალა:

— კი, მარა რას გადამირიე აი ბაღნები?! აკაკი, ბიძია!..

ჩემი სახელი რომ არ ეხსენებინა, ვიფიქრებდი, სხვას ეუბნება საყვედურსმეთქი, მაგრამ ახლა სხვა გზა არ მქონდა, „დამნაშავე“ მე გამოვდიოდი და უნდა გამერკვია, რა ხდებოდა...

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ, მიხაკო ბიძია!.. — გაუბედავად შევკადრე.

— რა ვერ გაიგე? რაც შენ იმ ჟურნალში ბეჭუტურობ, კაია ამერიკაში ცხოვრებაო, თლათ გადამერივნენ ბაღნები. დღეი ერთია და ცხრაჯერ ამბობენ, ამერიკაში გვინდაო. რაფერ უნდა გოუშვა იმ სიშორეზე?!

— კარგი ახლა, ბაბუა, რა დროს ეგაა?!. — ლაპარაკში ჩაერთო ოციოდე წლის ბიჭი, მამუკა, ბიძია მიხაკოს უმცროსი შვილიშვილი.

— შენ გაჩეი მაგერ, მე ამ კაცს მინდა ვკითხო, რაი ვქნათ ახლა ჩვენ, რაფერ გავაჩეროთ სამზღვარგარეთ გასაქცევათ გამზადებული ბაღნები სახში?..

— მიხაკო ბიძია, თუ თქვენ ჩემს „მოგზაურის დღიურებს“ მართლა კითხულობთ, ალბათ იმასაც მიაქცევდით ყურადღებას, რომ ყოველთვის სამშობლოში, ჩემიანებთან, ახლობლებთან დაბრუნებაზე ვოცნებობდი... — ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ თავის მართლება მომიწევდა მოხუცი მასპინძლის წინაშე...

— ე, ბიძია, მე კი ვხვდები მაგას, მარა, აგი „ასადუღებლად“ გამზადებული ბიჭები დაიჯერებენ?

— დაიჯერებენ, როგორ არ დაიჯერებენ. თანაც, ახლა იმდენ სამუშაო ადგილს გვპირდებიან, მგონი, საკუთარი მუშახელი აღარ გვეყოს და აქეთ, ჩვენთან ჩამოსვლაზე იოცნებონ უცხოელმა ახალგაზრდებმა... — დავამშვიდე აღელვებული მოხუცი...

დილით კი, გამომშვიდობებისას, გურულმა მოხუცმა ასე დამმოძღვრა:

— არ გეწყინოს, ბიძია, მეც ქე ვიჯექი „ბარანკაზე“, მთელი რუსეთი მევიარე, მარა, ამდენი კი არ მილაპარაკია. ამ კაძახებს რომ იქოური ქალების ამბავი მოვუყვე, არც ერთი არ დარჩება აქანე, მთელი სოფელი დეიცლება... დეიღუპება ქვეყანა!.. აი, ეს მადარდებს, თორემ, წერე, რამდენიც გინდა, ვინ გიშლის?.. მარა ეს იცოდე შენ — საქართველოს ფასი არაფერია! აქიდან კი არ უნდა მივდიოდეთ, პირიქით — ისინი უნდა ჩამოვიყვანოთ აქით, ვინც უკეთმართმა დრომ და უმუშევრობამ გააქცია!.. აწი მაინც მივხედოთ ამ ჩვენს ქვეყანას!..

არ შეიძლებოდა, აღელვებულ მოხუცს არ დავთანხმებოდი, მით უმეტეს, რომ მეც იმასვე ვფიქრობდი.

აქვე მინდა ის სიტყვებიც დავუმატო, რომლებიც მაშინ ჩემს გურულ მასპინძელს ვუთხარი, რომ ჩემი რეპორტაჟები უცხოეთიდან, რომელიმე ქვეყნის სადიდებლად კი არ იწერება, არამედ მკითხველს მინდა, მოგზაურის თვალით დავანახვო ის, რაც საზღვარგარეთ ყოფნისას ვნახე და განვიცადე...

ვაშინგტონელი ბოუერები საქართველოს იცნობენ...

ვაშინგტონში გატარებული მშვენიერი დღის შემდეგ, დასვენება გადავწყვიტე. ვაპირებდი, იმ დღეს სასტუმროდან გვიან გამოვსულიყავი და მერე ფეხით შემომევლო ახლომდებარე ადგილები, მაგრამ ვინ დაგაცადა?.. ბოსმა ზუსტად მაშინ დარეკა, როცა სასტუმროს ვესტიბიულში ვიყავი.

— აკაკი, ვფიქრობ, უკვე კარგად მოასწარი დასვენება, დროა, საქმეს მიხედო!.. — არც მომსალმებია კომპანიის მფლობელი, პირდაპირ მორიგ შეკვეთაზე დაიწყო ლაპარაკი.

რას ვიზამდი?.. ხმის ამოუღებლად ვიწერდი შემკვეთის მისამართს, საიდანაც ავეჯი უნდა წამომეღო. კლიენტი სახელმწიფო მოხელე აღმოჩნდა, რომელიც ვაშინგტონიდან ფლორიდაში უნდა „გადამებარგებინა". სახელმწიფო მოხელის ხსენება მაინცდამაინც რომ არ მესიამოვნა, ედმონდი მიხვდა და დამაიმედა: ნუ გეშინია, მისი დაცვის ბიჭები თავს არ შეგაწყენენ — ჩინოვნიკი პენსიაზე გადის და აღარავინ იცავსო...

დილით ისევ იმ ადგილს მივადექი, სადაც ორი დღის წინ სენატორი გადმოსახლდა. გამშვებ საგუშაგო პუნქტთან ჩვეულებრივად შემამოწმეს, მაგრამ შემკვეთის სახლამდე არავინ გამომყოლია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შემეძლო, მანქანის კაბინიდან გადმოვსულიყავი და ეზოშიც გამესეირნა (რაც სენატორის ავეჯის გადმოზიდვისას სასტიკად ამიკრძალეს).

კიბესთან სანდომიანი გარეგნობის მოხუცი მამაკაცი დამხვდა. ხელი ჩამომართვა და შინ შემიპატიჟა. დევიდ ბოუერი სასიამოვნო მოსაუბრეც აღმოჩნდა. ოთახებში ავეჯი შეფუთული იყო, მტვირთავები კი არსად ჩანდნენ.

— ასეა, რადგან პენსიაზე გავედი, მუშები ძველებურად აღარ იწუხებენ თავს ჩემთვის... — აბუზღუნდა მოხუცი.

— ნუ დაიწყე ისევ შენებურად!.. მოვლენ, აბა, რას იზამენ?.. — ეს დევიდის მეუღლე იყო, ელეგანტური, ხანში შესული ქალბატონი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ძველი სილამაზე.

— ნეტავი შენ, დოროთი, ყველაფერს რომ იოლად უყურებ! — ადგილს ვეღარ პოულობდა დევიდ ბოუერი.

— საიდან ხარ, შვილო? — მკითხა ქალბატონმა დოროთიმ.

— ჯორჯიიდან, — ვუპასუხე.

— კარგია, მეზობლები ვყოფილვართ, ჩვენც ფლორიდაში ვსახლდებით...

— მე ოკეანის გაღმა ჯორჯიიდან ვარ! — უფრო უხერხულობის გასაფანტად ჩავილაპარაკე.

დოროთი ერთბაშად გამოცოცხლდა და აღფრთოვანებით წამოიძახა:

— მთლად უკეთესი. მე ვიცი თქვენი ქვეყანა, საქართველო. მართალია, იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ნელიმ უკვე შეგვაყვარა!..

— ?!

— დევიდ, — აღარ ჩერდებოდა ქალბატონი დოროთი, — ეს ბიჭი ჩვენი ნელის თანამემამულე ყოფილა... ყავა უკვე მზად არის, შოკოლადი გამოიყოლე სამზარეულოდან, — მეუღლეს გასძახა და მანიშნა, ნახევრად შეფუთულ დივანზე დავმჯდარიყავი.

როგორც შემდგომ შევიტყვე, ბოუერების ოჯახს მეგობარი ჰყოლია, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში, მოსკოვში მუშაობდა. იგი თბილისშიც რამდენჯერმე ჩასულა, სადაც გაუცნია ქართველი თარჯიმანი ნელი ფიფია. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეჰყვარებიათ და დაქორწინებაც განუზრახავთ... საბჭოთა მთავრობის დიდი წინააღმდეგობისა და უამრავი ბარიერის მიუხედავად, სიყვარულს გაუმარჯვია და ახლა ნელი ამერიკელების საყვარელი რძალი ყოფილა.

ქალბატონმა დოროთიმ ფოტოებიც მაჩვენა, რომელზეც ნელი ფიფია იყო გამოსახული. რომ იტყვიან, მხრებში გავიმართე, გულწრფელად გამიხარდა, რომ ასეთი მშვენიერი თანამემამულე ვიპოვე ამერიკაში. სამწუხაროდ, ქალბატონი ნელი ტენესის შტატში ცხოვრობდა და მასთან შეხვედრას ვერ მოვახერეხდი, თუმცა ბოუერებმა მისი ტელეფონის ნომერი ჩამაწერინეს...

ამასობაში მტვირთავებიც მოსულიყვნენ და ფრთხილად გაჰქონდათ ავეჯი ბოუერების სახლიდან. ისინი მაიამი-ბიჩში აპირებდნენ დასახლებას. დევიდმა გამგზავრების წინ მთხოვა, გზად ჯექსონვილში შევჩერებულიყავი, სადაც მოხუცები ვაჟიშვილის სახლში დამხვდებოდნენ და მერე ერთად წავიდოდით მაიამიში...

ჩემი უზარმაზარი ტრაილერი ფლორიდის მიმართულებით დაიძრა.

ფლორიდაში

ფლორიდა ესპანურად „ფერების მიწას" ნიშნავს და ნახევარკუნძული ამ სახელით ესპანელ მოგზაურს ხუან პენსე დე ლეონს მოუნათლავს. ხუან პენსე აქ 1513 წელს გამოჩენილა და ისე აღფრთოვანებულა, რომ წასვლაზე აღარც უფიქრია...

1845 წელს, ფლორიდა ამერიკის შეერთებული შტატების 27-ე შტატად გამოცხადდა. მგონი, ამერიკის არც ერთ შტატს არ ჰქვია იმდენი სახელი, რამდენიც ფლორიდას. მას ზოგი მზიან შტატს ეძახის, ზოგი ფორთოხლის შტატს, ზოგიც კიდევ ევერგლეიდის შტატს. ევერგლეიდი ჭაობს ნიშნავს — ოკეშობის ტბას თითქმის მთელი სამხრეთი ნახევარკუნძული დაუტბორავს და ეს მეტსახელიც აქედან მოდის.

ფლორიდა ძალზე მდიდარია ტბებით (აქ ათასამდე დიდი და პატარა ტბა მდებარეობს). მილიონობით ტურისტს იზიდავს ფლორიდის სუბტროპიკული კლიმატი. ასევე იმ ადამიანებსაც, რომლებსაც სიცივე არ უყვართ. ფლორიდაში ზამთარი არავის უნახავს — ყველაზე დაბალი ტემპერატურა აქ პლუს 21 გრადუსია...

ფლორიდაში უამრავი ციტრუსოვანი კულტურა მოჰყავთ. ზოგჯერ იმდენად დიდი მოსავალი მოდის, რომ ფორთოხლის ფასი კატასტროფულად ეცემა. ფერმერები ზოგჯერ მოსავალსაც კი წვავდნენ თურმე, ბაზარზე ფასის შესანარჩუნებლად (დამეთანხმებით, არცთუ ისე სასიამოვნო წარმოსადგენია, თუ როგორ იწვის რომელიმე ტბის სიახლოვეს ოქროსფერი ფორთოხლის ზვინი)...

ფლორიდაში თამბაქოც ბლომად მოჰყავთ. ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ „ფილიპ მორისის" თამბაქოს გადამამუშავებელი ქარხანა და როგორც მწეველები ამბობენ, ჰაერშიც თამბაქოს სასიამოვნო სურნელი ტრიალებს! შაქრის ლერწმის წარმოებაც წამყვან დარგად ითვლება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კუბამ შტატებს ამ პროდუქტის ექსპორტი შეუმცირა.

შტატისთვის ყველაზე მეტი შემოსავალი მაინც ტურიზმს მოაქვს. ტურისტებს გამორჩეულად იზიდავთ მაიამი, მაიამი-ბიჩი, სენტ-პეტერბურგი... ეს უკანასკნელი სალვადორ დალის სახლ-მუზეუმითაა ღირსშესანიშნავი, სადაც გენიალური მხატვრის ბევრი შედევრია გამოფენილი...

ფლორიდაში არაერთი ქალაქია გამორჩეული. თუნდაც ჰაინსვილი, რომელშიც ინდიელთა ეთნოგრაფიული

მუზეუმი იზიდავს „პირველ ამერიკელთა“ ყოფითა და კულტურით დაინტერესებულთ.

თითქმის ყველა დიდ ქალაქში კი, ოკეანეარიუმია გახსნილი. რას არ შეხვდებით აქ? თითქმის ყველა სახეობის თევზს, რაც კი დედამიწის ზურგზე ბინადრობს. ფლორიდელები განსაკუთრებით აქაური ალიგატორებით ამაყობენ. ამბობენ, ჩვენი ალიგატორები აფრიკულ ნიანგებზე ღონივრები და აგრესიულები არიანო... ისე, ჩემთვის ორივე ერთია – აფრიკული ნიანგიც საფრთხობელა მგონია და ფლორიდული ალიგატორიც.

ყველაზე პოპულარული ადგილი კი, ტურისტებისთვის მგონი, ქალაქი ორლანდოა. განსაკუთრებული ადგილია პატარა მოგზაურთათვის, სადაც მათთვის 1971 წელს ააშენეს უზარმაზარი ბავშვთა ქალაქი – დისნეილენდი...

მაიამი კი, გარდა იმისა, რომ ტურისტული ცენტრია, ბოლო დროს, ინდუსტრიული ქალაქიც გახდა. ამიტომ იგი განსაკუთრებით, ემიგრანტებს იზიდავს, სადაც მათთვის უამრავი სამუშაო ვაკანსია შეიძლება გამოინახოს...

მაიამი-ბიჩი – ამერიკელთა ოცნების ქალაქი

მაიამი-ბიჩი კი მართლაც, ოცნების ქალაქია და მხოლოდ უცხოელებისთვის კი არა, ამერიკელთათვისაც. ქალაქი გრძელ, ვიწრო, მაგრამ უმშვენიერეს ნახევარკუნძულზე მდებარეობს, უამრავი ფეშენებელური და ზღაპრულად ლამაზი სასტუმროთი...

ქალაქი 1971 წელს დაუარსებიათ მდიდარ ამერიკელებს. ცათამბჯენების გვერდით, საოცარი სკვერები და ბაღებია... გასართობიც ათასგვარია – კაზინოები, ღამის კლუბები, ატრაქციონები, საკონცერტო დარბაზები... თუმცა, ცეკვა და გართობა ქვიშიან სანაპიროზე უყვართ გამორჩეულად... მიუხედავად იმისა, რომ მაიამი-ბიჩში ფასები ყველგან ძალზე მაღალია, აქ ყოველთვის დამსვენებელთა სიმრავლეა. მოკლედ, ამ ქალაქში უამრავი ფული ტრიალებს...

აი, ასეთ საოცნებო ადგილას აპირებდნენ „გადასახლებას“ ჩემი ვაშინგტონელი კლიენტები, რომელთა ავეჯიც ახლა მაიამი-ბიჩში მიმქონდა ჩემი ტრაილერით. ერთი სული მქონდა, საკუთარი თვალით მენახა ამერიკელთა „სამოთხე“... ერთ დღეში გადავკვეთე ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინა, ჯორჯიის შტატი. მოსაღამოვდა და ფლორიდის საზღვარსაც მივადექი. ქალაქი ჯექსონვილიც გამოჩნდა. აქ მელოდებოდნენ ვაჟიშვილის სახლში ბოუერები. რატომღაც ვფიქრობდი, რომ ახლობელ ადამიანებთან მივდიოდი სტუმრად და მხიარული განწყობით დავრეკე ზარი, საკმაოდ მოზრდილი ვილის სადარბაზოს კარზე... მაგრამ მოლოდინი გამიცრუვდა...

ქალბატონი დოროთი ნაძალადევი ღიმილით გამომეგება. თვალებზე ეტყობოდა, ნამტირალევი იყო. იმდენად უმწეოდ გამოიყურებოდა და თანაც თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარაო, რომ ვერაფერი ვკითხე. აშკარა იყო, ბოუერების შთამომავლის სახლში რაღაც უსიამოვნება მოხდა!..

– აკაკი, ასე ადრე არც გელოდით. შემოდი, მოისვენე, ამაღამ აქ დავრჩეთ და გზა ხვალ გავაგრძელოთ, – მითხრა დევიდმა და სახლში შემიძღვა. ჰოლში ახალგაზრდა მამაკაცი შემოგვეფეთა. ჩვენკენ არც გამოუხედავს. დევიდმა მანიშნა, ჩემი შვილიაო და საძინებელ ოთახში შემიძღვა. აქ მოისვენეო, – მითხრა, – ხოლო თუ რამე დაგჭირდეს, – ღილაკზე მანიშნა, – თითს დააჭერ და მოსამსახურე მოგაკითხავსო.

როცა მოხუცმა ღამე მშვიდობისა მისურვა და ოთახიდან გავიდა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ ბოუერების ოჯახში მართლაც ვერ იყო საქმე კარგად...

P.S. იმის შესახებ, თუ რა მოხდა ბოუერების ვაჟიშვილის სახლში მოხუცების იქ მისვლამდე, მომდევნო პუბლიკაციიდან შეიტყობთ... ■

კაცი, რომელმაც ფრინველების ენა ისწავლა

40 წელია, რაც სოხუმელი მალხაზ სიხარულიძე ფრინველების შეგროვებას მისდევს. მას ერთოთახიან ბინაში ორმოცამდე სახეობის ფრინველი ჰყავს და მათი მოვლა დიდ სიამოვნებას ანიჭებს. „ეს ჩემთვის წარმოუდგენელი ბედნიერებაა. დაბარებული მაქვს: როდესაც მოვკვდები, საფლავშიც ერთი ჩიტი ჩამატანეთ-მეთქი“, — ამბობს ბატონი მალხაზი — პროფესიით პედაგოგი, კაცი, რომელსაც ფრინველების ენაც შეუსწავლია და მათი მესაიდუმლეც გამხდარა.

ირინა უტარაშვილი

– სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სოხუმი მართლაც, მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქი იყო. ფრინველების კოლექციის შექმნაში საცხოვრებელი ადგილიც ძალზე მეხმარებოდა. მჭიდრო კავშირი მქონდა გემების კაპიტნებთან. ჯერ გავიგებდი ხოლმე, თუ რა მიმართულებით მიცურავდნენ, შემდეგ გადავშლიდი ალბომს და ვთხოვდი, რომ იმ მხარიდან ამა თუ იმ სახეობის ფრინველი ჩამოეყვანათ. მაშინ ეს სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენდა. მეც უპატივცემულოდ არ ვტოვებდი არავის – ხან ფულს ვუხდიდი, ხანაც წავიყვანდი შინ და ვაქეიფებდი. ჩემი კოლექციაც ასე ნელ-ნელა ივსებოდა.

— როდის მოჰკიდეთ ამ საქმეს ხელი?

– ბავშვობაში. 8 წლის ვიყავი, როდესაც ჩვენს ოჯახში ტრაგედია მოხდა: დედაჩემი სულ ახალგაზრდა დაიღუპა. სოხუმში მე-4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა. სკოლა მედალზე ჰქონდა დამთავრებული, ინსტიტუტი წითელ დიპლომზე და როგორც წარჩინებული სტუდენტი, მაშინვე სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნეს... ისიც ბუნებაზე შეყვარებული ადამიანი იყო. ალბათ, ეს სიყვარულიც გენეტიკურად გადმომეცა. ძალიან უყ-

ღღეში სამჯერ, გრამგრამობით ვაძლევ საკვებს. ...ყოველ ღამე ვდგები და ვუყურებ, როგორ არიან, როგორ სუნთქავენ, სძინავთ თუ არა

ვარდა ყვავილები და სახლში ათასნაირი ყვავილი გვქონდა. საიდან არ მოჰქონდა ხოლმე?!. ერთხელ დასასვენებლად იყო წასული და მაღლობზე ლამაზი ყვავილი დაუნახავს, მოსაწყვეტად ასულა, უცბად ფეხი დასცურებია და გადაჩეხილა... როდესაც დედა დაასაფლავეს, მეორე დღეს, დილით გამოვიღვიძე და ვხედავ – ბაბუაჩემს ჩემთვის 50 ჩიტი მოუყვანია: დედისერთა ბიჭი ძალიან ინერვიულებსო და გასამხიარულებლად ფრინველები მომიყვანა. ამით აღფრთოვანებული დავრჩი. მახსოვს, მაშინვე მივედი, წყალი დავალევინე, მზესუმზირა დავუყარე და მივეფერე... მას შემდეგ, მათ აღარავის ვაკარებდი. ეს უკვე ჰობი აღარ იყო – დიდ სიყვარულში გადაიზარდა და მათ გარეშე ცხოვრება ვეღარც წარმომიდგენია.

— ამჟამად რამდენი სახეობის ფრინველი გყავთ?

– ამჟამად ორმოცამდე სახეობის ფრინველი მყავს. მაგრამ ეს არაფერია, იმ ძველ კოლექციასთან შედარებით: სოხუმში 400-ზე მეტი ფრინველი მყავდა. იქ პირობებიც კარგი მქონდა და ვცხოვრობდი ლაღად, უზრუნველად. საიდან არ ჩამომყავდა ხოლმე ფრინველები?.. ერთხელ, ფარშავანგები გამომიგზავნეს, ალმა-ათის აეროპორტში უნდა დავხვედროდი. ვინც მომიყვანა, ის კაცი ნახევრად ტიბეტელი იყო და ნახევრად ინდოელი. ისეთი ფარშავანგი იყო, კუდს რომ გაშლიდა, უზარმაზარი და ულამაზესი სანახაობა გახლდათ, მართლაც, მას გულგრილად ვერ ჩაუვლიდი. ვდგავარ რიგში და უნდა ავიდე თვითმფრინავში. იმ რეისით შინ, სოხუმში ვბრუნდებოდი. ისეთი გახარებული ვიყავი, რომ აღარაფერი მახსოვდა. იქვე ქართველი ცოლ-ქმარი იყო და მესმის, ცოლმა ქმარს გადაულაპარაკა: შეხედე ერთი, ამ არანორმალურს – საიდან სად მოჰყავს ფრინველიო!.. გამეცინა. მიხვდნენ, რომ ქართველი ვიყავი და მათი საუბარი გავიგე... შემდეგ ავედი თვითმფრინავში. მფრინავი მოვიდა ჩემთან და მთხოვა: თუ ძმა ხარ, კუდიდან ერთი ბუმბული ამომაძრობინე, სამახსოვროდ შევინახავო. გადავრიე. ამხელა გზა გამოვიარე და მისთვის ვინმეს შევახებინებდი ხელს?!. ვუთხარი – ოღონდ, ამას ნუ შეეხები და თუ გინდა, თავზე თმა სულ დამაპუტე-მეთქი. ასე ცივი უარით გავისტუმრე... მინდა, ერთი კურიოზული ამბავიც მოგიყვეთ. უნივერსიტეტი დავამთავრე და მამაჩემმა ერთი კვირით მოსკოვში გამიშვა. მაშინ საბჭოთა კავშირში მოსკოვი პირველი ქალაქი იყო. 3.000 მანეთი მომცა და თან ამ ფულით დივანი და ორი სავარძელი უნდა წამომეღო. იმ დროს, 3.000 მანეთი საკმაოდ დიდი თანხა იყო. პარასკევი იყო, მოსკოვში რომ ჩავფრინდი და აეროპორტში დამხვდა მამაჩემის ნაცნობი, ვისთანაც ღამე უნდა გამეთია. შაბათობით იქ ფრინველების დიდი ბაზრობა იმართებოდა და იმას როგორ გავაცდენდი?.. მეორე დილითვე გავედი ბაზრობაზე, დავიწყე ფრინველების დათვალიერება და დავინახე დიდი, ერთმეტრიანი არარა (თუთიყუშის ჯიშია). გამყიდველმა 5.000 მანეთი, არადა, სულ 3.000 მქონდა და ცოტა კიდევ, ჯიბის ფული. გამყიდველი აქებდა – ლაპარაკობს, 40 სიტყვას სულ თავისუფლად ამბობს, ბრეჟნევს კი არ ჰგავს, ხმა რომ უვარდებაო!.. რის ვაი-ვაგლახით დავითანხმე – 3.000 მანეთად მომყიდა და ამის აღსანიშნავად წავიყვანე და ვაქეიფე. ისეთი გახარებული ვიყავი, აღარც გამხსენებია, რომ შემემოწმებინა, მართლა ლაპარაკობდა თუ არა. მეორე დღეს, შინ დაბრუნება გადავწყვიტე, ფულიც აღარ მქონდა და რაღა უნდა მეკეთებინა?.. შინ ხელცარიელი ჩავედი, ჩემებს გაუკვირდათ, ასე ადრე რომ დამინახეს. შევიყვანე არარა დიდი გალიით და მე მეორე სართულზე ავედი, თან გავაფრთხილე ჩემიანები – ეს ფრინველი ლაპარაკობს-მეთქი... დილის 6 საათია და ჩემს სახლში დიდი კივილ-წივილია ატეხილი. გამოვვარდი შეშინებული და თურმე, რა ხდება?.. ეს თუთიყუში ბოხი, ხრინწიანი ხმით ალაპარაკებულა, თანაც – ილანძღებოდა. ყველა შეშინებულა, ეგონათ, სახლში ვიღაც შემოიპარა და ატყდა მთელი განგაში... მამაჩემმა მაშინვე მკითხა – რა დაჯდა ეს ლაპარაკიო?.. მიხვდნენ, რომ მთელი თანხა ამ ფრინველში დავხარჯე... ყოველთვის ასე ვიყავი: თანხა თუ ჩამივარდებოდა ხელში, სულ ჩიტებში ვხარჯავდი და დღესაც ასე ვარ.

— თუ მოახერხეთ იმ დიდი კოლექციიდან რომელიმე ფრინველის წამოყვანა?

– როდესაც ეს უბედურება მოხდა და საცხოვრებელი ადგილი დაგვატოვებინეს, გამოსწრებაზე ვიყავით. წარმოიდგინეთ – მოდიხარ ფეხით, არა – წყალი, არა – საჭმელი; თითქმის უკვე განწირულები ვიყავით... მხოლოდ ოცამდე პატარა ჩიტის წამოყვანა მოვახერხე, 2 დღე ვატარე ზურგით დიდი გალია, მაგრამ მეტი ვეღარ შევძელი; გავუღე გალიის კარი და ვუთხარი – როგორც თქვენ ბრუნდებით ახლა სოხუმში, ნეტავ, ასე მეც დამაბრუნა-მეთქი!.. ასე ხელცარიელი ჩამოვედი თბილისში და პირველივე დღიდან, ყველაფერი თავიდან დავიწყე. ფრინველებს უზარმაზარი სტრესის მოხსნაც შეუძლიათ. როგორი დაღვრემილიც არ უნდა დაბრუნდე შინ, მათ გვერდით ყოფნის შედეგად აბსოლუტურად თავისუფლდები ყველა უარყოფითი ემოციისგან...

— ბატონო მალხაზ, განსაკუთრებულ მოვლას თუ საჭიროებენ ფრინველები?

– რა თქმა უნდა. ისინი პატარა ბავშვებივით საჭიროებენ მოვლას. შეიძლება ბევრი ადამიანი არ იღებდეს იმდენ კალორიას, რამდენსაც ისინი. დღეში სამჯერ, გრამგრამობით ვაძლევ საკვებს. თავიანთი საკვების გარდა, ვაჭმევ თაფლს, კვერცხს, ხაჭოს და ხორცს. ყოველ ღამე ვდგები და ვუყურებ, როგორ არიან, როგორ სუნთქავენ, სძინავთ თუ არა. ზოგჯერ წყვილები ერთმანეთს ვერ ეწყობიან და სულ ჩხუბობენ. მე მათი ენაც ვიცი. 2000-მდე სიგნალი ვიცი – როგორც მდედრის, ასევე მამრის. ჩვენ აბსოლუტურად შერწმული ვართ ერთმანეთთან, ერთი ორგანიზმი ვართ...

გიორგი ყიფშიძე თავს იღბლიან მსახიობად თვლის. მისი სურვილია, შემოქმედებით წინსვლას მიაღწიოს თავისი ნიჭის წყალობით და არა იმის გამო, რომ ის ელენე ყიფშიძის შვილიშვილი და ზურა ყიფშიძის შვილია... უყვარს მეგობრებთან ერთად ბარებში სიარული და მამის მსგავსად, მზე, ზღვა, სიყვარული და ფუფუნება...

ფეხშიშველა და ჭუჭყიანმა ჯგ — ჯ გიო ყიფშიძეს

კინალამ კუჭის წვენი ამოულო...

ეკა მინდაძე

— გიორგი, ამ ზაფხულს სად დაისვენე?

— წლეულს ვერ დავისვენე ისე, როგორც მინდოდა. ვაპირებდი ზღვაზე წასვლას, მაგრამ ვერ მოვახერხე. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ფინანსური პრობლემა იყო, რაც ჩვენს პროფესიას მუდამ თან ახლავს. ქალაქიდან გავედი მხოლოდ 3 კვირით. მეგობრებთან ერთად წავკისში ავედი, მაგრამ ამას დასვენებას არ ვეძახი, რადგანაც თითქმის ყოველდღე თბილისში ჩამოვდიოდი. სხვათა შორის, სექტემბრის ბოლოს, მაინც მომიწევს ზღვაზე — ბათუმში წასვლა: გრძელდება სერიალ „ცხელი ძაღლის“ გადაღება, ოღონდ ამჯერად ბათუმში, ხავერდოვან სეზონზე. რა თქმა უნდა, ვერც მაშინ დავისვენებ, მაგრამ მთავარია, ზღვაზე ვიქნები.

— ბავშვობაში სად ისვენებდი?

— ბავშვობაში თითქმის ყოველ ზაფხულს, 2 თვე რაჭაში, ჩემს ულამაზეს სოფელში სხვავაში ვისვენებდით. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ იქ აღარაფერი დაგვრჩა, რადგანაც იქაურობა მეწყერმა წაიღო... შემდეგ, 2 კვირით ზღვაზე მივდიოდით ხოლმე, ოღონდ, არა აჭარაში, არამედ ბიჭვინთაში, გაგრასა და სოხუმში.

— საკურორტო რომანი არ გქონია?

— კი, როგორ არა?! 14 წლის ასაკში, ლიკანში ყოფნისას შემიყვარდა ერთი გოგონა. ამას უფრო ბავშვურ გატაცებას დავარქმევ, ვიდრე სიყვარულს. მას შემდეგ, უფრო სერიოზული საკურორტო რომანი არ მქონია.

— რა უფრო მოგწონს — ზღვა თუ მთა?

— რა თქმა უნდა, ზღვა. ამიტომაც არასოდეს არ ვაგდებ სეზონს ისე, რომ ზღვაზე არ წავიდე. ბავშვობაში მითხრეს, ზღვა ძალიან სასარგებლოაო და მეც იმდენად ჩავიბეჭდე ეს თავში, რომ ვერ წარმომიდგენია ზაფხული ზღვის გარეშე. პირველი ოქტომბრიდან თეატრში სეზონი იხსნება. მე რომ ზღვაზე არ წავიდე ცოტა ხნით მაინც, არ ვიცი, რანაირად ვიმუშავებ მთელი წელი. კვირაში 4 დღე სპექტაკლში რომ ვითამაშო, ენერგია მჭირდება. ქალაქი ყოველდღიურად ამ ენერგიას მაცლის. ზღვა კი ერთადერთი ადგილია, სადაც ძალას ვიკრებ და ახალი ენერგიით ვივსები.

— ზღვაზე ყოფნისას რაიმე კურიოზი ხომ არ გადაგხდენია?

— მინდა გავიხსენო ის დღე, როცა მე და ჩემი მეგობრები ბათუმის ბულვარში, მაგიდასთან ვისხედით და ვბჭობდით იმაზე, თუ რა უნდა გვექნა — წამოვსულიყავით იმ საღამოს თბილისში თუ დავრჩენილიყავით. ამ დროს შემოვიდა ქალი, რომელიც თურმე ფსიქიკურად დაავადებულია და ამიტომაც, ვინც მას იცნობს, ყველა ერიდება. ტანად ძალიან დიდი და თან, ჭუჭყიანიც იყო. მოგვიახლოვდა თუ არა, თითი ჩემკენ გამოიშვირა და წამოიძახა: შენ ახლა, სანამ კუჭის წვენს არ ამოგიღებ, თავს არ დაგანებებო!.. ტუჩებში კოცნას გულისხმობდა. წარმოიდგინე, რა დღეში ჩავვარდებოდი!.. წამოვხტი და ვუთხარი: არ მომეკარო-მეთქი! მას ამისთვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევია, პირიქით — გახარებული გამოიქცა ჩემკენ, ფეხშიშველა და ჭუჭყიანი... რა უნდა მექნა?.. რომ არ დავეჭირე, ამხელა კაცი, მაგიდებშუა დავრბოდი, ის ქალი კი მომდევდა. მთელი ბულვარი იცინოდა, მაგრამ სხვა გზა ნამდვილად არ მქონდა — რომ გავჩერებულიყავი, დამიჭერდა და ნამდვილად ამომიღებდა კუჭის წვენს და მოვკვდებოდი. იმდენი ხანი ვირბინე, სანამ ის ქალი არ დაიღალა...

— სირბილი მაგარი გცოდნია... საინტერესოა, როგორი ცურვა იცი?

— კარგად ვცურავ. აბა, რა იქნება? — ათი წლიდან ცურვაზე დავდივარ.

— ლაშქრობაზე თუ ყოფილხარ?

— სამწუხაროდ, არასოდეს ვყოფილვარ. არადა, სულ მინდა, ჩემს მეობრებთან ერთად მთაში კარვებითა და ცხენებით წასვლა. ხშირად დაგვიგეგმავს მე და ჩემს ძმაკაცებს მომდევნო წელს ლაშქრობაზე წასვლა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოვახერხეთ. ვიმედოვნებ, მომავალში აუცილებლად წავალთ.

— ყველაზე მეტად, საქართველოს რომელი კუთხის ნახვა გაინტერესებს?

— ძალიან მაინტერესებს სვანეთის და ხევსურეთის ნახვა.

— სათევზაოდ თუ ყოფილხარ?

— ვყოფილვარ. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი აზერბაიჯანის საზღვართან წავედით სათევზაოდ და დავიწყეთ „დონკით“ თევზაობა. ცოტა ხანში შევამჩნიე, რომ თევზი წამოეგო „დონკს“. ხელი

ფრაზა გენიალური

ყველაზე დიდი დაბრკოლება იქ დაგხვდება ხოლმე, სადაც მას ყველაზე ნაკლებად ელოდები.

გოეთე

...იმიგომ, რომ პირადულზე საუბარი აღარ მინდა (ანი ჩიკვილაძესთან ერთად)

მივაშველე, თევზი ამიფართხალდა და ერთ-ერთ კაუჭს, მეც წამოვეგე თითით. აი, ასე, ანკესზე წამოგებულები ვიყავით კარგა ხანს მე და თევზი, სანამ კაუჭი არ მოჭრეს. ძალიან მტკივნეული იყო ხელიდან რკინის ამოცლაც – ფაქტობრივად, ოპერაცია ჩამიტარეს. ინფექცია რომ არ შემჭროდა და ტკივილი რომ გამეყუჩებინა, ორი ტონა ჭაჭა დავლიე და ხელზეც დავისხი.

— საზღვარგარეთ თუ დაგისვენია?

– კი, როგორ არა?! დამისვენია თურქეთში. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ტალინმა. მაშინ 11 წლის ასაკში, როგორც ბებიამ მითხრა, თურმე, იმდენად მომწონებია ტალინი, რომ განცვიფრებულს მიკითხავს: ბებო, ჩვენ ახლა „ფირმაში“ ვართ-მეთქი?

— რომელ ქვეყანაში ისურვებდი დასვენებას?

– მე არა მარტო დასვენება, არამედ ცხოვრება მინდა ესპანეთში. საერთოდ მომწონს ესპანელები, ისინი ხომ ჩვენ გვგვანან.

— პირველად მშობლებმა დასასვენებლად მარტო, რა ასაკში გაგიშვეს?

– მიუხედავად იმისა, რომ მარტო სახლიდან არასოდეს მიშვებდნენ, დასასვენებლად სულ ვიპარებოდი. როცა ჩემი მეზობელი ჩემოდნის დავარდნის ხმას გაიგონებდა, მაშინვე ხვდებოდა, რომ გავიპარე, იმიტომ, რომ წინასწარ, ფანჯრიდან ვაგდებდი ჩემოდანს... პირველად ქვიშხეთში გავიპარე. ჩემი ყველა მეგობარი გაუშვეს მშობლებმა, მე კი არაფრით არ მიშვებდნენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ რატომღაც არ მენდობოდნენ. ალბათ, პირველი შვილი რომ ვიყავი, უფრო მიფრთხილდებოდნენ. დედამაც იგივე მითხრა: მეც არსად არ მიშვებდნენ, ვინაიდან პირველი შვილი ვიყავი, დეიდაშენს კი, ყველგან უშვებდნენო. ასე იყო ჩვენს ოჯახშიც: მე არ მიშვებდნენ, ჩემს დას კი ყოველთვის ყველგან უშვებდნენ. ის ბევრად უფრო ადრე გაუშვეს მარტო, ვიდრე მე.

— თუ გეხერხება და გიყვარს სამზარეულოში საქმიანობა?

– ჩვენს ოჯახში ყველაზე „მოქმედი“ ოთახი სამზარეულოა – ყველანი თითქმის სულ იქ ვართ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ძალაუნებურად რაღაცის კეთება გიწევს, მეც მეტ-ნაკლებად კერძების მზადებაში წვლილი შემაქვს ხოლმე... ამას დედაჩემი რომ წაიკითხავს, ალბათ სიცილით მოკვდება და მეტყვის: შე უსინდისო, აბა, რას ამბობ?!. მაგრამ კერძების მომზადება მართლა ვიცი, ოღონდ – ძირითადად მაშინ, როცა მარტო ვარ. გემრიელი გამომდის ლობიო, ავჯაფსანდალი და ერბოკვერცხი.

— იმისათვის, რომ კარგად დაისვენო, რა გჭირდება?

– მამაჩემმა ფანტასტიკური რამ თქვა: მე მჭირდება ზღვა, მზე, სიყვარული და ფუფუნებაო. სავსებით ვეთანხმები: ზღვა, მზე, სიყვარული და ფუფუნება ჩემთვისაც ნამდვილად დასვენების იდეალური ვარიანტია.

— აზარტული თუ ხარ?

– ძალიან. ყველაფრის თამაში მიყვარს. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, კაზინოშიც ვიყავი, რა თქმა უნდა, ჩემი ფულით არა: სად მაქვს კაზინოში წასაგები ფული?.. კაზინოში მოსაგებად არ უნდა შეხვიდე, ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად ნერვებს დაიწყვეტ; მერე, მანქანას გაყიდი, სახლს ჩადებ, ცოლსაც „გააგირავებ“ და საერთოდ, დაიღუპები... იქ უნდა წახვიდე მხოლოდ გასართობად და უნდა იცოდე, რომ კაზინოში შეტანილი თანხა – ვთქვათ, 100 დოლარი – უნდა დატოვო. ამას წინასწარ უნდა შეეგუო.

— ბოლოს და ბოლოს, წააგე თუ მოიგე?

– სხვათა შორის, არც წავაგე და არც მოვიგე, იმავე თანხით გამოვედი.

— გიორგი, მარტო სცენაზე თამაშობ თუ ცხოვრებაშიც?

– რა თქმა უნდა, ცხოვრებაშიც ვთამაშობ. მე ამჟამადაც ვაკონტროლებ საკუთარ თავს. ამიტომ, აქ უკვე ისეთი არ ვარ, როგორიც სინამდვილეში ვარ. ყველა ადამიანთან სხვადასხვანაირად ვთამაშობ. იმას კი არ ვამბობ, რომ ინდივიდუალურობას ვკარგავ – უბრალოდ, სხვადასხვანაირი ვარ. ჩემი აზრით, 100%-დან 90%-ს ვთამაშობ...

— რაღა დარჩა?

– რაც დარჩა, საკმარისია იმისათვის, რომ ვთქვა – მთლიანად, 100%-ით არ ვთამაშობ-მეთქი.

— ამჟამად რას აკეთებ და რა სიახლეებია შენს შემოქმედებაში?

– კინომსახიობის თეატრში რეჟისორი გოგა მარგველაშვილი დგამს ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“. სექტემბრის ბოლოს, როგორც გითხარი, სერიალის გადაღებები დამეწყება.

— მსახიობობა ბავშვობიდან გინდოდა?

– არა, არც მიფიქრია. ეს რაღაცნაირად, თავისით მოხდა. სარეჟისოროზე ვსწავლობდი, როცა ჩემმა ჯგუფელმა გოგომ თავის საკურსო სპექტაკლში ეპიზოდური როლი შემომთავაზა. მეც დავთანხმდი. რეჟისორებმა, როცა ჩემი შემოქმედება ნახეს, მითხრეს: მსახიობობა არ გინდა? მოდი, მოსინჯეო. მეც მათი ნათქვამი ჭკუაში დამივდა და გადავწყვიტე, მსახიობი გავმხდარიყავი.

— გიორგი, მას შემდეგ, რაც შენ და კრისტი ერთად აღარ ცხოვრობთ, თუ დაგიპატიჟია შენს სპექტაკლზე?

– დამიპატიჟია და მოსულა. სხვას არაფერს გეტყვი – შანსი არაა. რაც არ უნდა მიუხვ-მოუხვიო, მაინც ვერაფერს მათქმევინებ, იმიტომ, რომ პირადულზე საუბარი აღარ მინდა.

— თვლი თუ არა თავს იღბლიან მსახიობად?

– იღბლიანი ვარ იმიტომ, რომ ვმუშაობ თეატრში და ამით პურსაც ვჭამ. მაგრამ მარტო ჭამა არ მაკმაყოფილებს – მინდა, კიდევ ჯინსიც ვიყიდო, მანქანაში ბენზინი ჩავასხა და საბურავიც გამოვცვალო, ხოლო ჩემს შვილს ძიძის ფული გადავუხადო...

— როგორ აფასებდა შენს შემოქმედებას ქალბატონი ლენა და როგორ აფასებს ბატონი ზურა?

– ლენას განსაკუთრებულად ვუყვარდი, ამიტომ ჩემი პატარა წარმატებაც ძალიან უხაროდა. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, შენიშვნებსაც მაძლევდა. ძირითადად კი, საერთო ჯამში, ჩემი შემოქმედებით კმაყოფილი იყო. რაც შეეხება მამას – მეუბნება: შენი, როგორც მსახიობის, არ მესირცხვილებაო – ესე იგი მოსწონს, როგორ ვმუშაობ. ■

სარეპეტიტორო სკოლა

ს ტ ს

მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი ტესტებისათვის

ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ ჩვევები.

ტელ: 22 69 15

www.sts.caucasus.net

ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს უამრავი ადამიანი ემადლიერება. იგი პოპულარული ქართველი მომღერლის გია ავაგუმაშვილის (ანსამბლი „ოთხი გია“) და გახლავთ. ქალბატონმა დალიმ, სუხიშვილების ყოფილმა მოცეკავემ, პროფესიით ექიმმა, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მიატოვა და ღვთის ნებით ხალხის სამსახურში ჩადგა. მის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგია, საიდან აღარ ჩამოდიან გაჭირვებულები დახმარების სათხოვნელად, ქალბატონი დალის შესახებ ყოფილი პაციენტები ლეგენდებს ჰყვებიან.

დალი ავაგუმაშვილი: ჯადო ავესტიურ დაავადებებს იწვევს

ნანა სისაური

— ამბობენ, რომ პოპულარულ ქართველ მომღერალ გია ავაგუმაშვილს თქვენ უწინასწარმეტყველეთ, ვინ იქნებოდა მისი მეუღლე, მართალია?

— მთლად ასე არ იყო... სანამ ჩემი ძმა თავის მომავალ მეუღლეს გაიცნობდა, პირველად მე ვნახე სარძლო. დედამისი ჩემი პაციენტი გახლდათ და ერთხელ თან ქალიშვილიც მოიყვანა. შევხედე თუ არა უცნობ გოგონას, მაშინვე ვუთხარი: თქვენ იქნებით ჩვენი რძალი-მეთქი და მართლაც, ასე მოხდა... უკეთესს გეტყვით, როცა გიას მეუღლე პირველად დაფეხმძიმდა, ორსულობის 4 თვის თავზე ჩემმა ძმამ მთხოვა, გვითხარი, გოგო გვეყოლება თუ ბიჭი. აურაში შევედი, მაგრამ ბავშვი ვერ დავინახე. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, გაოგნებული დავრჩი, მივუბრუნდი თეას და ვეუბნები, მუცელი ცარიელია, შიგ ბავშვი არა გყავს-მეთქი. ცოლქმარს სასაცილოდ არ ეყო ჩემი ნათქვამი. ისე გავღიზიანდი, სახეზე შავი ფერი დამედო, თვალები გამიფართოვდა და ორივეს პირში მივახალე, რაც დავინახე: 5 წელი შვილი არ მოგეცემათ, მერე 4 თუ არა, 3 მაინც გეყოლებათ-მეთქი.

— აუხდათ თქვენი ნათქვამი?

— მეორე დღესვე წავიდნენ ექიმთან. ექოსკოპიამ დაადასტურა, რომ მართალი ვიყავი, თეას ცრუორსულობა დაუდგინეს. 5 წლის განმავლობაში არ ჰყოლიათ შვილი. ჩემი რძალი ფეხმძიმდებოდა, მაგრამ ნაყოფს ვერ ინარჩუნებდა, თვითნებურად ეშლებოდა. ქორწინებიდან 5 წლის თავზე ნინო გაჩნდა, მერე ზურაბი და დეა, ასე რომ, შეუძლიათ მეოთხეც იყოლიონ, ხელს აღარაფერი უშლით!..

— ზოგიერთები თვლიან, რომ დათარსულები არიან, რის გამოც ყველა საქმეში ხელმოცარულები რჩებიან. თქვენ თუ შეგიძლიათ მათი შველა?

— არიან ადამიანები, რომლებსაც იმდენად სუსტი აურა აქვთ, რომ ადვილად იღებენ სხვებისგან თვალს, ითარსებიან და საქმეს თავს ვეღარ აბამენ. ზოგიერთი წარმატებული ბიზნესმენი გაკოტრებამდე მივიდა. გათვალულს ლოცვის მეტი არაფერი შველის. მე მყავდა პაციენტი კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს აღარ უმართლებდა. ისეთ დღეში ჩავარდა, თვითმკვლელობამდე იყო მისული. ვერ მიხვდა, რატომ შეაქცია ზურგი ფორტუნამ. პირველივე ლოცვაზე ვუთხარი, ვისგანაც იყო გათვალული. მერეღა გაიხსენა, როგორ ესესხებოდა ხოლმე ის პიროვნება ფულს და ცოტა ხნის შემდეგ ზუსტად იმავე კუპიურებს უბრუნებდა, რაც წაიღო, ანდა თანხას ნაწილ-ნაწილ აძლევდა, თუმცა ვალის დაბრუნება ერთიანადაც შეეძლო. ჩემს პაციენტს მასთან შეხვედრის დროს მუდამ ეძინებოდა, საშინლად იღლებოდა. მეორე დღეს ყველაფრის კეთება ეზარებოდა, ღონეგამოცლილი საქმეს თავს ვერ აბამდა. თანდათან ყველასთან, მათ შორის ოჯახის წევრებთანაც, ისე დაეძაბა ურთიერთობა, რომ სახლიდან გაქცევა სურდა.

— როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ გათვალულია?

— ყურადღებით იყავით, თუ ვინმესთან ურთიერთობისას გრძნობთ, რომ იღლებით, ძილი გერევათ და მასთან კონტაქტის მერე ენერგია გეცლებათ, იცოდეთ, რომ თვალს იღებთ. სხვათა შორის, ზოგიერთი ადამიანის თვალი ბუნებრივად ასხივებს უარყოფითად დამუხტულ ენერგიას და თვითონ არც კი იცის, ისე ახდენს სხვაზე ნეგატიურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, ადამიანი შეიძლება წინაპართა ცოდვების გამოც დაითარსოს. გახსოვდეთ, ცოდვა ცხრა თაობაზე გადადის... ერთმა შესანიშნავმა ოჯახმა მომმართა დახმარებისთვის, რადგან სრულიად მოულოდნელად მოეცარათ ხელი. როგორც გაირკვა, მათი შორეული წინაპარი მღვდელი ყოფილა, რომლის ეკლესიაც კომუნისტებს დაუნგრევიათ. მოძღვარს შინ წაუბრძანებია ღვთისმშობლის ძველი ხატი და დიდი საეკლესიო ჯვარი. ამ ქრისტიანულ რელიკვიებს სათუთად უვლიდა თურმე მღვდლის ქალიშვილი, რომელიც უბედნიერესი ქალი ყოფილა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, სიწმინდეებს ყურადღებას აღარ აქცევდნენ, სადღაც ჰქონდათ მიყრილი. მოგეხსენებათ, ხატისა და ჯვრის კედელზე დაკიდება მაშინ წარმოუდგენელი იყო. როცა განვუმარტე, თუ რატომ იყვნენ დათარსულები, გონს მოეგნენ და ჩემი რჩევით, ღვთისმშობლის ხატი და საეკლესიო ჯვარი ისევ ტაძარში წააბრძანეს. სხვათა შორის, ის დანგრეული ტაძარი უკვე აღდგენილია. ხატს განახლებულ ეკლესიაში პარაკლისი გადაუხადეს და ყველაფერი გააკეთეს ცოდვის მოსანანიებლად, რის მერეც მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

— დეპრესიას თუ კურნავთ?

— რა თქმა უნდა! დღეს უამრავ დეპრესიაში ჩავარდნილ ადამიანს სჭირდება შველა, რადგანაც მათი რიცხვი, სამწუხაროდ, თანდათან იზრდება, არ კლებულობს. ერთი პაციენტი მყავდა, შესანიშნავი ქალბატონი, რომელსაც ისე გაუმწვავდა ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, რომ შვილებსაც ვეღარ იტანდა, ხოლო საკუთარი დედა სახლიდან გააგდო. ბავშვებიც აგრესიულად განეწყვნენ მის მიმართ. ამ ქალბატონის ღრმა დეპრესიის მიზეზი საყვარელი მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალება იყო. ქმრის სიკვდილის შემდეგ, ერთ დროს ბედნიერი ოჯახი პრაქტიკულად განადგურდა. ხუთი წელი იტანჯებოდნენ ასე. ქალი პერიოდულად გრძნობდა საკუთარ დანაშაულს, მაგრამ რეალურად არაფერი იცვლებოდა — ყველას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, ბავშვებს კი სცემდა. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ნანობდა ხოლმე საკუთარ საქციელს, თავს ვერაფერი მოუხერხა. ურჩიეს, ეკლესიაში იარეო, მაგრამ ტაძარში უარესად ხდებოდა. საბრალო ქალს ძილი და მოსვენება აღარ ჰქონდა, ყველასთან გაწყვიტა კონტაქტი, ხალხი ეზიზღებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დედამ დაითანხმა ჩემთან მოსვლაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, 7 ლოცვის შემდეგ, აბსოლუტურად განიკურნა და კვლავ მოსიყვარულე დედად და შვილად დაუბრუნდა ოჯახს... ბებიამ ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილი სტუდენტი გოგონა მომიყვანა. მათი ოჯახი რამდენიმე წლის წინ დააყარეს. დედა-შვილს დასაძინებელი აირი შეასხურეს, ოჯახის თავკაცი კი სასიკვდილოდ დაჭრეს და სახლი გაქურდეს. მეზობლების თქმით,

ყაჩაღების მიერ გათიშული გოგონა ძილშიც კი ყვიროდა, მიშველეთო. როცა აირის მოქმედებამ გაიარა და გაიღვიძეს, სულთმობრძავი მამა შვილის თვალწინ გარდაიცვალა, დაჭრილის საავადმყოფოში წაყვანაც ვეღარ მოასწრეს. ამ ამბის შემდეგ გავიდა დრო, ბავშვი 14 წლის გახდა, მაგრამ მამის სიკვდილის სცენა მისი მეხსიერებიდან ვერაფერმა წაშალა. სხვათა შორის, დიდი სტრესი დროთა განმავლობაში თანდათან მძაფრდება, ამიტომ გოგონას მდგომარეობაც საგრძნობლად გაუარესდა – ფლეგმატური გახდა, დედის თქმით, უამრავ უარყოფით თვისებას ავლენდა. მოგვიანებით შეწყვიტა ჭამა, ლაპარაკი, ერთ წერტილს მიაჰყრო გაშტერებული მზერა და სხვა საგანზე ვერ გადაჰქონდა. შეკითხვებზე პასუხს აღარ იძლეოდა. დედამ ქალიშვილი ჩემთან მოიყვანა. უფლის ნებითა და შეწევნით გოგონა თვე-ნახევარში გამოვიდა მდგომარეობიდან და დარჩენილი გამოცდებიც კი ჩაბარა. ახლა იცინის კიდეც, ადამიანებს ჩვეულებრივად ეკონტაქტება და თავს კარგად გრძნობს.

— ბოროტ ძალთაგან შეპყრობილებს თუ შველით?

– შეპყრობილები მხოლოდ შელოცვით იკურნებიან... ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სამი თვის განმავლობაში, ყოველღამე, ერთსა და იმავე დროს, შავებში ჩაცმული ქერა, მაღალი, ლამაზთითებიანი მამაკაცი „აკითხავდა“ – უცნაური სტუმარი დაკეტილ კარში შედიოდა, ქალს თითებზე ხელით ნაზად ეხებოდა და უჩინარდებოდა. უცნობი ოჯახის წევრების თანდასწრებითაც მოდიოდა.

— როგორ, სხვებიც ხედავდნენ?

– არა, მხოლოდ ჩემი პაციენტი... ქალი ხილვებმა ძალიან შეცვალა. შიშისგან აღარ ეძინა. როცა ღამის ცვლაში უწევდა ხოლმე მუშაობა, უცნობი მამაკაცის სუნთქვას ზურგს უკან გრძნობდა. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ შეშინებული სამსახურში აღარ დადიოდა, მოსწყდა გარე სამყაროს და საკუთარ თავში ჩაიკეტა. ვისთან აღარ წაიყვანეს, მაგრამ მდგომარეობიდან ვერავინ გამოიყვანა. თავდაპირველად მეც ეჭვის თვალით შემომხედა, იფიქრა, ვერ მივხვდებოდი, რა სჭირდა. შევატყვე თუ არა ჩემდამი უნდობლობა, ვუთხარი: მენდე, რომ ერთმანეთის ენერგეტიკაში შევიდეთ და ღმერთმა ჩემი ლოცვით გიშველოს-მეთქი. ვთხოვე, კარგად დაფიქრებულიყო და პასუხი მოგვიანებით გაეცა. მენდო და რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა. თქვენ წარმოიდგინეთ, სამი ლოცვის მერე მითხრა, – ჩემი ახოვანი სტუმარი ისე დაპატარავდა, მეხვეწება, შემიბრალე, დალისთან აღარ წახვიდეო. შვიდი ლოცვის შემდეგ, ქალს აღარავინ მოსჩვენებია, მშვიდი ძილი დაუბრუნდა, შიში გაუქრა და კვლავ სრულფასოვანი ადამიანია.

— დღეს ჯადოთი უამრავი ოჯახი ინგრევა. შეგიძლიათ გაიგოთ, არის თუ არა ადამიანი მაგიური ზემოქმედების ქვეშ და ვისი წყალობით?

– რა თქმა უნდა, შემიძლია! ინფორმაცია უფლის კარნახით მეძლევა. სხვათა შორის, ჩემთან მკითხავების მიერ გაბრიყვებული ადამიანებიც მოდიან. მარჩიელები ხალხს ატყუებენ, ჯადო გაქვთ გაკეთებულიო. უამრავი მათ მიერ შეშინებული დამიმშვიდებია, მაგრამ როცა კაცს მართლა აქვს მიღებული ენერგეტიკული დარტყმა, დროულად უნდა შველა... ჩემი ძმის ერთ-ერთი მეგობარი, სხვათა შორის, ისიც საკმაოდ პოპულარული პიროვნებაა საქართველოში, გიას დროზე რომ არ მოეყვანა ჩემთან, შესაძლოა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო...

— რა მიზეზით?

– საყვარელი ჰყავდა, რომელსაც მისი ოჯახის დანგრევა სურდა და საჭმელსასმელში სისტემატურად მაგიურ ნივთიერებებს უყრიდა, რის გამოც ძალიან ცუდად იყო... ჯადო დროულად თუ არ ახსნა სპეციალისტმა, დროთა განმავლობაში ნეგატიური ენერგია ორგანოებზე გადადის და სხვადასხვა ავესტიკურ დაავადებას იწვევს.

— რას ნიშნავს ავესტიკური დაავადება?

– აუხსნელი ჯადოს მიერ გამოწვეულ დაავადებას ავესტიკური ეწოდება. ხშირად პაციენტს ექიმი დიაგნოზს ვერ უსვამს, რადგანაც ორგანული დარღვევა არ აღენიშნება, მიუხედავად ამისა, ადამიანი ცუდად არის, რაღაც აწუხებს, მაგრამ მიზეზს ვერ ხვდება. მაგიური ზემოქმედებით გამოწვეულ დაავადებას ენერგეტიკულსაც უწოდებენ. ამ შემთხვევაში პაციენტს ექიმი და წამალი ვერ შველის, პირიქით, სამკურნალო პრეპარატების მიღება კიდევ უფრო ამძიმებს ავადმყოფის მდგომარეობას, ამიტომ გირჩევთ, დროულად მიმართოთ სპეციალისტს, თუ მართლა მაგიური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებით, რადგანაც ავესტიკური დაავადების განკურნებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, რამდენიმე შელოცვა ნამდვილად აღარ გიშველით... სხვათა შორის, ბევრი ეჭვიანი ქალბატონი მოდის ხოლმე ჩემთან. ზოგს ჰგონია, რომ მის ქმარს საყვარელმა ჯადო გაუკეთა და ტყუილუბრალოდ ნერვიულობს, უსაფუძვლო, ახირებული აზრების გამო ოჯახს ანგრევს. ჯერ ხომ უნდა გაარკვიო, მართლა იმყოფება თუ არა შენი საყვარელი მეუღლე მაგიური ზემოქმედების ქვეშ?

— ქალები მოჯადოებული ქმრების დასაბრუნებლად ხშირად მიმართავენ მჩხიბავებს, ზოგიერთები მაგიური ზემოქმედების გასანეიტრალებლად მოლასთანაც მიდიან...

– სასოწარკვეთილი ქალები ძალიან ხშირად მიმართავენ ხოლმე დახმარებისთვის მჩხიბავებსა და მოლებს ჯადოს მოსახსნელად, რადგანაც არ იციან, რომ მოხსნაც დიდი ცოდვაა, მაგიური ზემოქმედების განეიტრალება მხოლოდ ლოცვებით უნდა მოხდეს, დაბინძურებული აურა ღვთის შეწევნით უნდა გასუფთავდეს. ყველას, ვინც ჯადოს მოხსნა სხვა გზებით სცადა, ვურჩევ, დროულად აღიაროს თავისი საქციელი და მოინანიოს. გაცილებით დიდი სიმძიმე აწვება იმ ადამიანის სულს, ვინც ჯადო შეუკვეთა მჩხიბავს თავისი მერკანტილური მიზნების მისაღწევად და სხვისი ოჯახის დასანგრევად. მათაც ვურჩევ, ლოცვებით განიწმინდონ ცოდვით დაბინძურებული სული. თუ კაცს რწმენა და ღმერთის სიყვარული არა აქვს, ცოცხალი გვამია, რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას ამ წარმავალ წუთისოფელში, თუ მისი სული არ ცხონდება. ლოცვის ძალა სასწაულებს ახდენს, ჩვენი ხსნაც მხოლოდ ლოცვაშია.

— საზოგადოება სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება. იმდენი სანერვიულო აქვს ყოველდღე თითოეულ ჩვენგანს, მიკვირს, როგორა ვარ საღ ჭკუაზე. შეგიძლიათ თუ არა ლოცვებით ნერვული სტრესის მოხსნა?

– რა თქმა უნდა! დღეს უარყოფითი ინფორმაციით, მეტ-ნაკლებად ყველას ბიოველია დაბინძურებული, მაგრამ ნერვულ სტრესს ადამიანები ერთნაირად ვერ უძლებენ, ზოგს სუსტი აურა აქვს და დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება პრობლემებს, მათ სპეციალისტის დახმარება სჭირდებათ. ნეგატიურად დამუხტული ბინძური ენერგია მხოლოდ ლოცვებით სუფთავდება და ადამიანი დაკარგულ სიმშვიდეს იბრუნებს.

— ჩაკეტილი ბედის გახსნა თუ შეგიძლიათ?

– როცა ქალი ან მამაკაცი წლების განმავლობაში ოჯახს ვერ ქმნის, უნდა გაარკვიოს, მაგიური ზემოქმედებაა ამის მიზეზი თუ არა. იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნდება, რომ ჯადო აქვს გაკეთებული და მისი ბედი ხელოვნურად არის ჩაკეტილი, შემიძლია დავეხმარო. როგორც კი ლოცვებით განეიტრალდება მაგიური ზემოქმედება, შინაბერებსა და ბერბიჭებს ბედი მალევე ეხსნებათ, ზოგიერთებს 2-3 თვეში გამოუჩნდებათ ხოლმე საქმროები და საცოლეები.

P.S. გაითვალისწინეთ, რომ ქალბატონი დალი არავის იღებს წინასწარი ჩაწერის გარეშე. თუ სიაში მოხვედრა გსურთ, დარეკეთ ყოველდღე 9-დან 16 საათამდე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონებია: 96.79.00, 8(99) 10.73.06.

დამნაშავე მწვრთნელს შეგირდები ამხელენ

უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა თურქეთის ძალოსანთა ნაკრებში. გუნდის წარმომადგენლებმა – სიბელ შიმეკმა, აილინ დაშდელენმა და ვინმე შ.შ.-მ (რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით არ ახმაურებენ) – თავიანთი მწვრთნელი, მეჰმეტ უსტიუნდაგი სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობაში ამხილეს. გარდა ამისა, ათლეტთა თქმით, უსტიუნდაგი მათ იძულებით სტიმულატორებსაც აღებინებდა. სპორსტმენებმა განაცხადეს, რომ სწორედ ამ გარემოების გამო, 1998 წელს, მსოფლიო ჩემპიონმა ესმა ჯანმა საძილე საშუალების დიდი დოზის მიღებით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შ.შ. ირწმუნება, რომ ამავე მიზეზით მან სამჯერ სცადა თავის მოკვლა, რის შემდეგაც 2 წლის მანძილზე ფსიქოლოგიურ კლინიკაში მკურნალობდა. როგორც ირკვევა, მწვრთნელი აშინებდა, აშანტაჟებდა და სცემდა ახალგაზრდა სპორტსმენებს.

იგი ათლეტებს სპორტიდან სამუდამოდ ჩამოშორებით ემუქრებოდა და აკრძალული პრეპარატების, ვიტამინების სახით მიღებას აიძულებდა. სწორედ მისი ქმედებების შედეგად, დოპინგის ხმარებისთვის

ნაკრების წევრებს – ფატიმ კაბადაისა და ეშმ ჩელიკაის 2 წლით, ხოლო ნურჯან ტაილანს – სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ათლეტთა თქმით, ეს ინფორმაცია აქამდე იმიტომ არ გამოჰქონდათ სააშკარაოზე, რომ გუნდის პრესტიჟის შელახვას ერიდებოდნენ. მოძალადე მწვრთნელის საქმეს თურქეთის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი იძიებს და მოსალოდნელია, რომ უსტიუნდაგის სასამართლოს წინაშე თავის მართლება მოუწევს. ■

მოკრივე ლოთობისა და ხულიგნობისთვის დააპატიმრეს

მსუბუქ წონით კატეგორიაში მსოფლიო ექსჩემპიონი, პოლ სპადაფორა სიმთვრალეში ხულიგნობისა და საავტომობილო გზაზე სახიფთაო სიტუაციის შექმნისთვის დააკავეს. ამჟამად იგი შინაპატიმრობაში იმყოფება და ვალდებულია, რომ ალკოჰოლის მიღებისგან თავი შეიკავოს, რადგან ამას წინათ მარცხენა ხელის მყესის ოპერაცია გაიკეთა. ამის გამო ის რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ შეძლებს რინგზე გამოსვლას. მოკრივის ადვოკატის თქმით, ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკებისადმი ლტოლვისაგან განსაკურნებულად გავლილი სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ სიფხიზლის რამდენიმეთვიანი რეჟიმი მის კლიენტს გასულ თებერვალს შეუწყვეტია. გამომთვრალს კი, ავტოსაგზაო წესები დაურღვევია და წვრილმანი ხულიგნობაც ჩაუდენია. გარდა ამისა, მოკრივეს ცეცხლსასროლი იარაღით მეგობარი გოგონას დაჭრაშიც სდებენ ბრალს. ■

ლუისი ბუშის წინააღმდეგ

ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონის ამერიკელი კარლ ლუისის თქმით, ჯორჯ ბუში „ათენი-2004“-ს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა. ლუისი მიიჩნევს, რომ მისი ქვეყნის პრეზიდენტის გამონათქვამები ცოტა ხნის წინ დასრულებული ოლიმპიური თამაშების შესახებ, წმინდა წყლის თვითრეკლამა იყო. მძლეოსნის აზრით, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია აშშ-ის პირველი პირის დამოკიდებულება ერაყისა და ავღანეთის მიმართ (როგორც ცნობილია, ჯორჯ ბუშ-უმცროსმა თავის ერთ-ერთ წინასაარჩევნო გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი დამსახურებით ავღანელმა და ერაყელმა სპორტსმენებმა ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს). „ეს რა თვალთმაქცობაა! ჩვენ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი გამოვუცხადეთ ავღანეთის მხარდასაჭერად, ახლა კი ამ ქვეყანას ვბომბავთ. ხომ ცხადია, რომ ერაყის ტერიტორიაზე შევიჭერით და ამას პოლიტიკური მიზნით ვიყენებთ. ეს გარემოება მეტისმეტად აღმაშფოთებელია და მესმის, თუ რატომ გრძნობენ თავს შეურაცხყოფილად ერაყელი ათლეტები. სპორტსმენთა მხარდაჭერა კარგია, მაგრამ – არა საკუთარი გამორჩენის მიზნით,“ – ამბობს კარლ ლუისი. ■

მძლეოსანიც, ფეხბურთელიც და... მოძალადეც

ფრანგ მძლეოსან ფუად ჩუკის, 15 წლის გოგონას გაუპატიურებაში ედება ბრალი. France Presse-ი იუწყება, რომ სპორტსმენი პოლიციამ დააკავა და რამდენიმე კვირის წინ სტრასბურგში მომხდარ ინციდენტში მონაწილეობა დასდო ბრალად. აღსანიშნავია, რომ ადრე, საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციამ საშუალო დისტანციაზე მორბენალი დოპინგის მოხმარებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა (ჩუკის სისხლში ერიტროპოეტინის კვალი აღმოუჩინეს). დისკვალიფიკაციის შემდეგ, მან სპორტის სახეობა შეიცვალა და ფეხბურთელობა გადაწყვიტა. „ძალიან სწრაფი ვარ და 100 მეტრის 10,7 წამში გარბენა შემიძლია, – ამბობს ფუად ჩუკი, – გარდა ამისა, ძლიერი და ამტანიც გახლავართ. ბურთს კარგად ვფლობ, ჩინებულად ვხედავ მოედანს და თამაშის „წაკითხვაც“ შემიძლია. ეს ყველაფერი ბავშვობაში ავითვისე. სწორედ ამ ყველაფრის გამო ვფიქრობ, რომ უმაღლეს დონეზე შევძლებ ფეხბურთის თამაშს“, – განაცხადა ფუადმა. ■

რუნის სერიოზული საფრთხე ემუქრება?

„ევერტონიდან“ „მანჩესტერში“ გადასვლის შემდეგ, უეინ რუნი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. პოლიციამ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ლივერპულური კლუბის ფანები თავიანთი ყოფილი კერპის მიმართ მეტისმეტად აგრესიულად არიან განწყობილი და მასთან ანგარიშსწორებასაც აპირებენ. გარდა ამისა, ახალგაზრდა ინგლისელი ფორვარდისადმი შურისძიებას თურმე ის კრიმინალური ავტორიტეტებიც გეგმავენ (რა თქმა უნდა, ალბიონელები), რომლებსაც ტოტალიზატორში 750 ათასი გირვანქა სტერლინგი იმაზე დაუდვიათ, რომ უეინი „მანჩესტერ იუნაიტედში“ არ გადავიდოდა. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციამ 18 წლის ფეხბურთელზე თავდასხმის რისკის ფაქტორი პირველ კატეგორიაში შეიყვანა. ეს იმას ნიშნავს, რომ დღე-ღამის განმავლობაში რუნი პროფესიონალ მცველთა გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, რომლებსაც სპეცდანიშნულების ელიტურ ნაწილ SAS-ში (Special Airborne Service) მუშაობისა და სამეფო ოჯახის წევრებისა თუ მთავრობის მაღალჩინოსნების დაცვის გამოცდილება აქვთ. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერთან“ გაფორმებულმა 25-მილიონიანმა კონტრაქტმა უეინ რუნი ინგლისში ყველაზე მაღალანაზღაურებად ახალგაზრდა ფეხბურთელად აქცია. თავდასხმის საშიშროების გათვალისწინებით კი, „ვუნდერკინდი“ იძულებულია, სამართალდამცავთა მიერ მისდამი წაყენებული მოთხოვნები დააკმაყოფილოს: ფეხბურთელი ლივერპულს ახლოსაც აღარ უნდა გაეკაროს, უნდა ჩამოშორდეს ძველ ნაცნობ-მეგობრებს, მუდმივად ცვალოს ვარჯიშებზე მისასვლელი მარშრუტი, არ შეჩერდეს თაყვანისმცემელთათვის ავტოგრაფების მისაცემად, მოერიდოს ხალხმრავალ ადგილებს და მუდმივად ჩართული ჰქონდეს მობილური ტელეფონი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად რუნი „მანჩესტერ იუნაიტედის“ საწვრთნელ ბაზასთან ახლოს ცხოვრობს და მის სახლში სიგნალიზაციის უახლესი სისტემაა დამონტაჟებული. როგორც ცნობილია, პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში წარმატებულად ასპარეზობის შემდეგ, უეინი ინგლისელთათვის ნამდვილ საფეხბურთო კერპად იქცა, მაგრამ „მანჩესტერში“ გადასვლის გამო ახლა ლივერპულელები მას იუდას უწოდებენ.

■

გაზა ქომაგებმა დაიაზიანეს

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა და ამჟამად კლუბ „ბოსტონ იუნაიტედის“ მოთამაშე მწვრთნელმა, პოლ გასკოინმა ტრავმა მიიღო. ბუნებრივია, ალბიონელ ვარსკვლავს ტრავმა, თავისი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო პერიოდშიც არაერთხელ მიუღია, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამჯერად მან ბარძაყის კუნთები იმ მომენტში დაიზიანა, როდესაც ავტოგრაფის მსურველებისგან თავის დაღწევას ცდილობდა. როგორც ცნობილია, გაზა (ასე იცნობს მთელი მსოფლიო პოლ გასკოინს) საფეხბურთო მინდორზე აღარ ბრწყინავს (უფრო მეტიც, ალბიონელმა ჩინეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე კლუბშიც კი ვერ დაიმკვიდრა ადგილი), მაგრამ ის დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს ქომაგებში. ერთი სიტყვით, ალკოჰოლის მოყვარული ვარსკვლავი სადაც არ უნდა გამოჩნდეს, ყველგან თაყვანისმცემელთა გარემოცვაში ექცევა, რომლებიც ცხადია, კერპს ავტოგრაფსაც სთხოვენ ხოლმე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის მსხვერპლი გახდა (თუ მას და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ), რაც არიზონის (აშშ) კლინიკაში ალკოჰოლიზმისა და დეპრესიისაგან განსაკურნებლად სპეციალური კურსი გაიარა.

■

ბერძენი ფანი ალბანელებს გაუსწორდა

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში „ბებერი კონტინენტის“ მოქმედი ჩემპიონი, საბერძნეთის ნაკრები ალბანელებთან მატჩში დამარცხდა, რამაც ათენსა და ელინთა სხვა ქალაქების მცხოვრებთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ოლიმპიადის სამშობლოში საკმაოდ ბევრი ალბანელი ცხოვრობს და გაღიზიანებულმა ბერძნებმა მათ მუშტი-კრივი გაუმართეს. განსაკუთრებით სასტიკი აღმოჩნდა ვინმე პანაიოტოს კლადის-ქსიფიტოსსა და სამ ალბანელს შორის ჩხუბი, რომლის დროსაც, ბერძენმა მოწინააღმდეგეებთან დანის მეშვეობით გამკლავება სცადა. ამის შედეგად ერთი ალბანელი დაიღუპა, ხოლო დანარჩენებმა მძიმე ჭრილობები მიიღეს მუცლისა და ზურგის არეში.

■

ფიგუ რაულს იცავს

ლუიშ ფიგუს აზრით, „რეალის“ მიერ მაიკლ ოუენის შეძენა სულაც არ წარმოადგენდა აუცილებლობას. პორტუგალიელი ვარსკვლავი რაულსაც იცავს, რომელიც სწორედ ექსლივერპულელთან კონკურენციის პირობებში შეიძლება, სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეს: „არ ვიცი, რამდენად აუცილებელი იყო ოუენის შეძენა. ვიმედოვნებ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ კარგად იცის, თუ რას აკეთებს. „რეალის“ წარმატებებში რაულის მიერ შეტანილი წვლილი მხოლოდ მის მიერ გატანილი გოლების რაოდენობით არ უნდა შევაფასოთ. შესაძლოა, ხანდახან მინდორზე მისი სამუშაო შეუმჩნეველია, მაგრამ ის ძალიან სჭირდება გუნდს“.

■

კვირის (20-26 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ნუ მიბაძავთ მათ, ვინც ფუფუნების საგნებითაა გატაცებული. ფული საკუთარ ჯანმრთელობას მოახმარეთ, დაასაჩუქრეთ ოჯახის წევრები ან დაპატიჟეთ მეგობრები ფინჯან ყავაზე.

მამაკაცი: დაძაბულმა სამუშაომ პირადი ცხოვრება ხომ არ დაგავიწყათ? შეეცადეთ თავი დააღწიოთ ერთფეროვნებას და ცხოვრებას სხვა თვალით შეხედოთ...

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ამ კვირაში ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ – ნებისმიერ შემთხვევაში ახლობლებთან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. ისე, ურიგო არ იქნება, დასვენებას თუ მეტ დროს დაუთმობთ.

მამაკაცი: მოერიდეთ მას, ვინც განერვიულებულია! აუცილებელი არ არის, ყველას ჭკუა ასწავლოთ. აბა, თქვენ დაგიწყონ მორალის კითხვა მაშინ, როდესაც გულმოსული ხართ, – მოგეწონებათ?

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: დროც და ფულიც გონივრულად გაანაწილეთ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დოკუმენტებს. დაუდევრობამ შეიძლება წარმატებული კარიერა გაგიფუჭოთ.

მამაკაცი: თქვენ საკმაოდ მკაცრ რეჟიმში ჩადგომა გჭირდებათ. თითქოს ბევრს მუშაობთ, მაგრამ თქვენს ცხოვრებაში, პრაქტიკულად, არაფერი იცვლება. ჯობს, იმ საქმეს მოჰკიდოთ ხელი, რაშიც უფრო კომპეტენტური ხართ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ჭორიკანებს ნუ აჰყვებით, იყავით კორექტული და სიტყვაძუნწი – ზოგჯერ ესეც საჭიროა. მაგრამ სულ ნუ დამუნჯდებით – ამით შეიძლება ახლობლები შეაშფოთოთ.

მამაკაცი: საყვარელ ადამიანთან უთანხმოებას თავს ვერ დააღწევთ, თუ ემოციებს აჰყვებით. დაძაბული კვირის ბოლოს, კარგი იქნება, თუ დასვენებაზეც იფიქრებთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ყურადღებით უსმინეთ გარშემომყოფებს და შეეცადეთ, მათი აზრიც გაითვალისწინოთ. გადაწყვეტილების მიღებამდე თავი იმ ადამიანების ადგილას წარმოიდგინეთ, ვისაც თქვენი გადაწყვეტილება მეტ-ნაკლებად შეეხება.

მამაკაცი: არავითარი რისკი – ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით! შეეცადეთ, ეს კვირა ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატაროთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: აგრძნობინეთ ირგვლივმყოფებს, რომ სიკეთის დანახვა შეგიძლიათ; რომ გახსოვთ ყველა, ვინც გაჭირვების ჟამს გვერდით დაგიდგათ. ძალიან გაახარებთ ძველ მეგობრებს, თუ შეეხმიანებით და მოიკითხავთ.

მამაკაცი: ამ კვირას მოგეცემათ შესაძლებლობა, გამოავლინოთ რაინდული თვისებები. მშვენიერ ქალბატონს თქვენი დახმარება დასჭირდება და თქვენ ამას წარმატებით გაართმევთ თავს.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: სანამ ახალ საქმეს წამოიწყებთ, უკვე დაწყებულის დამთავრებაზე იზრუნეთ. ამ კვირაში შეგიძლიათ მეგობრებს სასარგებლო რჩევები მისცეთ. ნუ შეგეშინდებათ საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმის.

მამაკაცი: გირჩევთ, თქვენს მეგობარ გოგონებს შორის შეარჩიოთ ის, ვისთანაც თავს ყველაზე უკეთ გრძნობთ და მასთან ერთად სადმე გაემგზავროთ. თუმცა, ცოტა სიფრთხილე გამოიჩინეთ და მთელი წლის დანაზოგს მას ნუ დაახარჯავთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ოჯახში მოსალოდნელია ცვლილებები. შეეცადეთ, არ აჰყვეთ ემოციებს და შეინარჩუნოთ სიმშვიდე. ბავშვების ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ.

მამაკაცი: თუ ამ კვირაში გარდერობს გაახლებთ, თქვენი შენაძენით ყველა აღფრთოვანდება. მშვენიერად გამოიყურებით და განწყობილებაც შესაფერისი უნდა გქონდეთ. საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს მაგნიტივით იზიდავთ – მეტი რაღა გინდათ?

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: მოირგეთ საქმიანი ქალის იმიჯი – ეს თქვენ ძალიან გიხდებათ. ნამდვილად იმსახურებთ, რომ ნაცნობების წინაშე ლიდერის პოზიციებით წარდგეთ. დროა, საკუთარი თავის მიმართ მეტი პატივისცემით განიმსჭვალოთ.

მამაკაცი: ამ კვირაში ვარსკვლავები თითქოს მხოლოდ მშვილდოსნებისთვის „ანათებენ". კეთილგანწყობილი გარემო თქვენი წარმატების გარანტია; მაქსიმალურად გამოიყენეთ იღბლიანი კვირა და ყველა პრობლემას იოლად მოაგვარებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ამ დღეებში მაინცდამაინც ხელგაშლილი ნუ იქნებით, არც ფინანსურ გარიგებას გირჩევთ: თქვენი პარტნიორები პასუხისმგებლობას თავს აარიდებენ და საქმის მთელი სიმძიმე თქვენ დაგაწვებათ მხრებზე.

მამაკაცი: დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა. ნებისმიერი ინფორმაცია თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, მაგრამ უმჯობესია, მისი გავრცელებისგან თავი შეიკავოთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: წარმატება გელით. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენი საქმიანობა საერთაშორისო პროექტებთანაა დაკავშირებული. უპრობლემოდ მოიპოვებთ გრანტს, თუ ამ კვირას განაცხადს შეიტანთ. ასე რომ, აქტიურობისკენ მოგიწოდებთ.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ კრიტიკული შენიშვნებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ნათქვამი ნებისმიერი სიტყვა ბუმერანგივით უკან შემოგიბრუნდებათ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ამ კვირას შესაძლოა დეპრესიის მსხვერპლი გახდეთ. შემოუახეთ თავს და შეძლებისდაგვარად გამხნევდით. ნუ მოჰყვებით წუწუნს, იაქტიურეთ, ყურები არ ჩამოყაროთ და გამოსავალსაც იპოვით.

მამაკაცი: ეს კვირა საქმიანობისათვის მეტად ხელსაყრელია. შეეცადეთ, ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ დაარწმუნოთ თქვენს მაღალ პროფესიონალიზმში.

	თეა-ტრალური თოჯინა	ბ	ნადი-რობის წესების დამრღვევი	კენიის დედა-ქალაქი	სახელმ-წიფო სამხრეთ ამერიკაში	პ	პატარა ფერადი სურათი	მ
მ	ა	რ	ი	ო	ნ	ე	ტ	ი
ი	მოკლედ და მკფი-ოდ წარმო-თქმული	ა	დ	ნ	ა	რ	დიდი შალა-შინი	ნ
ლ	ა	კ	ო	ნ	ი	უ	რ	ი
ა	ტ	ო	ნ	დიპლო-მატიური წერილი	რ	ბირმის ფულის ერთეუ-ლი	ჯ	ა
	ჩრდილო ატლან-ტიკური ალიანსი	ნ	ა	ტ	ო	სპეც. სამუშაო ტანსაც-მელი	ქათმების ოჯახის გარეული ფრინველი	ტ
ჯეკ ლონდონის ნამდვილი გვარი	გ	რ	ი	ფ	ი	ტ	ი	დადებითად დამუხ-ტული ელექტროდი	ერთგვარი სპორტული ავტომო-ბილი	ბ	ა	გ	ი
ესპანეთში სიკვდილ-ით დასჯა დახრჩობით	ა	მინდვრის მომცრო მღრღნელი ცხოველი	ფრანგი მწერალი	დ	ო	დ	ე	მზის ღმერთი ინდუ-ზმში	ვ	ი	შ	ნ	უ
ი	რ	ო	ზ	ი	ვ	ე	რ	მახრჩო-ბელა გველი	ბ	ციგანი	ო	ო	რ
ლ	ო	ერთი დღის სახნავი მიწა	ა	ლ	ო	გოგოლის პიესა	ი	ნ	ო	ი	ბ	ლ	ა
ი	ტ	ი	ზ	ი	ვ	მცირე ზნით სტუმ-რობა	მორი-გეობა გემზე	ვ	ა	ხ	ტ	ი	ინგლისის ძველი სახელ-წოდება
ვ	ე	ზ	უ	ვ	ი	დუმბაძის ... რამიშ-ვილი	დიდი გარმონი						
ე	ვულკანი იტალ-იაში	ა	ნ	ა	ჩ	ა	ბ						
ლ	უეცარი შიშით გამოწვეული არეულობა	პ	ა	ნ	ი	კ	ა						
ქართული მიწა საფრან-გეთში	ძვირფასი ქვა	ო	სირ-აქლემა	ა	მდინარე აზიაში	ო	ი						
ბ	ო	ტ	ა	ნ	ი	კ	ა						
მცენარეთა შემსწავ-ლელი მეცნიერება	ა	მცირე ჩრდილი / კედლის სანათი	რ	დ	ლ	ქულა ძიუდოში	ნ						
პავია-ნების გვარის მაიმუნი	ბ	ა	ბ	უ	ი	ნ	ი						

მე-40 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა.

ჭეშმარიტი ადამიანების ბოსტრიჭური ჭეშმარიტები

სტალინი და კობლოვსკი

გამოჩენილმა საოპერო მომღერალმა ივან კოზლოვსკიმ იცოდა, რომ დიდი ბელადის სიმპათიით სარგებლობდა და ერთხელ შეხვედრისას, შეფარული თხოვნით მიმართა სტალინს:

— არასდროს ვყოფილვარ საზღვარგარეთ. არადა, ძალიან მინდა...

— მერე, არ გაიქცევი?.. — ღიმილით ჰკითხა სტალინმა.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო სტალინ?! ჩემთვის მშობლიური სოფელიც კი, ნებისმიერ ქვეყანაზე ძვირფასია.

— აი, ყოჩაღ! — შეაქო სტალინმა და დასძინა: — წადი, მოინახულე შენი მშობლიური სოფელი.

ცნობისმოყვარე ქალბატონი

მაღალი საზოგადოების წვეულებაზე ერთმა ქალმა გამოჩენილ მწერალს ბერნარდ შოუს ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ — რატომ შექმნა ღმერთმა ჯერ მამაკაცი და შემდეგ — ქალი?

ენაკვიმატობით გამორჩეულმა შოუმ დაუფიქრებლად მიუგო:

— იმიტომ, რომ მამაკაცის შექმნის პასუხსაგებ მომენტში, ქალს რჩევებით არ შეეწუხებინა...

დროის ფასი

ლექციის შემდეგ, ალბერტ აინშტაინს ერთი ქალი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ხომ ვერ ამიხსნით, რა კავშირია დროსა და მარადისობას შორის?

— იცით, რაშია საქმე?.. — უპასუხა ჩაფიქრებულმა მეცნიერმა: — ამის ასახსნელად მე საკმარისი დროც რომ მქონოდა, თქვენ მის აღსაქმელად მარადისობა დაგჭირდებოდათ...

ქორწინება ყოველდღე

გამოჩენილ პიანისტს მსტისლავ როსტროპოვიჩს, რომლის მეუღლეც არანაკლებ ცნობილი მომღერალი და საკმაოდ მომხიბვლელი ქალი გალინა ვიშნევსკაიაა, ერთხელ ჰკითხეს:

— როგორ ახერხებთ იმას, რომ არ გინელდებათ ცოლისადმი სიყვარული?

— ძალიან მარტივად, — მიუგო როსტროპოვიჩმა, — ყოველდღე, როცა გალინას ვუყურებ, მასზე ვქორწინდები...

ანეკდოტები

***

— ჭიჭიკია, შენს ცოლს მოწევის ნებას რატომ რთავ?

— აპა, რაი ვქნა? ცოტა ხანი მაინც ხომ უნდა იყოს გაჩუმებული?!

***

ინტელიგენტი კაცი ცოლს ეკითხება:

— ძვირფასო, სად დავკიდო ეს სურათი?

— აი, ამ კედელზე. ჩაქუჩი და ლურსმნები ყუთშია, ბინტი და იოდი კი — წამლების უჯრაში...

***

მამაკაცი დერეფანში საკლასო ოთახის წინ დგას და შვილს ელოდება.

— ბავშვს ელოდებით? — ეკითხება მასწავლებელი.

— არა... უბრალოდ, ასეთი მსუქანი ვარ...

***

— მიტოო... ვინმემ რო გკითხოს, ცოლსა და კინოვარსკვლავს შორის ერთერთი აირჩიეო, რომელ კინოვარსკვლავ აირჩევდი?..

***

ციხის უფროსი ზედამხედველ ვალოდიას უყვირის:

— როგორ გაგეპარა პატიმარი საკნიდან, შე დოყლაპიავ, შენ, ჰაა?!. არა, როგორ გაგეპარა?!.

— გასაღები ჰქონდა, სენი წილიმე, კალი გააღო, გამოვიდა და გაიპალა...

— კი, მაგრამ გასაღები როგორ მოგპარა?..

— მომპალა ალა ის... კალტში მომიგო, სენი წილიმე...

***

კუპეში მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი მგზავრობენ. მამაკაცი ზის და გაზეთს კითხულობს, ქალს ყურადღებას არ აქცევს. ბოლოს, ქალმა ვეღარ მოითმინა:

— რატომ არ მაქცევთ ყურადღებას? კუპეში ჩვენ გარდა, არავინაა, მე — ახალგაზრდა, ლამაზი ვარ...

მამაკაცმა გაზეთი გვერდზე გადადო:

— აკი ვამბობდი — ჯობს, ნახევარი საათი მოითმინო, ვიდრე სამი საათი ეხვეწო.

***

გამოცდაზე სტუდენტმა ლექტორის ვერც ერთ შეკითხვას ვერ გასცა პასუხი. მოთმინებადაკარგული პროფესორი ყვირის:

— ნამდვილი ვირი ყოფილხართ!

შემდეგ, ასისტენტს მიუბრუნდა:

— ერთი კონა ჩალა მომიტანეთ.

— მე კი — ფინჯანი ყავა... ხომ შეიძლება, პატივცემულო? — დაამატა სტუდენტმა...

***

პლაჟზე ქალი კივის:

— მიშველეთ, მიშველეთ, ვიხრჩობი!.. თქვენ, თქვენ... დიახ, თქვენ გეუბნებით, ყმაწვილო... მიშველეთ!..

***

საავადმყოფოში გამოკვლევებზე მისულ სვანს ექიმი ანალიზების შედეგებს აცნობს:

— ძალიან დიდი რაოდენობით მარილი და შაქარი აღმოგაჩნდათ.

— ექიმო, კარგად ნახეთ — ეგება, კარაქიც იყოს?!.

***

ტიპი ავტობუსში დგას და იგინება:

— უჰ, მე მაგის დედა...

— ახალგაზრდავ, აქ მარტო ხომ არ ხართ?!.

— უჰ, მე მაგის...

— როგორ არ გრცხვენიათ?!.

— უჰ, მე მაგისი...

— რა მოხდა, რა ამბავია ასეთი?

— ჩემმა ცოლმა იმშობიარა...

— მოგვილოცავს, ძმაო!.. რა შეგეძინათ?

— სამი ბიჭი.

— შესანიშნავია!.. ვის ჰგვანან?..

— ზანგებს!!!

მთელი ავტობუსი ერთხმად:

— უჰ, მაგის დედა...

რამდენად მიდრეკილი ხართ სტრესისაკენ?

ქვემოთ მოცემული ექვსი ჯგუფიდან შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები. ამ გზით იოლად მიიღებთ პასუხს შეკითხვაზე: რამდენად მიდრეკილი ხართ სტრესისაკენ?

I ჯგუფი:

ა) საქმეში, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, სპორტულ თუ აზარტულ თამაშებში მონაწილეობისას, არასოდეს უშინდებით მეტოქეს და საჭიროების შემთხვევაში, აგრესიასაც ავლენთ;

ბ) თუკი თამაშისას კარგავთ რამდენიმე ქულას, ხოლო საპირისპირო სქესის წარმომადგენელი არანაირად არ რეაგირებს თქვენ მიერ გამოვლენილ ყურადღების ნიშნებზე, თქვენ ნებდებით და „ტოვებთ ასპარეზს“;

გ) ბუნებით ყოველგვარი დაპირისპირების წინააღმდეგი ხართ და კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით, ნებისმიერ ხერხს მიმართავთ.

II ჯგუფი:

ა) ძალზე პატივმოყვარე ადამიანი ბრძანდებით და ამ ცხოვრებაში ბევრი რამის მიღწევა გსურთ;

ბ) თქვენ მოთმინებით ელით, როდის დადგება თქვენთვის ხელსაყრელი ამინდი;

გ) თქვენ გამუდმებით ეძებთ მიზეზს, რათა თავი აარიდოთ დაკისრებული სამუშაოს შესრულებას.

III ჯგუფი:

ა) საერთოდ, სწრაფ ტემპში მუშაობა გიყვართ და საქმის ბოლომდე მიყვანასაც მოუთმენლად ელით ხოლმე;

ბ) ყოველთვის გაქვთ იმის იმედი, რომ საქმის კეთებისას ვიღაცა შეგაფუცხუნებთ;

გ) საღამოობით, შინ დაბრუნებული გამუდმებით ფიქრობთ იმაზე, რაც იმ დღეს სამსახურში ხდებოდა.

IV ჯგუფი:

ა) გამოირჩევით სწრაფი და ხმამაღალი მეტყველების მანერით. თქვენს მოსაზრებებს მეტისმეტად კატეგორიული ტონით გამოთქვამთ და ლაპარაკსაც უბოდიშოდ აწყვეტინებთ თანამოსაუბრეს;

ბ) როცა რაიმეზე უარყოფით პასუხს იღებთ, უარზე საოცრად მშვიდად რეაგირებთ;

გ) გიჭირთ საკუთარი გრძნობებისა და მღელვარების დაფარვა.



V ჯგუფი:

ა) ხშირად მოწყენილი ხართ ხოლმე;

ბ) მოგწონთ უქმად ყოფნა;

გ) ამა თუ იმ სიტუაციაში, თითქმის ყოველთვის არა საკუთარი, არამედ სხვა ადამიანების ნება-სურვილის გათვალისწინებით მოქმედებთ;

VI ჯგუფი:

ა) ჭამთ, სვამთ და დადიხართ ძალზე სწრაფად;

ბ) სულაც არ გაღელვებთ ის ფაქტი, როცა რაიმის გაკეთება გავიწყდებათ;

გ) სულაც არ გიჭირთ საკუთარი გრძნობებისა და ემოციების დაფარვა.

დაჯამეთ ქულები:

„ა“ — 6 ქულა;
„ბ“ — 4 ქულა;
„გ“ — 2 ქულა.

ტესტის შედეგები

24-36 ქულა: სტრესისადმი მეტისმეტად მიდრეკილი ბრძანდებით; გამუდმებულმა სტრესულმა სიტუაციებმა კი შესაძლოა, ისეთი დაავადებების სიმპტომები გამოიწვიოს, როგორებიცაა: გულის უკმარისობა, წყლულოვანი და ნაწლავური დაავადებები. თქვენთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ალბათ საკმაოდ რთულია. ამ ეტაპზე თქვენთვის უმთავრესია — შეძლოთ სულიერი სიმშვიდის მოპოვება, რადგან ეს გჭირდებათ თავად თქვენ და თქვენი ოჯახის დანარჩენ წევრებს.

18-22 ქულა: ბუნებით მშვიდი ადამიანი ბრძანდებით და სულაც არა ხართ სტრესისკენ მიდრეკილი. ერთადერთი, რაც ამ კატეგორიის ადამიანებს შეიძლება ვურჩიოთ, გახლავთ ის, რომ ირგვლივმყოფთა მიმართ უფრო მეტი მოთმინებით აღიჭურვონ. ეს მათ ცხოვრებაში უფრო დიდი წარმატების მიღწევის საშუალებას მისცემს.

12-16 ქულა: შესაძლოა, თქვენი სრული უმოქმედობა სტრესის მიზეზი გახდეს. ეს თვისება ალბათ ძალზე აღიზიანებთ თქვენს ახლობლებს. გირჩევთ, ირწმუნოთ საკუთარი ძალებისა და საკუთარი თავის! კარგი იქნება, თუკი თქვენი დადებითი თვისებების სიას ჩამოწერთ და ამ თვისებების სრულყოფას ეცდებით.

კომპანია Walt Disney-ს მიჯი მაუსს ახთმევენ

კომპანია **Walt Disney** შეიძლება იძულებული გახდეს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 240 სავაჭრო ნიშნის გამოყენებაზე თავისი უფლებები გაყიდოს. ეს დისნეის მულტფილმების ყველაზე ცნობილ პერსონაჟ მიკი მაუსსაც შეეხება. საქმე ისაა, რომ კომპოზიტორ სოლომონ ლინდის ნათესავები, რომლის სიმღერაა გამოყენებული მულტფილმში „მეფე ლომი", საავტორო უფლებების გამოყენებისთვის კომპანიისგან 1,6 მლნ დოლარის გადახდას მოითხოვენ. ადრე მათ უკვე გადაუხადეს 16 ათასი დოლარი, მაგრამ ეს თანხა, ფილმის მიერ კომპანიისთვის მოტანილი მოგების ფონზე, ძალზე ეცოტავათ. პრეტორიის სასამართლომ, რომელიც ლინდის ოჯახის საჩივარს განიხილავს, დაადგინა, რომ კომპანიის სავაჭრო ნიშნების გამოყენებაზე უფლების მინიჭება შეიძლება, კომპენსაციად გამოდგეს.

ეროვნებით ზულუსი სოლომონ ლინდი აშშ-ში XX საუკუნის 30-იან წლებში გადავიდა საცხოვრებლად. სიმღერა **Mbube** მან 1939 წელს დაწერა. მაშინვე გაყიდა სიმღერაც და მისი გამოყენების უფლებაც, მაგრამ როგორც ახლა მისი ოჯახი ირწმუნება, კონტრაქტის მიხედვით, სინგლი მის მემკვიდრეებს უნდა დაჰბრუნებოდათ ჯერ კიდევ 1962 წელს. ბოლო 60 წლის განმავლობაში, ამ კომპოზიციის უკვე 150 ვერსია ჩაიწერა. მხოლოდ „მეფე ლომისთვის" ჩაწერილი ამ სიმღერის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 15 მლნ დოლარს შეადგენდა. ■

ჰარიზის მახლობლად გამოქვაბულ[illegible] პოლიციამ უცნაური აღმოჩენა გააკ[illegible]



საფრანგეთის დედაქალაქის პოლიციამ მოულოდნელი და იდუმალი აღმოჩენა გააკეთა — გამოქვაბულში იპოვეს კინოთეატრი, რესტორნითა და ბარით. ახლა სამართალდამცავი ორგანოები თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, თუ ვინ მოაწყო ის და ვინ იყენებდა. „წარმოდგენაც კი არა გვაქვს, თუ რა ხდებოდა იქ. ჭერზე სვასტიკები იყო დახატული, მაგრამ იყო კულტური ჯვრებიც და დავითის რამდენიმე ვარსკვლავიც, — ამბობს პოლიციის წარმომადგენელი, — ამიტომ არა გვგონია, რომ ეს ექსტრემისტების ნახელავი იყოს". [illegible] მიწისქვეშა შენობის შესასვლელში დამონტაჟებული იყო მექანიზმი, რომელ[illegible] მიახლოებისას ძაღლის ყეფის ჩანაწერს აჟღერებდა. „სავსებით ნათელია, მ[illegible] დასაფრთხობად იყენებდნენ", — ამბობენ პოლიციელები. სამართალდამცავმა [illegible] მა მიწისქვეშა კინოთეატრში იპოვეს რამდენიმე ფილმი, რომელთა შორ[illegible] ცოტა ხნის წინ გამოსული, საშინელებათა ფილმებიც აღმოჩნდა.



ჰობოტი ბუზებს ქ[illegible]

ბრიტანელმა მკვლევარებმა გამოიგონეს [illegible] რომელიც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნ[illegible] იკვებება ბუზებით, რითიც მუშაობისთვის აუ[illegible] ენერგიას იღებს. იდეა იმაში მდგომარეო[illegible] რობოტი იკვებოს ენერგიით, რომელიც გა[illegible] ბა ქიტინის პოლისაქარიდებით, რომლები[illegible] ჩონჩხის ფორმირებას განაპირობებს. სხვადას[illegible] ემენტის მეშვეობით რობოტში ხდება ბუზე[illegible] ლა და გამოთავისუფლებული ელექტრონები რობოტის კვებისთვის საჭირ[illegible] გამოიმუშავებს... რობოტი, რომელსაც „ეკორობოტი II" ჰქვია, გამოიგონეს პ[illegible] — „გამოვუშვით და დავივიწყეთ" ანუ ასეთი მექანიზმები შეიძლება გაუშვა [illegible] არასტუმართმოყვარე ტერიტორიებსა და ობიექტებზე — მაგალითად, სამხე[illegible] სამრეწველო ჯაშუშობის მიზნით, უცხო გარემოს ტემპერატურის შესამოწმებ[illegible] ტოქსიკური გაზების შემცველობის დადგენის მიზნით. გამომგონებელთა ჯგუ[illegible] ჯერობით ხელით აჭმევს ბუზებს რობოტს, რადგან მახე, რომლის მეშვე[illegible] რობოტმა ბუზები უნდა შეიწოვოს, ჯერ დამზადების პროცესშია.

ხეჯოხდსმენმა ნიჯაპი ცხვირთან მიიტანა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ჭიმვა[illegible] წელვადი კანით არის ცნობილი, ლონდონის საზოგადოებას თავისი უნიკ[illegible] ნიჭი უჩვენა და ეს წარმოდგენა გინესის რეკორდების წიგნის 50 წლის იუ[illegible] მიუძღვნა. ლინკოლნშირის მცხოვრებმა ჰარი ტერნერმა, რომელსაც მეტსა[illegible] ელასტიკი ჰქვია, ლონდონში მილენიუმის ხიდის გამვლელები გააოგნა. [illegible] გაოცებული უყურებდა, თუ უნიკუმმა როგორ გაიწელა კანი ნიკაპიდან ცხვ[illegible] და როგორ ჩაატარა სხვა უცნაური რამერუმეები.

პირველი რეკორდი მან ლო[illegible] ლესში დაამყარა 1999 წელს, რო[illegible] ცლის კანი 15 სანტიმეტრით გ[illegible] ხოლო გინესის წიგნის ერთ-ერთ[illegible] სახეზე 153 სარჭი გაიკეთა, რითი[illegible] ერთი რეკორდი დაამყარა. ჰარი[illegible] ერს იშვიათი დაავადება აქვს — [illegible] დანლოსის სინდრომი. ეს გახლა[illegible] მაერთებელი ქსოვილის თანდაყ[illegible] პათოლოგია, რომლისთვისაც და[illegible] ათებელია ჰიპერჭიმვადი კანი, ჰი[illegible] ბილური სახსრები და ქსოვილები[illegible] იფე.

წამალი „მთანმინდა"

მკურნალობამდე და შემდეგ

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, მცენარეული საპნები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა გარანტიით

ვინ: ჭავჭავაძის გაზ. 2/2, ჩაის სახლთან, სგოეგოლოგიურ პოლიკლინიკაში, შილება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, „მთანმინდა" ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ PSP აფთიაქებში

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

ფოტოკოლიაჟები

ყურადღება! „ეტალონი“ კვირას – 19 სექტემბერს 20-საათიანი „მზერის“ შემდეგ – „მზეზე“

ბ 188/30

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ეტალონი **სტიპენდია!** ეტალონი

19 სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს
ტელეკომპანია „მზეზე“,

„ეტალონი“ – ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი“,
შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის
ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

რეიტინგი

შეხვედრამდე „მზეზე“

ყველაზე ეროვნული მედია-პროექტის „ეტალონის“

პარტნიორები უკვე არიან:

- თბილისის საკრებულო;
- თბილისის მერია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- განათლების რეფორმის პროექტი „ილია ჭავჭავაძე“.

მხარდამჭერები უკვე არიან:

* ნინო ბურჯანაძე
* ზურაბ ქვანია
* გიორგი ბარამიძე
* გოკა გაბაშვილი
* ლევან ბერძენიშვილი
* დავით გამყრელიძე
* კობა დავითაშვილი
* ლევან გაჩეჩილაძე
* ნინო კალანდაძე
* ვასილ მაღლაფერიძე
* ზურაბ ქიაბერაშვილი
* ზაზა ბეგაშვილი
* შალვა ნათელაშვილი
* რამაზ ჩხიკვაძე
* ნიკა მემანიშვილი
* ლაშა ბუღაძე
* გიორგი ასანიძე
* კახა კალაძე
* ედარ კურტანიძე
* გიორგი კანდელაკი